

სიხარული



4 / 92



75

ჟურნალ „ცისკარის“ რედაქცია
ულოცავს ბატონ ვახტანგ ჟე-
ლიძეს ამ ღირსშესანიშნავ თა-
რიღს და უსურვებს ახალ-ახა-
ლი ნაწარმოებებით გახსარე-
ბინოს ჩვენი მრავალათასიანი
მკითხველი.

ცისკარი

აკრილი № 4

საქართველოს მფარველთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია

1857 წ.



თბილისი

1992

გ ი ს კ ა რ ი

ქართული

საღიგებრძვადგურთა უკრნადი

გამოცემის ი. კერესელიძის მიერ.

ი ა ნ კ ა რ ი.

წელიწადი მესამე.

«თუ შეუვარო სმენდ.— მიიღულე და
შვეუ შეუვარო შენი. ჰრეკ იქვე »
(წიგ. ისო ზარ. თაფი 6, მუხ. 33.)

ქუილისს.

კერესელიძის ტობაგრაფიაში.

1861

მთავარი რედაქტორი
დათო მალრაძე

სარედაქციო საბჭო

ბალათორ არაბული, ბაბუა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბაჭაძე, თედო ბაქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე): ვთარ თვა-რაძე, ზურ კალანდია, ლევან მალაქოშვილი, ელზა მებრევილი, ზურაბ ნარმაშვილი, ვაჟა ჩორბაქი (პასუხისმგებელი მდივანი), ნანა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ ბრიგადაშვილი, ბათო დანელია, ვახტანგ გუგუა, მამუკა ხალვაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გივი სულაბაძე, ვახტანგ ლომიძე, თეიმურ შავლაძე, ნუზარ შატა-იძე, მანანა ჩიტიშვილი, ედიშორ ჯიქია, კობე ჯანდირი, მანა ჯოჯაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზია და კროჯა

5. შორის ფოცხოვნილი — ლექსები
11. ზურაბ სამადაშვილი — შეშლილი სახლი. რომანი
80. ეთერ თათარაიძე — ლექსები
82. ლევან მალაქონია — ღორღით სავსე აუზი. მოთხრობა
92. დავით შვიდლური — ლექსები
97. მარინა ჩხეულიშვილი — გურამ ჩხეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის გაგრძელება
132. ლელა ლაგაზიძე — ლექსები

წერილები

134. მანია ციციშვილი — არჩილ ჯორჯაძის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული პრინციპები
146. ნათელა ონაშვილი — „შენი ღვრიტა ვარ, მავლ-დედულე“





ძორის ფოცხიშვილი

გულმოდგინება

ხატო, უფლისა ხარ,
ჯვარო, გულისა ხარ,
სანთელ-საკმევლის და
სათნოებისა ხარ, —
სიყვარულისა ხარ!

ცეცხლო, სულისა ხარ,
ცრემლო, ჭმუნვისა ხარ,
სინანულისა და
ჭირთა თმენისა ხარ, —
მანც შეგებისა ხარ!

ღვინოვ, სუფრისა ხარ,
სუფრაჲ, სტუმრისა ხარ,
ლუკმაჲ, მშვიდრისა ხარ,
ქერივ-ობლებისა ხარ, —
მოწყალებისა ხარ!

ღამეჲ, მთვარისა ხარ,
დილაჲ, მამლისა ხარ,

ნისლო, მთებისა ხარ,
წვიმაჲ, ზვრებისა ხარ,
ელემ-ბაღისა ხარ!

სისხლო, დროშისა ხარ,
დროშაჲ, ბორგვისა ხარ,
ფუნჯო, მზატურისა ხარ,
წიგნო, ხალხისა ხარ, —
შთაგონებისა ხარ!

გზაო, მგზავრისა ხარ,
ქარო, აფრისა ხარ,
აფრაჲ, ანძისა ხარ,
მისვლა-მოსვლისა ხარ, —
ამაღლებისა ხარ!

თესლო, მიწისა ხარ,
ფესვო, სიზმრისა ხარ,
ლექსო, ცისკრისა ხარ,
სიმღერებისა ხარ, —
უკვდავებისა ხარ!

ძორი, რომელსაც აქვს საფუძველი

დაღვრილია მთვარის ოფლი,
გაშლილია ჭირის სუფრა, —
თვითონ გაგარდნილა თოფი,
თვითონ დაცემულა ტურფა.

ბოლო მოღებია სურვილს,
კვამლი გაჰყოლია ნიავს, —

თვითონ გახეთქილა გული,
გულში განზერილა ტყვია.

დგას ქუჩაში სისხლის გუბე,
ბღავის, მთელი ეზო ბღავის, —
თვითონ ყვარებია თურმე,
თვითონ გაუწირავს თავი!

საბარათნილოს
მარტენა-ი
ბიბლიოთეკა

დასამტკიცებლად

დასამტკიცებლად,
 ოდესღაც რომ
 ეყვავით ერთად,
 მგლები ძალუბად
 მოდიან ჩვენთან.

ჩვენ კი, ო, ჩვენ კი,
 დავკარგეთ გონი,
 გამოვუცხადეთ სუყველას ომი...
 ეტყობა, ზურგი გვაქცია ღმერთმა...

დასამტკიცებლად,
 ოდესღაც რომ

ეყვავით ერთად,
 აწ აღარავინ
 არ მოვა ჩვენთან...

როგორ მინდოდა,
 ამ ქვეყანაზე,
 რაც ვთქვი,
 იმაზე ლამაზად მეთქვა...

დასამტკიცებლად,
 ოდესღაც რომ
 ეყვავით ერთად!

სადედოფლო

არ დამივიწყო და არ დამტოეო,
 არ სთქვა, რომ აწ აღარ გცალია, —
 თუ გახსოვს, ლამაზო ქალბატონო,
 ძალიან მომწონდი, ძალიან?!

ეტყობა არავინ აღარ ხუმრობს,
 დრომ უცებ დასტოვა გალია, —
 თუ გახსოვს, კეთილო გაზაფხულო,
 კეთილი იყავი ძალიან.

ამ იებს ცივი მზე ვინ აპკუროს,
 პოეტი კარგა ხნის მთვრალია, —
 თუ გახსოვს, პატარა სიყვარულო,
 პატარა იყავი ძალიან.

დაშრა სიყმაწვილის წმინდა წყარო,
 ამ გულმა რა შხამი დალია, —
 თუ გახსოვს, ამაყო დედოფალო,
 ძალიან მიყვარდი, ძალიან!

ჟამი აღსარებას ითხოვს

ჟამი აღსარებას ითხოვს,
 ცხელა, ჯოჯოხეთში ცხელა, —
 ყველა წმინდანია თითქოს,
 მაგრამ ცოდვილია ყველა.

უკანასკნელ სანთელს მიქრობს
 ბრბო და პოეტს მსახავს ხელად, —
 ყველა მართალია თითქოს,
 მაგრამ მტყუანია ყველა.

ერთმანეთი უნდა ვიგრძნოთ,
 მწირს და სამყარს უნდა შველა, —
 ყველა მოწყალეა თითქოს,
 მაგრამ უწყალოა ყველა.

კვლავ არ მესმის, რაზე ვფიქრობთ,
 არც ის ვიცრ, რატომ ვვლავთ, —
 ყველა ჭკვიანია თითქოს,
 ყველა სულელია, ყველა.

ჟამი აღსარებას ითხოვს,
 ცხელა, სამოთხეშიც ცხელა, —
 ყველა ფხიზელია თითქოს,
 მაგრამ კაიფშია, ყველა.

სისასტიკის ვებრძვი მიკრობს,
 ერთურთს იჭვის ცელით ვცვლავთ, —
 ყველა წმინდანია თითქოს,
 ყველა ცოდვილია, ყველა!

სხვა რა ბინდა

სხვა რა ბინდა, რჩები მარტო,
 წაუთაღე წვერი ფანქრებს, —
 ისე ხატე, რომ არ ხატო,
 ჩაქრი ისე, რომ არ ჩაქრე.

ფრთას გიტოვებს პოეტს წერო.
 ცა ქარწყლდება შენი ცოდვით, —
 ისე წერე, რომ არ წერო,
 რომ არ მოკვდე, ისე მოკვდი!

მგლოვიარე ვარსკვლავები

ჩემს წინ მგლოვიარე სანთლებია,
გზაჯვარედინებზე ჯვრებია, —
ერთ დღეს ვარსკვლავებიც ჩაქრებიან,
მ. გრამ ვარსკვლავები რჩებიან.

ჩემს წინ ღვთაებრივი ზატებია,
ჩვენს წინ ჩამოყრილი ფრთებია, —

ერთ დღეს პოეტებიც გაწყდებიან,
მაგრამ პოეტები რჩებიან.

კიბის საფეხურად გრანიტია,
ოქროს გალიაში ჩიტია, —
ერთ დღეს სულ არაფერს არ იტყვიან,
ერთ დღეს სუყველაფერს იტყვიან.

ჩემს წინ მგლოვიარე სანთლებია!

პოეტის სასახლეში

პოეტისათვის სასახლეში სუნთქვა
გამწელდა,
ხარ ფრთებშეჭრილი და ფერმიხდილი, —
„არ ღირს სიცოცხლე!“ —

დგები სარკმელთან...
მაგრამ მაშინვე გახსენდება —
„არ ღირს სიკვდილიც!“
პოეტისათვის სუნთქვა გამწელდა.

ბედი — ავბედი ზურგს გაქცევს და
მუცელს მოიშლის,
სანუგეშებლად საწუთროში
არვინ არ გრჩება,
„არ ღირს გაფრენა!“ —
ფიქრობ შენ და

წვები ლოგინში,
წვები და ფიქრობ რომ ლოგინშიც
„არ ღირს დარჩენა“.
პოეტისათვის სასახლეში სუნთქვა
გამწელდა.

მიდი, იარე, საწუთროში რა დაგრჩენია
ადრე თუ გვიან, დაგაღრჩობენ
დალალ-კავები, —
კოცნი და ფიქრობ,
რომ ეს კოცნა არაფერია,
მაგრამ კვლავ ჰკოცნი
და შინდისფერ ტუჩებს აკვდები...
პოეტისათვის სასახლეში სუნთქვა
გამწელდა.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი

არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი
არც უკვდავება,
არც რა ზმანება, —
არარსებულ ციოთ
ვარ ფერმიხდილი,
გზას ვეძებ
სულის დასავენებლად.

იქ, სადაც, სადაც
სიცილ-ტირილის
სანთელ-საკმეკელის
გზნება არ ქრება, —

ადრე თუ გვიან,
ვიცი, იქ ვივლი,
იქ შემძრავს
შენი პაპანაქება.

იქ, იქ მიმაგდებს
ფრთების ტკივილი,
აწ იმ მახეში
უნდა გავება, —

არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი,
არც უკვდავება,
არც რა ზმანება.

მოსალოდნელი მოულოდნელობა

შენ ალბათ
ისე ახლო ხარ ახლა,
რომ შევბას ვგრძნობ და
ბ ე დ ნ ი ე რ ი
ხელში გაკვდები.

და მე სიმღერით სული ვიცხონე

და მე სიმღერით სული ვიცხონე,
ვიდრე ფრთებს ვიქნევ, მემახსოვრება,
გზა იყო ლალი, როგორც სიცოცხლე,
დრო იყო მკაცრი, როგორც ცხოვრება.

ტყუოდა ყველა, ხურდა პარტახი,
დულდა კუპრი და თოვდა ჩურჩული,

მზე იყო მწველი, როგორც მათრახი,
ბრბო იყო შმაგი, როგორც ურჩხული.

ურჩხულის გზნებით მჭამდა სოფელი,
და თუმც თავს მადგა სულთამხუთავა,
ცა იყო თბილი, ვით ღვთისმშობელი,
ხმა იყო მშვიდი, როგორც უფალი...

და მე სიმღერით სული ვიცხონე.

ჯერ მე

ხელს ნუ შეახებ მსახვრალს
ტიტებს
ალუბლებს,
ჭერმებს, —

ო, სისასტიკე, სად ხარ,
ჯერ მე, სიკვდილო, ჯერ მე!

გზისპირ ძველ კოცონს ვანჯღრევ,
ვითობ
გაყინულ

ნერვებს, —

ფრთებს ნუ შეაჭრი ამ ცეცხლს,
ჯერ მე, ჯალათო, ჯერ მე!

დარდმა თოვლივით გამცრა,

გულიც

ვიტკინე

მერმე, —

ნუ გადაბინდავ ამ ცას,
ჯერ მე, უფალო, ჯერ მე!

ლტოლვილთა თაყუხსაფარი

მოვიდა, როგორც პირველი თოვლი,
როგორც ბზობაზე ბზა,

გადაიწერა პირჯვარი თრთოლვით
და გაავრძელა გზა.

ვინ გაუწვდიდა ლუკმა პურს
ლტოლვით,

ვინ გასცდებოდა ზღვარს, —
გადაიწერეს პირჯვარი თრთოლვით
და გაავრძელეს გზა.

ციდან დაეშვა უფალი ღმერთი,
ღმერთიც არ იყო მზად,

გადაიწერა პირჯვარი ღმერთმა
და გაავრძელა გზა.

ვატყობ, სულ ჩქარა გავხდები ცუდად,
დამცემს ეპოქა ზარს, —

გადავიწერო პირჯვარი უნდა
და გაავრძელო გზა.

ხმას არ გავიღებ, რაც უნდა ვიკებნოთ,
მანც არ არის ხსნა, —

გადავიწეროთ პირჯვარი, ძმებო,
და გაავრძელოთ გზა!

ისევ ღია სარკმელთან

ბაღლივით ვდგავარ ღია სარკმელთან
და ლექსებს ვაფრენ,

როგორც იკარებს,
უარყოფილნი შევიფარე და
უარყოფილნი არ მივიკარე.

ცმუკავს საწუთრო, როგორც სუასტიკა,
ბრბო ჭირთა თმენის

მიწყობს აქციებს, —
გაგიჟებული გულში ჩავიკარ,
გამგიჟებელს კი ზურგი ვაქციე.

ვიცი, მაცხოვრის ხილვა ძნელია,
ძველ მეგობრობას
ახლით როდი ვშლი, —
სხვის სიცოცხლესთან
მე რა ხელი მაქვს,
მხოლოდ ჩემს სიკვდილს
ვიწვევ ლოგინში.

მინდა, ბოლომდე გითხრათ სათქმელი,
თავქვეშ დავიგო ისევ თხის ტყავი, —
ერთი ღამე და
ერთი სახთული,
ერთი ლექსიც და...
კარგად იყავით!

თავშეკავება

რა უნდა გთხოვო,
იმაზე მეტი,
რაც უკვე მიძღვენ,
სიცოცხლევ ჩემო?!

სამოთხის ვაშლი

სამოთხის ვაშლი კვლავ მწიფდება სამოთხის ბაღში, —
სამოთხის ვაშლი, ჩანგო ჩემო, სამოთხის ვაშლი!

მწიფდება მთვარე მთვარეული ფოთლების თავშლით, —
სამოთხის ვაშლი, საყვარელო, მწიფდება ქალში!

მწიფდება ყველგან,
პირველ რიგში,
მწიფდება ქართლში, —
სამოთხის ვაშლი, საყვარელო, სამოთხის ვაშლი!

აედარში, დარში, რა თქმა უნდა, წვიმაშიც, ქარშიც,
წითლდება ვაშლი,
ქალწულივით მწიფდება ვაშლი.

გაწოლილია ნატურის ხეზე ქალივით გველი
და ვაშლისაკენ გაურბის წელი.

ჭკავს ჩასაკებენ ვაშლს მძინარე ვეა,
აღამს აცდენენ ჩასაკებენ ვაშლით.

სამოთხის ბაღში იწყება ღელვა...
და ცოდვილობენ
ცოდვილები
სამოთხის ბაღში...

წუხს შემოქმედი სასწაულ ხესთან,
იჭვი ფუტკრის სკად უბზუის თავში,
შეცდა? არ შეცდა? ვაითუ, შეცდა?
სამოთხის ბაღში სიყვარული,
სამოთხის ბაღში?

პგავს ჩაკბეჩილ ვაშლს მცინარე ევა,
 პგავს სამოთხის ბავშვს ვოველი ბავშვი...

სამოთხის ბაღში, საქართველოვ,
 სამოთხის ბაღში!

წყალწაღებული

წყალმა წაილო ნავი ჩემი სიყმაწვილისა,
 ცეცხლმოკიდებულ მდინარეზე ფეხით ვინ ივლის? —
 ჩემს პოეზიას ბედი ვინ მისცა,
 ისევ წამებით, სიყვარულო, ისევ ტკივილით...
 წყალმა წაილო ნავი ჩემი სიყმაწვილისა.


გალმა გასული დედაჩემი მიხზობს, მიკივის,
 აკრძალული მაქვს მის წინ ღვინის სმა, —
 ისევ წამებით, გულო ჩემო, ისევ ტკივილით.
 წყალმა წაილო ნავი ჩემი სიყმაწვილისა...
 გალმა გასული დედაჩემი მიხზობს, მიკივის.

ცეცხლმოკიდებულ მდინარეზე ფეხით ვინ ივლის,
 ცა ტყვიისფერი შეილებოს უნდა იისფრად, —
 რა ადვილია თურმე სიკვდილი,
 აკრძალული მაქვს როცა ღვინის სმა.

წყალმა წაილო ნავი ჩემი სიყმაწვილისა...
 ისევ წამებით,
 სულო ჩემო,
 ისევ ტკივილით!



ზურაბ სამადაშვილი



საშინელ ისტორიებზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები უკვლავ ცივილიზებულ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული სტერეოტიპის თუ სხვა ჩემთვის გაუგებარა ზიზენის გამო ქართულ ლიტერატურაში ზემოთ ხსენებული თანრი თითქმის უგულვებელყოფილია. ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსასწორებლად გავკადნიერდი და რომანი-საშინელების შექმნა ვცადე. უფრო საინტერესო და ადვილად ხაიოთხავი რომ გამოსულიყო, ნაწარმოებს დეტექტივის ფორმა მივცე და მოქმედება ა.შ.შ.-ში გადავიტანე. ამით საქმე გავიადვილე, რადგან კომუნიაციის საშუალებათა მრავალფეროვნება ფანტაზიას არ მიწვდებოდა.

რომანს ვთავაზობთ მცირე შემოკლებით.

შეზღილი სასლი

რომანი

„მაკლაფლინი და ძმების“ გამოცემლობიდან დაბრუნებულს, სახლის სადარბაზოსთან მისტერ ბარნი ჯეფერსონი შეშეჩება. ეტყობა, წინა დღით ორჭოფობა შემატყო და ჩემს დასაყოლიებლად საქმიანი ვიზიტი განაახლა.

– ნულარ გადავდებთ წასვლას, – მითხრა რიხიანად. – საინტერესო საქმეა, საინტერესო და რთული! უეჭველად გაგიტაცებს! გზაზე დაწვრთვებით მოგიყვები ყველაფერს და თვითონვე დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში. გაზაფხულის მზიან ამინდში ქალაქგარეთ გამგზავრებას რა სჯობია!

მისტერ ბარნი ჯეფერსონთან ბავშვობის მეგობრობა მაკავშირებდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მძლეოსანთა გუნდში ერთად ვვარჯიშობდით და, როგორც მახსოვს, თარჯრბენში მოკლე დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა, მას შემდეგ კი, რაც ლონი კუსმაკის კერძო ინსტიტუტში იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი მოისმინა და დრეკსელის ბულვარზე საექვილო კანტორა გახსნა, გუშინდლამდე მის შესახებ თითქმის არაფერი გამიგონია.

— გაყვიდე ის წყეული კანტორა, — ოდნავ აღელვებული ხმით განაგრძობდა მისტერ ჯეფერსონი. — როგორ რეკლამასაც გაიკეთებ, კარიერაც ისეთი გექნება, თავიდანვე შეეცდი, ჩემი პროფესიონალიზმის იმედზე მივაგდე მომავალი, ან რა მექნა, ფული არ მეყო, რეკლამისთვის ცენტრიც არ დამრჩენია, შედეგიც შესაბამისი მივიღე, ლამის გააკოტრდი, ახლა კი კერძო მაძებარი მექვია, უკვე მართლა ჩემზეა დამოკიდებული, ვივარგებ თუ არა, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან თუ არა... ეს ჩემი პირველი საქმეა და მთავარია, თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება დავტოვო, თუ დასაწყისიდანვე ჩავფლავდი, აღარაფერი მიშველის.

— სამი წელი არ გამოჩენილხარ, — ვუთხარი, — პიტ-ბულივით დამატყდი თავს, გონზე მოსვლის საშუალებას არ მაძლევ და მიკიჟინებ, სასწრაფოდ პასუხი მომეციო, რით უნდა დაგებმარო, სად უნდა გამოგვევ, მე რა შემიძლია?

— ბლექსტონში, — სახეზე იღუმალი გამომეტყველება აღებეჭდა, — ისეთი ამბები ხდება, ჩიკაგოს მთელი პოლიციაც ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს უეჭველად მჭირდება სანდო კაცი, გუშინაც გითხარი, მარტო გამიჭირდება. ბუერი ვიფიქრე და შენ ამოგარჩიე. ჩემი იურისტი კოლეგებისთვის ტრაფარეტულად არ აზროვნებ, არც ბუერი მათგანით ცრუმორწმუნე ხარ, რაც მთავარია, წარმოსახვის უნარი არ გაკლია და კარგად გიცნობ, — დააყოლა სიცილით, — ფულის გაყოფაზე ჩხუბი არ მოგვივა.

სიცილში მეც თავაზიანად აყვივი, თუმცა სასაცილოს ვერაფერს ვხედავდი, უფრო მეტიც, — ჩემდა სამწუხაროდ შევამჩნიე, რომ ბარნი ალკოჰოლს გადაჭარბებულად ეტანებოდა. ამ ორმოციოდე წუთის განმავლობაში მან ვისკის მთელი ბოთლი გამოწრუპა, ასევე მოიქცა გუშინაც პირველი ვიზიტის დროს.

ალბათ, ლოთობა გახდა სამსახურში მისი წარუმატებლობის მიზეზი, — სევდიანად გაეიფიქრე და ბლექსტონი სად არის-მეთქი, კკითხე.

ჩემი მეგობარი საქმაოდ ბევრს ლაფობდა, მაგრამ უშუალოდ საქმის შესახებ თითქმის არაფერი უთქვამს.

— აქვე, ჩიკაგოს გარეუბანში. „ბლექსტონი“ პროფესორ ედვინ სმიტის საგვარეულო სახლს ჰქვია. ეგ შენობა თითქმის ჩიკაგოზე უხნესია.

— პროფესორი ედვინ სმიტი? — მომეჩვენა, რომ ეს გვარი და სახელი ახლახანს სადღაც გაშვეონა.

— მთელ ამერიკას მოედო მისი ეგრეთ წოდებული თვითმკვლელობის ამბავი, — რატომღაც დამცინავად აღნიშნა მისტერ ჯეფერსონმა. — ქმრის დასაფლავების წინა დღეს ჩიკაგოში მისის სმიტი ჩამოვიდა, დრეკსელის ბულვარზე ჩემს კანტორას წააწყდა და ამ საქმის გამოძიება მთხოვა...

— სავექილო კანტორა მაგის შემდეგ გაყვიდე? — აღშფოთების დამალვა არც მიცდია: — იმედია, ის მაინც აუხსენი, თუ რა განსხვავებაა ვექილსა და მაძებარს შორის!

— რა თქმა უნდა, მისის სმიტისთვის არაფერი მომიტყუებია. ნახავ იმ ქალს და დარწმუნდება, მისი მოტყუება არც ისე იოლია. გულახდილად ვუთხარი, რაც მევალეობდა, გამოძიებიდან საქმაოდ შორს ვარ-მეთქი, ვაღიარე, მაგრამ ისეთი დაჟინებით მთხოვა... თანაც ისეთი სოლიდური პონორარი შემომთავაზა, რომ მეორე დღესვე ბლექსტონში გავემზავრე დარდისაგან სასოწარკვეთილებამდე მისული ქვრივის დასახმარებლად. ალბათ, ბედისწერამ გადამიწყვიტა პროფესორის შეცვლა, ადვოკატობაში თავიდანვე არ მიმართლებდა. პროფესიისთვის არ მიღალატია, — დასძინა სიცილით, — იმ ვექილს რა უუთხარი, პოლიციელის შოვალეობას რომ ვერ შეასრულებს.

არ შევეკამათე, თვითონაც მშვენებრად ესმოდა, როგორ სიტუაციაშიც აღ-

მონდა. მთელი მისი ცხოვრება სასწორზე იყო შეგდებული და ახალი მარცხი მისტერ ბარნი ჯეფერსონის, როგორც იურისტის, სამუდამო კრახს ნიშნავდა.

„ამ კაცს დახმარება ნამდვილად სჭირდება, — გავიფიქრე, — კომპეტენტური პირის დახმარება. მე ვერ გამოვადგები“.

— თუ ცოტა დროს გამონახავ, — მან ვისკის უკანასკნელი წვეთები სირჩაში ჩამოწურა, — ჩემი კუთვნილი ჰონორარის 40 პროცენტს მიიღებ. დარწმუნებული ვარ, შენი ჩაყვანა მისის სმიტს არ ეწყინება, პირიქით, თვითონ არის ძიების სწრაფი დამთავრებით დაინტერესებული. ოღონდ ხვალვე გავემზავროთ. იქ ყოველ წუთს შეიძლება, რაღაც მოხდეს. სერიოზული სიტუაციაა. სერიოზული რომ არ იყოს, ქერივი ქალი ქმრის დასაფლავების წინა დღეს ჩიკაგოში არ გამოიქცეოდა კერძო დეტექტივის ასაყვანად.

— კერძო დეტექტივს, როგორც გამიგია, ოფიციალურად დაკითხვის უფლება არა აქვს. მე დილუტანტი ვარ, მაგრამ ვიცი, ასეთ შემთხვევებს პოლიცია იძიებს ხოლმე, რატომ დასჭირდა კერძო დეტექტივის შეწუხება?

— პოლიციამ დაადგინა თვითმკვლელობის ფაქტი და საქმე მისტერ სმიტის დასაფლავებამდე დაიხურა, — თქვა გაღიზიანებით, — არც ქურდობას მიაქციეს ყურადღება, არც იმ საოცარ მოჩვენებას, ბლექსტონში ღამღამობით რომ დაეხეტება... ბევრ რამეზე დახუჭვს თვალს.

— ქურდობა? — ცნობისმოყვარეობა ვერ დაეძლიე. — რა მოიპარეს?

— მისის სმიტმა ქმრის გარდაცვალების მეორე დღეს გატეხილი სეიფი ნახა, საიდანაც პროფესორის საქმიანი ქაღალდები მოეპარათ.

— პოლიციამ რით ახსნა ეგ შემთხვევა? — ვიკითხე გაკვირვებულმა, — ასეთ სერიოზულ სამზილს ვინ დატოვებდა უყურადღებოდ?

— სეიფი გასაღებით გაეღოთ, პროფესორის სამუშაო მაგიდაზე ნახუჭდი თაბახები ეწყო და მიიჩინეს, ეს ქაღალდები პროფესორმა თვითონვე გამოიღო სეიფიდან, მისის სმიტმა კი გაღებული კარი მეორე დღეს შეამჩნია და მცდარი დასკვნა გააკეთა. სეიფში რას ინახავდა პროფესორი, ზუსტად არაინ იცის, მათ შორის არც მისის სმიტმა, ხოლო პროფესორის თანაშემწემ დარინ ვან ჰორნმა და ექიმმა ჰენრი პირსმა, ვის კლინიკაშიც ექსპერიმენტებს ატარებდნენ, ერთხმად განაცხადეს, გასაიდუმლოებული და მოსაპარი არაფერი გვექონდა, გამოკვლევების ყველა შედეგი სრულიად ოფიციალურადაა რეგისტრირებული და სავსებით ხელმისაწვდომია კლინიკაში მომუშავე ნებისმიერი მეცნიერისთვის. ფულისა და ძვირფასი ნივთებისათვის ხელი არ უხლიათ. ამიტომ მისის სმიტი იძულებული გახდა, ეჭვების გასაფანტავად კერძო დეტექტივისთვის მიემართა.

— შეცდა პოლიცია?

— შეჭველად შეცდა, — თქვა მტკიცედ.

სახეზე მიეაჩერდი.

ბარნის რწმენა და სიჯიუტე გადამდები იყო. ის, მართალია, არასოდეს გამოირჩეოდა დიდი ჭკუითა და საზრიანობით, მაგრამ იოლადაც არავის მოატყუებინებდა თავს.

— ბოლოს და ბოლოს მისის სმიტი მკვლელობის ფაქტის დამტკიცებაში ასი ათას დოლარს იძლევა, ხომ იცი, ქვრივები რა ძუნწები არიან, დარწმუნებული რომ არ იყოს, ამდენ თანხას არ გაიმეტებდა.

„ორმოცი პროცენტი 40 ათასი დოლარია, — გავიფიქრე გაოცებულმა. — ორიოდ კვირისათვის სულაც არ არის ცუდი ჰონორარი“.

— მეტს არ შეგაწუხებ, — დალეული ვისკის კვალობაზე კარისკენ საკმაოდ მტკიცე ნაბიჯებით გაემართა, — დაგირეკავ, თუ თანახმა იქნები და ჩემთვის დროს გაიმეტებ, ხვალ დილით გამოგივლი.

დრო მქონდა, რადგან ჩემი ბოლო წიგნი ბესტსელერად იქცა და წარმატებით კმაყოფილმა, თავს მცირე ხნით დასვენების უფლება მივეცი.

გარემოს შეცვლა სულაც არ იქნებოდა ურიგო, თანაც ბავშვობის მეგობრის მოულოდნელმა გამოჩენამ ახალგაზრდობა გამახსენა, ამაფორიაქა და თავგადასავლების გუნებაზე დამაყენა. დათანხმებამდე მაინც ბევრი ვიყოყმანე, რა სარგებლობის მოტანა შემემძლო გამოუცდელი კერძო დეტექტივისათვის, როდესაც მის პროფესიაში სრული დილექტანტი ვიყავი, დახმარების ნაცვლად ზედმეტი ბარგის მაგივრობას ხომ არ გაუწუვედი? ან რის გარკვევა შეგეძლო, თუ ჩიკაგოს პოლიციამ უკვე ყველაფერი გამოიძია და მისტერ სმიტის გარდაცვალება თვითმკვლელობად მიიჩნია?

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში ისევ ბარნი ჯეფერსონი დამეხმარა. ყურმილში იმდენად იმედინად ვღერდა მისი ხმა, ისეთი დიდი სურვილი იგრძნობოდა ჩემთან ერთად გამგზავრების, რომ უარის თქმა ღალატად მომეჩვენა.

სხვა თუ არაფერი, ვეცდებოდი, როგორმე ალკოჰოლიზმისადმი მავნე მიდრეკილება მომეშლევინებინა.

– ჩანს, არ წამხდარა სპორტული სული, – მითხრა ხუმრობით, – კვლავ ძველებურად აზარტული ხარ, მწერლობამაც ვერ გაგაფუჭა. ხოლო მისის სმიტს, – დასძინა ქადილით: – შეუძლია, მშვიდად იყოს, ის ჩემში არ შემცდარა! „საბრალო მისის სმიტი, – გავიფიქრე, – გულუბრყვილო ბებრუხუნა! ამ ფასად ორი კარგი პროფესიონალის აყვანაც შეეძლო, რაღა მაინცდამაინც ჩემი უიღბლო და გალოთებული მეგობარი ამოარჩია!..



ბარნი ნაშუადღევამდე არ გამოჩენილა.

ვიფიქრე, ალბათ, გონს მოეგო და ამ უზრო ძიებაზე უარი თქვა-მეთქი. უკვე სახლიდან გასვლას ვაპირებდი, როდესაც ორადგილიანი ძველისძველი ფორდით მოგრიალდა, ყოფილ კანტორაში უნდა შევიარო, ყოველგვარი ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე მითხრა და დრეკსელის ბულვარზე ერთ ვიქტორიანულ ქვის სახლთან მიმიყვანა. იმდენი ზრდილობა არ ეყო, კანტორაში შევეპატიეებინე, მთელი ნახევარი საათი მანქანაში მაყურყუტა. როდესაც ჩემი მოთმინების ფიალა პირთამდე აივსო, სადარბაზოდან გამოვოკმანდა კმაყოფილი, წარმოსადგევი და თავხედური ღიმილით საჭესთან მოიკალათა.

– რომ იცოდე, ამ დილით რამდენი პრობლემა გადაეჭერი, დაგვიანებისათვის აღარ გამოწყობი, – განაცხადა უსინდისოდ. – ახლა კი მთლიანად ამ საქმისათვის ვარ მზად და გზადგუზა ყველაფერი ავწონ-დავწონოთ.

ხმა არ გამოცია, მან კი ჩემი დუმილით ისარგებლა და მანქანა ხოლსტუდისა და ორმოცდამეორე ქუჩის კუთხეში ფრანგულ კაფესთან გააჩერა.

– მგელივით მშია, – თქვა და პასუხისთვის არ მოუცდია, ისე განაგრძო: – ცოტა წავიხეშსოთ, მე გეპატიეები. სასაუბროდ უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვი.

ოფიცინანტს მეგობრულად მიესალმა და განაპირა მაგიდა ამოირჩია. კაფეში ჩვენს გარდა, თითქმის არავინ იყო. მარჯვნივ, მესამე თუ მეოთხე მაგიდასთან გოგონები ისხდნენ, მეორე მხარეს – მოხუცი წყვილი.

– ასე თუ გავაგრძელებთ, – ვთქვი რაც შემემძლო არხეინად, – ბლექსტონში ჩასვლას მთელი კვირა დასჭირდება. გულახდილად რომ ვითხრა, ამაზე მეტი დრო არცა მაქვს.

— მაღლობა ღმერთს, ხმის ამოღება იკადრე, — ხორცი უგულოდ განიცხება და შარტრები მაღიანად დააყოლა, — რომ გითხრა, გუშინ ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ ბლექსტონში ჩავედი და ამ დღით დავბრუნდი-მეთქი, დამიჯერებ? შენ მართალი მითხარი, ოფიციალურად არა მაქვს დაკითხვის უფლება, მაგრამ ზოგჯერ ხერხდება ზოლმე კანონის გვერდის ავლა. გუშინაც ასე მოხდა. პოლიციაში მყავს ახლობელი, — ხმას დაუწია და ოდნავ ჩემკენ გადმოიხარა: — რომლის დახმარებითაც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა პოლიციის მიერ ჩატარებული დაკითხვების ყველა ოქმი... უფრო სწორად — თვალთ გოგონებზე მანისში. — ესენი მალე გავლენ და ყველაფერს დაწერილებით მოგიყვები. გარსონ, თუ შეიძლება, ყავა და ლიქიორი! კარგია ყავა ლიქიორით, ზოგს კონიაკით ურჩევნია, მე ყოველთვის ლიქიორით ვსვამ, — მომაჩერდა, — არასწორი არჩევანი ხომ არ გავაკეთე?

თავის გაქნევით დაკამშვიდე. ჯერ ნაადრევი იყო მისი გამოსწორებაზე ლაპარაკი. ყველაზე მეტად ის მაოცებდა, რომ ამდენს სვამდა და სიმთვრალის არაფერი ეტყობოდა.

— შეხედე! — ქურთუკის ჯიბიდან ორი თუ სამი კასეტი ამოიღო და გასასვლელისაკენ მიმავალი გოგონები თვალებით გააცვილია, — აქ ყველაფერია ჩაწერილი. ნაწილი პოლიციისგან ვისესხე, ნაწილი მე თვითონ ჩავიწერე. მეგობრულ ვითარებაში გაბაასებაზე უარი არავის უთქვამს, პირიქით, იმ დასახლებაში იმდენად მოსაწყყენი და ერთფეროვანი ცხოვრებაა, მომხდარ ამბავზე ყველა დიდი გატაცებით ლაპარაკობს. შემომღია, ოფიციალტს მაგნიტოფონი ვთხოვო და აქვე დავიწყეთ კასეტების მოსმენა. მოსმენის პროცესში ყველაფერს გაიგებ, მეცა მაქვს ზოგიერთი დეტალი დასაზუსტებელი.

ოფიციალტის მოხმობა დააპირა.

— არა, აქ არა, — შევაჩერე. — ისედაც უხერხულად ვგრძნობ თავს დეტექტივის როლში და ახლა აქ თუ დავიწყე სხვისი საუბრის მოსმენა, ნამდვილად ვერაფერს გავიგებ, მერე აჯობებს, მანქანაში.

— გასაგებია, — მოწყალედ გამიღიმა, — ჯერ ბევრი რამ გეუცხოება, მაგრამ მალე მიეჩვევი, თავიდან ყველა ასე იწყებს.

გაკვირვებულმა შეეხედე.

ისე მეპყრობოდა, როგორც შერლოკ ჰოლმსი გაზეთების დამტარებელ ბიჭს. თითქოს ეს საქმე მისთვისაც პირველი არ ყოფილიყოს და თითქოს მთელი სიცოცხლე ბოროტმოქმედებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჰქონოდა გატარებული.

— იმდენად გაგიტაცებს, — მითხრა მზიარულად: — იქნებ რომანიც გამოაცხო, ნუ გეშინია, თანაუტორობას არ მოგთხოვ!

აღლოს არ მოვუტყუებდვარ, — მისტერ ჯეფერსონს თავი მარლაც შერლოკ ჰოლმსად წარმოედგინა და მე, მოწყალედ, უოტსონის ადგილს მთავაზობდა.

თუმცა... რა იყო გასაკვირი?! — ამ უაზრო მკვლევლობიდან თუ თვითმკვლევლობიდან იქნებ რამე გამომდნარიყო ჩემი მომავალი რომანისთვის!

პირველივე სუპერმარკეტთან გავაჩერებინე მანქანა და ჩემი ბლენძია მეგობრის გასახარად, კალამი და უბის წიგნაკა შევიძინე.

— დავიწყეთ საქმესთან გაცნობა? — მზიარულად მითხრა მიჩიგან ავენიუსზე გასვლისთანავე, — საში-ოთხი საათის მგზავრობა გველის, ეს დრო საკსებით

საკმარისია ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, ბლექსტონში ჩასულს, შენც იმდენივე გეცოდინება, რამდენიც მე ვიცი.

ღიმილით მოვარიდე სახე. ბარნი ჯეფერსონი არ მახსოვდა ასეთი ტრაბახა, პირიქით, მძლეოსნობაში წარმატებას სავსებით თავმდაბლურად მიიღებდა ხოლმე, ცოტათი რცხვენიდა კიდევ ფიზიკური უპირატესობის გამოჩენა. მზიარული, ერთგული და შეუპოვარი ბიჭი იყო, სხვა მოსწავლეები ცდილობდნენ მასთან დამეგობრებას. ახლა კი, როგორც ჩანდა, პროფესიულ ასპარეზზე განცდილმა რამდენიმე მარცხმა წონასწორობა დაურღვია, ცხოვრების ჩვეული დინებიდან ამოავდო და მის გონებაში ფესვგადგმულ არასრულფასოვნების კომპლექსს გადაჭარბებული ტრაბახით ებრძოდა.

„ალბათ ალკოჰოლსაც ამიტომ ეტანება“, — სიბრაღულით გავიფიქრე და ჩემი დამცინავი ღიმილის შემრტხვა.

— გაზეთებში რაღაც ამოვიკითხე, — ვთქვი, რაც შემქმლო საქმიანად, — მაგრამ სიმართლე რომ ვითხრა, ბევრი ვერაფერი გავიგე. გადაჭარბებული გონებრივი მუშაობა, მეცნიერული მარცხი, გაცრუებული იმედები... ყოველივე ამან თვითმკვლელობამდე მიიყვანა პროფესორი ედვინ სმიტიო. არც ერთ ვაზეთს მკვლელობაზე ეჭვი არ გამოუთქვამს.

— უკეთესი იქნებოდა, ეგ სისულელები საერთოდ არ წაგეკიხთა. სავსებით სუფთა გონებით უნდა შეხვდე ნებისმიერ ინფორმაციას. დაივიწყე, თუ რამე იცი და ყურადღებით მოუსმინე ჩემს ჩანაწერებს. მოვასმენინებ ისეთი თანმიმდევრობით, რომ მომხდარი ფაქტი ზედმიწევნით ზუსტად წარმოიდგინო.

მან მარჯვედ გადაუსწრო წინ მიმავალ უზარმაზარ „კონტინენტალს“, ამავე დროს ხელის გაწაფული მოძრაობით კასეტი მაგნიტოფონში ჩადო და ფირის გადახვევას შეუდგა.

— ახლა შენ მოუსმენ მებაღე ჯუზეპე ლეტოს. ეს კაცი მისტერ სმიტის მამასაც ემსახურებოდა. ორი ათეული წელია, რაც სმიტებთან ცხოვრობს და თავისი ოთხმოცი წლისა და გამრჯე ბუნების წყალობით, დასახლებაში საყოველთაო სიმპათიას იმსახურებს.

„ბაღში ემუშაობდი, სერ, — ავტომობილის სალონში ოდნავ დაგუდული, ბოხი ხმა გაისმა. — ერთი კვირა საავადმყოფოში გავატარე და ქვეყნის საქმე დაგროვილიყო. მოგეხსენებათ, რამდენი რამ ევალება მებაღეს. საავადმყოფოშიც ამიტომ არ გაეჩერდი, გულმა არ მომითმინა...“

ამ ადგილას მებაღეს შეაწყვეტინეს თხრობა და რაღაც კითხვა მისცეს, მაგრამ სიტყვები ვერ გაუარჩიე. ჩანაწერის უხეირო ხარისხის მიზეზვით თუ ვიმსჯელებდით, მებაღესთან მისტერ ჯეფერსონი საუბრობდა, მან ჩემი უკმაყოფილო მზერა დაიჭირა და მოუსმინეო, მშვიდად მანიშნა.

„ღიახ, მართალს ბრძანებთ, — გაისმა ისევ ჯუზეპე ლეტოს ბარიტონი. — საავადმყოფოდან ჩემი გამოსვლა არაეინ იცოდა. ჯერ ჩემს სახლში შევიარე ტანსაცმლის გამოსაცვლელად, მერე გავემართე ბლექსტონისაკენ, თან გზადაგზა ცოტას ვსაქმიანობდი... ღიახ, ყველაფერს ზუსტად მოგაყვებით, ღვთის წყალობით, კარგი მახსოვრობა მაქვს... რადგან ბლექსტონში კარი დაკეტილი დამხვდა, ეზო გადავჭერი, გარაჟში შევიხედე და როდესაც დაერწმუნდი, რომ იქაც არაეინ იყო, მთავარი შესასვლელის მახლობლად, ბაღში დავიწყე მუშაობა. აქედან ბატონების მოსვლას ადვილად შევაჩინევი. თუ ჯენი დაბრუნდებოდა, — ჯენი მოახლეს ჰქვია, — საკუჭნაოში ნათურები შეგულებოდა და გამოვართმევი, მე მთელი მარაგი გამომლოდა. ასე, ორმოცი თუ ორმოცდახუთი წუთის მუშაობის შემდეგ, მისტერ სმიტის ღიმილიანი გამოჩნდა. მძლოლმა, ჩვეულებისამებრ, მანქანა ზედ საფეხურებთან მიაყენა, მერე გადმოხტა და მისტერ სმიტს გადმოსვლაში

მიეხმარა. მისტერ ჯეფერსონ, ახლაც ყველაფერი ისე ნათლად მიდგას თვალწინ, როგორც თქვენ გიფურბთ. მისტერ სმიტმა მძლოლს რაღაც გადაულაპარაკა და სიცილით ვახსნა კარი... არა, მე არავის შევეუძნევივარ, ნაძვის ხეივანი მეფარებოდა, თანაც როგორც მოვახსენეთ, საავადმყოფოდან ნადრეკად გამოვედი და არ მელოდნენ. არც მე გამოვჩენილვარ, ძვეატყე, საღლაც ეჩქარებოდა და შეწუხებას მოვერიდე, მისტერ სმიტს უყვარდა, დროის ტყუილად დაკარგვა. არა, სხვანაირად არ ვაივოთ, მისტერ სმიტი უბრალო და გულისხმიერი ადამიანი გახლდათ, მაგრამ მამამისმაც ასე იცოდა, როცა ჩქარობდა, წინ ვერ გადაელობებოდი, ორთქმავალივით გადაგივლიდა. იქნებ მომჩვენა? არა, რას ბრძანებთ, მე არაფერი მომჩვენებია, ნამდვილად ეჩქარებოდა, მძლოლი ზედ საფეხურებთან მიყენებულ მანქანაში ელოდებოდა. მალე მის კაბინეტში სინათლე აინთო. მეორე სართულზე, დიახ, ბიბლიოთეკის გვერდით... არა, არავითარი აღელვება არ შემიმჩნევია, უბრალოდ, საღლაც აპირებდა წასვლას... რამდენმა დრომ გაიარა, ზუსტად ვერ გეტყვით, შეიძლება, ნახევარმა საათმა, შეიძლება - ცოტა მეტმა, მერყეობაში, დავნახებოდი მისტერ სმიტს თუ არა, უამრავი ხმელი ტოტები მოვაგროვე დასაწვავად, მძლოლიც რამოდენიმეჯერ გადმოვიდა მანქანიდან, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ძველი მოკრივეა და არ იცის, სად წაიღოს ენერგია... რობის მაინც გამოველაპარაკები-მეთქი, გადავწყვიტე. მანქანისკენ გავემართე... რობი მძლოლია, რობი ჰაინზი... ამ დროს მისტერ სმიტმა გადმოიხედა ფანჯრიდან და, ფუთა ამოიტანეო, გასაღები გადმოუგდო. ზომ ვითხართ, სახლში მისტერ სმიტის გარდა, არავინ გახლდათ, კარი კი მიხურვისას ავტომატურად იკეტება თუ საკეტი წინასწარ დამცველზე არ არის დაყენებული. რობიმ სალონიდან ორი მომცრო ფუთა ამოიღო, კარის გაღებისას ცოტა იჯახირა... მერე ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა... მეორე სართულზე ასულიც არ იქნებოდა, სროლის ხმა რომ გავიგონე. მოულოდნელობისგან ვერ გავერკვიე, რა მოხდა, თავიდან არც მიფიქრია გასროლა თუ იყო, მაგრამ როდესაც მძლოლის ყვირილი შემომესმა, მივხედი, რაღაც საშინელება დატრიალებულიყო.

- სროლის ხმა მძლოლის შესვლისთანავე გაიგონეთ? - იკითხა ჯეფერსონმა.

- დიახ, შესვლისთანავე... თითქმის კარის მიხურვისთანავე... უმაღვე ყვირილიც გაისმა და გავიქეცი. კარი ისევ ჩაკეტილიყო, მუშტები დაუშინე, რობიმ რომ გააღო, ადამიანის სახე აღარ ჰქონდა.

ღმერთმა იცის, ამ ოჯახთან ჭეშმარიტი მეგობრობა მაკავშირებდა. მისტერ სმიტის მამასთან ერთად ომის დროს აეიამზიდ „სან-ხასინტოზე“ ვმსახურობდი, ბოლო ოცი წელიც, ცოლის სიკვდილის შემდეგ, სმიტების მამულში გავატარე, ახლა კი, ასეთი ჯან-ლონით ხავსე, ასე ახალგაზრდა, რა არის ორმოცდათერთმეტი წელი მამაკაცისთვის? - არაფერი... საკუთარ კაბინეტში საკუთარი სისხლის გუბეში ედღო ტყვიით თავგახერეტილი... აქეთ - იარაღი, მამისეული, - მამინეუ ვიცანი, იქით - ელექტროსაპარსი... გამორთვაც ვერ მოესწრო, შემზარავად ბზუოდა... გული უკვე აღარ უცემდა... სასწრაფო დახმარება მაინც გამოვიძახე. პოლიციაც ათიოდე წუთში მოვიდა...

- ასაკის კვალობაზე საღად აზროვნებს, - ვთქვი, როდესაც მისტერ ჯეფერსონმა ფირი გააჩერა. - ეს კაცი შედის ეჭვმიტანილების სიაში?

მისტერ ჯეფერსონმა მზიარულად გადაიხარა და ბეჭზე ხელი მომიტათუნა:

- ნუ ჩქარობ, ძიების პროცესი თავისით ჩავითრევს, ეჭვმიტანილებზე მერე ვისაუბრობ. შენი ამოცანაა ფაქტების გაცნობა და იმის გულახდილად აღნიშ-

საპრესო
მინისტროს
ბიბლიოთეკა

ენა, რაც არადამაჯერებლად მოგეჩვენება; სწორედ ამ მიზნით წამოგიყვანა ხო თვალი ყველაფერს უკეთესად ამჩნევს.

— ჯერჯერობით ის შევემჩნიე, რომ თუ თვითმკვლევლობა არ არის, მისტერ სმიტი მძლოლის მოკლულია. შეიძლება, მებაღეც თანამონაწილე იყოს, ძალზე დალაგებულად ლაპარაკობს, თითქოს ყოველი სიტყვა წინასწარ ჰქონდეს აწონილ-დაწონილი.

— მებაღე, ასაკთან შედარებით, მართლაც ჭარმაგად გამოიყურება. მას თხუთმეტი წელი ციხეში აქვს გატარებული და, როგორც ჩემი დაკვირვებით ვიცი თუ, მაშინვე არ მოტეხა, ციხე პატიმრების ერთ ნაწილს ახალგაზრდობას უხანგრძლივებს. გარდა ამისა, მან ეს ჩვენება, ჩემამდე ორ თუ სამ პოლიციელს მისცა და უკვე გაზეპირებული აქვს ყოველი წვრილმანი.

— რატომ დაიჭირეს?

— ომის შემდეგ ერთ-ერთ მცირე ფირმაში მუშაობდა მექანიკოსად. მისი უფურადღებობით ვიღაც კაცი მძიმედ დაშავდა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის გაასამართლეს. როგორც მერე გაირკვა, დაშავებული ნახვამი ყოფილა, მაგრამ ამასობაში ჯუზეპე ლეტომ ციხეშიც რაღაც დანაშაული ჩაიდინა და პატიმრობა გაუხანგრძლივეს.

— რა დანაშაული?

— ვიღაცას სცემა. შენ თვითონ ნახავ, უროსავით ხელები აქვს. მისტერ სმიტის მამა თავიდანვე გვერდით ედგა თურმე, სასამართლოზეც ეხმარებოდა, ციხეშიც, ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამსახურში მოუწყვია, ერთი სიტყვით ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდათ.

— მისტერ სმიტის მამა სან-ხასინტოზე რას აკეთებდა?

— სამხედრო პილოტი იყო, — მითხრა და გულმოსულმა განაგრძო: — არ იძლევი სწორ კითხვებს, შენი გონება სხვა რამეს უტრიალებს, შენ მისტერ სმიტის მამა კი არა, მკვლელობის დეტალები უნდა გაინტერესებდე! რატომ არ მეკითხები, ფუთაში რა იყო, იარაღზე ვისი თითების ანაბეჭდები აღმოვაჩინეთ, ოთახიდან დაიკარგა თუ არა რამე? რას აიჩემე მისტერ სმიტის მამა და ავადმყოფი მებაღე?!

ორიოდე წუთის განმავლობაში გზის გასწვრივ ჩამწყრივებულ შენობებს ვათვალიერებდი, მერე კი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩემი სიჩუმით მისტერ ბარნი ჯეფერსონი საბოლოოდ მივიყვანე გაშმაგებად, რაც შემეძლო მშვიდად და ალერსიანად ვკითხე:

— რა იყო ფუთაში?

— ახლა მისის პაპელა სმიტთან საუბრის შინაარსს მოვასმენინებ, — არანაკლები სიმშვიდით მიპასუხა მისტერ ჯეფერსონმა: — საუბარი ჩაწერლია პოლიციელის მიერ, მისტერ სმიტის გარდაცვალებისთანავე.

„ეს ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია, იმდენად წარმოუდგენელი! — გაისმა ქალის მიერ ჩურჩულით ნათქვამი, — ღმერთო ჩემო, საბრალო ედვინი!..“

— მისის სმიტ, — მოისმა პოლიციელის თანაგრძნობით აღსავსე ხმა, — თქვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებით... როდესაც თავს უკეთ იგრძნობთ, მაშინ ვისაუბროთ.

— ოჰ, არა, სჯობია, დღესვე მოვათაოთ... ვერ შევძლებ განუწყვეტლივ ამაზე ლაპარაკს... არა, ნუ გადაედებთ... ეს ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია, იმდენად წარმოუდგენელი! ღმერთო ჩემო, ედვინის თვითმკვლევლობა!

— მისის სმიტ, თქვენ, როგორც ვიცი, სახლში არ აბრძანდებოდით, ეს უბედურება რომ მოხდა. მისტერ სმიტი...

— დაიხ, — გააწყვეტინა მისის სმიტმა ოდნავ შესამჩნევი გაღიზიანებით. — ქენდიმ დამირეკა... ჩემმა ბიძაშვილმა. გუშინ საღამოს დაბრუნებულან ევროპიდან... ედვინმა გამიყვანა, მაგრამ არ დარჩა, გუნებაზე არა ვარ, დალევაც არ მინდა... რაც იმ წვეულ ტრანკვილიზატორებზე დაიწყო მუშაობა, სულ შეიცვალა, დრო აღარაფრისთვის რჩებოდა, დღე და ღამეს ლაბორატორიაში ატარებდა... ქენდისთან ათიოდე სტუმარი დამხვდა, ახლაც იქვე იქნებიან, ჰენრისა და დარინ ვან ჰორნის გარდა, — ქენდის უყვარს ახალი ნივთებით თავის მოწონება, ასე ადვილად არავის გამოუშვებს, თანაც, ედვინის თვითმკვლევლობა!... ასეთი რამ ჩვენს დასახლებაში არასოდეს მომხდარა, ვინ იცის, რას ამბობენ! ედვინმა ქენდის კაჭკაჭი შეარქვა ხასიათის გამო... ენაჭარტალა... ბუდის მორთვა უყვარს ბრჭყვიალა ნივთებით... უნივერსიტეტში ეძახდა ასე, ჩვენ ხომ ერთად ვსწავლობდით, მე და ქენდი...

— მისტერ სმიტი, თუ არ ვცდები, თქვენი პროფესორი იყო...

— არა, არ ცდებით, — თქვა მკვახედ: — ლექციებს გვიკითხავდა... თმაჭალარა სიმპათიური მამაკაცი, — ღიმილი გაერია ხმაში, — სტუდენტები აღმერთებდნენ, ქენდის უყვარდა კიდევ... მარტო ქენდის კი არა, ბევრს უყვარდა... სტუდენტების გუნდში ითამაშა ფეხბურთა და როდესაც დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე მოწინააღმდეგეს გადმწვევტი გოლი გაუტანა, ჩემთან მოვიდა და ცოლობა მიხოვა, არც ისე მოხუცი ვყოფილვარო... ბედნიერები ვიყავით... ნეტა არ წამოსულიყო უნივერსიტეტიდან, მეც მქონდა იქვე დარჩენის პერსპექტივა, არ ვითვლებოდი ურიგო სტუდენტად... დისერტაციას დავიცავდი... ერთ თემაზე ვმუშაობდი, თუშკაც... თქვენ ეს რაში გაინტერესებთ!

— პირიქით, ყველაფერი მაინტერესებს. როდის წამოვიდა მისტერ სმიტი უნივერსიტეტიდან?

— ლექციებს ზოგჯერ ახლაც კითხულობდა ზოლმე, მაგრამ რაც შხამიანმა სოკოებმა დააინტერესეს... ამ ათი-თორმეტი წლის წინ, საბოლოოდ გადმოსახლდა ბლექსტონში და კვლევაც აქვე გააგრძელა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უკვე მეათე წელია, მეც ბლექსტონში ვცხოვრობ.

— გამოდის რომ, როდესაც ცოლობა ვთხოვათ, უკვე შხამიან სოკოებზე მუშაობდა...

— კი, ისე იყო, იწყებდა მუშაობას, მერე აქ ლაბორატორია მოაწყო, დარინ ვან ჰორნი თანაშემწედ აიყვანა, ჰენრის კლინიკაში ფსიქიურად დაავადებულებზე ექსპერიმენტების ჩატარებას შეუდგა და სხვა ყველაფერი მიივიწყა. დღე და ღამეს მუშაობაში ასწორებდა, ან კლინიკაში იყო, ან ლაბორატორიაში, აღარც ჭამდა, აღარც სვამდა, საერთოდ, სხვა აღარაფერი აინტერესებდა. საუკუნის აღმოჩენა იქნება, ძირ-ფესვიანად შეცვლის ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობის მეთოდებსო, პრაქტიკულად აღარ იქნებიან მოურჩენელი ავადმყოფებიო... ღმერთო, ჩემო, საბრალო ედვინი!..

— გამორიცხავთ მკვლევლობას?

— ვის უნდა მოეკლა, რატომ? მტერი არ ჰყავდა, ყველას უყვარდა, ყველა ბატყს სცემდა, დილიდან საძაგელ გუნებაზე იყო... შედეგებმა იმედი გამიცრუესო. როგორც შემეძლო, დავამშვიდე, — ის ხომ უიმედო ავადმყოფებზე სცდიდა თავის პრეპარატს... რა თქმა უნდა, ავადმყოფთა ახლობლების თანხმობით... ასეთი არასოდეს მინახავს, ადგილს ვერ პოულობდა... თვითმკვლევლობას როგორ წარმოვიდგენდი! წარმოუდგენელია! ყლველთვის მეუბნებოდა, მოითმინე და ჩემით იამაყებო, ნობელის პრემიას მომცემინო... ახლა იქნებ არც უნდა ვამბობდე ამას; ასე უსახელოდ დაამთავრა სიცოცხლე!..

— თქვენ ბრძანეთ, დილიდან საძაგელ გუნებაზე იყო?

— დიახ.

— მძლილი საწინააღმდეგოს ამტკიცებს... საჩუქარი უყიდა თქვენთვის, მე-ბაღეშაც ვერაფერი შეატყო, იცინოდაო.

— სიცილი არაფერს ნიშნავს, მძლილთან თავის გრძნობებს არავითარ შემთხვევაში არ გამოამჟღავნებდა, ედვინი არ იყო ასე სუსტი, გადაწყვიტა და გააკეთა, ბარათიც არ დაუტოვებია. ეგ საჩუქარი, თქვენ რომ ახსენეთ, სწორედ გამოსათხოვარი ბარათის შავიერი გახლავთ, სამგლოვიარო შავი კაბაა... ახლა კი ვთხოვთ, მართო დამტოვოთ, დავიღალე, ამდენი არ უნდა მელაპარაკა, ბევრი სისულელეც წამოვროშე ჩემი და ედვინის ურთიერთობაზე: იმეღია, ჯენტლმენი ბრძანდებით და ყველაფერს არ გაახმაურებთ...

— მიაქციეთ ყურადღება, — მითხრა მისტერ ჯეფერსონმა და მაგნიტოფონში კასეტის გამოცვალა, — ქმრის გარდაცვალების დღეს მისის სმიტს თვითმკვლელობაში ეჭვი არ ეპარება.

— მე ის ხანშიშესულ, უკბილო დედაბრად მყავდა წარმოდგენილი, — ვთქვი აღაღად, — როგორც ირკვევა, საკმაოდ ახალგაზრდა უნდა იყოს.

— ოცდაათიოდე წლის...

— ქმარი მთელი ოცდარვა წლით უფროსი ჰყოლია! — გავიოცე, — კაციც ეგ ყოფილა!

— შენ, ჩემო ირვინ, — მთელი ჩვენი ურთიერთობის განმავლობაში პირველად მომმართა სახელით. — წარმოსახვის უნარი რომ გქონდა, ამაში ეჭვი არასოდეს შეგპარვია, მაგრამ ეგ უნარი... როგორ გითხრა... რაღაცნაირად სხვა მხრივ გაქვს განვითარებული, ხომ არ მოგშივდა? 65-ე მილზე მშვენიერი გრილბარი მეგულება, ისეთი გოგონები მუშაობენ, თითებს ჩაიკენეტ, ცოტა დაენაყრდეთ და გაგაგრძელოთ გზა, ბლექსტონში ამისთანა რამერუმებისთვის ველარ მოვიცლით.

— არავითარი გრილბარი, წელანაც შენი ხათრით ვჭამე, — მტკიცედ ვიუარე.

— კარგი, მაშინ, ახლა ვის მოუხსმინოთ?.. ვის და, მძლილს, მისტერ რობი ჰაინზს. ეს საბრალო 24 საათით დატუსალებული ჰყავდათ, მისტერ სმიტის მკვლელობას აბრალებდნენ. თავიდან შენც ხომ ასე იფიქრე! ხედავ, რა ადვილია დეტექტივობა, დამწყებსაც და პროფესიონალებსაც ერთნაირი შეცდომები მოვლით!

ლაზღანდარობაში არ ავეყვი და, იძულებული გახდა, ფირი ჩაერთო.

„დიახ, სერ! — გაისმა მძლილის საქმიანი, ოდნავ აღელვებული ხმა, — რადენიც გინდათ, იმდენი ჩაიწერეთ, ჩემში ვერაფერი შეიტანს ეჭვს!

— ამბობთ, რომ როდესაც სროლა გაიგონეთ, სახლში მისტერ სმიტის გარდა, არაფერი იყო.

— დიახ, სერ, ზუსტად ასე იყო!

— რატომ ხართ დარწმუნებული?

— ჯუზეპე საუადმყოფოში იწვა, ჯენი, ვიცოდი, მთელი დღით დაითხოვეს, მისის სმიტი კი მე თვითონ მიეყვანე ჯორდანების ვილასთან.

— თქვენ თუ...

— მე და მისტერ სმიტმა ერთად. მერე ჩიკაგოში წავედით კაბის საყიდლად. მისის სმიტს უთხოვია, შავი ფერის საღამოს კაბა მიყიდო.

— მისის სმიტს უთხოვია?

— დიახ, ასე მითხრა მისტერ სმიტმა... ორი კაბა უყიდა, ერთ-ერთი მაინც მოეწონებო.

— მისტერ სმიტი როგორ გუნებაზე იყო, რამე განსაკუთრებული შეგიმჩნევია?

— არაფერი განსაკუთრებული, კარგ ხასიათზე იყო, მომეჩვენა, ცოტათი ნახვამია-მეთქი. საერთოდ, იშვიათად სვამდა. ლაბორატორიაში აპირებდა დარჩენას... იქ ხშირად რჩებოდა ხოლმე, მაგრამ გაახსენდა, სოკოს ამფიონი მაქვს წამოსადებიო და ბლექსტონში დაებრუნდით. მერე თავის კაბინეტიდან გადმოიხედა და კაბები ამოიტანეო, დამიძახა. მანამდე ლაბორატორიიდან გამოგზავნას აპირებდა, დღეს ისედაც გაერთო, ზვალისთვის კი მშვენიერი სიურპრიზი იქნებაო.

— რატომ გადაიფიქრა?

— არ ვიცი, სერ.

— განაგრძეთ...

— კარი ჩაკეტილიყო, გასაღები გადმომიგდო და შევედი.

— მაშნივე გააღეთ?

— ცოტა ვიწვალე, ფუთები ხელს მიშლიდა. ძირს დადება ვერ გავბედე, და ისურება-მეთქი. მერე მივედი, მანქანის ძარაზე დავაწყე და ისე გავაღე. მეორე სართულზე ასულიც არ ვიქნებოდი, სროლის ხმა რომ შემომესმა. ვიფიქრე, ტელევიზორში ისროდნენ, მაგრამ უმალვე სროლის ხმა განმეორდა, თანაც უფრო მჭახედ და უფრო ახლოს, კაბინეტში შევვარდი და რას ვხედავ! — მისტერ სმიტი სისხლისგან იცლებოდა, რევოლვერიც იქვე ეგდო. მახსოვს, მივედი და ტელევიზორი გამოვრთე.

— სროლის ხმა ორჯერ გაიგონეთ?

— დიახ.

— მეორე გასროლის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ.

— მე სიმართლეს ვამბობ, სერ. შეიძლება, პირველად მართლაც ტელევიზორში ისროლეს.

— რატომ ატეხეთ ყვირილი, თუ დარწმუნებული იყავით, რომ სახლში თქვენს გარდა, არაინ იყო, ვის მოუხმობდით საშველად?

— არ ვიცი, სერ, ყვირილი არ მახსოვს. შეშინებული ვახლდით, მიცვალებულების ბავშვობიდანვე მეშინოდა.

— პოლიციელების დასაძახებლად რომელი წახვედით, თქვენ თუ მეზობელი?

— არც ერთი, დავრეკეთ, ჯუზეპემ დარეკა... თქვენთანაც და საავადმყოფოშიც. ის თითქმის ფეხდაფეხ მომყვა, კიდევ კარგი, საავადმყოფოდან გამოსულიყო. მშიშარა არა ვარ. მაგრამ... მიცვალებულთან მარტო დარჩენის ბავშვობიდან მეშინია.

— ანდერძის არსებობის შესახებ იცოდით რამე?

— ანდერძის?

— პროფესორმა 25 000 დოლარი დაგიტოვათ, ანდერძი მისმა კექილმა გადმოგცათ ერთი საათის წინ.

— არა, სერ, ანდერძის შესახებ არაფერი ვიცოდი, მერწმუნეთ, პირველად მესმის.

— თვითონ მისის სმიტს უთხოვია ქმრისთვის შავი ფერის კაბის შეძენა, — ეთქვი და ხან-მეორე მიღებარე გრილბარს თვალი გავაყოლე.

— მაგ გრილბარზე ნუ დაგწყდება გული, — დამამშვიდა კეთილი ღიმილით, — წინ უკეთესი მეგულება.

— ევ არც მიფიქრია!

— რაც მთავარია, მისტერ სმიტს აზრადაც არ ჰქონია თავის მოკვლა, ის

ლაბორატორიაში მიდიოდა სამუშაოდ, სწორედ მაგიტომ სჭირდებოდა სოკოს ამფიონი.

— ანდერძი?

— ანდერძი ბევრ ახალგაზრდასაც წინასწარ აქვს შედგენილი, თუ რა თქმა უნდა, გააჩნია რამე დასატოვებელი...

— მაინც გასაკვირია... ამხელა თანხა მძლოლისათვის?!

— გასაკვირია. ერთი მაგდენი მებაღესაც დაუტოვა.

— არსებობს კავშირი ანდერძსა და მკვლელობას შორის?

— „მკვლელობას“ საბოლოოდ არქმევ? — კითხვა სიცილით შემომიბრუნა მისტერ ჯეფერსონმა.

— ფულს მკვლელობის დამტკიცებისათვის დაგპირდნენ, — ვუბასუხე ნახევრად ხუმრობით. — ეჭვი მძლოლზე და მებაღეზე მაქვს, არ დაგვიწყდეს! იცოდნენ ანდერძის არსებობა და მოუსწრაფეს სიცოცხლე.

— არსებობს სხვა მოსაზრებაც, მაგრამ ჯერ დაზუსტებას საჭიროებს. მალე ჩიკაგოს პოლიციიდან პასუხს მივიღებ, ტელეფაქსით ვერაფერს მივაღწიე, ჩანს, არცთუ ისე ადვილი კითხვა გადაეცემა, — მისტერ ჯეფერსონმა მანქანა ცენტრალური მაგისტრალიდან გადაიყვანა და ასიოდე იარდის მოშორებით მდებარე ავტოგასამართი სადგურისკენ აიღო გეზი, — ორი ჩანაწერი კიდევ დაგვრჩა... მოსასმენად არც ღირს. პოლიციამ ზერელედ დაკითხა ექიმი და პროფესორის თანაშემწე, დაკავებული მძლოლი მეორე დღესვე გაათავისუფლა და ამით ეს საქმე მოათავა.

— სად მივიღვართ? — ვკითხე, რადგან ავტოგასამართ სადგურს გვერდი აუარა, — ბლექსტონი აქეთ არის?

— „მუსტანგების რანჩოში“ შევიართ, მყუდრო რესტორანია, დიდებულად აკეთებენ სოკოს, ცოტა წავიშუსაფოთ და გავაგრძელოთ გზა, აქედან ბლექსტონი ოცი წუთის სავალზეა.

მშვენიერი მზიანი დღე იდგა, ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, ახლად გამოღვიძებული ბუნების წამლეკავ ძალასა და მომზიბველობას, მკვლელობაზე ჩვენი გაუთავებელი საუბარი ოდნავადაც ვერ უკარგავდა პეწს. ალბათ, გაზაფხულის ბრალი იყო, რომ ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული, თუ სად და რისთვის მივიდიოდი. მთელი ეს მგზავრობა ჩემი მეგობრის, მისტერ ბარნი ჯეფერსონის აზირებად მეჩვენებოდა. სამწუხაროდ, ვერ მივმხვდაროყავ, რომ ჩემი ბლექსტონში ჩასვლით, სმიტების თავს დამტყდარი ტრაგედიის ერთ-ერთი სრულუფლებიანი მონაწილე ვხდებოდი.

ამგვარ ილუზიურ განწყობილებას გაზაფხულის მათრობელა ამინდის გარდა, ბარნი ჯეფერსონის უდარდებლობაც უწყობდა ხელს. ის, თითქოს დაღევაზე სერიოზული საქმე არ არსებობსო, ყოველ წინ შემხვედრ ბართან თუ რესტორანთან ცდილობდა თავისი ძველისძველი ფორდის გაჩერებას.

— მიყვარს ეს რესტორანი, — გულახდილად ბრძანა მან მესამე სირჩა ორმაგი ვისკის შემდეგ, — საერთოდ, მიყვარს რესტორნების ატმოსფერო. საათობით შემიძლია ვიჯდე ასე, უბრალოდ, თვალეზილუღული და ვისმენდე მუსიკას...

— როგორც ვიცა, ღორმუცელობაზე გინესის რეკორდების წიგნში აღარავინ შეჰყავთ, — სხვათა შორის აღვნიშნე.

— ჰმ, — ჩაიციანა. — შენ რა, ლოთი გგონივარ? მეტყობა სიმთვრალე? მუშაობაში რომ მიშლიდეს, წვეთსაც არ დაველევი. გამოგიტყდები, იმთავითვე ერთი ოცნება მქონდა... შეიძლება, გახსოვს კიდევ... საკუთარი რესტორანი... კარგი ჯაზბენდით... ბიგბენდით... აუზებით, ბარებით, შემოვდივარ რესტორანში და ვოცნებობ, დალევა კი ოცნებაში მეხმარება... თუმცა, მგონი, მართლა შევთვარი,

ბერს ვლაპარაკობ, — მან ოფიციალტს ყავა შეუკვეთა და სიგარეტი ფიქრიანად გააბოლა:

— ექიმისა და თანაშემწეს ჩვენებაში პატარა სხვაობა არსებობს. ექიმმა თითქმის სიტყვასიტყვით დაადასტურა მისის სმიტის მონაყოლი პროფესორის სულიერი დისკომფორტის შესახებ, გამოგონება ჩიხში მოექცა და მისტერ სმიტი საშინელ დეპრესიას განიცდიდაო, თანაშემწემ კი პირიქით, — კვლევა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, პროფესორს სულიერი აშლილობის მსგავსი ვერაფერი შევატყვე და პირველად ამის შესახებ მაშინ გავიგე, როდესაც მისის სმიტმა და ექიმმა ქენდის ბინიდან დაურეკესო.

— გარდაცვალების დღეს დაურეკეს?

— როგორც გაირკვა, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე. თანაშემწე ამბობს, დასვენება და ტელევიზორის ყურება ურჩიეს, გამოიკვირდა, ქენდისთან გამოსვლა რომ არ შესთავაზესო.

— მისტერ სმიტს თვითონ უთქვამს უარი ჯორდანებთან სტუმრობაზე, იმიტომაც აღარ დაპატიჟეს.

— ჰო, მაგრამ მომენგენა, რომ თანაშემწე თავის სიტყვებში რაღაც ფარულ აზრს დებდა. სამწუხაროდ, მასთან გასაუბრება ვერ შევეძელი, მეორე დღესვე ინგლისში გაფრენილა სამსახურის შეცვლასთან დაკავშირებით; ექიმი კი 35-40 წლის კაცია უცოლო, უკვე მეცამეტე წელია იმ კლინიკაში მუშაობს. კლინიკა მაშისგან მიიღო მემკვიდრეობით. ახასიათებენ, როგორც თავისი დარგის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს.

— თანაშემწე რატომ იცვლის სამსახურს, თუ კვლევა უკვე დასასრულს უახლოვდება, რატომ არ დაასრულებს პროფესორის დაწყებულ საქმეს?

— ეგ კითხვა მეც მაწუხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცი, სად იმყოფება. რადგან პოლიციამ საქმე დახურულად გამოაცხადა, მისი მოძებნის უფლება არავისა აქვს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯეფერსონი თითქმის არ შეცვლილიყო, ისეთივე სპორტული აღნაგობა და სახის ენერგიული გამომეტყველება ჰქონდა.

— კიდევ ვარჯიშობ? — ვკითხე.

— კი, — ცარიელ სირჩას მიუკაკუნა თითი, — ამაში.

ოფიციალტმა მისი საქციელი სხვანაირად ახსნა და ვისკის ორმაგი ულუფა გაუმეორა. აქაც ისევე, როგორც კაფეში, ჩვენს გარდა, ორიოდე კაცი თუ იქნებოდა.

— შე უკვე მეტი მომივა, — ჯეფერსონმა სირჩა სიცილით ჩემკენ მოაცურა. — ახლა შენი ჯერია.

ძიების მალე დამთავრება ვუსურვე. მადლობა დარბაისლურად მომიხნადა.

— ბევრი რამეა გაუგებარი, — ამოიხვნეშა, — პროფესორის თანაშემწე აუცილებლად უნდა დაიკითხოს, ის კი უკვალოდ დაიკარგა!

— სახლში ვინ იყო მისტერ სმიტის გარდა? — ვკითხე ოდნავე გაღიზიანებით.

— არავინ... ასეთია პოლიციის ვერსია. პოლიცია თხუთმეტ წუთში მისულა, მათი დეპარტამენტი იქვეა, სმიტების მამულის გვერდით. ყველა ფანჯარა და სათადარიგო შესასვლელი შიგნიდან ყოფილა დაკეტილი, მთელი ბინა გადაუქოთებიათ, ყველა კუთხე-კუნჭული. რევოლვერზეც მხოლოდ მისტერ სმიტის თითების ანაბეჭდია.

— სათადარიგო შესასვლელიც ავტომატურად იკეტება?

— შიგნიდან ურღული ჰქონია გაყრილი.

— აბა, რაღაა გაუგებარი?

დაცინებით ჩაიქნია ხელი.

— მომისმინე, — ვთქვი მტკიცედ. — სახლში მხოლოდ ორნი არიან, ერთი მაი განი კვდება, თუ თვითმკვლელობასთან არა გვაქვს საქმე, უეჭველად მეორეა მკვლელი. შეიძლება, მებაღეც თანამზრახველი იყოს.

— ასე სულელურად ვინ კლავს? — გამოსცრა ზიზლით, — ანდერძის არსებობა მკვლელობის მოტივადაც რომ ჩავთვალოთ, როგორ ფიქრობ, მძლოლს, ყოფილ მოკრივეს, არ ექნებოდა მისტერ სმიტის თავიდან მოცილების უფრო ხელსაყრელი. შემთხვევა? სამაგისოდ ღონეც ეყოფოდა და მოხერხებულობაც, ბოლოს და ბოლოს ავტოკატასტროფის ინსცენირებას მოაწყობდა, გაუჩნხავდა ქვით თავს და მანქანიდან გადააგდებდა სადმე, ან კედელს შეასკვებოდა. დასახლებაში ყველამ იცის, რომ მისტერ სმიტი ხშირად თვითონ მართავდა მანქანას, მძლოლს არც დაიჭერდნენ.

— მაშინ არსებობს საიდუმლო შესასვლელი, ძველ სახლებში ზოგჯერ...

— სისულელეა, — შემაწყვეტინა. — არავითარი შესასვლელი არ არსებობს. პოლიციას ორი დობერმანი მიუყვანია, ამ ძაღლებს კი გასაოცარი აღლო აქვთ, აუცილებლად იპოვიდნენ ნებისმიერ კვალს, ნებისმიერ შესასვლელ-გამოსასვლელს.

— თვითმკვლელობაღა დარჩა, — ვთქვი ოდნავი გულდაწყვეტით, — პოლიცია არ შემცდარა.

— შეცდა და მერე როგორ! თვითმკვლელობის წინ ნახევარ სახეს არ იპარსავენ, არც ცოლისთვის ნაყიდი საჩუქრებით დახუნძლული იკლავენ თავს. ჩართული ტელევიზორი, გახსნილი პეპსი-კოლას ბოთლი... არა, თვითმკვლელობას ვერაფერს დამაჯერებს... ხელნაწერები ვიღამ მოიპარა? მაგ დროს მძლოლი დაკავებული ჰყავდათ...

— მებაღემ, — შევაწყვეტინე ჯიუტად. — მებაღეს შეეძლო, მოეპარა და ბაღში სადმე მიემალა.

— რად უნდოდა მებაღეს პროფესორის ხელნაწერები?! — გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა მისტერ ჯეფერსონმა. — ან მებაღეს საიდან უნდა სცოდნოდა, რა ინახებოდა სეიფში? ამაზე მისის სმიტსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა!

— გასაყიდად.

— კერ ვაკივე?

— ხელნაწერებს გასაყიდად მოიპარავდა.

— გასაყიდად მოსაპარი სხვაც ბევრი რამე დარჩა, — მისტერ ჯეფერსონმა ხმას დაუწია, რადგან რესტორანში მყოფთა ყურადღება მივიქციეთ. — წინა დღით ეინ უშლიდათ ქურდობას, თვითონვე გამოიძახეს პოლიცია.

— მართალია, — დავთანხმე. — შეიძლება, არც მოუპარავთ ხელნაწერები და მისის სმიტს მოეჩვენა, მაშინ... თვითმკვლელობა რჩება.

— სოკოს ამფიონი სადღა გაქრა? — მომახალა.

— თითების ანაბეჭდი? — კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

— მაგის გაკეთება ბავშვსაც ადვილად შეეძლო. ცხვირსახოცით ან ქაღალდის ჩვეულებრივი ნაგლეჯით ისე აიღებ ნებისმიერ საგანს, ზედ თითების ანაბეჭდი არ დარჩება. იარაღზე მისტერ სმიტის თითების კვალი, ღმერთმა უწყის როდინდელია! სხვათა შორის, გარდაცვლილის ხელიც ტოვებს ანაბეჭდს...

გარშემო დაბნეულმა მიმოვიხედე და რესტორანში რა გვინდა, აქ რას ვაკეთებთ-მეთქი, გავიფიქრე. პოლიციის მიერ ჩატარებული ძიების გადამოწმება

რა ჩვენი საქმე იყო! დალუღმა ვისკიმ თუ პატარა შეკამათებამ რეალურად გრძნობა დამიბრუნა.

— შემეძლო, ყველაფერი ბლექსტონში მეთქვა, — საქმიანი, მშვიდი ხმით განაგრძო საუბარი მისტერ ჯეფერსონმა. — მაგრამ როდესაც პირადად იცნობ ადამიანებს, დასკვნების გაკეთება უფრო ჭირს, გარეგნული იერი აზროვნებაზე გავლენას ახდენს, რომ იცნობდე მებაღეს ან წარმოდგენა გქონდეს მძლოლზე, მათ უდანაშაულობაში ეჭვს არ შეიტანდი, ახლა კი შენი ტვინი თუძკა არასწორად, მაინც უკომპრომისოდ აზროვნებს და ეს კარგია.

ზიზლით მოუხუხადე მაღლობა კომპლიმენტისათვის.

მტკიცედ გადავწყვიტე, ამ უაზრო საქმეზე აღარ შევამათა.

— ადრე ვვარაუდობდი, მკვლელი სახლში იმალებოდა-მეთქი, — სიგარეტის კვამლი დინჯად შეისუნთქა მისტერ ჯეფერსონმა. — მკვლელმა ესროლა მისტერ სმიტს და ისევე რომელიმე ოთახში მიიმალა. დიდ სახლში ამის გაკეთება არ გაუჭირდებოდა, ხოლო როდესაც მებაღეც შიგნით შევიდა, არხეინად გაალო კარი და ყველასათვის შეუმჩნევლად დატოვა ბლექსტონი, — ჯეფერსონი ჩემს რეაქციას დაელოდა და რადგან მისი მსჯელობით აღფრთოვანება არ გამოვხატე, თავისივე მონათხრობს დაუწყო გაკრიტიკება, — იქნებ მართლაც ასე მოხდა, ვინ იცის, მაგრამ ამ ვერსიასაც აქვს სუსტი ადგილი: ყველა, ვინც კი შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო პროფესორის სიკვდილით, იმ დაწყვეტილ საღამოს ჯორდანების ვილაში ატარებდა დროს. ექიმი და თანაშემწე, რომლებიც შედარებით ადრე წასულან, პროფესორის მკვლელობის მომენტში თხუთმეტი წუთის სავალზე მაინც იქნებოდნენ დაშორებულნი სმიტების მამულს.

— ეგ საიდანა იცი? — გაკენწლე.

— ექიმის ჩვენებიდან, ექსპერტის ცნობიდან... ორივე ინფორმაცია შევადარე ერთმანეთს და ასეთი პასუხი მივიღე.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

დუმილის მიუხედავად, უკანასკნელი ვერსია ჭკუაში დამიჯდა.

გავიფიქრე, სულაც არ არის აუცილებელი, ქენდი ჯორდანის სტუმრებიდან რომელიმეს ჩაედინა მკვლელობა-მეთქი. როგორც კი ნააზრევის ხმაამდლა თქმა დავაპირე, ბარნის სახე უცნობმა კაეშანმა დაუჩრდილა, მოულოდნელად ჩემს თვალწინ ჩემი მზიარული მეგობარი თითქმის მთელი ათი წლით დაბერდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ვკითხე შეშფოთებით. — რა მოგდის?

— არაფერი, — მიახსუხა და გამომცდელად შემომხედა, — გუშინ ბლექსტონში ვიყავი, — ოღნავ შეყოყმანდა, — უკვე გითხარი კიდევ...

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. მომერგენა, რომ ახლა რის თქმასაც აპირებდა, სწორედ ამის მოსასმენად მამზადებდა მგზავრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, კაფესა და რესტორანშიც იმიტომ გაჰყავდა დრო, სასმელსაც იმიტომ ეძალეობდა.

— საღამოს ჩემს ოთახში მისის სმიტი შემოვიდა და რაღაც მისტიკური ძალების არსებობაზე ჩამომიგდო სიტყვა, — ბარნის მორცხვი ქალბატონივით აელანმა ლოყები. — გამიგონია, ზოგჯერ მიცვალებული ბრუნდება იმ ქვეყნიდან მკვლელზე შურის საძიებლად, ასე მითხრა.

— შეიშალა? — ვთქვი და გაკვირვებულმა შევაძინე, რომ სახეაღწილი ჩემი მეგობარი ნებისყოფის დაძაბვით ცდილობდა შიშის დაფარვას.

— პირველად მეც ეგ ვიფიქრე, — თქვა გაბზარული ხმით, — ცოცხალია და ლამადაობით მესტუმრება ხოლმეო, არაფერს ნიშნავს, რომ მის დასაფლავებას თქვენც ესწრებოდით და დასახლებების მთელი ელიტაც, წუხელაც ვნახე, სამზა-

რეულოშიც შემოიხედა და შიშით გული შემიღონდაო... გიჟის მეტი ვინ იტყოდა ამას?!

- ექიმთან მისვლა არ ურჩიე? გადატანილმა ნერვიულობამ...
- ვურჩიე, - შემაწყვეტინა. - შეურაცხყოფად მიიღო, სასტიკი უარი განაცხადა. ამ ღამით თქვენ თვითონვე დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეს. შიო, მითხრა.
- მერე?
- მერე, შუალამისას ქალის კვილმა გამაღვიძა... მისის სმიტი კიოდა საძინებელში. ჩემი ოთახიც იქვეა, მესამე სართულზე. იარაღმომარჯვებული შეეკარდი და რამოდენიმეჯერ ვისროლე... ის კი, ვითომც არაფერიო, გარედან იყურებოდა, მერე ნელ-ნელა, უცნაური ლივლივით მოსცილდა მესამე სართულის ფანჯარას...
- ვინ?
- მისტერ სმიტი, - შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. - მართლაც მისტერ სმიტი იყო.



ბარნი ჯეფერსონის ბოლო სიტყვებმა საკსებით გამიცრუა იმედი. რესტორნიდან გამოსული მხოლოდ ბრაზს ვგრძნობდი. გული საკუთარ თავზე უფრო მომდიოდა, ხუმრობა ხომ არ არის! - მესტუმრა სამი წლის უნახავი მეგობარი, შემომთავაზა, არც მეტი არც ნაკლები, ზუსტად ორმოცი ათასი დოლარი. რათა მონაწილეობა მიმეღო ძიებაში (?!), რომლის შედეგიც უკვე მთელმა ამერიკამ ზებირად იცის და მეც ჭეშმარიტ დოკლამინასავით თანხმობა განვუცხადე „ღმერთო ჩემო, - გავიფიქრე შიშით, - იქნებ სულაც ბარნია გავეყვებული! მე ხომ არ ვიცი ამ სამი წლის განმავლობაში სად ცხოვრობდა, რას აკეთებდა.. - მეგობარს შეუმჩნევლად შევაკვლე თვალი. - ან იქნებ საკუთარი რესტორანი გახსნა და ჩემთან თავის მოსაწონებლად გამოცხადდა? მას ადრეც სჩვეოდა მსგავსი უკბილო ხუმრობანი“.

- ალბათ, ფიქრობ, რომ საგიჟეთში მოხვდი, - ჩემს ფიქრებს მხიარული ღიმილით გამოეხმაურა მისტერ ჯეფერსონი. - რა გასაკვირია, შენს ადგილზე მეც ასე მეგონებოდა! მოითმინე და მალე ყველაფერს საკუთარი თვალებით ნახავ, წუხანდლამდე არც მე მჯეროდა.

„არა, ნამდვილად ვერ არის კარგად, - მისი სახის უცნაური ცვლილებები გამახსენდა. - ბარნის რაღაცა ჭირს!“

უცრად მისტერ ჯეფერსონმა საჭე მკვეთრად შეატრიალა მარჯვნივ და გზა მისცა წითელი ფერის სპორტულ ავტომობილს, რომელმაც უდიდესი სიჩქარით ჩავვიქროლა.

- წყეულიმც იყოს! - გამოსცრა კბილებში. - ღამის გზიდან გადაგყვარა! სპორტული მანქანა ორიოდე წუთში თვალს მიეფარა, მაგრამ შევამჩნიე, საჭეს ახალგაზრდა ქალი მართავდა, გვერდითაც მანდილოსანი ეჯდა.

- ეგეც შენი ბებრუხანა! ამბობენ, ქმრის სიკვდილამდე თავის „ფერარს“ ასე არ დაატენებდაო.

- მისის სმიტი? - ვიკითხე გაოცებით.
- დიახ, მისის სმიტი. გვერდით კი ბიძაშვილი ეჯდა, მის ქენდი ჯორდანი. ჩათვალე, რომ უკვე ბლექსტონში ვართ.
- დასახლების განაპირას მდებარე უზარმაზარი ბაღის შუაგულში აღმართულმა სმიტების სამსართულიანმა სახლმა ჩემზე შორიდანვე დამთრგუნველი

ზემოქმედება მოახდინა. ის, საცხოვრებელ სახლზე მეტად, შუა საუკუნეების დროინდელ ინგლისურ საპყრობილეს უფრო ჰგავდა ჩაშავებულ-ჩახავებულ კედლებში ჩატანებული უამრავი გისოსებიანი სარკმლით. განსაკუთრებით მძიმე გრძნობა დამუყვლა მოუვლელი, თითქმის უდაბური ბადის დანახვაზე. სუსტი ნიავი ავად აშრიალებდა ასწლოვან ხეთა კენწეროებს და თითქოს რაღაცას გვატყობინებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. წლობით გაუზიდავი დამპალი ტოტებისა და ფოთლების გროვა ზოგიერთ ადგილს პრაქტიკულად გაუვალს ხდიდა და იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბადის იდუმალ ჯურღმულებში, სადაც ადამიანს საუკუნის განმავლობაში ფეხი არ დაედგა, მხოლოდ გარეული მხეცები დათარეშობდნენ.

დანახვისთანავე ვიგრძენი, რომ ამ სახლსა და შემოგარენში რაღაცა ავის-მომასწავებელი იყო.

— მეზღვე ხშირად ავადმყოფობს, — შემეხშიანა ჯეფერსონი. — ახალი კი არ აუყვანია მისტერ სმიტს, ეცოდებოდა მოხუცი.

— ამ ბაღს მეზღვეთა ესკადრონიც ვერაფერს დააკლებს.

— ფაქტიურად ეს ბაღი დიდი ტყის ნარჩენია. მისტერ სმიტის დარდიმანდ წინაპრებს ნადირობა იმდენად ჰყვარებოდათ, რომ როდესაც ათიან წლებში ამ ადგილას ბლექსტონი წამოჭიმეს, ტყისთვის თითქმის ხელი არ უხლიათ, პირ-ვანდელი ველური სახით დატოვეს... აი, ისიც, მეზღვე ჯუბეზე ლეტო, — დამანახვა მოწინებით ქუდმოხდილი ჭარმაგი მოხუცი, რომელსაც დაღაჟდაჟებულ სახეზე ავადმყოფობის ვერაფერითარი კვალი ვერ შევამჩნიე. მოხუცის გვერდით ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი იდგა.

— როგორ ჰგვანან! — დამცდა უნებურად.

— შენც შეამჩნიე? — ჯეფერსონმა კმაყოფილებით გაიღიმა, — ახალგაზრდა კაცი მძლოლია, — რობი ჰაინზი, მისტერ სმიტმა სწორედ მას უანდერმა იმოღენა ქონება. როგორ ფიქრობ, ანდერძის გარდა, მეზღვესთან არაფერი აქვს საერთო? ახლა ხვდები, რა ეჭვიც დამებადა?

მდუმარედ დაუქნე თავი.

გულზე ლოდივით მანვა ბლექსტონის დანახვით მიღებული შთაბეჭდილება.

— ამ გზით შემოვლია მისტერ სმიტი. სხვა სამანქანო გზა არც არის, — თქვა მისტერ ჯეფერსონმა, ეზოს შუაში მდებარე აუზს გვერდი აუარა და მანქანა მარმარილოს დიდებულ კიბესთან მიიყენა, — ლიმუზინიც იქვე გააჩერებინა მძლოლს, დანარჩენი კი უკვე შენც იცი. ჰო, კინალამ დამაჟიწყდა, მისის სმიტმა მძლოლი დაითხოვა, დაითხოვა აგრეთვე მზარეულიც.

— რატომ?

— არ ვიცი, სხვა მძლოლს ეძებს, ჯერჯერობით კი „ფერარს“ თვითონ დააგელვებს, მისტერ სმიტის ლიმუზინი გარაჟშია, მზარეულის მოვალეობას ჯენი გრეი ასრულებს.

კარი ახალგაზრდა, მამაკაცურად მხრებგანიერმა მოახლემ გააკვილო, ჩვენს დანახვაზე ოდნავ გაფითრდა და მისტერ ჯეფერსონს თავის მდუმარე დახრით მიესალმა. დიდი, ვერცხლისფერი მედალიონი კეიდა ყელზე, სიდიდითა და უხეში ფორმებით მიიქცია ჩემი ყურადღება.

— ჯენი, — მიმართა ჯეფერსონმა. — ეს ბატონი ირვინ გრეჰემია, მიებაში მეზმარება.

მოახლზე ნათქვამს არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია, არც შემოუხედავს ჩემთვის, მდუმარედ წაგვიძღვა სასტუმრო ოთახისკენ.

— ჯენი გრეი მისტერ სმიტის ყოფილი პაციენტია, — მითხრა ბარნიმ

მარტო დარჩენის შემდეგ, — ჰენრი პირსის კლინიკაში თურმე ერთ-ერთ მძიმე ავადმყოფად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ხედავ, ახალი პრეპარატის წყალობით ჯანმრთელობა გაიუმჯობესა.

ეჭვით ავინჩე მხრები და გარემო მოვათვალიერე, სასტუმრო ოთახშიც ბლექსტონის შესაფერისი ძველი და უხეში ავეჯი იდგა.

— თანაშემწეს სიმართლე უთქვამს, — ვთქვი უგულოდ. — თუ მძიმე ავადმყოფებს არჩენდნენ, პრეპარატი უკვე მზად ჰქონიათ.

— ჯენის შემდეგ ასეთ კარგ შემდეგ ვეღარ მიაღწიეს.

— ჯენი მუნჯია? — ოთახის მძიმე ატმოსფერო ახლად მიღებულ შთაბეჭდილებებს კიდევ უფრო მიმძაფრებდა, — მე მგონი, სულაც არ დარჩა ჩემი ნახვით აღფრთოვანებული, წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა ავადმყოფობის დროს.

საუბარი მანდილოსნების შემოსვლამ შეგაწყვეტინა.

მაგნიტოფონზე ჩაწერილი ოდნავ ჩახლეჩილი ხმითა და „ფერარის“ სარკმელში თვალმოკრული სილუეტის მიხედვით, მისის სმიტის გარეგნობაზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა, მაგრამ მის გამოჩენაზე მოულოდნელობისაგან მაინც სახტად დავრჩი.

დიდებული, წაბლისფერი თმა, მაღალი ყელი, დახვეწილი, არისტოკრატიული სახე და თაფლისფერი თვალების გამჭოლი გამოხედვა მნახველზე მომწუსებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაღალი, უნაკლო სხეულის მშვენიერ ნაკეთებს შავი, მჭიდროდ შემოსაღებული კაბა მკვეთრად ხელმისაწვდომსა და გამოშვებს ხდოდა, ერთი წამითაც ვერ დაივიწყებდი, რომ ბუნების ამ საოცარი ქმნილებისაგან მხოლოდ ძვირფასი სიფრიფანა ქსოვილი გამოჩნდებოდა.

შემოვიდა და მოსაწყვენი ავეჯით გავსებულ, ცივ ოთახში მზის სხივების მწველი მცხუნვარება შემოიტანა.

— მისის სმიტ, მის ჯორდან, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი ბავშვობის მეგობარი, მისტერ ირვინ გრეკემი. მისის სმიტ, გაკკადნიერდი და თავს უფლებს მივეცი, თანაშემწედ ამეყვანა, იმეღია, არ მიწყენთ.

— არა, რაღა თქმა უნდა! — თქვა მისის სმიტმა ჩახლეჩილი, გარეგნობისათვის შეუფერებელი ხმით და გრძელი, ოდნავ გრილი თითები ხელზე თამამად მომიჭირა. — მისტერ გრეკემ, ალბათ, იცით, რა საშინელ დღეში ვართ, სხვა ჩემს ადგილზე ჭკუიდან შეიშლებოდა!

— მისის სმიტ, ძალიან ვწუხვარ, — მივესაძიძირე და მის ჯორდანს თავის თავაზიან დახრახზე თავის დაკვრით ვუპასუხე.

ქენდი ჯორდანიც არ იყო ურიგო გარეგნობის, მაგრამ მისი ქალური სითბო და მომხიბვლელობა მისის სმიტის ბრწყინვალეობისაგან უმოწყალოდ უფერულდებოდა.

— ახლავე ვეტყვი ჯენის, თქვენთვის ოთახი გაამზადოს, მისტერ ჯეფერსონთან ახლოს იქნებით, მესამე სართულზე, მეც ასეთ გარემოცვაში უფრო უშიშრად ვიგრძნობ თავს.

— გმადლობთ, მისის სმიტ, — ვთქვი და ენერგიის საოცარი მოზღვავება ვიგრძენი, უკვე აღარ ვნანობდი ბლექსტონში ჩამოსვლას, მისის სმიტისთანა ქალისათვის თავის გაწირვაც ადვილად შეიძლებოდა.

— ბატონებო, ხელს აღარ შეგიშლით, — გამოგვემშვიდობა ქენდი ჯორდანი და რატომღაც ირონიული ღიმილით გაემართა კარისაკენ, — პამელა, შენი მანქანით წავალ, ბაღში რობი შევაშინე, გაცილება არ მინდა, ბატონებს ნუ მიატოვებ.

— ხომ იცი, რობი აღარ მუშაობს ჩემთან!

— პატარა სამსახურზე არ მეტყვის უარს.

მისის სმიტმა მიმავალ ბიძაშვილს უკმაყოფილო მზერა გააყოლა და შეწუხებული სახით დივანზე ჩამოჯდა:

— დემეტო ჩემო, როგორი დაუდეგარია! ჯენი, ყავა და რომი მოართვი ბატონებს, მგზავრობის შემდეგ ესამოკუნებათ.

— მისის სმიტ, — საქმეზე გადავიდა მისტერ ჯეფერსონი. — თუ არ შეწუხდებით, მისტერ გრეკემს მოუყევით, როდიდან დაიწყო... უფრო სწორად...

— ჰალუცინაციების თქმა გინდოდათ? — ღიმილით შეაწყვეტინა მისის სმიტმა.

— ხილვების.

— ეს ხომ თითქმის ერთი და იგივეა!

— მაგრამ მეც ხომ ჩემი თვალით ვნახე!

შეთქმულებით შეხედეს ერთმანეთს და მერე ორივენი მე მომაჩერდნენ.

— მისტერ ჯეფერსონმა მე უკვე ყველაფერი მითხრა, — თქვენი ენის ბორძიკით. — წუხელაც, აქ ყოფნისას... თავისი თვალთ უხილავს...

სათქმელს თავი ვერ მოვაბი და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— მისტერ გრეკემ, — მომმართა მისის სმიტმა, — ჩემთვის გასაკვებია თქვენი მღვთაობა, მისტერ ჯეფერსონიც წუხანდლამდე დაახლოებით იგივეს განიცდიდა, მაგრამ დამიჯერეთ, აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და ჩემს ფსიქიკასაც არაფერი სჭირს. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ჯერ რაღაც ხმები მესმოდა, ნაბიჯების ხმა... სამზარეულოდან, ჭერიდან... გუშინ კი დავინახე კიდევ... გუშინაც იგივე განმეორდა, უკვე ჩემს საძინებელში, უფრო სწორად, საძინებლის ფანჯარასთან, გარედან შიგნით იხედებოდა.

— რაფაზე იდგა? — ვიკითხე და ყავა მოვსვი.

— არა, ფანჯარაში თავი და მხრის ნაწილი ჩანდა მხოლოდ, თანაც ფანჯრიდან ცოტა მოშორებით დავინახე.

— სროლის შემდეგ ფანჯრიდან გადავიხედე, — ჩაერია საუბარში მისტერ ჯეფერსონი, — მაგრამ კიბე ან რაღაც მისი მსგავსი ვერაფერი ვიპოვე, მისტერ სმიტიც უკვლოდ გამქრალიყო... მაპატიეთ, მისის სმიტ, ცუდად გამომივიდა.

— მისის სმიტ, შეიძლება ბინის დათვალეიერება?

— რა თქმა უნდა! — მისის სმიტმა მოახლეს უხმო: „ჯენ, გაუძეხი ბატონებს.“

— თითქმის მთელი საათის განმავლობაში ვიხეტიალეთ ამ უზარმაზარ სახლში და ჩემი არცთუ ცუდი ორიენტაციის უნარის მიუხედავად, ოთახების განლაგება ზუსტად მაინც ვერ დავიმახსოვრე. სრულიად მოულოდნელი მისახვევ-მოსახვევების, პატარა და დიდი ოთახების, დერეფნებში დატანებული საკუჭნაობისა და სხვა ათასგვარი სათავსოების მონაცვლეობა ნებისმიერ ადამიანს თავგზას აუბნევდა. ერთი სიტყვით, თუ საქმე მართლა მკვლელობასთან გვეკონდა, მკვლელს თავისუფლად შეეძლო ასეთ სახლში რამდენიმე საათით კი არა, რამდენიმე დღითაც ადვილად დამალულიყო. ზუსტად ასეც ვუთხარი მისტერ ჯეფერსონს. პოლიციის ორი საუკეთესო დობერმანი მოუყვანიათ, რამოდენიმე საათის განმავლობაში მათი დახმარებით იკვლევდნენ აქაურობასო, მიპასუხა.

— შეცდომა გამორიცხულია, — დაამატა სრული თავდაჯერებით, — ძაღლებს ოდნავი ნერვიულობაც არ დასტყობიათ, დამალული მკვლელისთვის რომ ვერ მიეგნოთ, ყოვლად წარმოუდგენელია.

წარმოვიდგინე ამოდენა, იდუმალებით მოცულ სახლში მარტოდმარტო დარჩენილი მისის სმიტი და გული სიბრალულით შემეკუმშა.

— მოდი, ერთხელ კიდევ შევიაროთ სამზარეულოში, სადაც მისის სმიტმა

პირველად ცოცხალი... მისტერ სმიტი... იხილა, — ვთქვი და „ცოცხალი მისტერ სმიტის“ წარმოთქმისას კვლავ წაიბოროძიე.

— სამზარეულო პირველ სართულზეც არის, თუ გახსოვს, მაგრამ მისის სმიტს ქმარი მეორე სართულზე გამოეცხადა, — მიპასუხა მისტერ ჯეფერსონმა, — ოთახების განლაგებაში მეც გაჭირვებით გაურკვეველი ვარ.

გრძელი დერეფანი გავიარეთ, ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებსა და მისის სმიტის საძინებელს გავცდით, კბეზე დავეშვიტ და დერეფნის ბოლოში, მეორე სართულზე მდებარე სამზარეულოს კართან გავჩერდით.

— მობრძანდით, — პირველად ამოიღო ხმა მოახლეშ, ორი ნაბიჯი გადავადგა და შეიშისა თუ მოულოდნელობისგან ამოიკვნესა:

მომცრო მაგიდასთან მოლიმარი მისის სმიტი იჯდა და, როგორც მოძევენა, სრულიად უდარდელად ვახშობდა.

— როდესაც ველეკ, — თქვა და დამკინავად გადახედა მოახლეს, — მალა მეხსენება, არ შემომიერთდებით, ბატონებო?

— ისევ ძველებურად ფიქრობ? — მომპართა ბარნიმ ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში განმარტოების შემდეგ, — დარწმუნებული ვარ, მოჩვენებების არსებობასა და მისტერ სმიტის იმ ქვეყნიდან მობრუნებაზე სიტყვის გაგონებაც არ ვინდა.

— ქმარი ვარდაეცვალა, ხუმრობა ხომ არ არის! — სასაუბრო თემის ტაქტიანად შეცვლა ვცადე, თან სამზარეულოში მაღიანად მოვახშმე მისის სმიტის სახე დამიდგა თვალწინ, — ალბათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

— ასეთი ქალის სიყვარული! — აღფრთოვანებით ჩამირთო მისტერ ჯეფერსონმა.

— მსგავს ვითარებაში ნორმიდან ცოტა გადახრა სავსებით შესაძლებელია... მომხდარა კიდევ ასეთი შემთხვევები, მაგრამ მისის სმიტმა არ დატოვა ჩემზე სუსტი და ნერვებს აყოლილი ადამიანის შთაბეჭდილება.

— მისის სმიტი ცდილობს თავისი სადარდებლის დაფარვას. კარგად აღზრდილი ადამიანები ვრიდებიან ემოციების გამოშხურებას. ასეა თუ ისე, დიდებული ქალია. ახლა ხვდები, რატომ დამიყოლია აქ ჩამოსვლაზე?

— გზაზე კარგად შეუკურთხე!

— ეგ მექანიკურად, — მითხრა მისტერ ჯეფერსონმა სიცილით, — ხომ იცი მძღოლების ამბავი!

— რა შეიცვალა ჩემი ჩამოსვლით? — ვიკითხე ცუდად დამალული გაღიზიანებით, — რისი გაკეთება შეეძლება?

— მისის სმიტის პირადად გაცნობით ახალი მოსაზრებები არ გავჩენია?

— პირველი ის, რომ მისის სმიტი, თუ სამზარეულოში მის უცნაურ საქციელს არ მივიღებთ მხედველობაში, მაინცდამაინც არ მგავს არანორმალურს.

— ესე იგი, მეც არანორმალურად მთვლიდი?

— შენ რა შუაში ხარ?

— მეც ხომ ჩემი თვალით ვნახე!

— ნასვამი იყავი? — ვიკითხე ხითხითით. — მისის სმიტის საძინებელში რა არ შეიძლება, მოეჩვენოს ნასვამ კაცს!

— ვერ გამაბრაზებ, — აღნიშნა ხაზგასმით. — სამაგივოდ ძალზე კარგად ვიცნობ. ჩემი რომ არ გჯეროდეს, ვიცი, არ გამომყვებოდი. მეორე მოსაზრებაც ასეთივე ჭკვიანურია?

— მე წარმოვადგინა არა მაქვს ძაღლების გონებრივ შესაძლებლობებზე, მაგ-

რამ დარწმუნებული ვარ, ამ სახლში მკვლელს თავისუფლად შეეძლო დამალვა.

— ეგ გამორიცხულია.

— მაშინ დანარჩენი ისევ ძალაში რჩება: ან თვითმკვლელობა ან — მძლოლი და მებაღე. ერთი შეხედვით უმანკო გარეგნობის უკან, ზოგჯერ სატანა იმალება. ციხეში გატარებული თხუთმეტი წელი ანგელოზსაც ეშმაკად აქცევდა.

— ოთახში მიმაღული მკვლელი?

— ჩვეულებრივი ქურდი გამორიცხულია, როგორც ამბობ, ხელნაწერების გარდა, არაფერი დაკარგულა, ხელნაწერით კი დაინტერესებული შეიძლება ყოფილიყო...

— პროფესორის თანაშემწე ან ექიმი და ორივენი ქენდისთან იყვნენ.

— იქნებ მკვლელი დაიქირავეს?

— თანაშემწე უარს აცხადებს კვლევის გაგრძელებაზე, ექიმი კი საერთოდ უარყოფს რაიმე სერიოზული შედეგის არსებობას.

— სხვა მეცნიერი...

— თუ არაფერია მოსაპარი, როგორც თანაშემწე და ექიმი აცხადებენ, რატომ ეცდებოდნენ მოპარვას?

— უკვე მერამდენედ ვუტრიალებთ ერთი და იგივეს, მოქმედებით კი არაფერს ვაკეთებთ. რადგან მისის სმიტი ძიების განახლებას მოითხოვს, — ვთქვს გაცხარებით, — ვალდებულნი ვართ, რამე მოვიმოქმედოთ.

— რის გაკეთება შეიძლებოდა, — დინჯად აღნიშნა მისტერ ჯეფერსონმა, — უკვე გავაკეთე, ყველა დავკითხე, ყველას ვესაუბრე... სამწუხაროდ, თანაშემწე დამალულია და მისი მოძებნის უფლება არა მაქვს... ერთადერთი რაც დაგვრჩენია, მოლოდინია.

— რას ველოდებით? — გავიოცე, — ასე ჩიკაგოშიც შეგვეძლო ლოდინი.

— არა, ჩიკაგოში არ შეგვეძლო, — თითქმის დამიმარცხლა ბარნიმ. — ღამეს და მისტერ სმიტს ველოდებით.

— მისის სმიტი არა ჰგავს ისეთ ქალს, რომ დაუფიქრებლად რამე ჩაიდინოს, — ვთქვი მისი პასუხით გაბრაზებულმა.

— მაგას რატომ ამბობ?

— რაღა მაინცადამაინც შენ ამოგირჩია?.. არ გეწყინოს, მაგრამ... ამხელა გასამრჯელოს ფასად სრულიად უცნობი დეტექტივის აყვანა ჩემთვის გაუგებარია. შეურაცხყოფის მოყენება არც მიფიქრია, — მივხვდი, დაუკრეფავში გადავედი და ნათქვამის შერბილება ვცადე: — უბრალოდ, დაზუსტება მინდა, თავიდან, როდესაც მოხუცებულ ქერივად მყავდა წარმოდგენილი, მისი გულუბრყვილობით ეხსნიდი, ახლა კი...

— ცნობილი დეტექტივი, — სრულიად უდრტვინველად ამიხსნა მეგობარმა, — ამ საქმის გადამოწმებაზე არ დათანხმდებოდა. თვითმკვლელობაო, მოჩვენებებიო, ვინ მიიღებდა ყოველივე ამას სერიოზულად? ფულს კი მხოლოდ ძიების წარმატებით განხორციელებაში იძლევიან.

— მაგრამ მისტერ სმიტი პირველად გუშინწინ ნახა.

— მართალია, მანამდე ნაბიჯების ხმა ესმოდა... სახელს ეძახდნენ, საძინებლის კარზე უკაკუნებდნენ... გასაგებია? — მისტერ ბარნიმ ჯეფერსონს ოდნავ თავმოყვარეობაშელაზული ჩანდა.

— საწყევლად არ მითქვამს, — მოუბოდიშე, — ეგ კითხვა მაწუხებდა.

— სმიტების ოჯახს მის ქენდი ჯორდანზე უკეთ ვინ უნდა იცნობდეს! — დაუფიქრებლად თქვა მისტერ ჯეფერსონმა, — მე კი მის გარდა, ყველას ვესაუბრე. მისის სმიტის ემოციებშიც ის სხვაზე კარგად იქნება გარკვეული. არ ვიცი, რა-

ტომ, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, დიდ შეცდომას ჩავიდნთ თუ შიშველ ქმრან ჯორდანს დღესვე არ ვინახულებთ. მისის სმიტმა ქენდისთან შეიტყო ქმრან სიკვდილის ამბავი, დასახლების რჩული საზოგადოებაც მასთან იმყოფებოდა, იქნებ რაიმე საინტერესოს მივაკვლიოთ! მართლაც არ შეიძლება ასე ერთ ადგილზე ჯდომა და ლოდინი, ცოტა უნდა ვიმოქმედოთ კიდევ.

— მისტერ ჯეფერსონი უცრად ზეზე წამოიჭრა. მიუჯიცუს რამოდენიმე ილეთის უცარი იმიტაცია გამიკეთა და ამით მაგრძნობინა, პატარა წყენამ გადამიარაო.

— ძალიან კარგი, — დიდსულოვნად შემაქო, — მწერლის კვალობაზე შესანიშნავად იცავ თავს, ახლა კი ქენდი ჯორდანს დაუურეკოთ და თუ საწინააღმდეგო არაფერი ექნება, ვესტუმროთ კიდევ.

უზალისოდ დავეთანხმე, რადგან ჩემი მეგობრის პროფესიონალიზმში ეჭვი მეპარებოდა და ჩემდა უნებურად მისი ნააზრევის საწინააღმდეგოდ ვფიქრობდა და ვაზროვნებდი. წინასწარ დავირწმუნე თავი, რომ მის ქენდი ჯორდანისგან ახალს ვერაფერს შევიტყობდით. მართალია, ცოტა არაბუნებრივად მეჩვენა მისი ირონიული ღიმილი და გამომშვიდობებისას მისის სმიტთან უმნიშვნელო წაკამათება, მაგრამ ბიძაშვილების ამგვარი დამოკიდებულების ახსნა ადვილად შეიძლებოდა, თუ დაუშვებდით რომ მისის სმიტს ქენდისთან მოყოლილი ჰქონდა ქმრის იმქვეყნიდან დაბრუნების სულელური ამბავი... თუმცა ეს ვარიანტიც გასაკვირად მეჩვენებოდა, რადგან მისის სმიტი აშკარად ისეთი ქალების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელნიც გამჭრიახ გონებასა და მტკიცე ნებისყოფაზე დაყრდნობით, ნებისმიერ სიტუაციაში ინარჩუნებენ საკუთარი თავის რწმენას, გამობრძმედილი დიპლომატიებით რაციონალურად აზროვნებენ და შესანიშნავად იციან, ვისთან რა თქვან.

სწორედ ამის გამო, მართლაც ფანტასტიკურად ყლერდა მისი ნაამბობი მიწვენებებზე, მკვდრეთით აღმდგარ მისტერ სმიტზე და ბლექსტონში ჩემი არცთუ ხანგრძლივი ყოფნის განმავლობაში, პირველად გამიელვა საშინელმა ეჭვმა, — ნუთუ ამ ძველებურ სახლში ჭეშმარიტად ადგილი აქვს ადამიანთა აზროვნებისათვის მიუწვდომელი, მისტიკური ძალების მოქმედებას? იქნებ არ ცდება მისის სმიტი? ან რატომ უნდა ამტკიცებდეს ორი, სრულიად განსხვავებული ადამიანი ერთი და იგივე უაზრობას?

კიდევ ერთხელ მოვაველე თვალი ვრცელ ოთახს, აქ განლაგებულ ძველებურ ავეჯს, მზერა გრძელ, ნახევრად ჩაბნელებულ ღერეფანზე შევარჩე და ციკად ვთქვი:

— თუ ამ საღამოს ახალი არაფერი გავარკვეით, ხვალ დილიდანვე ავიბარგები ბლექსტონიდან.

მის ქენდი ჯორდანთან სულ რამდენიმე წუთი გავატარეთ, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენზე გულთბილი და ცოტა თავპარიანი ადამიანის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. მის ქენდი ჯორდანი გახლდათ მშვენიერი აგებულების ახალგაზრდა ქალი, რომელიც გაცილებით უფრო მდიდრულად გამოიყურებოდა ახლა, როცა ბიძაშვილი მის გვერდით არ იყო.

— საბრალო ედვინი, — თითქოს აქეთ გვისამძიმრებსო, სხაპასუხით მოგვყარა, — რა უცნაურად დაასრულა სიცოცხლე! ფანატიკურად უყვარდა ზავისი საქმე და სწორედ ამ ფანატიზმს შეეწირა...

„ბოლო წინადადება, მისის სმიტისგან აქვს ნახესხები-მეთქი“, — გავიფიქრე.

— სჯობდა, უნივერსიტეტიდან არ წამოსულიყო, პამელა ფოკლეთის ამას აც

ვედრიდა, — განაგრძო გატაცებით, — განსაკუთრებით მანამდე, სანამ ჰენრის კლინიკაში დაიწყებდა ექსპერიმენტების ჩატარებას.

— ჰენრის კლინიკაში? — ჩაურთო მისტერ ჯეფერსონმა.

— დიახ, თქვენ იცნობთ, მისტერ ჯეფერსონ!

— მაქვს ბედნიერება! — ღირსულად უპასუხა მისტერ ჯეფერსონმა.

— ჰენრის კლინიკაში ექსპერიმენტების ჩატარება პამელას ორმხრივ აწყობდა, ჯერ ერთი, მას მოეხსნა ის ლომის წილი, რომელსაც თავისი ქმრის გამოკვლევაში ასრულებდა, მათ ზომ ლაბორატორია სახლშიც ჰქონდათ! და მეორე, ჰენრის ხატვა ეზერხება, იგივე გატაცება ჰქონდა პამელასაც და ადვილად დამეგობრდნენ, პატარა, გამოფენაც კი მოაწვევს ერთად ამ ხუთიოდე წლის წინ.

— მისის სმიტი ქმრის გამოკვლევებში იღებდა მონაწილეობას?

— დიახ, მისტერ გრეჰემ, ნუთუ არ უთქვამს თქვენთვის? — ორივე გაკვირვებით შეგვათვალეირა, — ადრე არ მაღავდა ამას, თუმცა საშინლად ეზარებოდა, რადგან უფრო თეორეტიკოსობისკენ ჰქონდა მიდრეკილება, ჩვენ ერთად ვსწავლობდით და ამ საქმის ცოტა რაღაც მეც გამეგება, პამელას უნივერსიტეტის ატმოსფერო იზიდავდა, მოგეხსენებათ, ბევრი ხალხი, სტუდენტები, მეცნიერები, განუწყვეტლივ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა... აქ კი... შხამიანი სოკოები, ფაქტურად ლაბორანტის მოვალეობის შესრულება, დიდი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა, ბუნდოვანი შედეგი...

— მისტერ დარინ ვან ჰორნი რაღას აკეთებდა? — იკითხა მისტერ ჯეფერსონმა.

— ედვინმა ძირითადი ლაბორატორია დასახლებაში მოიწყო, თანაშემწედაც მისტერ დარინ ვან ჰორნი აიყვანა, შინ მხოლოდ ჩატარებული ექსპერიმენტის საექვო შედეგს გადაამოწმებდა ხოლმე, რამოდენიმეჯერ მეც მთხოვა დახმარება, როდესაც რაღაც მიზეზით პამელა არ იყო ბლექსტონში.

— ექიმის კლინიკაში როდის შეუდგნენ მუშაობას?

— ზუსტად არ მახსოვს, ჰენრის ჰკითხეთ, ალბათ, იმის შემდეგ, რაც პრეპარატის შექმნაში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

— ესე იგი, მისის სმიტს შავ სამუშაოს აკეთებინებდა? — მეგობრულად გაუღიმიე.

— დაახლოებით, — გაიცინა მის ჯორდანმა.

— მის ჯორდან, იმ საღამოს თქვენთან სტუმრად იყვნენ მისტერ დარინ ვან ჰორნი, მისტერ პირსი, მისის სმიტი, — ჩამოთვლას შეუდგა ჯეფერსონი.

— ყველანი ჩვენთან იყვნენ, — შეაწყვეტინა მის ჯორდანმა. — საბრალო ედვინის გარდა. პამელამ მითხრა, საშინელი დეპრესია აქვს და ვერ მოვაო. მე მისი ნათქვამი დეპრესიის შესახებ არ მიმიღია სერიოზულად, ვიფიქრე, ექსპერიმენტებს ვერ ელევა-მეთქი, ასე ადრეც გაუკეთებია, მთელ დროს სამუშაოს ახმარდა, რას წარმოვიდგენდი! თანაც ევროპაში გამგზავრებამდე სავსებით ჯანმრთელი და მზიარული დავტოვე, საუკუნის აღმოჩენა გააკეთეო, მეუბნებოდა. პამელას არ მოეწონა ჩემი ეჭვი, დარინ ვან ჰორნსაც შეუბღვირა, — სულ თვითმკვლელობაზე მელაპარაკებოო. ვიფიქრე, ცოტა უტაქტოდ მოსდის, ოჯახურ წერილმანებს ასე საქვეყნოდ რომ ამზეურებს-მეთქი. მერე დაურეკა კიდევ, ურჩია, დაესვენა, ტელევიზორისთვის ეყურებინა, ახლავე სახლში დაბრუნდიო. ჰენრიც ესაუბრა. მე, რა თქმა უნდა, არ ვუსმენდი მათ საუბარს, მაგრამ ისე კატეგორიულად ელაპარაკებოდნენ!..

— მის ჯორდან, თქვენ ბრძანეთ, სახლში დაბრუნება ურჩიაო... სად იმყოფებოდა მისტერ სმიტი, ზომ არ იცით?

— საკუთარ ლიმუზინში... რამდენიმე წუთის შემდეგ თვითონ ეღვინა დარეკა და კვლავ პაქელა და ჰენრი ესაუბრნენ. ეღვინი იმ დროს უკვე შინ იყო.

— საიდან იცით?

— მომიკითხა, გამოძევაპარაკა, დაუპატიჟე, მაგრამ ისევე უარი მითხრა.

— მერე რა მოხდა, მის ჯორდან? თუ შეიძლება, ყველაფერი გაიხსენებ.

— მერე ჰენრი და დარინ ვან ჰორნი შელაპარაკდნენ, უაზროდ, როგორც იცოდნენ ხოლმე, გაიბუტნენ, თავაზიანობის გამო ისხდნენ ცოტა ხნით და მალე ერთიმეორეს მიყოლებით დაგვტოვეს. ჰენრი ეხოდან გასულიც არ იქნებოდა, ბლექსტონიდან პოლიციელმა რომ დარეკა და ეს საშინელი ამბავი შეგვატყობინა... მთელი საღამო ჩაგვეხამდა, არადა, ისეთი გახარებული ვიყავით!

— ვერ გვეტყვი, რატომ შელაპარაკდნენ ექიმი და პროფესორის თანაშემწე? — დაკითხვას განაგრძობდა მისტერ ჯეფერსონი.

— მაგის თქმა აუცილებელია? — მცირე ყოყმანის შემდეგ ორაზროვანი ღიმილით იკითხა ჰენრი ჯორდანმა.

— კარგი იქნებოდა კეთქვათ, თუ ძალიან დელიკატურ საკითხს არ ეხება.

— იცით, მე მგონი, დარინს ვუყვარვარ და... იმთავიდან ჰენრიზე ეჭვიანობს. იმედია, ამის შესახებ დარინს არაფერს კითხავთ!

მისტერ ჯეფერსონმა უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა.

— ჩემთან თავის გრძნობებზე, — გააგრძელა ჰენრიმ, — არასოდეს ულაპარაკია, მაგრამ ასეთ რამეს ყველა ქალი ხვდება... იმ დღეს კი ჩვენი გადაწყვეტილების ამბავი გამოვაცხადე...

— გადაწყვეტილების?

— დიახ, მე და ჰენრი ჯვარს ვიწერთ, — მომხიბულვლად გაგვიღიმა მის ჯორდანმა, — წლის ბოლოსთვის ვაპირებთ, შემოდგომაზე, მაგრამ ვიფიქრე, დამალვას აზრი არ ჰქონდა, გამოცხადებას არ ვაპირებდი, უცებ დამარტყა თავში, ჰენრისთვისაც სიურპრიზი იყო... ყოველთვის მეუბნებოდა, საიდუმლოდ შევინახოთ ჩვენი ურთიერთობის ამბავი, ასე უფრო თავისუფლად ვიქნებითო, მას ცხოვრებაზე თავისებური შეხედულებები აქვს, მე ვეღარ მოვიტომინე, ეს შტერი კი... — დარინ ვან ჰორნი მყავს მხედველობაში, — გულთბილი ღიმილით განაგრძო ჰენრიმ, — მილოცვის მაგიერად, ჰენრის აუხიბდა... რატომღაც პამელაც ამირიზა, ვითომ არაფერი გამიგიაო, ტელეფონს ეცა და სადღაც რეკვა ატეხა.

— თქვენი სიყვარულის შესახებ მისის სმიტმაც არაფერი იცოდა?

— არაფერს არაფერი იცოდა... დარინ ვან ჰორნი ხვდებოდა მხოლოდ ვგრძნობდი, რომ ხვდებოდა, რამოდენიმეჯერ სიტყვა გადამიკრა.

— პირველად თქვენგან დარინ ვან ჰორნი წავიდა?

— დიახ.

— ვერ გაიხსენებთ, ექიმამდე რამდენი ხნით ადრე წავიდა?

— რამდენიმე წუთით ადრე.

— უფრო ზუსტად?

— არ მახსოვს.

— დაახლოებით მაინც, — ჩააცვიდა მისტერ ჯეფერსონი, — მის ჯორდანს, ამის გახსენებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— ალბათ... ასე...

— ათი წუთით? თხუთმეტით?

— არა, უფრო მეტით.

— ნახევარი საათით?

— შეიძლება, მეტიათ, — ყოფიანით თქვა მის ჯორდანმა, — შეიძლება, საათით ადრეც... ხომ გითხარით, ზუსტად არ მახსოვს.

მისტერ ჯეფერსონმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა.

— მის ქენდი, როგორ ფიქრობთ, ქმრის გარდაცვალებამ ისე ძლიერ იმოქმედა მისას სმიტზე, რომ მისი ფსიქიკა საფრთხეშია?

— მისტერ გრეჰემ, ძალუცინაციები გაქვთ მხედველობაში? — თვალი თვალში გამოიყარა მის ჯორდანმა.

— დიახ.

— და ფიქრობთ, რომ ჰამელა შეიშალა? — უცნაურად ჩაიციხა.

— არა, მაგრამ დროებითი გადახრა ნორმიდან...

— ყოვლად წარმოუდგენელია! ჰამელას საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორი ძლიერი ნერვებიც აქვს. ედვინის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა, მაგრამ მისი წონასწორობიდან გამოყვანა ამასაც არ შეეძლო. წარმოიდგინეთ ქალი, რომელიც ოცდარვა წლით უფროს კაცს მიჰყვება ცოლად მხოლოდ იმიტომ, რომ ის კაცი ცნობილი პროფესორია და შეიძლება, დისერტაციის დაცვაში დაეხმაროს; ქალი, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა მეცნიერის ან გამოჩენილი მხატვრის დიდებაზე და ამიტომ შეიღობა გაჩენაზეც კი უარი თქვა, ხელს შემიშლისო... წარმოიდგინეთ, რა დონის ეგოისტია და, როგორ ფიქრობთ, თავისთავზე ამდენად შეყვარებული ქალი, თუნდაც უახლოესი ადამიანის სიკვდილის შემდეგ, შეიძლება, ჭკუიდან შეიშალოს? — მის ჯორდანს ლამაზ თვალებში უცნაური სიცივე ჩაუდგა, — არა, ბატონებო, მე ამას ვერასოდეს დავიჯერებ... თუმცა ჰქონია თავისებური ახირებები, მოახლეუბეც კი ეჭვიანობდა, წარმოვიდგინათ? ჯენი ხომ ედვინის ყოფილი პაციენტი! უფრო სწორად, ჰენრის ავადმყოფი იყო, განუკურნებელი ავადმყოფი და ედვინმა მორჩინა... ჯენი მართლაც აღმერთებდა მისტერ სმიტს, მაგრამ... ეჭვიანობის საბაბი... არასოდეს არავისთვის მიუციათ, სასაცილოც კია ამაზე ლაპარაკი!

მის ქენდი ჯორდანის ეილიდან გაბრუებული გამოვედი, თავს ისე ვვრძობდა, თითქოს სხვისი წერილი წამეკითხოს.

— ბიძაშვილებს შორის შავი კატაა გარბენილი, — რატომღაც ჩურჩულით მითხრა მისტერ ჯეფერსონმა და წინ შემხვედრ ვერცხლისფერ „პორშეში“ მჯდარ ქერთიან მამაკაცს თავახიანად მიესალმა. მამაკაცმაც ხელის დაქნევითა და მეგობრული ღიმილით უპასუხა.

— ვინ არის? — ვიკითხე.

— ექიმი ჰენრი პირსი, ალბათ, საცოლესთან მიდის. ჰო, მართლა, — ჩემკენ მოტრიალდა: — ბლექსტონიდან წასვლას, ვფიქრობ, გადაიფიქრებდი!

— რატომ უნდა გადაიფიქრა?

— როგორ თუ რატომ! ჩვენ ხომ თითქმის ყველაფერი გაეარკვიეთ, შეკვლევი უეჭველად დარინ ვან პორნია.

ბლექსტონში რომ დაებრუნდით, უკვე ბნელდებოდა.

სალამოს ბინდბუნდში, პორიზონტს იქით მიმალული მზის მღვრიე სხივებში კიდევ უფრო პირქუში და ველური მეჩვენა სმიტების მამული.

საუკუნოვან ხეთა კენწეროებს შორის სამსართულიანი რუხი შენობა რომელიც წარდენამდელი მონსტრით გარინდულიყო, ხოლო როდესაც შენობაში შევედი და ფეხით კიბეზე დაგებულ სქელ ნოხს შევეხე, მომეჩვენა, რომ ამ უმჯობესი მონსტრის სტომაქში მივაბიჯებდი.

— მისტერ სმიტის მკვლელობასთან დაკავშირებულ პირთა რიცხვი არც ისე

ბევრია, — საქმიანი საუბრით შემომყვა ოთახში მისტერ ჯეფერსონი და ფურცელზე გაკრული ხელით სუფთად ჩაწიკწიკებული სია დამანახა:

— პირველია მძლიფი, რობი ჰაინზი, რომელიც შემთხვევის ადგილზე დააკავეს და, აქედან გამომდინარე, ქურდობაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას.

მეორე — მებაღე, ჯუზეპე ლეტო, ისიც პირდაპირ პოლიციაში მიიყვანეს დასაკითხად, როდესაც ბლექსტონში დაბრუნდა, სახლი საეხე იყო ხალხით, ამიტომ ქურდობაში მისი მონაწილეობაც საეჭვოა, მით უფრო, რომ მათ თვითონვე გამოიძახეს პოლიცია და საკუთარი ნებით გაუშვეს ზელიდან ქურდობის ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობა.

მესამე — მისის პამელა სმიტი, მკვლელობის მომენტში, სხვა სტუმრებთან ერთად, მის ქენდი ჯორდანთან იმყოფებოდა. ქურდობის ფაქტი მან მეორე დღეს აღმოაჩინა.

მეოთხე — მის ქენდი ჯორდანი, მისის სმიტის ბიძაშვილი, მკვლელობის დროს საკუთარ სახლში იმყოფებოდა.

მეხუთე — ექიმი ჰენრი პირსი, მკვლელობის შესახებ ყველაზე გვიან გაიგო.

მექექსე — პროფესორის თანაშემწე დარინ ვან ჰორნი, მკვლელობის დროს სად იმყოფებოდა არავინ იცის...

— როგორ არ ვიცით! — შევაწყვეტინე, — მის ქენდი ჯორდანთან იყო.

— იქ იყო მკვლელობამდე... ლელავდა, წასვლის მიზეზს ეძებდა, ეჭვიანობის უაზრო სცენაც მოაწყო. მე დრო გამოთვლილი მქონდა ჯორდანების ვილიდან ექიმის წასვლის შემდეგ. თხუთმეტი წუთი არ ჰყოფნიდა ბლექსტონამდე მისასვლელად, მაგრამ როგორც დღეს გაირკვა, მკვლელობის ჩემს სქემაში დარინ ვან ჰორნი თავისუფლად ჯდება, ის არათუ ასწრებს ბლექსტონამდე მისვლას, თითქმის მთელი ოცდაათი-ორმოცი წუთი რჩება სამოქმედოდ. ჩვენი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ გვეგონა, თითქოს ექიმი და თანაშემწე ერთად გავიდნენ ჯორდანების ვილიდან.

— მებაღემ რატომ ვერ შენიშნა თანაშემწე? ის ხომ ბლექსტონის შესასვლელს არ მოსცილებია!

— უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ მებაღე ეზოს შესასვლელს არ მოსცილებია, ის სამანქანო გზით ელოდა მისტერ სმიტის დაბრუნებას, სამანქანო გზა კი ერთადერთია. დარინ ვან ჰორნს შეეძლო, თავისი მანქანა მდინარის გადაღმა, ხიდთან შეეჩერებინა, მერე ხიდზე გადმოსულიყო ფეხით, მდინარეს ნაპირ-ნაპირ გამოჰყოლოდა და რამდენიმე წუთში ბლექსტონამდე მიედგინა. შენობაში შეუძმნევლად შესვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

— გასაღები?

— აი, გასაღები მართლაც ამ ვერსიის სუსტი ადგილია, მაგრამ დაინტერესებულნი და სმიტების ოჯახთან დაახლოებული პირისთვის ზომების აღება და წინასწარ გასაღების დამზადება პრობლემა არ იქნებოდა. ახლა მთავარია, გავიკითხოთ, იმ საღამოს მისტერ დარინ ვან ჰორნის მანქანა ხომ არ შეამჩნია ვინმემ სმიტების მამულთან ახლოს, და თუ აღმოჩნდა მნახველი, ალბათ, პოლიცია მანქანის პატრონის მოძებნის უფლებასაც მოგვცემს, — მისტერ ჯეფერსონმა ამ ადგილას თხრობა შეწყვიტა და ოთახში დაუკითხავად შემოსულ მოახლეს გაკვირებული მიაჩნდა.

ავადმყოფურად თვალბამდერეული მოახლე ზღურბლთან გაუბედავად შეჩერდა, მერე ორიოდ ნაბიჯით მოგვიახლოვდა, ვნებიანად გადაიხარა მისტერ ჯეფერსონისაკენ, კისერზე დაყნოსა და სქელი ტუჩები მსუნავი ბავშვით მოილოკა.

— ჯენ, რამის თქმა გსურს? — მკაცრად შეეკითხა მისტერ ჯეფერსონი.

მის ქენდი ჯორდანის ნათქვამი გამახსენდა ჯენისა და მისტერ სმიტის სავა-
რაულო რომანზე და ღიმილი ძლივს შევიკავე.

— ქალბატონი გიბარებთ, — ხმის კანკალით წარმოთქვა მოახლემ.

როგორც გაირკვა, ჯენი მისის სმიტს გამოეგზავნა ვანშაშზე ჩვენს მისაპატი-
შებლად.

როდესაც სასტუმრო ოთახში შევედით, მისის სმიტი უკვე მაგიდასთან იჯდა
და მისი მკაცრი სახე დიდ მოუთმენლობას გამოხატავდა:

— დაბრძანდით, ბატონებო, — თქვა ღირსეულად, — ჯენის დაიწყებია გაეფრ-
თხილებინეთ, რომ ცხრის ნახევარზე სავაშშიოდ ვიკრიბებით ზოლმე. თქვენი
საქმიანი ვიზიტის მიუხედავად, ეიძრე ამ სახლში იმყოფებით, ჩვენი სტუმრები
ხართ და, მისტერ სმიტის ხსოვნა არ მომცემს უფლებას, ოჯახის ტრადიცია
თუნდაც საქმიანი ურთიერთობების გამო შეიბღალოს.

ამგვარი შესავლის შემდეგ მაგიდას ჩვენც შემოვუსხედით და მსგავსი ვითა-
რებისთვის განკუთვნილ უწყინარ ბაასს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ვაზ-
შობამ თითქმის უსიტყვოდ ჩაიარა.

შევყურებდი ჩვენს მშვენიერ დიასახლისს, ვტკბებოდი მისი დახვეწილი, ნა-
ტიფი მანერებით და საგონებელში ჩავარდნილი ვფიქრობდი ამ იღუმალებით
მოსილ საქმეზე, როდესაც მისტერ ჯეფერსონის შეცუბნებულ სახეს შევაკლებ-
დი თვალს, ვხვდებოდი, რომ გონებით ისიც მისტერ სმიტის მკვლევლობას უტ-
რიალებდა გარშემო.

უცებ ტელეფონი აწკრიალდა.

მისის სმიტმა უკმაყოფილო მზერით გვაგარძნობინა ამ ზარს უადგილოდ
ვთვლიო, მაგრამ ჩვენკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი, მზრებგანიერი მოახლის
დანახვაზე სახე კვლავ ღიმილმა გაუნათა. მამაკაცივით ახმაზი ჯენი მისის
სმიტს ხენებით მიუახლოვდა, ყურმილი რაც შეეძლო თავაზიანად მიაწოდა
და ჩქარი სიარულისაგან ოფლით დანამული შუბლი უზარმაზარი, კუბოკრული
ცხვირსახოცით მოიწმინდა.

თქვენი თან არიან, — ერთგვარი ნიშნის მოგებით გადმომილოცა ყურმილი მა-
ისის სმიტმა, — ახალ ნაცნობებს წარმატებით იძენთ.

— ვიზუმრე, — მომესმა მის ქენდი ჯორდანის ხმა, — მისტერ გრეკემ, ზუმ-
რობად უნდა ჩამითვალთ, რაც პამელას ეჭვიანობაზე მოგიყვებით...

— მამატიეთ, — ჩავილაპარაკე მოულოდნელობისაგან დაბნეულმა, — ვერ გავი-
გე, რა გაქვთ მხედველობაში!

— რა და, მისტერ სმიტისა და ჯენის რომანზე პამელას ეჭვიანობა.

— ეგ არც მიმიღია სერიოზულად...

— მისტერ ჯეფერსონსაც გადაეცით, თუ არ შეწუხდებით! ედვინსაც დისერ-
ტაციის გამო არ გაჰყოლია, უყვარდათ ერთმანეთი. ედვინმა ფეხბურთი ითამა-
შა და როდესაც გოლი გაიტანა... გადამწყვეტი...

— ვიცი, ვიცი, დავამშვიდე, — ყველაფერი გასაგებია!

— თქვენც მოგიყვათ? ჰო, ყველას უყვება ფეხბურთის ამბავს, ერთი სიტყ-
ვით, ძალიან გთხოვთ, დაივიწყეთ ჩემი სულელური მონაყოლი, მისტერ ჯეფე-
რსონსაც უთხარით, თუ შეიძლება. მე არ მიმიღია ასეთი სერიოზული მნიშვნე-
ლობა, პამელას კი ისე ეწყინა, თითქოს..

— მე არაფერი მითქვამს! — ბავშვურად ვიმართლე თავი და მისის სმიტის
გამომცდელ მზერას თვალი ავარიდე, — არც გვილაპარაკია საერთოდ ამ თემა-
ზე.

— ვიცი, ვიცი, მე თვითონ ვუთხარი, — მის ქენდი ჯორდანმა საუბრის შინაა-

რისათვის შეუფერებელი უდარდულობით ჩაიცინა და ძველი მეგობარნი გამოემშვიდობა:

— ბაი-ბაი, ირვინ გრეჰემ.

ყურმილი დაეღე და მისტერ ჯეფერსონს მიემართე:

— მის ქენდი ჯორდანი იყო, ჩვენი წელანდელი საუბარი სერიოზულად არ მიიჩნითო.

— დამირეკა და დაწვრილებით მომიყვა თქვენი ვიზიტის შესახებ, — დაცინვით გვითხრა მისის სმიტმა, — თქვენ ჯერ დაბრუნებულნიც არ იქნებოდით.

— მისის სმიტ, — დაიწყო მისტერ ჯეფერსონმა, — ჩვენი ვალია...

— ერთმანეთი ჰყვარებიანო, — შეაწყვეტინა მისის სმიტმა, — ჰერნი პირსსა და მაგას, შემოდგომაზე ჯერისწერას აპირებენ... ისე საიდუმლოდ ინახავდა, თითქოს ჰერნის წაართმეოდა ვინმე, უნივერსიტეტშიც ასეთი იყო, ყველაზე ეჭვიანობდა, იმიტომ დარჩა აქამდე გაუთხოვარი... იმ საღამოს მეც მომიწყო ეჭვიანობის სცენა... ეჭვების შედეგია მისი მონაყოლიც.

— მისის სმიტ, მის ჯორდანს ზედმეტი არაფერი უთქვამს.

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი დაწვრილებით ვიცი, — შედიღურად წამოდგა.

ჩვეც წამოვდექით.

— მისტერ ჯეფერსონ!

— დიახ, მემ.

— თქვენ, როგორც კერძო დეტექტივს, ხალხის დაკითხვის უფლება არა გაქვთ, ასე თუ არა?

— დიახ, მემ.

— ამიტომ, ამის შემდეგ, თუ ვინმე ჩემს ახლობელთან გასაუბრებას გადაწყვეტთ, ძალიანა გთხოვთ, წინასწარ შემითანხმდეთ.

ამით მისის სმიტმა საუბარი დამთავრებულად ჩათვალა, თავის ოდნავი დახრით გამოგვეთხოვა და დიდებული მიხრა-მოხრით გადაჭრა სასტუმრო ოთახი.

მისტერ ჯეფერსონმა ამოიოხრა, უიმედოდ გაიხედა კარისკენ, რომელშიც მისის სმიტი გაუჩინარდა და საკუთარ ხელებს მოღუშული დააჩერდა.

— ზომ არ დაგველია? — ვკითხე არხეინად, თითქოს ვერ ვამჩნევდი, რა ცეცხლი ენთო გულში.

მისტერ ჯეფერსონის გამომეტყველება მჭევრმეტყველურად გამოხატავდა უღრმეს სინანულს იმის თაობაზე, რომ მან უნებლიედ დაუშვა დიდი შეცდომა, რომელიც სიმწრით ნაშოვნ სამსახურს აკარგვინებდა.

— რას იტყვი? — ჩავაცვივდი.

— ჰმ, — ნაღვლიანად ჩაახველა, — ჰმ!

— მისის სმიტს რომ არ სჭირდებოდე, ტყუილად არ მოგიწვევდა. არ არის ისეთი ქალი, დაუფიქრებლად რამე გააკეთოს, მით უმეტეს, ფული გადაყაროს,

— ბარიდან ვისკის ბოთლი გამოვიღე და მისტერ ჯეფერსონს მზიარულად ჩაკუპაჭუნე თვალი, — საუბარი ჩემს ოთახში გაავარძელოთ, იქ უფრო მყუდროდ ვგრძნობ თავს.

ჩემმა მეგობარმა ვისკის ბოთლს სევდიანად შეხედა, მერე უსიტყვოდ დაიდრა მესამე სართულისაკენ.

ოთახში შესვლისთანავე სირჩები შევაკესე.

— ალბათ, ვისკის გამო არ გავგინაწყენდება! — ვთქვი ღიმილით.

— შენა გგონია, ძიებაზე უარის თქმის შემეშინდა? — მისტერ ჯეფერსონმა მზნედ შემომხედა.

— არა, რა თქმა უნდა.

— მე სხვა რამემ გამოვანა, — მან ვისკი მოსვა, — არც ვიცი, ღირს თუ სალაპარაკოდ... მისის სმიტმა საგონებელში ჩამაგდო.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩემი მეგობარი ზედმეტად ემოციურიც გამხდარიყო.

ხელახლა შევეუხე სირჩა.

— არა, — მეუარა, — ყავას უფრო სიამოვნებით დავლევდი, შენც ნუ დალევ, თუ ეს ღამეც წუხანდელს დაემგვანა, სასმელი ხელს შეგვიშლის... იარაღი გაქვს?

— არა.

— ძალიან ცუდია, თუმცა მე ვარ დაშნაშავე, აქამდე უნდა მეფიქრა, — ბარნი წამოდგა და დინჯი ნაბიჯებით შივიდა ფანჯარასთან, — მისის სმიტმა საგონებელში ჩამაგდო, — გაიმეორა. — დიდად უცნაური ქალია. დააკვირდი? თითქმის არ მიჰკარებია საჭმელს, იჯდა და თვალს არ გვაშორებდა.

მისტერ ჯეფერსონი თავის წელანდელი შეცბუნების გასამართლებელ მიზეზს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. მეც შეგნებულად არ ვკეთიხებოდი, თუ რატომ ჩაგდო მისის სმიტმა საგონებელში, ვგრძნობდი, დამაჯერებელი პასუხი ვერ არ ჰქონდა მოფიქრებული.

— ამ პატარა ვასაუბრების გამო, შეიძლება აშხელა აყალმაყალის ატეხა?! — განაგრძნობდა წუწუნს მისტერ ჯეფერსონი.

მისის სმიტისგან დატუქსული, ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო. იდგა რაფაზე იდაყვით დაყრდნობილი, სანახევროდ ფანჯრისკენ შეტრიალებული და, დარცხვენილი, თვალს ვერ მისწორებდა.

— კარგი, — ბრაზი მომივიდა, — მოვრჩეთ ამ თემაზე ლაპარაკს!

ჩემს სიტყვებს მისტერ ჯეფერსონის სრულიად მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა:

ჯერ მე გაიშტერა მზერა, გადაფითრდა, მერე მკვეთრად შებრუნდა ფანჯრისკენ და ხელის უღონო მოძრაობით თავისთან მიმიხმო.

— შეხედე, — ჩაიჩურჩულა დაძაბულობისაგან აკანკალებულმა, — უკვე დაიწყო.

იქვე, ეზოში, სათადარიგო შესასვლელის ახლოს მოახლე ეწი გრეი და უცნობი მამაკაცი იდგნენ.

მათი ხმა, რა თქმა უნდა, ჩვენამდე ვერ აღწევდა, მაგრამ რატომღაც, იმდენად საიდუმლოდ ჩავთვალე ეს გვიანი პაემანი, რომ ჩემი მეგობრის შიში არცთუ სამარცხეინოდ მომეჩვენა.

„რა ხდება?“ — გავიფიქრე და რამდენადაც სათადარიგო შესასვლელთან მბჟუტავი ერთადერთი ნათურა მაძლევდა ამის საშუალებას, შევეცადე, მამაკაცის სახის ნაკეთები კარგად შემეთვალიერებინა. სამწუხაროდ, მხოლოდ მუქი ფერის თმა და ოდნავ კეხიანი, მოგრძო ცხვირი გავარჩიე.

მამაკაცმა მოახლეს პატარა, პაკეტისმაგვარი საგანი გადასცა და მეზღვაურისებური, ტლანქი მოძრაობით ბალის სიღრმეში გაუჩინარდა.

— როდის შესძლო ამის შემოტანა! — მაგიდისკენ მიმახედა მისტერ ჯეფერსონმა, — ის ზომ ვერ კიბეზე ამოსულიც არ უნდა იყოს! არც ახლა დაიჯერებ, რომ ამ სახლში იღუშალი ძაღვები ბატონობენ?!

მაგიდაზე ორი ფინჯანი ყავა და ყავადანი იდგა.

მაგრამ ჩემი უურადღება უფრო ჩემი მეგობრის გაფითრებულ სახეზე გამოსახულმა მოზვიამე გამომეტყველებამ მიიქცია.

— ჩათვალე, რომ ორმოცი ათასი დოლარი გიბეში გიდეუს, — თქვა მან, — კაცი, რომელიც მოახლეს ელაპარაკებოდა, პროფესორის თანაშემწე იყო.

— პროფესორის თანაშემწე?! — გაცეხულმა გავიძეორე.

— დიახ, დარინ ვან ჰორნი არსადაც არ გამგზავრებულია, ის აქვე იმალება, სმიტების მამულში და მისი ადგილსამყოფელი მოახლემ იცის.

ჯენი გრეის მეორე სართულის დერეფანში, მზარეულისთვის განკუთვნილ ოთახთან მიუღწწარით.

— ჯენ, — შორიდანვე დაუძახა მისტერ ჯეფერსონმა, — ვინ იყო ის კაცი, თქვენ რომ ელაპარაკებოდით?

სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდით და აქეთ-იქიდან ამოვუდექით, თითქოს გვინდოდა, მისთვის გასაქცევი გზა მოგვეჭრა, ჩვენდა უნებურად გამოგვივიდა ასე, მსგავსი არაფერი გვიფიქრია, მაგრამ მოახლის ცივ სახეს ოდნავი აღელვებაც ვერ შევამჩნიე.

— ჯენ, ვინ იყო ის კაცი? — გაუძეორა კითხვა მისტერ ჯეფერსონმა.

— ვინ კაცი, მისტერ ჯეფერსონ?

— როგორ თუ ვინ! — განრისხდა ჩემი მეგობარი.

— ჯენი, — რაც შექმძლო თბილად მიემართე, — ჩვენ ორივემ, მე და მისტერ ჯეფერსონმა, ათიოდე წუთის წინ დაგინახეთ ეზოში მამაკაცთან ერთად. გვანტერესებს, ვინ იყო ის ჯენტლმენი, ვისაც თქვენ ესაუბრებოდით!

— მისტერ გრეჰემ, მე სამზარეულოდან ერთხელ გავედი მხოლოდ, თქვენს ოთახში ყავა შევიტანე.

— ყავა? — ამ სახლში მართლაც ზდებოდა საოცრებები.

— დიახ, ფანჯარაში იხედებოდით, — მორიდებით თქვა ჯენიმ, — ბალის თვალიერებით იყავით გართულნი, მისის სმიტმა კი სასტიკად ამიკრძალა თქვენთვის ხელის შესლა.

მისის სმიტას ხსენებისთანავე, თითქმის ზურგს უკან ქალის ხედიანი ამოიხზრა გავიგონე, სწრაფად შევტრიალდი და დერეფნის სიცარიელეს შევაღწეე თვალი.

„ეს მოჯადოებული სახლი, ნებისმიერს გადარევს, — გავიფიქრე. — უკვე სმენითი ჰალუსინაციები დამეწყო“.

— მის გრეი, — კატეგორიულად განაცხადა მისტერ ჯეფერსონმა, — მე კითხვა თავიდანვე არასწორად დავსვი, ამიტომ ფიქრობთ პასუხზე თავის არიდებას. მე და მისტერ გრეჰემმა შესანიშნავად შევათვალისწინეთ ის კაცი და ზუსტად ვიცით მისი ვინაობა. დიახ, მის გრეი, ტყუილის თქმას აზრი არა აქვს, ბლექსტონში დიდი ხანი არ ვცხოვრობ, მაგრამ დარინ ვან ჰორნი სხვაში ნამდვილად არ შემეშლება, აუცილებლად უნდა გვითხრათ, სად იმყოფება, მისტერ სმიტის მკვლელობის საქმეს სხვანაირად ვერ გამოვიძიებთ. გესმით? მისტერ დარინ ვან ჰორნის ნახვა აუცილებელია! თქვენ ხომ გიყვარადათ მისტერ სმიტი? მიპასუხეთ, ხომ პატივს სცემდით?

— მისტერ ჯეფერსონ, სამზარეულოდან მხოლოდ ერთხელ გავედი, თქვენთვის ყავის მოსატანად, — ჩვეული აუღელვებლობით უპასუხა მოახლემ, — მისის სმიტს ჰკითხეთ, თუ არ გჯერათ, ისიც სამზარეულოში იყო, მისტერ სმიტს ელოდებოდა.

— მისტერ სმიტს? — ბარნიმ უიმედოდ გაასახსრა ხელუბი.

— დიახ.

ამჟამად იყო, აკადემიოფ მოახლესთან ჩვენი მშვენიერი დიასახლისის დახმარების გარეშე ვერაფერს ვავხდებოდით, მხოლოდ მისის სმიტი თუ ათქმევინებდა სიმართლეს.

— მის ჯენ! — უბრძანა მისტერ ჯეფერსონმა, — ახლავე მისის სმიტთან წამოგვევიო!

ჩემს მეგობარს წინადადება ბოლომდე არც ჰქონდა დამთავრებული, რომ ზედა სართულზე ფანჯრის მინა გატყდა. მხზვერვის ხმაურს უმაღლე ქალის განწირული კვილი და მძიმე საგნის იატაკზე დახეთქების ხმა მოჰყვა. ყოველივე ეს ბლექსტონის მდუმარებაში იმდენად შემზარავად გაისმა, რომ შიშის გრძნობამ მთელ სხეულში ელექტროდენივით დამიარა.

— მისის სმიტის საძინებელში რაღაც ხდება, — უკან მოუხედავად მომამახა მისტერ ჯეფერსონმა და მეც სირბილით გავეყვი.

ზედ საძინებლის კართან, იატაკზე საღამურ ხალათში გამოწყობილი მისის სმიტი ეგდო.

ოთახის შორეულ კუთხეში, ფანჯარასა და აფირავებულ ტელევიზორს შორის იატაკზე მინის ნამსხვრევები მიმოფანტულიყო. მე მაშინვე მისის სმიტთან ჩავიმუხლე, მისტერ ჯეფერსონი კი ფანჯარასთან მიიჭრა და ეზო და ბაღის ნაწილი ყურადღებით შეათვალიერა.

— ცოცხალია! — ვთქვი შვებით, — გული წახვლია მხოლოდ.

— ჯენ, სად გაქრა ჯენი! — მისტერ ჯეფერსონიც გონდაკარგულისკენ დაიხარა, — ჯენი მოიყვანე სწრაფად, მისის სმიტს მე მივხედავ.

მოახლე კიბეზე შემხვდა. ჩვეულებრივზე უფრო გაფერმკრთალებული და ავადმყოფურად თვალებამღვრეული სანაგვე ჰაკეტითა და ცოცხით ხელში მისის სმიტის საძინებლისკენ მოაბიჯებდა.

ოთახში შებრუნებულს მისის სმიტი უკვე გონს მოსული დამხვდა.

— შიგნით შემოსვლას ცდილობდა, — მისუსტებული ხმით ყვებოდა ის, ჩემკენ ხელს იწვდიდა, კიდევ კარგი, ფანჯარას გისოსები აქვს! მინა რომ გატეხა, ვიკივლე და მერე არაფერი მახსოვს. ისევე აქ იყო, თქვენს შემოსვლისას?

— მისის სმიტ, ამ ოთახში დარჩენა საზიფათოა, — თქვა მისტერ ჯეფერსონმა, — მინაც გატეხილია!

— მინას ჯუზეპე ჩასვამს, სხვა ოთახში ჩემს გადასვლას კი აზრი არა აქვს, მას ვერსად დავემალეები, — მისის სმიტს თვალეზე ცრემლი მოადგა.

— მთელი ღამე თვალს არ მოვუჭავთ, — მისტერ ჯეფერსონმა მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა, — შიში ნურაფრისა გექნებათ! წელან ეზოში მის ჯენი გრეი და მისტერ დარინ ვან ჰორნი შეენიშნეთ, ცოტა მაგან მოგვიდუნა ყურადღება...

— ვინ? — შეაწყვეტინა მისის სმიტმა, — დარინ ვან ჰორნი?

— დიახ.

— სისულელეა! თქვენ, როგორც ვატყობ, მიზნად დაისახეთ დამნაშავის მაინცდამაინც ჩემს სახლში აღმოჩენა, უბედურება კი იმაშია, რომ ედვინს ცოცხალს ვხედავ, ცოცხალი მესტუმრება ხოლმე!.. თუმცა, იქნებ თქვენ არცა ხართ დამნაშავე და კერძო დეტექტივების ნაცვლად, სჯობდა ვინმე შამანი ან სულელების შემლოცველი დამექირაებინა!

მისის სმიტი მოახლეს დაემოწმა, სამზარეულოდან მხოლოდ ერთხელ გავიდა ყავადანით ზელშიო და ამით საბოლოოდ მოაქცია ძიების პროცესი ჩიხში. მოახლე ერთი და იმავე დროს ეზოში საუბარსა და ოთახში ყავადანის შემოტანას ვერანაირად ვერ მოახერხებდა. თუ ვივარაუდებდით, რომ მოახლე და ბლექსტონის დიასახლისა ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, მაშინ თავიდან ბოლომდე ყველაფერი უაზრობა გამოდიოდა, — საერთოდ, რატომ ჩამოიყვა-

ნა მისის სმიტმა მისტერ ჯეფერსონი, თუ ძიების ჩატარებაში თვითონვე შეუ-
 შლიდა ხელს?

ბოლოს და ბოლოს, თუ არ უნდოდათ, რომ დარინ ვან ჰორნი არ დაგვენახა,
 რატომ დადგენენ სინათლეზე, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას და თუ დასამალო-
 არაფერი აქვთ, რატომ უარყოფენ მოახლე და მისის სმიტი პაემანის არსებობას?

რადგან ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ მომხდარ ფაქტებში მაინც ვერ გავერკვიეთ,
 მისტერ ჯეფერსონი მისტიკასა და ოკულტიზმში ჩაიძირა. მისთვის რომ და-
 მუჯერებინა, გამოდიოდა, თითქოს იმთავიდან იღუმალი ძალები განაგებდნენ
 მთელ კაცობრიობას, ხოლო ამერიკის ორივე კონტინენტი დასაბამიდან საგსე
 იყო ეშმაკეულებით, დემონებით, ავსულებით...

— როდესაც ესპანელმა კონკისტადორებმა ინკების სახელმწიფო დაანგრეს,
 — გატაცებით მიყვებოდა მეგობარი, — უამრავი სხვადასხვა ტომის ინდიელი გა-
 იჟლიტა. ფრანცისკო პისაროს, რომელიც ამ აქციას ხელმძღვანელობდა, რამ-
 დენიმე მეომარი გამოუყვია ბანაკისათვის შერჩეული ადგილის დახოცილთა
 გვამებისაგან გასათავისუფლებლად. როდესაც საქმეს შესდგომიან, დაჭრილი
 ინდიელი, მანამდე მკვდარი რომ ეგონათ, ერთ-ერთ ესპანელ მეომარს შშიერი
 მგელივით კბილებით ყელში ჩაფრენია. ინდიელი მაშინვე მოკლეს, მაგრამ მის-
 გან დაპებენილი მეომარიც თურმე იმავე ღამით გარდაიცვალა, ხოლო მეორე დი-
 ლით, მკვდრეთით აღმდგარი მეომარი ზუსტად იხევე, როგორც მას გაუკეთა
 ინდიელმა, კბილებით ყელში ჩააფრინდა ესპანელ თანამებრძოლს...

— და ასე გრძელდება დაუსრულებლად? — ირონიულად ჩაურთო.

— კაცობრიობას მრავალი ლეგენდა და მითი ახსოვს მკვდრეთით აღდგომის
 შესახებ. მე არ ვლაპარაკობ ღვთიურ აღდგომაზე, საქმე ეხება ხრწნადი სხეუ-
 ლის გაცოცხლების შემთხვევებს.

მისმა რწმენამ ჩემზე კვლავ გადამდებად იმოქმედა და ზუმრობის განწყობი-
 ლება დამეკარგა, ან რა გვეზღვრებოდა? კარგამოდებულ ოთახში ვისხედით
 ერთიანად გაფაციცებულნი და მთელი ყურადღება მისის სმიტის საძინებლისა-
 კენ გვექონდა მიმართული.

— ცხადია, ძნელი დასაჯერებელია ეს ყოველივე, — დაბალ ხმაზე განაგრძობ-
 და მისტერ ჯეფერსონი. — მაგრამ იმის შემდეგ, რაც მე საკუთარი თვალთ
 ვიხილე, უკვე არ ვიცი, სხვა რა ვიფიქრო!

— იცი, ჩვენ რას ვიზამთ? — ვთქვი ჩურჩულით.

— რას?

— თუ მისის სმიტი დაგვეთანხმება, წავალთ სასაფლაოზე, წავიყვანთ ექსპე-
 რტს და შევამოწმებთ, მართლა იქ მარხია მისი მეუღლე, თუ მასობრივი ძალუ-
 ცინაციის მსხვერპლნი შევიქენით შენც და სამგლოვიარო პროცესის დამსწრე
 მთელი საზოგადოებაც.

— მისის სმიტმა რომ მოგვეცეს კიდევ მაგის უფლება, პოლიციის დეპარტამე-
 ნტი არ დაგვრთავს ნებას. ეგ საქმე ოფიციალურად დამთავრებულია, თვითმკვ-
 ლელობად ჩაითვალა და მორჩა.

— კანონი იმიტომ არსებობს, რომ ზოგჯერ დავარღვიოთ კიდევ.

შეკავებული ხორხოციტ წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა, როგორც
 აღნიშნა, მუხლის ჩასახრელად:

— ჩემი აზრით, მისის სმიტს ცუდი არაფერი ელის, მაგრამ ყურადღებას მა-
 ინც ნუ შევანელებთ, კარს ნუ მიხურავ, მეც ღიად დავტოვებ. რადგან მისტერ
 იმპევენიდან დაბრუნებულს მატერიალური სხეული გააჩნია, მისი მოკვლა არ
 იქნება ძნელი, ასე რომ, შიშს ნუ გაივლებ გულში!

მშვენიერად ვხვდებოდი, მისი ზედმეტი ფახიფუხი რითაც იყო გამოწვეული.

ძვალსა და რბილში გამჯდარი შიშის გრძნობა ვერ დაეძლია.

უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბარნი ჯეფერსონი მშიშარა კაცად არასოდეს ითვლებოდა. ყმაწვილობის ჟამს მასთან ერთად გათენებადღე მიხეტიალია ჩიკაგოს ყველაზე საეჭვო უბნებში, სამხრეთი მხარის ზანგთა კვარტალში და ოდნავი შეცბუნებაც არ შემომჩნევია, პირიქით, დაძაბულ სიტუაციაში ისეთი გოროზი და შეუპოვარი ხდებოდა, რომ ყველაზე თავზეხელაღებულებსაც ეკარგებოდით კონფლიქტის გამწვავების ყოველგვარი სურვილი.

აბა, რა დაემართა, რამ შეცვალა ასე ჩემი მეგობარი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს:

ადრე, ნებისმიერი კონფლიქტის მონაწილენი ჩვეულებრივი ადამიანები, შეიძლება, სხვებზე ცოტად თუ ბევრად აგრესიულები, მაგრამ მინც ჩვეულებრივი მოკვდავები იყვნენ, ახლა კი, მისი ღრმა რწმენით, საქმე ჰქონდა არაბუნებრივი, იღუმალი ძალების მოქმედებასთან და ამგვარი ფიქრი საშინლად აფრთხობდა. საწოლზე გაუხდელად წამოვწიქი.

მგზავრობითა და უცხო შთაბეჭდილებებით დაღლილს ერთი სული მქონდა, თვალი მომეხუჭა, თუმცა მთელი ჩემი არსება მოეცვა რაღაც გამოუცნობის მოლოდინს და ავი წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ ყურადღების მოდუნება არამც და არამც არ შეიძლებოდა.

მისტერ ჯეფერსონისაგან განსხვავებით, მე არ მჯეროდა ზებუნებრივი მოვლენების, ღიმილს მგვრიდა მისი მონაყოლი ზომბებსა თუ ავსულებზე, მაგრამ ჩემი მწერლური ლოგიკიდან გამომდინარე, სადღაც, გულის კუნჭულში მის მისტიკურ მოსაზრებებსაც ვაძლევდი არსებობის უფლებას. მართლაცდა, რით უნდა ახსნილიყო, რომ კაცი, რომელიც გარდაიცვალა საიდუმლო ვითარებაში, რომელიც დაასაფლავეს რამდენიმე ათეული ადამიანის თვალწინ, უკვე მესამე დამის განმავლობაში ზედიზედ, საკუთარ ცოლს საყვებით რეალურად ეცხადებოდა, იმდენად რეალურად, რომ მის საძინებელში ფანჯრის მინაც კი ჩაამსხვრია.

ამგვარ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც ფრთხილი, მოკლე ნაბიჯების ხმა შემომესმა, თითქოს ფეხის წვერებზე დადიოდა ვიღაც. უზმაუროდ მივირბინე გამოღებულ კართან, ჩემი ერთადერთი იარაღი გრძელი, ესპანური დანა გაეხსენი და დერეფანი მოვათვალე. საცხოვრებელი ოთახების იქით, სამარქაფო კიბის დასაწყისში ეულად ენთო მომცრო ჭალი, მაგრამ მის სინათლეზეც შეიძლებოდა დანახვა, რომ დერეფანში ჩემს გარდა არავინ იყო. დერეფნის მთელ გაყოლებაზე მჭიდროდ მიხურულმა ყველა კარმა და გარედან ჩემს სმენამდე მოღწეულმა ხეთა შორეულმა შრიალმა შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ არა მარტო ამ მოჯადოებულ სახლში, თვით სმიტების მამულშიც ადამიანთაგან მხოლოდ და მხოლოდ მე ვიმყოფებოდი.

ფეხაკრეფით გავემართე იმ მიმართულებით, საიდანაც ჩემი ღრმა რწმენით, ნაბიჯების ხმა მოისმოდა. კატასავით უჩუმრად ჩაუვარე ბანქოს სათამაშო ოთახს, მისის სმიტის საძინებელს და საძინებლის პირდაპირ მდებარე მისტერ ჯეფერსონის ოთახის კარს მივაწიქი.

— ბარნი, — დავიჩურჩულე, — გძინავს?

ხელის ცეცებით მოვძებნე ჩამრთველი.

ბდღვრიალა სინათლემ თვალი მომჭრა.

არც ოთახში და არც აივანზე მისტერ ჯეფერსონი არ აღმოჩნდა.

დერეფანში შეჩერდი და, საგონებელში ჩავარდნილმა, მიმოვიხედე. სად შეიძლებოდა წახულიყო? სააბაზანოში? მგზავრობისა და ორიოდ სირჩა ვისკის

შემდეგ, შხაპი არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ ასე უპასუხისმგებლოდ როგორ მი-
 ატოვებდა მისის სმიტს?

გზა უფრო ენერგიულად გაავარძელე, — თითქოს მინდოდა კიდევ, მისის
 სმიტს რომ გაღვიძებოდა, ან მისტერ ჯეფერსონს გაეგო ჩემი ნაბიჯების ხმა
 და გამოშპასუხებოდა. მართლაც ძალიან ობლად ვგრძნობდი თავს. სააბაზანო
 დერეფნის ბოლოში მდებარეობდა, იქვე, სადაც ასე საცოდავად ბუუტავდა ჭა-
 ლი და სადაც ვიწრო კიბე ეშვებოდა მესამე სართულიდან სათადარიგო შესასვ-
 ლელისაკენ. უცებ სწორედ კიბის პლატფორმიდან მომესმა უცნაური ხმა, რაღაც
 საშუალო ოხვრასა და ამოკენესას შორის, თითქმის სტრესულ მდგომარეობაში
 მყოფმა გავაკეთე რამდენიმე ნახტომი და თავს წავედექი მიცვალებულივით გა-
 ფითრებულ მისტერ ჯეფერსონს. ის, საფეხურებთან ჩაცუცქული და ტუჩზე სა-
 ჩვენებელ თითაფარებულად, ენერგიულად მანიშნებდა, სინუშე დაიცავიო. როდეს-
 საც დარწმუნდა, რომ სათქმელს მივუხვდი, კიბის კუთხეში, მეორე სართულზე
 დატანებულ ფანჯრისაკენ გაიხედა. მის მხერას თვალი გავადევნე და შიშისა-
 გან ძარღვებში სისხლი გამეყინა.

მინის იქიდან მისტერ სმიტის უსხეულო თავი იშზირებოდა. სხეული მკერდის
 ქვევით ქქონდა მოწყვეტილი, სახეზე კი ჯანსაღი ბრინჯაოსფერი დაჰკრავდა.
 უცრად თავი შეტოკდა, ფანჯარას განეშორა, ერთხელ კიდევ ზერელედ შეგ-
 ვათვალიერა და უკან, ბაღისკენ იწყო გადაადგილება.

— არ ჩამომრჩე! — დაბალი, მტკიცე ხმით მიბრძანა მისტერ ჯეფერსონმა და
 კიბეზე დაეშვა.

მივხვდი, რომ ჩემს მეგობარს ჩვეული სიმხნევე და თავდაჯერებულობა დაბ-
 რუნებოდა, მაშინ როდესაც მე პირიქით, შიშს ვყავდი ატანილი.

ეზოში გასვლისთანავე კვლავ ფანჯარას შევხვდი.

მოჩვენება უკვალოდ გამქრალიყო.

— ბაღისკენ! — მომესმა ბარნის ჩურჩული, — ბაღისკენ ვიღაც გარბის!

ბაღისკენ გავძუნძულდიო.

მართლაც შორეული სუსტი ხმაური გავიგონე, თითქოს ჩვენს წინ სიბნელე-
 ში ვიღაც გარბოდა. მალე ჩვენც ბაღის უკუნში გავეხვიეთ. რაც შეგვეძლო სწრა-
 ფად მივაბიჯებდით გიგანტურ ხეებს შორის. წინ გაწვდილი მარცხენა ხელით
 ვიცავდი თავს ეკლიანი ბურქებისაგან, მარჯვნივ კი ჩემი უსუსური იარაღი —
 ჯიბის დანა მქონდა ჩაბღუჯული. მოძრაობის ერთადერთი ორიენტირი მება-
 ლის სახლთან ანთებული ნათურა იყო, რომლის სუსტი სინათლაც ხეთა მსხვი-
 ლი ვარჯების მიღმა დროდადრო გამოკრთებოდა ხოლმე.

— დანახე? — ჩავეკითხე მისტერ ჯეფერსონს, როდესაც მებაღის სახლის
 წინ ჩაბნელებული ტევრის პირქუშ ფარდაზე უზარმაზარმა ჩრდილმა გადაირბი-
 ნა და იმწამსვე ბაღის სიღრმეში გაუჩინარდა.

— არ ჩამომრჩე, — კბილებში გამოცრა ჩემმა მეგობარმა, — არ დაგავიწყდეს,
 უიარაღოდ რომ ხარ!

ის უკვე აბსოლუტურად ფლობდა საკუთარ ნერვებს და სწრაფად და წინდა-
 ხედულად მოძრაობდა.

მებაღის სახლს ჩავერბინეთ.

ჩვენმა ჩრდილებმაც გადაუქროლეს ხეთა ჩაშავებულ ფარდას.

ოდნავ გამოღებულმა კარმა წამით მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ მისტერ
 ჯეფერსონმა მაშინვე ხელის მძაფრი მოძრაობით მანიშნა, შეჩერების დრო არ
 არისო და ნაბიჯის შეუწყვეტლად გადაჭრა მომცრო ეზო. ბაღის სიღრმეში
 ხედახდა შესვლისთანავე კაცის საზარელმა ღრიალმა შეძრა მდუმარე გარემო.
 ეს ამაზრხენი ხმა არც მშველელის მისახმობად იყო გამიზნული, არც რისხვისა.

თუ შიშის გამოსახატავად, ეს იყო განწირული ადამიანის პროტესტი იმ გამოუვალი მდგომარეობის მიმართ, რომელშიც ბედისწერის მუხანათობით ჩავარდნილიყო. მაშინვე მომაკვდავის უკანასკნელი ამოხრიალებაც გავიგონეთ.

— გოლფის მოედნისკენ! — ჩამწურჩულა ბარნიმ. — ხმა იქიდან ისმის.

ბალის განაპირას, გოლფის მოედნისკენ მიმავალ გზაზე ჩვენკენ ზურვით რაღაც არსება დახრილიყო, მის ფეხებთან კი მამაკაცის სხეული ევლო. ნაბიჯების ხმაზე ჩვენკენ შემოტრიალდა ქალის უჩვეულოდ შეშლილი სახე და მისმა თვალებმა მისტერ ჯეფერსონის სანთებელას ალზე დამეული ცხოველის თვალებით დაიკვესა.

— ვამპირი, — წაეჩურჩულე და მონუსხულივით ადგილზე გავქევიდი.

— ჯენი! — აღმოხდა მისტერ ჯეფერსონს.

ჯენიმ სისხლით მოსვრილი ტურები ენით გაილოკა, მერე ძლიერი, მოქნილი მოძრაობით გაიმართა წელში და რამდენიმე უზარმაზარი ნახტომით ბალის სიბნელეში მიიმალა. ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ბარნიმ სროლაც ვერ მოასწრო.

— მებაღე! — ჩაილაპარაკა მან, როდესაც მოკლულთან დაიხარა, — საბრალო, ერთი საათის წინ ჩემთან იყო.

მებაღის დამახინჯებულ თავს ძრწოლაატანილმა თვალი მოვარიდე და იმ მიმართულებით გავიხედე, საითკენაც მოახლე გაუჩინარდა.

— მისტიკური ბალი, — ეთქვი ხმის კანკალით.

საკუთარი სიტყვებით მოჯადოებულს, სმიტების ბალი რაღაც საშნელ დემონურ არსებად წარმომიდგა, რომელიც ყველაფერს ისმენდა, ხედავდა და თავის ნებაზე ისე გვათამაშებდა, როგორც კატა ბრჭყალებში მოქცეულ თავგს.

— ქვით მოუკლავს, — ბარნიმ შორიახლოს დაგდებული ქვა აიღო, — სისხლი აცხია.

— მებაღე იყო შენთან? — მისი ნათქვამი გვიან გავიაზრე.

— კი, — მიპასუხა მოკლედ და სიჩუმეს მიაყურადა.

ამჟამად გავიგონე ჩვენკენ მომავალი ნაბიჯების ხმა.

სმიტების მამულში ყოფნა სმენას წარმოუდგენლად ამახვილებდა.

— ამ ბაღში გასაოცრად ისმის! — ჩემს ნაფიქრალს დაეთანხმა მისტერ ჯეფერსონი, — ყოვლად შეუძლებელია ხეების შრიალში რამის გარჩევა, მაგრამ თავი მომჭერი, თუ მისის სმიტი არ გვიახლოვდებოდეს!

მართლაც, მისი სიარულის მანერა სხვისაში არ შეგვეშლებოდა.

უშიშრად მოგვიახლოვდა, ჯიბის ფარანი მოგვანათა საითთაოდ და სინათლის ჭავლი მებაღის დამახინჯებულ გვამზე შეაჩერა.

— რა მოხდა, ჯენტლმენები? — იკითხა შესაშური სიმშვიდით, — ამ საბრალოს ვისთვის რა უნდა დაეშავენბინა?

— ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, მისის სმიტ, საქმის აღძვრის უფლებას კი, იმედია, ახლა მაინც მოგვცემენ.

— მისტერ ჯეფერსონ, თქვენი აზრით, ამ საბრალოს მკვლელობას რამე საერთო აქვს ედვინის მკვლელობასთან?

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით... ეგ ის რეკოლვერია, მისტერ სმიტის საქმეში რომ ფიგურირებს?

მხოლოდ ახლა შევამჩნიე მისის სმიტის ხელში იარაღი.

მან რეკოლვერი მარჯვედ შეატრიალა და ტარით მიაწოდა მისტერ ჯეფერსონს.

— „კინე კობრა“, — ფარნის სინათლეზე წაიკითხა ბარნიმ.

— არა, — უპასუხა მისის სმიტმა, — ის სმიტ-ვესსონის ძველი მოდელია. ეს

რევოლუციონერი მე შეგუთნის. ხმაური შემოძვრება და რადგან თქვენც არ იყავით, მიეხვებით, ბალში რაღაც ხდებოდა.

— შემოძვრის მოცილებლად, მისის სმიტ, კოლტის სისტემის დიდებული აარადი შეგიძენიათ. კალიბრი მაგნუმ 357. კიდევ კარგი, თქვენს მოახლეს არ ჩაუვარდა ხელში, რამდენი ბოროტების ჩადენა შექმნილი იქნება კვლავ ჭკვიდან შემოვალა.

— მოახლეთ? — პირველად შეეტყო აღელვება მისის სმიტს, — ჯენი რა შუაშია?

— ჰო... თქვენ ხომ არც იცით! — რატომღაც ნიშნის მოგებით წარმოთქვა მისტერ ჯეფერსონმა, — მებაღე თქვენმა მოახლეთ მოკლა.

მისტერ ჯეფერსონმა პოლიციელები გააცილა და ოთახში ჩაფიქრებული სახით შემოვიდა:

— დარინ ვან ჰორნის ძებნა დაიწყეს, ალბათ, მოახლესაც რამდენიმე საათში იპოვნიან, — უგემურად მოსვა ყავა, — რა საოცარ ნახტომებს აკეთებდა ამხელა ქალი, ამოდენა წონა და... რას უნდა მიეცა მისთვის ასეთი არაჩვეულებრივი ძალა! ადამიანის სისხლს? ვამპირებზე გამოიგონია, კუბოში იძინებენო, ნიორს ვერ იტანენო... ნამდვილი ვამპირი პირველად ენახე! სანამ მებაღის კისერზე ნაკბენი ყურადღებით არ დავათვალიერე, ვერც მივხვდი, თუ რას აკეთებდა გვამზე დახრილი.

— სისხლს სწოვდა, — ჩაილაპარაკა და ტანში უამურად გამაჟრჟოლა.

— ბალში იქნება მიმალული, სხვაგან ვერსად წავიდოდა. სამხრეთით დასახლებაა, დასავლეთით — მდინარე და ისევ დასახლება, დარჩენილ ორივე მხარეს — გაუგალი ჭაობები.

— რა საოცრად გარბოდა! დაუჯერებელი რამ ენახე!

— შენ იმაზე ბევრად მეტი ნახე, რასაც ელოდი, — გაიცინა ჩემმა მეგობარმა, — შეკვრებით აღმდგარ მისტერ სმიტთან გაცნობას გპირდებოდი და ვამპირიც გაგაცანი. კარგია, პოლიციელებთან რომ არაფერი ვთქვით, ვამპირის არსებობაც არ დაიჯერეს, ჩვეულებრივი შეკვლელობა ჰგონიათ.

— პირველი ღამის კვლობაზე მართლაც ბევრის ნახვა მოვასწარი. რა საზარლად ჰქონდა თავის ქალა გაჭეჭვილი!

ჩემი სიტყვების გაგონებისთანავე მისტერ ჯეფერსონი ფეხზე წამოიჭრა.

— როგორ დამაიწყდა! — წამოიძახა ბრაზით, — უძილობამ და მისტიფიკაციებმა საბოლოოდ გამომაჩერჩეტეს! სასწრაფოდ მოახლის ოთახში შევიაროთ ვიდრე პოლიციელები მოიფიქრებენ ამის გაკეთებას!

თითქმის სიბიძლით ჩამიყვანა მეორე სართულზე, მზარეულის ოთახთან ფრთხილად მიმოიხედა და პატარა, ჯავის მსგავსი ხელსაწყოთი ჩაკეტილი კარი ადვილად გახსნა.

სუფთა, ვრცელ ოთახში კარადა, საწოლი, ტელევიზორი და ორიოდ სავარძელი იდგა. დათვალიერებას ბევრი დრო არ დასჭირვებია, რამდენიმე წუთში გამოიკვლია ყველა კუთხე-კუნჭული და ბოლოს, ტელევიზორში ჩამონტაჟებული ფლუორიდან ვიდეოკასეტი ამოიღო.

— ალბათ, ამაზე მითხრა, — მომშარტა საქმიანად. — წამალი კი ვერსად ვიპოვი.

რადგან მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე, მხრები ორჭოფულად ავიჩქე.

— მომიხმინე, ირვინ, — ჩემკენ გადმოიხარა, მხარზე ხელი მომიტათუნა, — ვიდრე სამარტაფო კიბესთან შევხვდებოდიოთ ერთმანეთს, საბრალო ჯუზეპე იყო ჩემთან, ჯენისა და დარინ ვან ჰორნის პაემანზე შელაპარაკა. ჩვენ შორს ვიყავ-

ვით, ვერ მოვისმინეთ მათი საუბარი, მებაღეს კი ყველაფერი კარგად გაუგონია, რადგან იქვე მდგარა, ენგელმანის ნაძვების უკან. მითხრა, დარინ ვან ჰორნმა მოახლეს წამალი და ვიდუოკასეტა მისცა, თან უბრძანა, ახლავე დალიე, ნულარ დაავკიანებ, შერე ფილმს უყურე და ფილმის დამთავრებისთანავე მისის სმიტს შეუარე, რაღაც დავალება უნდა მოგცესო.

— დაიმახსოვრებდა მაგდენს ავადმყოფი მოახლე? — ეთქვი ღიმილით.

— საქმე სხვა რამეშია — გამიწყრა მისტერ ჯეფერსონი, — დარინ ვან ჰორნს საიდან უნდა სცოდნოდა მისის სმიტის დავალების შესახებ, ან რა დავალება-ზეა ლაპარაკი? მისის სმიტს საკუთარ მოახლესთან შუამავლები რაში სჭირდებოდა?

— ვკითხოთ მისის სმიტს.

— როგორ უნდა ვკითხოთ, როცა სასტიკად უარყოფს მოახლისა და დარინ ვან ჰორნის პაემანის არსებობას! მაგრამ არის კიდევ სხვა შეუსაბამობაც... ჯენი გრეი, საბრალო მებაღის თქმით, დარინ ვან ჰორნს ექიმად მოიხსენიებდა...

— შერე რა? მისთვის ყველა ექიმი იყო... პროფესორიც, თანაშემწეც... თვითონ ექიმიცა და შეიძლება, მისის სმიტიც. მას ყველანი მკურნალობდნენ.

— არა, შენ სწორად ვერ გამოიგე. ჯენი მას მისტერ პირსს უწოდებდა, დარინ ვან ჰორნი კი სულაც არ ცდილობდა თუმე მისი შეცდომის გასწორებას.

— რატომ?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, — ამ სიტყვებით მივიდა ფლეიერთან და კასეტში ჩადო:

— ენახოთ მაინც, რა ფილმი შესთავაზა!

პირველივე კადრმა გადატანილი მღელვარება ხელახლა გამიცოცხლა.

ზიზღით მოვარიდე თვალი ეკრანს.

დაბურულ ტყეში ვამპირს ქალი შეეპყრო და გადახსნილი სამილე არტერიიდან სისხლს სწოვდა.

— დარინ ვან ჰორნი იყო ის კაცი, თუ მოჩვენება, — კბილებში გამოსცრა მისტერ ჯეფერსონმა, — ერთი რამ ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ ჯენი გრეის ვამპირიზმი სჭირდა.

— ასეა თუ ისე, — ეთქვი და კარისკენ ვავემართე. — მკურნალობის მეტად უცნაური მეთოდები ჰქონიათ.

ჯეფერსონმა დასვენება არ მაცალა, ზეავივით დამატყდა თავს. მისი დაუცხრომელი ენერჯია ჭეშმარიტად აღფრთოვანებას იმსახურებდა. მე პირადად განთიადისას მიღებული ნერვიული სტრესისაგან იმდენად ვიფავი გადაღლილი, საშუალება რომ მოეცათ, ოცდაოთხი საათის განმავლობაში გვერდშეუცვლელად წაუუძინებდი.

— პოლიციელებმა ვერაფერს მიაკვლიეს, — აღუღვებით მითხრა მან, — ვერც დარინ ვან ჰორნის და ვერც მოახლის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. ჩემმა ნაქებმა დობერმან-პინჩერებმაც მწარედ გამიცრუეს იმედი, ერთმა ზედ მდინარესთან დაკარგა კვალი, მეორემ — სმიტების მამულის გადასახვევთან ცენტრალურ ტრასაზე. ორი პოლიციელიც უკვალოდ გაქრა. მართალია, ძებნა გრძელდება, მაგრამ ეძებენ ბრმად, ბედისწერის წყალობაზე დაყრდნობით. ბრიგადა ჯუსეპეს სახლისა და გოლფის მოედნის მიდამოებშია ლოკალიზებული, დასავლეთი მხარე და მდინარის სანაპირო უკვე მთლიანად გადაუჩრებკიათ. იქ ბაღი საკმაოდ მეჩხერია და თითქმის შეუმღებელია კაცის დამალვა, მეორე ნაპირიდან კი, — დასახლებას ვუვლისხმობ, — ყველაფერი ხელისგულივით ჩანს.

— სამარცხვინოა! — რაც შემძლო ფიზიკურად ვთქვი, — სამარცხვინოა პირდაპირ!

— სამარცხვინო და მერე როგორი! — ხავეს სპორტული ჩანთა შემოდო ჟურნალების მაგიდაზე, — არ დაგავიწყდეს, ოპერაციაში ოც კაცზე მეტი იღებს მონაწილეობას! შემთხვევით ვინმე რაღაც კვალს მიაგნებს და მშვიდობით ჰონორარო, ჩიკაგოში უნდა დაებრუნდეთ სამარცხვინოდ ხელცარიელები!

სრული თანხმობის ნიშნად დაუქნიე თავი.

— მისის სმიტი ერთი წუთითაც არ დაეტოვოთ უყურადღებოდ! — მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა ჯეფერსონმა, — სად მთავრდება მისტიკა და სად იწყება ცხადი, კაცი ვერ გაიგებს!

— მე უკვე ყველაფერი მისტიკურად მეჩვენება, — შევნიშნე სევდიანად, ტყუილად ვკარგავთ დროს, მისის სმიტმა მართალი თქვა, ამ საქმეს შამანები და კუდიანები თუ აუღებენ ალღოს. მე ფიზიკოსი არა ვარ, მაგრამ... იქნებ ამ ადგილას, მიწის წიაღში მეცნიერებისათვის უცნობი მაგნიტური ველები მოქმედებენ.. ან სულაც რომელიმე გადაქტიციდან ჩამოფრინდნენ კოსმიური ურჩხულები და ისინი დებულობენ გარდაცვლილთა გარეგნობას! სხვა, არ ვიცი, რა ვიფიქრო! — დავასრულე ნაძალადევი სიცილით, — ასე უსუსურად არასოდეს მიგრძენია თავი.

— შეიძლება, ნაწილობრივ ასეც იყოს, — ჯეფერსონი სპორტულ ჩანთას გადასწვდა, — აი, რა უპოვიათ ამ დილით დასახლებაში!

უნებურად ამოვიკენესე.

მისტერ ჯეფერსონი ხელში პროფესორის მოკვეთილ თავს მაჩჩეხდა.

— დამშვიდდი! — მითხრა ხორხოცით, — დამით ასე არ შეშინებულხარ! ჰო, ჰო, ჩვეულებრივი მუყაოსა და სანთლისგან არის გაკეთებული. შიგნიდან — მუყაო, გარედან — ცვილის ნიღაბი. ზედაე კანაფის ორ ნაგლეჯს? ერთით საპაერო ბუშტზე ყოფილა გამობმული, მეორით, ალბათ, ამ სექტაკლის რეჟისორი ხარ. გებლობდა, კარგად კი გაგვასულელა, რას იტყვი! ჯერ მისის სმიტი, მერე ორი დოკლაპია!

— იქ რაღაც წერია, — ვთქვი, როდესაც ეს უცნაური თავი გულდასმით დავათვალიერე, — ავტორის ინიციალებსა ჰგავს.

— საესებით სწორია. ორი ლათინური ასოა. მუყაოზე „კ“ და „პ“. ჰენრი პირსი. ალბათ, გახსოვს ქენდი ჯორდანის მონაყოლი ექიმის მხატვრობით გატაცებაზე.

— ჰენრი პირსი, — გავიმეორე გაოგნებულმა.

— მალე ექიმი ჩვენთან გაჩნდება და, ალბათ, მოგვეცემს პატარა ახსნა-განმარტებას, მანამდე კი ამ მხატვრული შედეგის არსებობა საიდუმლოდ შევიხანხოთ. ეს სანთლის თოჯინა ერთი ცელქი ბიჭუნასაგან შევიძინე ორ დოლარად და მისი არსებობის შესახებ ბევრმა ჯერ არაფერი იცის.

— მინა? — ვიკითხე ორჭოფულად, — ხელის გამოწვდენა?

— მინა კენჭითაც იმსხვერუეა, ხელის გაწვდენა კი... მისის სმიტი ამაყი, მშვენიერი ქალია, მაგრამ ქალია და შიშით ათასი რამ შეიძლება მოეჩვენოს, — ჯეფერსონმა შემსუბუქებული სპორტული ჩანთიდან ორი ჯიბის ფარანი და ვისკის ბოთლი ამოაძვრინა, — ჩემი რჩევა იქნება, ფარანი ჯიბიდან არ მოიცილო, ვინ იცის, სად და როდის დაგვჭირდება, რაც შეეხება ამას, — სირჩები შეავსო, — სამარცხვინოა გამუდმებით ჩვენი მშვენიერი დიასახლისის კმყოფაზე ყოფნა. მოდი, მისი სილამაზე ვადღეგრძელოთ!

პროფესორის თავი დიდი მონდომებითა და სიზუსტით იყო გამოქანდაკებული ნატურალურ ზომაში. განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით კანის ფერა

გამორჩეოდა: ლოყებზე ოდნავ ავარდისფერებული და სახეზე თითქოს მზისგან ბრინჯაოსფრად გარუჯული.

— დაგვანახა ეს სათამაშო, გაუშვა ხელი კანაფს და ბაღში მიიმალა?

— ჩვენ მოახლეს გამოვედევნეთ, ფეხის ხმამ გაგვეტყუა, ის კი ადვილად მიმალებოდა.

— მიმალებოდა... ჰო, მაგრამ ვინ?

— როგორ იქ ვინ? — მისტერ ჯეფერსონს სახეზე გაკვირვება და აღშფოთება ერთდროულად გამოეხატა, — მაგას კითხვა უნდა? ვინ და, დარინ ვან პორნი!

— მაინც არ მესმის! — ამოვლერლე გაჭირვებით, — ჯერ დაგვანახვა... მერე თოჯინებით სპექტაკლი გაგვიმართა... რატომ? ხომ უნდა არსებობდეს მიზეზი? მიზანი?

— უნდა არსებობდეს... მის გარდა, სხვა ვერავინ იქნებოდა. შენ ალბათ, ისევე მძლოლზე ფიქრობ!

— არა, — შევეკამათე, — სხვა რამეს ვგულისხმობ...

— მატალე! — ხელის მოძრაობით შემაჩერა. — ლამის დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემი ვარაუდი დადასტურდა. საბრალო ჯუზეპემაც თავისი შემკვიდრება მძლოლს დაუტოვა, უფრო მეტიც, ანდერძში საკუთარ ვაჟიშვილად მოიხსენიებს. მათი მსგავსებიდან გამომდინარე, მიკვირს, ეს აზრი რატომ სხვებსაც არ მოუვიდათ. შენს სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათ საეჭვო მსგავსებას პირველივე დანახვაზე ჩაავლე. მისტერ სმიტმაც უეჭველად იცოდა მათი ნათესაური კავშირის შესახებ და ჯუზეპეს ხათრით, მის უკანონო ვაჟიშვილს ორი ათას ხუთასი დოლარი უანდერძა, პროფესორისთვის ეს თანხა არაფერს ნიშნავდა, მძლოლისთვის კი მთელი ქონებაა.

— შე სხვა რამ ვიგულისხმე.

— რა?

— იქნებ, — დავიწყე დაფიქრებით, — მძლოლმა წინასწარ იცოდა ანდერძის არსებობა და მან მოკლა ფულის დროულად ხელში ჩაგდებას მიზნით!

— მებაღე ჯენიმ მოკლა.

— ჩვენ არ დაგვინახავს მკვლელობის სცენა, ჩვენ მოკლული ვნახეთ.

— მძლოლი ჩიკაგოდან ჩამოიყვანეს დღეს ანდერძის გასაცნობად. მთელს ღამე საცოლესთან გაუტარებია დაბადების დღეზე. ათიოდე კაცი ჰყავს მოწმედ. ეგ აზრი სხვებსაც მოუვიდათ, უკვე მქონდა კამათი მაგ თემაზე და მძლოლის ალიბი იმიტომ გადავამოწმეთ. შენ ზუსტად ისევე მსჯელობ, როგორც მსჯელობენ პოლიციის ადგილობრივ დეპარტამენტში. პირდაპირ გასაოცარია აზროვნების სტილის ამგვარი მსგავსება, არ მინდა ვიფიქრო, რომ წერიტაც პოლიციელივით წერ, — ჩაიხიბოხითა.

— მაგას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, — ვუთხარი მკვახედ, — წაკითხვას გაიძულებს ვინმე?

— ვიზუმრე, ნუ იბუტები, — დამიყვავა ჯეფერსონმა, — ვიცო, წიგნებით ბლომად ფულს შოულობ. აი, ეს კი ჩემგან საჩუქრად, — სპორტული ჩანთიდან ორა პისტოლეტი ამოიღო და ფაქიზად დააწყო მაგიდაზე ერთმანეთის გვერდით, — დღეს შენი სანტაკლაუსი ვარს!.. ამ ორი პისტოლეტიდან ერთი შენია, ერთი — ჩემი, ეს „ბერეტა“, მ-92, — წინ მოაცურა ოდნავ მოგრძო რომელიც იყო, — მეორე გერმანულია „ჰელდერ-კოხის“ ფირმის, ფა-70. სიმძლავრე და წონა თითქმის ერთნაირი აქვთ, ბერეტაში თხუთმეტი ტყვია მიდის, გერმანულში — თვრამეტი, ამორჩევი რომელიც გინდა.

მისი ნალაპარაკებიდან ადვილად მივხვდი, ჩემთვის რომელიც იყო გამიზნული და ბერეტა ავიღე ხელში.

– მაღლობა, კარგი იარაღის შეძენაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

– კარგი ერთი, – ოდნავ დაირცხვინა მისტერ ჯეფერსონმა და მაგიდაზე და-
 რჩინილ პისტოლეტს თვალებით მოეფერა, – დამავეწყდა მეთქვა, რომ ფა-70
 მოკლე ჯერებიტაც ისერის... ახლა კი იარაღი შეინახე, წუთი-წუთზე ექიმის
 შემოსვლას ველოდები, ნუ შეაშინებ კაცს!

– მისტერ გრეპემი, მისტერ პირსი, – წარმადგინა ჯეფერსონმა თეთრ ხა-
 ლათში გამოწყობილ, მაღალ, ქერათმიან კაცთან, – ბოდიშს ვიხდი თქვენი შე-
 წუხებისათვის, მისტერ პირს, მისი სმიტს მარტო ვერ ვტოვებთ ამ შემოიღებულ სა-
 ხლში და კლინიკაში იმიტომ ვერ მოგაკითხეთ.

– საბოდიშო არაფერია, სერ, – თავაზიანი ღიმილით უბახუბა ექიმმა, – პო-
 ლიცია ამ დახმარება მთხოვა და მაინც ბლექსტონში უნდა მოვსულიყავი, გვაიმის
 ადგილზე გამოსაკვლევად.

– გამოკვლევამ ახალი დასკვნების გაკეთების საშუალება არ მოგვცა? – ჯე-
 ფერსონმა ექიმს სავარძელი შესთავაზა, – დარწმუნებული ვარ, თქვენ, თქვენი
 პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, მრავალ ჩვენთვის შეუძნეველ წერილმანს
 აღმოაჩენდით.

– ახალი დასკვნების რა მოგახსენოთ! – შეეყოყმანდა პირსი. – მოკლულია
 ქვით, სხეულზე ბრძოლის არავითარი სხვა კვალი არ ეტყობა... თუ არ მივიღებთ
 მხედველობაში, კისერზე ფრჩხილებით ამოგლეჯილ ხორცს.

– ფრჩხილებით?

– დიახ და ამის გაკეთებას წარმოუდგენლად დიდი ძალა ესაჭიროება.

– მამაკაცის ძალა?

– არა, თქვენ სწორად ვერ გამიგეთ. თითებისა და ფრჩხილების კვალი აშკა-
 რაა, მაგრამ თითები ფოლადის მარწუხებივით უნდა ყოფილიყო. გაგლეჯილია
 კუნთები, საძილე არტერია, დაზიანებულია კისრის რამდენიმე ძალა... და ეს
 ყველაფერი გამოწვეულია ხელის ერთადერთი მიკარებით.

– ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება? – ჩაილაპარაკა ჯეფერსონმა, –
 მსგავსი რამის გაკეთება ადამიანს არ შეეძლო?

– სწორედ ეგ არის ყველაზე საოცარი, რომ ადამიანის თითების კვალი აშ-
 კარაა, – დაბეჯითებით გაიმეორა ექიმმა.

– ჯენი გრეზე რას გვეტყვოდით? რით იყო გამოწვეული კლინიკიდან მისა
 გამოწერა, ჯანმრთელობის გაუმჯობესების გამო თუ მეცნიერული გამოკვლევე-
 ბის ბლექსტონში გაგრძელების მიზნით?

– შეცდომისგან არც ჩვენ ვართ დაზღვეულნი, მისტერ ჯეფერსონ, – მწარედ
 გაიღიმა ექიმმა, – მის გრევი დაახლოებით ერთი წლის წინ გამოვიდა კრიზისუ-
 ლი მდგომარეობიდან და ამის შემდეგ მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უმჯობე-
 სდებოდა. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ მისტერ სმიტს შეეძლო მეცნიერული მი-
 ზნებისათვის ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება.

– მაგრამ მე ვიცი, რომ ზოგიერთი ექსპერიმენტის შედეგი სავალალო იყო.

– არა, აქ ექსპერიმენტი არაფერ შუაშია. ავადმყოფმა, ვისაც თქვენ გულისხ-
 მობთ, მანამდეც, რამდენიმეჯერ სცადა თავის მოკვლა, ბოლოს კი სანიტრების
 უყურადღებობით ისარგებლა და ფანჯრიდან გადახტა... ჯენის პერიოდულად ვაძ-
 ლევდით ტრანკვილიზატორებსა და ანტიდეპრესანტებს, მისი მკურნალობა სულ
 ამით ამოწურებოდა, ამიტომ გამოჯანმრთელების პროცესის დასაჩქარებლად,
 ბლექსტონში ცხოვრება, მუშაობა და ნორმალურ ადამიანებთან ურთიერთობა
 მისთვის სასარგებლოდ მივიჩინეთ.

– ძირითადად თქვენ შერწმუნობდით?

— ბლექსტონში გადმოსვლის შემდეგ ძირითადად მისტერ სმიტი მკურნალობდა, ზოგჯერ მისი სმიტი და დარინ ვან პორნიც, იშვიათად ამის გაკეთება მკვინხდებოდა, როდესაც რაიმე მიზეზით სხვებს არ ეცალათ.

— უკანასკნელ ხანს ცვლილებები არ შეგიძინევიით?

— მნიშვნელოვანი არაფერი, — ორჭოფულად უპასუხა ექიმმა.

— ჩვენივის წვრილმანებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს! — დიდსულოვნად შეახსენა ჯეფერსონმა.

— ადრე მხატვრობით ვიყავი გატაცებული, — ღიმილით გამოგვიტყდა მისტერ პირსი. — ზოგჯერ ახლაც ვხატავ ხოლმე... მოგეხსენებათ ახალგაზრდული ამბიციების ამბავი, ჩემზე ნიჭიერი ვერავენ წარმომედგინა, ახლა კი, რა თქმა უნდა, ამ გატაცებას მხოლოდ ჰობის სახე აქვს.

ჯეფერსონმა თანაგრძნობით დაუქნია თავი.

— პატარა კოლექციაც შევქმენი, — გულახდილად განაგრძო ექიმმა, — ნატურალურ ზომაში სანთლისგან ჩამოსხმული ნიღბების, თავების, სახისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილების, შინაგანი ორგანოების... ამგვარი კოლექციის შექმნას ზუმრობის სახე ჰქონდა და ყოველ ახალ ექსპონატს სიურპრიზად ეახვედრებდა მეგობრებს. როდესაც პირველად მის ჯორდანს მისი სმიტის თავი ვაჩვენე, შიშისგან ლამის გული შეუღონდა, მაგრამ მალე ყველანი მიეჩვივნენ და გართობაში სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას. წარმოიდგინეთ, მიდის მანქანით დარინ ვან პორნი და უეცრად წინ მიმაჯალ მანქანაში ხედავს თავის თავს ბჭვენი მონა-მორჩილის გვერდით ან პირიქით, — ექიმმა გადამდებად გაიცინა და ჩვენც აყვევით სიცილში, თუმცა ამგვარი გასართობი პირადად მე გონივრულად არ მომჩვენებია.

— როგორც მივიხვდით, კოლექციის ნაწილი თქვენი მეგობრების ხელშია, — დააზუსტა ჯეფერსონმა.

— დიან, ზუსტად ასეა. უარი არასოდეს მითქვამს განუქებაზე და სწორედ ამიტომ დამამახსოვრდა ის უაზრო შემთხვევა.

— კერძოდ?

— ოთხი დღის წინ ერთ-ერთი ექსპონატი მომპარეს, უფრო ზუსტად, მომპარეს მისტერ სმიტის თავი.

— ვინ? — ვიკითხეთ ერთხმად.

— ჯენი იყო ჩემთან წამლის მისაღებად, მისი წასვლის შემდეგ კი... დანაკარგი შევნიშნე.

— ასე შეუმჩნევლად როგორ წაიღებდა?

— გაესინჯე, ტრანკვილიზატორი მივეცი და ხელების გადასაბანად გავედი... ჯენი გრეი, მისტერ სმიტის თავთან ერთად, უკვლოდ გაშქრალიყო. სიმართლე რომ გითხრათ, არ მწყენია, მას ისე უფარდა მისტერ სმიტი, ნამდვილად გულით ვაპატიე.

— ამ შემთხვევის შემდეგ აღარ გინახაუთ?

— არა.

— ვამბირიზმის რაზე ნიშანი თუ შეგიძინევიით?

— არა, — გაიცინა მისტერ პირსმა. — გამოვიტყდებით, მაგდაკვარი ავადმყოფობის არსებობაც მეუჭევა. ზოგიერთ სახელმძღვანელოში წამიკითხავს მსგავსი შემთხვევების შესახებ, მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პრაქტიკულად არც არსებობს.

— ვერ გაგიგეთ, — დაიბნა ჯეფერსონი. — თუ არსებობს აღწერილობანი...

— არსებობს, — შეაწყვეტინა ექიმმა, — მხოლოდ ბავშვობის ასაკში, ადრეულ

ასაკში... გამომწვევი მიზეზი უცნობია, როგორც კი მიუახლოვდება ასეთი ავად-
მყოფი სექსუალური მომწიფების ასაკს, უჭველად იღუპება.

— მაგრამ ჩვენ დავინახეთ, სისხლს როგორ სწოვდა, — ვთქვი მე.

— ასეთ სიბნელეში?

— სისხლიანი ტუჩები, გვამზე დახრილი...

— იქნებ მოასწრო მებაღემ წინააღმდეგობის გაწევა? შეიძლება მუშტიც უთა-
ვაზა და ტუჩები იმიტომ ჰქონდა დასისხლიანებული.

ამ დროს ოთახში პოლიციელმა შემოიხედა, მორიდებით იკითხა, თუ შეიძ-
ლებათ და მისტერ ჯეფერსონს პატარა ბარათი მიაწოდა.

— გამდლობთ, უჭველად დაერეკავ, — უთხრა ჯეფერსონმა ბარათის გადაკით-
ხვისთანავე.

— თქვენ, რა თქმა უნდა, უკეთესად მოგეხსენებათ ყველაფერი, — წელანდელი
ნალაპარაკების ერთგვარად შეჯამება სცადა მისტერ პირსმა პოლიციელის გა-
სელის შემდეგ. — მე იქ არ ვყოფილვარ და არ ვიცი, რა ნახეთ, როგორ ნახეთ...
მაგ საკითხზე პოლიციელებს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვთ, მანი-
აკი მკვლელის ვერსია უფრო დამაჯერებლად მიაჩნიათ...

— ზომ ვითხარი, — მომმართა ჩემმა მეგობარმა, — ვამბირზე ნათქვამი ერთი
სიტყვაც არ მიიჩინეს სერიოზულად!

— არც არის გასაკვირი, — ექიმი წასასულელად წამოდგა, — თუმცა თქვენი
მოსაზრება ჩემთვის სრულიად მისაღებია, რადგან ფსიქიკურად დაავადებულის
კლინიკიდან გამოშვებას პირველ რიგში ჩემს დანაშაულად მიიჩნევენ.

მისტერ ჯეფერსონმა ექიმი კარამდე მიაცილა და ერთობ დაბნეული გამომეტ-
ყველებით შემობრუნდა:

— ესეც ასე! — ჩაილაპარაკა უმისამართოდ.

— მისი აქ ყოფნისას არ მომშორებია აზრი, რომ ცოტა ხნის წინ სადღაც მყა-
ვს ნანახი, — ვთქვი დაეჭვებით.

— სად და გზაზე, — უკმაყოფილოდ გამომეპასუხა ჯეფერსონი, — გზაზე,
საკუთარ პორშეში.

— არა, ეგ მეც კარგად მახსოვს...

— თუ გახსოვს, არ უნდა ილაპარაკო სისულელებები!

— ახალი რამე? — ვკითხე და მის ალენილ სახეს შევავლე თვალი, — რა ეწე-
რა იმ ბარათში?

— ბარათში მაიორ აშბის ტელეფონის ნომერი წერია.

— ვინ არის მაიორი აშბი?

— წარმოდგენა არა მაქვს, ადგილობრივი პოლიციიდანაა; ჩემთან საუბარი
სურს, — ტელეფონთან მივიდა, ნომერი აკრიფა, — მაიორი ელვის აშბი მალა-
პარაკეთ — ჩასძახა ყურმილში, — დიახ... დიახ... მე ბარნი ჯეფერსონი ვარ...
გადმომცეს თქვენი ბარათი და წარმოუდგენლად მეჩვენება, იქ რაც წერია... არა,
არა, ეგ შეუძლებელია, რადგან ჩემი საკუთარი თვალებით ვნახე... ჩემთან ერ-
თად? ირვინ გრეპემი... დიახ, სწორედ ის გახლავთ, გამდლობთ, უჭველად გა-
დაეცემ... ახლავე წამოვალ, დიახ... ნახევარ-საათში მანდ ვიქნები, — ჯეფერსო-
ნმა ყურმილი დადო და სახეზე კიდევ უფრო წამოჭარხალდა, შუბლი ოფლმა და-
უნამა:

— ბალშიც გრძელდება ძებნა, — მოთხრა მან. — სახლის კართანაც მორიგეობს
ორი პოლიციელი, მაგრამ მისის სმითს მაინც ნუ მიატოვებ... მე ვინახულებ
მაიორს და მალე დავბრუნდები.

— რატომ არ ამბობ, რა ეწერა ბარათში?

— მაიორმა შევკატყობინა, დარინ ვან ჰორნი ლონდონში იმყოფება და იქიდან ზვალ აპირებს ჩამოფრენასო.

— შეუძლებელია!

— მისი იქ ყოფნის დამამტკიცებელი საბუთი მოუწოდებდა სკოტლანდიარდს ჩიკაგოს პოლიციისათვის. სწორედ ამ საბუთთან გასაცნობად მივდივარ ახლა.

— აბა, ჩვენ ვინ ვნახეთ წუხელ მოახლესთან ერთად?

— თუ მართალია ის, რასაც მაიორი ამტკიცებს, ჩვენ წუხელ ეგ პაემანი მოგჩვენებია.

ჯეფერსონს გასასვლელამდე მივყვი, მერე მორივე პოლიციელების ტეხნაში მთელი პირველი სართული მოვიარე და ისინი საბილიარდოში აღმოვაჩინე თამაშით გართულნი. მათ პატარა სამსახურის გაწევა ვთხოვე და როდესაც დავრწმუნდი, რომ შემოსასვლელიდან საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ისევ მესამე სართულს მივაშურე. ჯეფერსონისგან ვიცოდი, მისის სმიტს დიდიან თავისი საძინებელი არ მიეტოვებინა, ჩემს ოთახზე უკეთეს საყარაულო პუნქტს კი სხვაგან ვერ ვიპოვიდი. კარი ღიად დავტოვე, ყურნალების მაგიდასთან მოვიკალათე და ჩვენს დილანდელ თავგადასავალზე მოკლე ჩანაწერის გაკეთებას შეუდექი. ჯეფერსონის ნაჩუქარი ბერეტა იქვე მედო, წერის დროს, ხანმოკლე შესვენებებისას ხელში ვათამაშებდი, ეს მძლავრი და საიმედო იარაღი სიმშვიდესა და თავდაჯერებულობას მშატებდა.

მალე პოლიციელებმა, ჩემი თხოვნის შესაბამისად, ადგილობრივი გაზეთების რამდენიმე ნომერი შემომიტანეს, ერთ-ერთ მათგანში მოთავსებულ დიდ, ფერად ფოტოსურათზე თეთრხალათიან ადამიანთა პატარა ჯგუფი იყო გამოსახული. ავიღად ვიცანი მისტერ სმიტი, მაგრამ ჩემი ყურადღება მის გვერდით მდგარმა შავკერძანმა კაცმა უფრო მიიქცია, მისი სახის ნაკეთებს ერთხანს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი. „არა, ჯეფერსონი არ შემცდარა, — დავასკვენი ბოლოს, — ჩვენ წუხელ მართლაც დარინ ვან ჰორნი ვნახეთ“.

ამგვარი ფაქტის მიუხედავად, უკვე მქონდა გარკვეული სავალალო გამოცდილება და პარადოქსისთვის მზად ვიყავი. სულაც არ გამიკვირდებოდა, სკოტლანდიარდს დარინ ვან ჰორნის ინგლისში ყოფნის დამამტკიცებელი საბუთები მართლა რომ წარედგინა ჩიკაგოს პოლიციისთვის. ასეთი რამ ხომ წუხელაც მოხდა? ავადმყოფი მოახლე ერთსა და იმავე დროს მესამე სართულზეც იყო ბლექსტონის ეზოშიც... იქნებ ისევ სანთლის თოჯინასთან ან ნიღბთანა გვაქვს საქმე?.. აქამდე რატომ არ მოგვივიდა აზრად!

— მისის სმიტ, — მოისმა პოლიციელის ძახილი, — მისის სმიტ!

ფანჯარა გამოვადე, ეზოში მორივე პოლიციელები გამოსულიყვნენ და ჩამავალი მზის სხავეებით განათებული ბაღისკენ იფურებოდნენ.

— მე მგონი, ის იყო, — თქვა ერთ-ერთმა, — ჯინსში პირველად ვნახე.

— თუ ის იყო, დამახილზე რატომ არ გამოგვეპასუხა? — შეეკამათა მეორე.

— ბრიგადას მაინც შევკატყობინებ, სამზრეთით გადაინაცვლონ, გზატკეცილი-სკენ მიდიოდა.

მათთვის აღარ მისმენია, სასწრაფოდ მისის სმიტის საძინებელს მივაშურე. როგორც გულმა მიგრძნო, საძინებელში არ დამხვდა. ძირითადი გასასვლელიდან შეუმჩნევლად ვერ გავიღოდა, რადგან ჩემი ოთახის წინ უნდა გაეკლო, პირველ სართულზე კი პოლიციელები მორიგეობდნენ, ამიტომ უფოყმანოდ სამარქაფო კიბისკენ გავიქეცი, თვალის დახამხამებაში ჩავირბინე სამივე სართული და შიგნიდან ურდულით ჩაკეტილი სათადარიგო კარის წინ შევდექი.

„რატომ ვერ შევნიშნე! — წამოვიძახე ბრაზით, — კარი ღია მქონდა!“

ეზოში პოლიციელები აღარ ჩანდნენ

მზე პორიზონტს უახლოვდებოდა და ბაღის სიღრმეში უკვე ბინდი ჩამოწო-
 ლილიყო. ვაჰპირის თავდასხმას ნებისმიერი მხრიდან ველოდი, მაგრამ მაინც
 წინ მივიწვიედი, რათა მისის სმიტამდე რაც შეიძლებოდა სწრაფად მიმეღწია, მას
 რომ ჩემი უყურადღებობით რაიმე დამართოდა, სამუდამოდ დამაჩნდებოდა სულ-
 ზე სამარცხვინო ღაქად. შორიახლოს პოლიციელთა იშვიათი შებახილები და
 ძაღლის ყეფა ისმოდა, რამდენიმეჯერ ავტომატის მოკლე ჯერიც გავიგონე. რო-
 გორც ჩანდა, პოლიციელები ყველა საეჭვო ფორმის ბურქსა და ხმელი ტოტების
 გროვას ცეცხლს უხსნიდნენ.

მალე ორი სერჟანტისა და კინოლოგისაგან შემდგარ პატარა ჯგუფს დავეწიე-
 გლუვებწვიანი, ყავისფერი დობერმანი ავი ღრენით შემხვდა, მაგრამ კინოლოგის
 ბრძანებით, გრძელი ცხვირი კვლავ მიწას დააბჯინა და სწრაფი სუნსულით,
 ზიგზაგისებურად იწყო გადაადგილება. ის მარჯვენდ ახტებოდა პატარ-პატარა
 დაბრკოლებებს, თითქოს ადამიანთა მოუქნელობას ითვალისწინებდნენ, გვერდს
 უვლიდა წაქცეულ ხეებსა და შედარებით მაღალ ბურქებს და თითქმის ძალით
 მიათრევდა წინ საბელზე გამობმულ გამყოლს.

— ძაღლს რაღაც ეშლება, — ქოშინით თქვა კინოლოგმა, — უკვე მესამედ მო-
 გვიყვანა ამ ადგილზე.

— კუვეიტში არ გამჭირვებია ასე! — ამოიხვნეშა სერჟანტმა და წაქცეულ ხე-
 ზე ჩამოჯდა, — ცოტა თუ არ დავისვენე, ნაბიჯს ვეღარ გადავდგამ.

შევატყვე, რომ ჩემთან ერთად ძებნის გაგრძელება არ ეხატებოდათ გულზე.

— მალე დადამდება, — ვთქვი დაბნეულობის დასაფარავად და გაურკვეველი
 მიმართულებით გავემართე.

— მაგ მზარეს უკვე ვიყავით, — მომამახა სერჟანტმა, — ერთი იარღიც არ და-
 გვრჩენია შეუმოწმებელი.

— მით უკეთესი, — გავეპასუხე ნაბიჯის შეუნელებლად. — აქეთ ნაკლები სა-
 ფრთხე მელის.

მეგობრული სიცილით შეხვდნენ ჩემს სიტყვებს, მე გზა განვაგრძე. ვიარე და-
 ახლოებით თხუთმეტი-ოცი წუთი და უზარმაზარ ხეებში შეუფუფულ პატარა სა-
 ხლს წავადექი. ბაღის ამ მონაკვეთში სახლის არსებობაზე არავისგან არაფერი
 გამეგონა. ჩემმა აღმოჩენამ იმდენად შემაცუნა, რომ პოლიციელების მოყვანაც
 დავაპირე, მაგრამ უმაღლეს მოვეგე გონს და საკუთარი შიშის შემრცხვა: „უბრა-
 ლოდ, არ ახსენეს ჩემთან, არ ჩათვალეს საჭიროდ, ამაზე პანიკის შექმნა შეიძ-
 ლება?!

როდესაც სულ ახლოს მივედი, ყვითელი საღებავით კარზე გაკეთებულმა წარ-
 წერამ მიიტკიცა ყურადღება: „აშენდა 1857 წელს“.

ასაკის კვალობაზე, ერთსართულიანი ზის შენობა სავსებით მკვიდრად და ახ-
 ალგაზრდულად გამოიყურებოდა. შესასვლელთან ბიზონის ახალთახალი ტყავი
 გაფინათ გასაშრობად, იქვე წყლით სავსე ჭურჭელიც იდგა.

კარს ფრთხილად მივაწვიე და ნანახისაგან ადგილზე გავექვავედი:

საწოლში პირქვეჩამხოზილი მისის სმიტი, კივილის ჩასახშობად, საკუთარ
 თითებს კბენდა, მის შიშველ წელზე კი ვილაც მამაკაცს შემოეჭლო ხელები და
 მონოტონურად ირწევოდა.

როდესაც ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მისის სმიტმა ვენებინად ამო-
 იკვნესა და ორგაზმისაგან მთელი ტანი შეუთრთოლდა.

ნანახით გაოგნებული და აფორიაქებული გამოვბრუნდი.

მისის სმიტისთანა უნაკლო გარეგნობის ქალი შეუძლებელია, რომ ზედმეტად
 მწიფი არ ყოფილიყო, მაგრამ ნანახმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა,
 — ჯერ კვირაც არ იყო გასული მისტერ სმიტის დასაფლავების შემდეგ...

„კაცისთვის სახეზე არც შემიხედავს, — გავიფიქრე დაბნეულმა, — ან ის ტყავი საიდან მოიტანეს? ბიზონის ახალთახალი ტყავი?“

იმ ადგილას, სადაც პოლიციელებს დავშორდი, სახლისკენ მიმავალი ბილიკი კიდევ ერთხელ შევათვალე: აი, წაქცეული ხე, რომელზეც სერჟანტი ჩამოჯდა, პატარა მდელი, ერთადერთი დუგლასის სოჭი და ოდნავ მოშორებით, ცისფერი ნაძვები...

უეცრად ცისფერი ნაძვების ახლოს ტოტი გატკაცუნდა, სუსტი მოძრაობაც შეენიშნე, — თითქოს ბალახი შექანდა მსუბუქად ნიაზე.

ერთიანად დავიძაბე, — საღამოს ბინდბუნდში მიწისკენ ჩამოხრილი ტოტების უკან დამალვა არავის გაუჭირდებოდა.

— არის მანდ ვინმე! — ვიკითხე გაბზარული ხმით.

ერთი ტოტი შეტოვდა, ოდნავ ძირს დაიხარა და არაბუნებრივად გაფართობულმა, სისხლჩამდგარმა თვალებმა ჩემკენ გამოიხედეს.

მაღალი შუბლი...

ბრინჯაოსფერი კანი...

სწორი ცხვირი...

„მისტერ სმიტი, — გავიფიქრე შიშით, — ისევ ვიღაცა მასულებებს?“

მაგრამ რა ხდება?

წარბები მოირკალა, ტუჩის კუთხე ოდნავ აიწია, სახე ნაოჭებით დაიფარა...

სანთლის ნიღაბმა გაიღიმა...

დათრგუნვილი შევეყურებდი პროფესორის სახეზე მომხდარ ცვლილებებს მშვენივრად ვხედავდი, რომ ჩემს წინ ცოცხალი არსება იდგა და სროლა ვერ გადამეწყვიტა.

ამასობაში პროფესორი წელში გაიმართა, ორიოდე იარღით დაშორდა თავის სამალავს და მის მკერდზე მოახლის ნაქონი ვერცხლისფერი მედალიონი შეეკმინი „ჯენის მედალიონი“, — აეტომატურად დააზუსტა გონებამ.

ამის გაფიქრებისთანავე მისტერ სმიტის სახემ ჯენი გრეის გამომეტყველება მიიღო და ჯენისთვის დამახასიათებელი არაფრისმთქმელი გამოხედვით ჩემს გვერდით სივრცე შეათვალე.

ოდნავ შევტრიალდი და მისის სმიტის სილუეტი დავლანდე.

— თქვენ იძახდით? — აღელვებით მკითხა მან, — ძახილი გავიგონე.

ცისფერი ნაძვების უკან მოჩვენება გაქრა.

— დაინახეთ? — კითხვაზე კითხვა შევაგებე.

— რა უნდა დამენახა? — მიპასუხა გულუბრყვილოდ.

— გავეცალოთ ამ ადგილს, — ჩაველაპარაკე დაბნეულმა. — ღამდება.

ბლექსტონისაკენ მდუმარედ გავემართეთ.

„ნუთუ ვგიჟდები? რით უნდა აიხსნას ყოველივე? იქნებ ამ დაწყვეტილ ადგილას კაცობრიობისათვის უცნობი ბიოლოგიური ველი არსებობს, რომლის მოქმედებაც ჰალუცინაციებს იწყვეს?“

— ეღვიანი დავინახე, — დუმილი დაარღვია მისის სმიტმა და მკლავზე ფრთხილად ჩამომეყრდნო, — იმიტომ შევედი თქვენს დაუკითხავად ბაღში.

„ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე შემცბარმა, — მისის სმიტს თავისი ქმარი მართლა გაცოცხლებული ჰგონია“.

უნებურად ნაბიჯს ავუჩქარე.

რამდენიმე იარღის იქით სმიტების საგვარეულო სახლი გველოდებოდა.

— ჩიხში აღმოჩნდით, — ნაღვლიანად დაიხედა ხელებზე ჯეფერსონმა, მაინც რომა ლამის დამცინა... თვითკმაყოფილი ვირი!..

- თანაგრძნობით გავიტრუნე.
- პროფესორის თანაშემწე მართლაც ინგლისშია და იქიდან ზვალ ბრუნდებ... თანაც დროებით, ინგლისში დაუწყია მუშაობა... ჩვენ კი ბლექსტონის ეზოში გველანდება.
- ოზურით დაისხა ვისკი, ერთი მოყუდებით დალია.
- არ შეიძლება, რომ ორივეს ერთდროულად მოგვწვევებოდა, - ბრაზით სახე დაემანჭა, - არ შეიძლება!
- თანხმობით დაუქნიე თავი.
- სად გაქრნენ პოლიციელები! - წამოიძახა ზიზლით, - როგორც ვიცი, ბლექსტონის მიტოვება მაგათთვის არავის უბრძანებია.
- უბრძანეს.
- კითხვით შემომხედა, გამომცდელად მოუჭუტა თვალები.
- მისის სმიტმა უბრძანათ, - დაეაზუსტე.
- რატომ?
- არავისა აქვს უფლება, სახლში ძალით შემომეჭრასო. დილიდან ბილიარდს თამაშობდნენ.
- უცნაური ქალია, - წამოდგა, სარკმელი მთლიანად გამოაღო და ოთახში ღამის გრილი ნიავე შემოიჭრა, - საბილიარდოდან ზელისგულივით ჩანს მისასველელი გზა, რა დაშავდა თამაშით?
- საქმეც მაგაშია! რადგან მისის სმიტის შინიდან გასვლა გვიან შენიშნეს, დაიფინა, შეუმჩნევლად შემოსვლაც არავის გაუჭირდება, თქვენი აქ ყოფნა ყოვლად უაზროაო.
- ჯეფერსონმა ფანჯარა მიხურა და ვისკი დაისხა:
- მისის სმიტი ბაღში შევიდა? - იკითხა ორაზროვნად.
- კი...
- დელიკატური წვრილმანების გარდა, ჯეფერსონს დაწვრილებით მოუყვება, რაც თავს ვაღამზდა, მისის სმიტის ბაღში შესვლის მიზეზიც არ დამეწიყებია.
- უცნობი სახლი, - გაიმეორა დაფიქრებით, - გულადი ქალია მისის სმიტი; როგორ თქვი, კაცს ელაპარაკებოდაო?
- კი, - სიკრუის დასაფარავად ცოტა მკვახედ ვუბასუხე, - რამდენჯერ უნდა გაეიმეორო!
- ვინ იყო ის კაცი? - მშვილად მომაჩერდა, თვალი თვალში გამიყარა.
- სახე ვერ გავარჩიე, - დაიწყო ბორძიკით, - არ მინდოდა მისის სმიტს ეფიქრა, მითუალთვალეხსო, მაგრამ როგორც მერე აღვიდგინე გონებაში, ბევრი რამ მეჩვენა პარადოქსულად.
- მაინც?
- ოთახის მორთულობა, ხის საწოლი, კედელზე ჩამოკიდებული ტანსაცმელი... ძალიან ძველმოდური იყო ყველაფერი.
- აქაც ასეა, - ჯეფერსონი ბოლოის ცემას მოჰყვა, სახეზე ეტყობოდა, რომ გამალებით ფიქრობდა, - აქაც ასეა.
- არა, - შევეპასუხე, - ის წარწერა... ტყავი, თითქოს ჯერ ისევ თბილი იყო, აქ სად უნდა მოეკლათ ბიზონი?
- შენ დაიბენი! უკვე ყველაფერს იღუმალ ძალებთან აკავშირებ, მაგრამ წარმოიდგინე, რომ ყველა ამ მოვლენას სავსებით რეალური ახსნა აქვს... თუ ასე არ იფიქრებ, ძიებას ბოლომდე ვერ მივიყვანო.
- ნილაბს მაინც არ შეუძლია გაცინება.
- იქნებ ორეული ჰყავს მისტერ სმიტს, არ გიფიქრია ამაზე?
- მიფიქრია, - ვთქვი ცივად, - ჩემს თვალწინ სახე შეეცვალა, ვამპირად გადაიქცა, ზუსტად ისე, როგორც ფილმებში ხდება ხოლმე.

— ეგეც იმ საიდუმლოებით მოცულ სახლთან მოხდა? — ჯეფერსონი კვლავ ფანჯარასთან მივიდა, ღამის ნიავს შეუშვირა შუბლი.

— იქვე ახლოს... ის წარწერაც სრულიად ახალ...

ჯეფერსონმა ხელის მოძრაობით შემაწყვეტინა თხრობა და სმენად ქცეულმა მოათვალიერა ბლექსტონის ჩაბნელებული ეზო. როდესაც ფანჯარასთან მისასვლელად წამოვიწიე, ღიმილით შემაჩერა:

— ნერვებმა მიმტყუნეს, — თქვა დარცხვენილმა. — მომეჩვენა, რომ შეძახდნენ. ფანჯარა მიხურა, ჩემს გვერდით სავარძელში მოკალათდა, დინჯად მოუკიდა სიგარეტს:

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, გააგრძელე, რასაც მიყვებოდი.

— წარწერაზე ვამბობდი, — ვთქვი ყოყმანით, — სრულიად ახალ გაკეთებულს ჰგავდა, იმდენად ახალს, რომ როგორც მახსოვს, საღებავის სუნიც ვიგრძენი.

— ალბათ, განაახლეს, — შემეკამათა უგულოდ, — გაარემონტეს.

შევატყვე, რომ მისი ფიქრი სხვა რამეს დასტრიალებდა.

— რატომ არავის უხსენებია ჩვენთან? პოლიციელებსაც არ გახსენებიათ!

— ხვალ უეჭველად ვინახულებთ მაგ სახლს, — ჯეფერსონი სახეზე გადაფითრდა და ხმას ოდნავ დაუწია, — კარზე გაკეთებულ წარწერასაც დაწვრილებით შევისწავლით...

მოლაპარაკებულებივით ორივემ კარისკენ გავიხედეთ.

ტანში ყრუანტელმა დამიარა, თმა დამიდგა ყალფზე:

შემოღებული კარი შეუმჩნეველად ირწოდა, იატაკზე ასპიტივით მოიკლაკნებოდა სისხლის ალისფერი ნაკადი, კარის ღრიტოში კი ვიდაც კაცი უსასოოდ ცდილობდა დასახიჩრებული ხელის შემოყრფას.

— დაკარგული პოლიციელი, — გაბზარული ხმით წამოიძახა ჯეფერსონმა და მაშინვე დაჭრილთან გაჩნდა.

ჩვენს დანახვაზე პოლიციელს საბოლოოდ გამოეცალა ძალა, ჯეფერსონს ხელებზე მიესვენა. ჩემი შეგობრის სპორტული ქურთუკი უმაღვე სისხლით შეიღებდა.

— თან... წაიყვანა, — ძლივ გასაგონი ჩურჩულით ამოღერდა პოლიციელმა.

— ვინ?

— თან... წაიყვანა, — გაიმეორა გაჭირვებით.

მკერდის არეში მიყენებული ღრმა ჭრილობა სუნთქვას უშლიდა და საშინელ ტანჯვას აყენებდა. მზერა ავარიდებ, სხეულზე მთელი ადგილი აღარ შერჩენოდა. დახეულ ჩასაცმელში პოლიციელის ფორმას ძლივს ამოიცნობდა კაცი, საერთოდ კი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს საბრალო ცხენის ძუაზე გამოზმული ეთრიათ ეკალბარდებში და საკვირველი იყო, ასეთ მდგომარეობაში როგორ მოახერხა მესამე სართულზე ამოსვლა.

— კესელი... წაიყვანა, — დაიჩურჩულა ისევ.

— ვინ წაიყვანა? — ჩააცვიდა ჯეფერსონი.

პოლიციელმა რაღაცის თქმა დააპირა, წამოიწია კიდეც, მაგრამ ძალა აღარ ეყო და გონება დაკარგა.

— ვინ წაიყვანა, ვინ? — ბრაზით ჩასძახა ჯეფერსონმა.

— თქმა მაინც მოესწრო! — ვთქვი გაღიზიანებით. — მეტი მონძე არცა გვყავს, რომ მოკვდეს?

ჯეფერსონმა უცნაურად შემომხედა.

მისი თვალების დანახვაზე მივხვდი, როგორც გამოვიყურებოდი: ეს შეშლილა სახლი თანდათან ორივეს გვაკარგვინებდა ადამიანის სახეს.

დილიდანვე შევუდექით ჩემს მიერ ნაპოვნი უცნობი სახლის ძებნას. ბაღის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გულმოდგინედ გადავზრხიკეთ, რამდენიმე საათის განმავლობაში დავფორთხავდით ბუჩქებსა და ხეებს შორის, მაგრამ უშედეგოდ, ნასახლარსაც ვერსად მივაგენით.

— სწორედ ამ ხეზე ჩამოვჯდა სერჟანტი დასასვენებლად, სიგარეტის ნამწვიც აგდია, — ჩავილაპარაკე ჯეფერსონის გასაგონად, როდესაც ისევ იმ ადგილას აღმოვჩნდი, სადაც წინა დღით დავეშორდი პოლიციელებს, — მალბოროს ეწეოდა, თუ გინდა, შევაძოწმოთ.

დავიხარე, ნამწვი ავიღე.

— აი, როგორც ვთქვი, — ჯეფერსონს მივაწოდე. — იქით მდებლო... ნაძვები, ამ ადგილს რა დამავიწყებს!

ჯეფერსონმა ოთხი მხრიდან ცისფერი ნაძვებით გარშემორტყმული მდებლობა დაღლილი სახით გაიხედა და ოფლით დანამული შუბლი მოიწმინდა.

— შეუძლებელია, რამე გამოგვჩენოდა, — თქვა მან. — ამ ნაწილში შედარებით მეჩხერია ბაღი, მაგრამ უკანასკნელად მაინც ვცადოთ.

— პროფესორიც აქ ვნახე, — ერთ-ერთ ნაძვზე ვანიშნე, — იმ ხის უკან.

ნაძვს გავცდით, უცნობი ჯიშის დაგრეხილ ხეებს შორის გავძვერით და ახლა სრულიად სხვა მიმართულებით გავემართეთ. ოციოდე წუთში მივაღქვი მდინარისაკენ დაშვებულ ვიწრო ხეობას, რომელსაც ბამბუკების რაყა თითქმის გაუვალს ზდიდა, ცოტა მოშორებით ჭაობიანი ადგილებისათვის დამახასიათებელი ლელქაშები და სხვა, მსგავსი მცენარეები ხარობდა. მდორე, წყალმარჩხ მდინარე მათ ფოთლებსა და ლეროებს იქით მიკარგულიყო, ჰაერში სიდაბლის გულისამრევი სუნი იდგა.

ხეობაში ჩასასვლელთან გავჩერდი.

კარგად მახსოვდა, რომ წინა დღეს ამ ადგილამდე არ მოვსულვარ.

— წინ წასვლას აზრი აღარა აქვს, — დაღლილი ხმით გამოიმეხმაურა ჯეფერსონი. — ამ ვიწრო ხეობაში სახლი ვერ ჩაეტყვა, მდინარის მეორე ნაპირიდან კი დასახლება იწყება.

მდუმარედ დავეთანხმე.

უეცრად ფეხებთან სისინი გავიგონე და თვალი შევასწარი, ჯეფერსონისკენ მსხვილი გველი როგორ მისრიალებდა. ჩემმა მეგობარმა ნახტომის გაკეთება მოასწრო, ელვის სისწრაფით იძრო იარაღი და ზედიზედ რამდენიმეჯერ გაისროლა.

— კუნძის უკნიდან გამოძვრა, — ვთქვი და გველს ფრთხილად შემოვუარე, თავწაწვეტილი სხეული სიკვდილისწინა აგონიაში გაშმაგებით იგრხიხებოდა, — ათი ფუტი მაინც იქნებოდა.

— მანდ შეიძლება, მეორეც იყოს! — გამაფრთხილებლად დამიძახა ჯეფერსონმა და კიდევ ისროლა.

ტყეებისაგან კუნძი აყირავდა, გადაბრუნდა და მანამდე მიწაში ჩაფლულია დიდი დაგრეხილი რქა გამოაჩინა.

— ბიზონის თავის ქალა! — წამოვიძახე მის დანახვაზე.

ჯეფერსონს ჩემი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, დაკვირვებით მოათვალიერა ის ადგილი და როცა დარწმუნდა, რომ ახლომანლოს გველის ჭაჭანება არ იყო, ჯიბიდან საფულე ამოიღო.

— ცოტა ფული რომ მქონოდა საფულეში, ახლა ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი იქნებოდა გადასაწყვეტი, — მან ღიმილით მიჩვენა გველის კბილებისაგან საფულეზე დატოვებული ნახვრეტები, დანთხეულ შხამს კი მისთვის ჯიბისკუთხე დაესველებინა, — წამის მეასეულებში მოვასწარი.

— მე არც დამინახავს! — დამფრთხალმა დავიხედე ფეხებთან.

— წავიდეთ, — წინ გამიძღვა. — დღეს თავის ქალა ვნახეთ, ხვალ ტყავს ვაპოვით, ზეგ, ალბათ, იმ სახლსაც მივაგნებთ... გაგიგონია რამე ფსიქომეტრიაზე?

— არა.

— ფსიქომეტრიის თანახმად, ყოველი მატერიალური ობიექტი, — სულიერიც და უსულოც, თავის თავში ინახავს ადრინდელი ბედის ჩანაწერს, რომლის ამოკითხვის უნარიც მხოლოდ რჩეულებს გააჩნიათ, ხომ არ გეჩვენება რომ სწორედ იმ ბიზონის თავის ქალა ვნახეთ, ვის ტყავსაც გუშინ შენ მიაგანი?

წყენით შევხედე, მაგრამ მისი მოლუსულები სახის დანახვაზე მივხვდი, დაცივნა არც უფიქრია, ამ სიტყვებს სავსებით სერიოზულად ამბობდა.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მისის სმიტი შემოვიდა ჩემს ოთახში, შეწუხებისთვის თავაზიანად მომიბოდიშა და ბოთლიდან დარჩენილ ვისკი ჩამოისხა.

— ველარ გავძელ მარტო. — თქვა უშუალოდ, — საშინელებაა სულ ერთსა და ავივეზე ფიქრი.

შავებით ვაწყობილი ცისფერი კაბა ეცვა, ოდნავ მოკლე და ტანზე გამომწვევად შემოტმასნილი. სწორედ ისეთი, სამოციანი წლების ფილმებში რომ მინახავს, მომაჯადოებლად გამოიყურებოდა. ამ ქალს ყველაფერი უხდებოდა, ბოხი და ოდნავ დახრინწული ხმაც კი.

— მისტერ ჯეფერსონი არ დამხვდა ოთახში, — კობტად ჩამოჯდა დივანზე, ფეხი ფეხზე მოხდენილად გადაიდო, — მასთან უფრო შინაურულად ვარ, თქვენ არა სკამით?

ვისკი დავისხი. მომზიბვლელად გამიღიმა.

— მისტერ ჯეფერსონი პოლიციაში წავიდა, მერე, ალბათ, დარინ ვან ჰორნთან შეიკვლიდა, დღეს უნდა ჩამოსულიყო ინგლისიდან.

— თქვენ ჩემს საყარაულოდ დაგტოვათ?! — თანამზრახველივით მკითხა და პასუხისთვის არ მოუცდია, ძიებაში თუ მიაღწიეთ რამე რეალურ შედეგსო, დასძინა.

პასუხად რაღაც ჩავიბუტბუტე. ან რა მქონდა სათქმელი?

მომეჩვენა, რომ ღიმილი გაჭირვებით შეიკავა და ტაქტიანად განაგრძო!

— თუმცა შედეგს, ალბათ, ძიებას დამთავრების შემდეგ გამანდობთ, თქვენ ხომ სულ ახლახანს ჩამოხვედით!

— დარინ ვან ჰორნის დაკითხვა ბევრ რამეს გარკვევს, — გასამზნეველად ვისკი მოვსვი, მისის სმიტის გვერდით თავს აშკარად უხერხულად ვგრძნობდი. უყურებდი და გამალებით ვფიქრობდი, ნუთუ ეს ქალი ვნახე იმ უცნობ სახლში-მეთქი, მაგრამ რადგან სახლი ვერ ვიპოვეთ, კვლავ პალუსინაციას ან იღუმალი ძალების მოქმედებას მიეწერებოდა ყველაფერი.

— დილით ორივე ბალისკენ მიდიოდით, — თვალეებში უცნაური ცეცხლი აუგოგზიხდა მისის სმიტს — დღისით არ გეშინიათ ჩემი მარტო დატოვების? იქნებ ვამპირი დამეხხას თავს ან მე თვითონ ჩავიდინო რამე სისულელე? არ დავაგვიწყდეთ, გუშინ ედვინი დღისით-მზისით მესტუმრა, აქამდე მხოლოდ დამლობით გამოჩნდებოდა ხოლმე.

— ნუთუ მართლა ცოცხალია? — ვიკითხე დაუფიქრებლად და მაშინვე ვინანე.

მისის სმიტს სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაურბინა, გამომცდელად და ცნობისწადილით მომაჩერდა:

— თქვენ სხვანაირად ფიქრობთ? — კითხვა შემობრუნა.

ბოთლს მდუმარედ მიეწედი და სირჩები შეეავსე.

— თუ ცოცხალი არ არის, როგორ მოვიდა, როგორ გატეხა მინა, — მითხრა თითქმის დამარცვლით, — ბოლოს და ბოლოს, როგორ შესაუბრა?

— გესაუბრათ?

— დიახ.

— რატომ არ გვითხარით?

— არ გიკითხავთ.

კილოზე მივხვდი, უკმაყოფილო იყო.

ან რატომ იქნებოდა კმაყოფილი? რა გავარკვიეთ? ფაქტიურად, არაფერი. ჩამოვედით ორი უსაქმური და სმიტების მამულში ვნახეთ მკვდრეთით აღმდგარი პროფესორი, დარინ ვან ჰორნი, რომელიც იმ დროს ინგლისში იმყოფებოდა, ვამპირი და არარსებული სახლი.

ამ ყველაფრიდან სიგიჟემდე უკვე ნაბიჯიც არ გვაშორებდა.

არც ერთი ხელჩასაჭიდი ფაქტი...

მხოლოდ და მხოლოდ პარადოქსები...

დამფრთხალმა გავიხედე მისის სმიტისკენ.

ფურნალების მაგიდაზე ლამაზ თითებს ნერვიულად ათამაშებდა.

— რა გითხრათ?

— სანამ მკვლელს არ დასჯიან, ბლექსტონს არ მოვცილდებიო, — დაიჩურჩულა.

ჯეფერსონის მონაყოლი გამახსენდა ზომბებზე და თითქოს საშინელ უკუნში გავხვებო.

— ახალი მოახლის მოყვანა დაეპირე, — მცირე პაუზის შემდეგ საქმიანად განაგრძო მისის სმიტმა. — მაგრამ უკვე იმდენი ჭორი დადის ამ სახლზე, რომ აქ მუშაობას ბევრი ვეღარ ბედავს, კარგი რეკომენდაციის გარეშე კი, მოგეხსენებათ, უცხო ადამიანის სახლში შეყვანა ყოველად დაუშვებელია, შემთხვევით პირს არ უნდა ენდოს კაცი. ძიების დამთავრებისთანავე გავყიდი ამ მამულს, სხვაგან გადავალ საცხოვრებლად, ვფიქრობ, ვერავინ გამამტყუნებს. საბრალო ჯუზეპე მანცი არ მომკვდარიყო! წელან ყავა მომინდა და სამზარეულოში შესვლის შემეშინდა, წარმოვიდგენიათ?

გული თანაგრძნობით შეეკუმშა:

— რა გასაკვირია! — ჩაურთე, — თქვენ იმდენი გადაიტანეთ!

— საერთოდ, არა ვარ მშიშარა, — მომხიბვლელად გამიღიმა მისის სმიტმა,

— ალბათ, თქვენც დარწმუნდებით ამასი, ამ ბოლო დროს კი ზოგჯერ თავს ვერ ვეპყვი.

— მისის სმიტი, ერთად ჩავიდეთ, — შეუთავაზე, — ყავაზე არც მე ვიტყვოდი უარს.

— მადლობა ასეთი თავგანწირვისათვის, — დამცინავად ჩაიცინა, — თქვენ მართლა ცუდად მიცნობთ, თუ ფიქრობთ, რომ ვერ დაემღევი შიშს და ვერ შევიდოდი სამზარეულოში.

უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდი, სახე შემიხურდა, პირი გამიშრა, უზომოდ შემრცხვა ჩემი გულუბრყვილო თავგამოდების „რა მომდის! — გავფიქრე, — როდის ვიყავი ასეთი ნერვიული!“

მისის სმიტი ჩემზე რატომღაც დამთრგუნველად მოქმედებდა და ვერძნობდა, რომ ამის მიზეზი მარტო მისი სიღამაზე და სიძლიდრე არ იყო.

— საიპოვნებოთ გაგიმასპინძლდებით, — ჩემს სახეს თვალს აარიდა მან. — საძინებელში ამოვიტანე თერმოსით, ყავა თავის ტკივილის უებარი საშუალებბაა, თერმოსი კი რომანტიკულ ელფერს აძლევს მიველ პროცედურას, თითქოს პი-

კნიკზე ვიმყოფებოდე ქალაქგარეთ. რა ვენა, უმზარეულოდ ეცდილობ დამსახურებას ღისობას.

ჩემი პროტესტის მიუხედავად, მისის სმიტი ოთახიდან გავიდა და ორიოდე წუთში თერმოსით შემობრუნდა.

— ერთი ფინჯანი კიდეუ რომ დაელიო, ღამის თეთრად გათენება მომიწევს, — მითხრა მეგობრულად. — ამიტომ თერმოსი თქვენთან დარჩეს. სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, ბევრით ვერაფრით გიმასპინძლებით.

მადლობა მოუხადე მისი ყურადღებით შემრულმა და კვლავ მომეჩვენა, რომ მე და ჯეფერსონი უმოწყალოდ ვატყუებდით, შეიძლება, მისდამი ჩემი ზედმეტად მორიდებული დამოკიდებულების მიზეზიც სწორედ ძიებაში წარუმატებლობა იყო.

მისის სმიტი ფანჯარასთან მივიდა, ბალისკენ ზერეულედ გაიხედა და ღრმად ამოიოხრა:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ედვინის სიკვდილამდე ბლექსტონი რა მყუდრო სახლი იყო... ღმერთო ჩემო, როგორ აიწეწა ყველაფერი! აღარც ედვინი, აღარც... ჩემზე უბედური ქალი, ალბათ, არც არსებობს ამქვეყნად, — უცებ გამოერკვა და შემცბარმა გამოძხვდა. — თავი მოვაბუზრეთ, არა? ხომ იცით, რამდენიც უნდა ვამტკიცოთ საწინააღმდეგო, სუსტები ვართ ქალები, ყოველთვის თქვენზე ვართ დამოკიდებულნი. მაპატიეთ გულახდილობა, მშვიდ ღამეს გისურვებთ! ამ სიტყვების შემდეგ ტანის ნარნარი რხევით მივიდა კარამდე, ღიმილით გამომიგზავნა კოცნა და გაქრა.

აღელვებულმა გავადევნე სმენა მიმავალი ნაბიჯების ხმას.

მისის სმიტის სტუმრობით აფორიაქებული კარგა ხანს ვერ დავწყნარდი, თითქმის ეროტიულ ტრანსში ვიყავი ჩავარდნილი. საკუთარი თავის მრცხვენოდა, ჩემზე ქალს ამგვარად არასოდეს ემოქმედა და ვერ ამეხსნა, რა მემართებოდა. ეს გრძნობა არ ჰგავდა მარტო სექსუალურ ლტოლვას, არც ღამის სხეულის პროვინციულ თაყვანისცემას, ის უფრო პიპნოზური შემოქმედების შედეგი იყო, — მე მისის სმიტით მოჯადოებული ვიყავი.

ცოტათი რომ გამოვფხიზლდი, ფანჯარა გავადე, გრილი ჰაერი ჩავისუნთქე და ისევე ჩვენს საქმეს ჩაუფიქრდი. ათასმა ერთმანეთის გამომრიცხავმა აზრმა გამიელვა გონებაში, რეალურად არც ერთს არ ჰქონდა არავითარი ფასი, ბოლოს ისიც ვიფიქრე, ალბათ, მიღმიერი ძალები სწორედ ასეთ ღამეში აქტიურდებიან-მეთქი. მართლაც მძიმე უკუნი ჩამოწოლილიყო სმიტების მაშულზე, მთვარის მქრქალი შუქი ღროდადრო გამოანათებდა ხოლმე ღრუბლების იქიდან და ზებუნებრივ იერს აძლევდა იქაურობას. ბუნება საწვიმრად ემზადებოდა, პაერი ისე იყო დამუხტული.

შორიდან ფრინველის უსიამოვნო კივილი შემომესმა და ტანში ერთიანად გამბურძვლა. ფანჯარა მივბურე, ზუსტად იმ ადგილზე ჩამოვჯექი, სადაც რამდენიმე წუთის წინ მისის სმიტი იჯდა და ყავა მოესვი. „ჯეფერსონს ძალიან შეაგვიანდა“, — გავიფიქრე რაღაცის მოლოდინით შეპყრობილმა, საათზეც დავიხედე... უეცრად მთელი არსებით ვიგრძენი, რომ ვიღაც იდგა ჩემი ოთახის კართან და თითქოს მისი სუნთქვაც გავარჩიე.

წამით ერთ ადგილზე გავიჩინდე.

გაუნძრევლად ვიჯექი, ზერეულე, არითმულ სუნთქვას ვაყურადებდი. მერე შიში დავძლიე და იარაღშემართული ფეხაკრეფით მივუახლოვდი.

როგორც ინტუიცია მკარნახობდა, კარს იქით არავინ იყო.

საღამოს ბინდში გახვეულ ვრძელ ღერუფანს გავხედე...

კვლავ არავენ...

დერეფნის ბოლოში კი სააბაზანოდან ორთქლის მძიმე დრუბლები გადის და ისედაც დაბინდულ ინტერიერს კიდევ უფრო აბუსილოვებს.
„საზარელი სახლია, — ორთქლის დრუბლისაგან გავეძაროე ხათურები მინც ენთოს ყველგან!“

სააბაზანოს კართან ოდნავ შევყოყმანდი. წყლის ხნრიალზე მივხვდი, რომ შიგნით ვიღაც იმყოფებოდა, მაგრამ ვინ შეიძლებაა ყოფილიყო? სახლში ხომ მხოლოდ მე და მისის სმიტი ვიყავით! და თუ სააბაზანოში მართლაც მისი სმიტია, კარი რატომ დატოვა ღიად? განსახელვაში ქალის გრძელი კიბანი კი ილა, სააბაზანოში წყალი მოშვებული დამხვდა, მაგრამ იქაც არავენ იყო. აუზების განყოფილებაში შესვლისთანავე კი უხერხულობისგან ადგილზე გავეშვდი დედამოხილა მისის სმიტმა კამარა შეკრა და კარგ ხარტხმუნსაც რომ შემურდებოდა, ისე მარჯვედ გადაეშვა წყალში. ჩემს თვალწინ გაიღვია უმშვენიერესმა სხეულმა, რომელიც სისველისაგან კიდევ უფრო გლუვი და ოქროსფრად მოვლევარ მერვენა. მან უმაღლე ამოვივინთა, ჩემკენ დაუდევრად გამოიხედა, სახეზე ღიმილის მაგვარი რაღაც გამოეხაზა, ნებიერად შეტრიალდა კამკამა, გამჭვირვალე წყალში და ზურგზე ცურვით მიუახლოვდა ამოსახელელს. გრძელი, ძლიერი ფეხებით თამამად ამოჰყვა ციცაბო საფეხურებს, ოდნავ აჩქარებული სუნთქვისაგან მკერდი ებურცებოდა და პატარა, ბრტყელი მუცელი უთრთოდა, მუცლის ქვემოთ შერჩენილმა წყლის წვეთებმა ხინათლის სხეზე გაიბრწყინეს.

ამოსულმა იგივე გაიმეორა: მოქნილი, ხერვიული ნახტომით მიაშურა აუზს მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩემკენ აღარ გამოუხედავს, თითქოს ჩემი არსებობა აღარც ახსოვდა ან შეიძლება, ხაერთოდ არც შევეჭმწნევივარ, ისე იყო ცურვით გართული. უჩუმრად გამოვედი დერეფანში და აღელვებულმა მივაშურე ოთახს.

ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ღიად დატოვებული კარი, მომხუხხველი ღიმილი, ამავე დროს სრული გულგრილობა ჩემი იქ ყოფნის მიმართ და ბოლოს, რაც მთავარია, მონოტონურად განმეორებადი ერთი და იგივე მოძრაობა...

ყოველ მის ნახტომში იყო რაღაც ისტერიულია.
„ღიდებული ქალია!“ — აღფრთოვანებულმა, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ, გავივლე გულში და მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ჩემს არყოფნაში ოთახში რაღაც შეცვლილიყო.

ყურადღებით მიმოვიხედე.
„ყველა ნივთი თავის ადგილზეა“.
ფანჯრებს შევაკლე თვალი, ბალსაც გადავხედე.
„არა, არაფერი, სრული მდუმარებაა“.
თვალი მაგიდისკენ გამქექა.
მიუახლოვდი, მაგიდიდან ჩემი ჯიბის საათი ავიღე და ყურთან მივიტანე.
„საათი გაჩერებულა, — გაყოფიქრე გაოცებულმა, — მაგრამ როგორ მიეხვდი, რომ აღარ მუშაობდა? ის ხომ პრაქტიკულად უნმაუროდ მუშაობს?“

დერეფანში, მისის სმიტის საძინებლის გვერდით ჩამოკიდებულ კედლის საათს შევაკლე თვალი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი: ჩემი საათი ზუსტად ორიოდე წუთის წინ გაჩერებულყო.
„შეუძლებელია! ასეთი მახვილი სმენა არასოდეს მქონია!“
კვლავ მივაყურადე.

სათადარიგო შესასვლელიდან კაბზე ამოძაველი ნაბიჯების ხმაც გავიგონე და თავზარდაცემული შევევრდი ოთახში.
„ნუთუ ამდენი ემოციებისაგან ჰქუიდან ვიძლები? — გაყოფიქრე დაზაფრულ-

მა, — როგორ შეიძლება, მესამე სართულზე სათადარიგო შესასვლელში შემავალი ადამიანის ნაბიჯის ხმა მესმოდეს? ნაბიჯის ხმა თითქმის 150-160 იარდის სიშორიდან?”

უცაბედად გამახსენდა, რომ წელან კარს იქით ადამიანის სუნთქვაც გავივინე, მაგრამ კარს იქით ზომ არავინ იყო? „არა, ნერვების ბრალია, გადაღლის და ნერვების ბრალი. რაც აქ ჩამოვედი, ამ დაწყვეტილ ადგილას, პრაქტიკულად არ მძინებია, როგორმე უნდა დავიძინო... დავმშვიდდე და დავიძინო... ჯეფერსონის მოსვლისთანავე დავიძინებ... სულაც არ არის საჭირო, ორივე ვფხიზლობდეთ, ბოლოს და ბოლოს, მორიგეობის დაწესებაც შეიძლება...“

თვალდაზრუნველი და სავარძელში გადასვენებული ჩემდა უნებურად პირველიდან მესამე სართულზე ამომავალი ადამიანის ნაბიჯების ხმას ვაყურადებდი, თან ჯიუტად ვიმეორებდი, რომ ვველაფერი მეჩვენებოდა და შეუძლებელი იყო ამისშორეზე რაიმეს გავიგნება.

აი, ნაბიჯების ხმა მეორე სართულს ამოსცდა... ფრთხილად აგრძელებს გზას... „თუ ჯეფერსონია, რაში სჭირდება ასეთი სიფრთხილე? არა, უძილობისგან სმენის პალუცინაციები მაქვს. გამოვივინა, ასე ემართებათ ადამიანებს გადაღლისა და ხანგრძლივი მარტობისას, მე არც ერთი მაკლია, არც — მეორე“.

ნაბიჯების ხმა უკვე მესამე სართულის დერეფანში ისმოდა...

„რატომ შეჩერდა? თანაც ზედ სააბაზანოსთნის ეს ხომ ნამდვილი ავადმყოფობაა! აი, სააბაზანოსიც შეუხვია... ჯეფერსონის გამოჩენისთანავე ვტოვებ ამ შეშლილ სახლს, არც ჰონორარი მინდა და არც არაფერი! მოუუბოდიშებ, წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებს მოვიმიზეზებ და გამოვეშვიდობები“.

ეს რაღაა, ღმერთო ჩემო!

მისის სმიტის მოგუდული კივილი...

წყლის დგაფუნისა და რაღაცის მტკრევის ხმა...

კივილის განმეორებისთანავე ოთახიდან თავგზაბანული გამოვვარდი, ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავ, ყოველივე მართლა მესმოდა თუ მეჩვენებოდა.

სააბაზანოს სველ იატაკზე სამკედრო-სასიცოცხლოდ გადახლართულ ორ სხეულს წავადექი თავს, ერთს მოჭნილსა და უნაკლოს, მეორეს კი მამაკაცურად მხრებგანიერსა და დაკუნთულმკლავებიანს. მოახლეს არაადამიანური ძალით ჩაებღუჯა მისის სმიტი და კბილებდაკრეჭილი, ცოფიანი მტაცებელივით მიიწევა მისი კისრისაკენ. მისის სმიტი შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სრულიად ნათელი იყო, რომ უკვე მთლად გამოლეოდა ძალ-ღონე და მალე ვამპირის მსხვერპლი შეიქნებოდა.

სროლა ვერ გაუბედე, რადგან შეიძლებოდა, მისის სმიტიც დამეშაყებინა. გამძვინვარებული მოახლე თმით დავითრიე და იარაღის ტარი რამდენიმეჯერ გამეტებით ჩაეცხე საფეთქელში. ასეთი დარტყმა ნებისმიერ ძლიერ ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებდა, მოახლე კი მხოლოდ ოდნავ გააბრუა, მერე გასახედნი ულყავით შეიფერთხა ტანი, უდიდესი ძალით მიმანარცხა კედელზე და შემზარავი კივილით გაიჭრა გარეთ.

სახედნიეროდ, გონება არ დამიკარგავს.

დერეფანში გავვარდი და გაქცეულს სამი ტყვია დავადევენე, მერე კიშანოში სახელდახელოდ გახვეულ მისის სმიტს მიუბრუნდი და როდესაც მან მშვიდად მიმითითა გაქცეულის მიმართულებით, რითაც მაგრძნობინა, დროს ტყუილად ნუ კარგავო, მივხვდი, მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა.

დერეფნის ბოლოში სისხლის დიდი ლაქა დამხვდა, სისხლის წვეთები კიბის საფეხურებსაც აჩნდა და ეზოში დაგებულ ასფალტსაც. ასეთ სიბნელეში ჯიბ-

ის ფარნის იმედით ვინმეს მოძებნა წყლის ნაყვას უდრიდა, მაგრამ მანვე აღმოაჩინა მიმართულება იმდენად პარადოქსულად შეჩვენა, გადავწყვიტე, გარემო მაინც დამეზვერა. დაჭრილი მოახლე თავისი თავშესაფრისაკენ უეჭველად უმოკლესი გზით უნდა გაქცულიყო, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ეს გზა, თუ სისხლის კვალს დაუუჯერებდი, ბაღის ყველაზე მეჩხერი ნაწილის გავლით, პირდაპირ უსახელო მდინარისაკენ მიდიოდა. ბაღის ეს ნაწილი კი უკვე რამდენიმეჯერ იყო გულმოდგინედ გადაჩხრეკილი, შუადღემდე მე და ჯეფერსონიც სწორედ ამ ადგილებში დავეხეტებოდით.

მალე მდორე ღინების ხმა გავიგონე და ბამბუკების რაყასაც მივაღექე. ამასობაში წამოწვიმა კიდევ.

„კარგია წვიმა, — გავიფიქრე შვებით, — გველების შიში მაინც აღარ მექნება“.

კიდევ ერთხელ ყურადღებით მოვათვალიერე გარემო, — ჩემს ზურგს უკან მოსრიალედ ასწლოვანი ხეებიცა და მდინარის მეორე ნაპირზე გადაშლილი დასახლებაც. არ გამომრჩენია ჩემი მზერის არეში მყოფი არც ერთი სახლი, ქუჩა თუ შესახვევი.

საეჭვო ვერაფერი შევაძრინე.

დასახლება ცხოვრობდა პროვინციისათვის დამახასიათებელი მშენი, ერთფეროვანი ცხოვრებით. გზებზე იშვიათად მიმოდიოდნენ მანქანები, სუსტი წვიმის მიუხედავად, ბართან რამოდენიმე მამაკაცი მასლაათობდა, ბავშვების გადაძახილიც გავიგონე და ჩემამდე ქალის შორეულმა სიცილმაც მოაღწია.

დასახლებაში გამეფებულმა სიმყუდროვემ კიდევ უფრო გამიცხოველა საფრთხის გრძნობა და უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მაძებრულ ინსტინქტს დამორჩილებულმა წელან ისე გამოვიარე დაბურული ბაღი, მაინცდამაინც არ მიგრძვნია შიში, ახლა კი ბლექსტონისაკენ უკან დასაბრუნებელი გზის გახსენებამ ცუდი ფიქრები ამიშალა.

ასეთ უკუნეთში დაჭრილ მოახლესთან შეხვედრა კარგს არაფერს მიქადდა. ბაღში სადმე რომ ჩამსაფრებოდა და მოულოდნელად დამსხმოდა თავს, იარაღის გამოყენებას ვერც მოვასწრებდი, ხოლო უიარაღოდ აშკარა უპირატესობა ექნებოდა.

მცირე ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ტყვილად არ გამერისკა, მდინარის ნაპირს გავყოლოდი ხიდამდე და მერე ტაქსით დაგებრუნებულიყავი ბლექსტონში. დასახლებიდან მოღწეული ლამაიონების სინათლე ჩემზე გამამხნეველად მოქმედებდა.

ასეც მოვიქეცი. რამდენიმე წუთის შემდეგ ლელქაშებსა და სხვა მცენარეებს შორის ვაჭირვებით მივიკვლევდი გზას, ვიყნოსავდი დაჭაობებული ზეობის სიმყრალეს და თან ღმერთის შევთხოვდი, შხამიანი გველის კბენისაგან დამიფარემოქი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამ ჯურღმულში ისინი ბლომად ბუდობდნენ. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიარე ასე, შეიძლება, ნახევარი საათი ან ორჯერ თუ სამჯერ მეტი, მე ხომ ამდენი ნერვიულობის შემდეგ დროის შეგრძნება მთლიანად მქონდა მოშლილი, მაგრამ უკვე ხიდზე ანთებულ ნათურებს ეხედავდი, როდესაც ფეხი რაღაც გლუვზე ამიცურდა და სადღაც დაბლა ჩავსრიალდი. წყველა-კრულვით წამოვდექი. ზუსტად იმ გვერდით დავენარცხე, რომლითაც წყეულმა ვამპირმა კედელზე მიმახეთქა. ჩემი უღონობისა თუ მოუქნელობის შეგრძნებით გაბოროტებულმა, მდინარეს ორი ტყვია დავაჭედე და საკუთარი დაუფიქრებლობით დამფრთხალი, უმაღლვე სმენად ვიქეცი: არავითარი საეჭვო მიძრაობა... მხოლოდ მდინარის დუდუნი, ხეების შრიალი... წვიმასაც შეუძრნეკლად მიეტოვებინა ეს მოჯადოებული ადგილი, ღრუბლებს შორის გაჩენილა

ღრიჭოდან სახვე მთვარის ბლანტი სხივები იღვრებოდა. ინსტინქტურად ნატკენ გვერდზე მოვისვი ხელი. ტალახის მსგავსი წებოვანი მასა ამყვა. ფარანი თითებზე მივინათე, ძირსაც დავიხედე... შედედებული სისხლის გუბეში ვიდექი. გუბის გასწვრივ, მდინარისაკენ ძლივშესამჩნევი ბილიკი ჩაიღოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რაღაც მძიმე ტვირთი ჩაეთრიათ. ნანახმა ჩემზე სრულიად საპირისპირო ზემოქმედება მოახდინა, უცნაურმა აზარტმა ამიტანა, ისევე შემოპყრო დევნის სურვილმა.

შიში უკვალოდ გაქრა.

ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი. დეტექტივების საქმიანობა არასოდეს მაინტერესებდა, პოლიციელებსა და წესრიგის სხვა დამცველებს ყოველთვის ცოტა ამრეზითაც ვუყურებდი, ახლა კი პირიქით, ერთი სული მქონდა, გამეგო, ეს ბილიკი სად მიმიყვანდა.

„იქნებ უკვე მოკვდა კიდეც, — გავიფიქრე მდინარესთან მისულმა და ლელქაშებში ერთიანად გახლართულმა, — იქნებ დაჭრილი მდინარეში დაიხრჩო“.

ყველანაირად ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად უხმაუროდ და შეუმჩნეველად შემოძრავა.

ბილიკმა ზედ წყლის პირას მკვეთრად მოუხვია და ჩასასვლელიდან ხუთი-ოდე იარდის დაშორებით კვლავ ბალისკენ იწყო ამბლლება. უცრად დაყვირება მომინდა, მაგრამ, დაზაფრულმა, ხმა ვერ ამოვიღე. ჩემს წინ ლელქაშებში ჩაკარგულ, ზის მორებისგან ნაშენ კედელზე ზურგით მიყრდნობილი პოლიციელი დაეინახე.

პოლიციელი გაუნძრევლად იჯდა და ფართოდ გახელილი თვალებით პირდაპირ ჩემკენ იყურებოდა.

იმის მიხედვით, თუ როგორ აირეკლა მისმა თვალებმა ფარნის შუქი, მივხვდი, რომ უკვე მკვდარი იყო.

„თან წაიყვანა, — გამახსენდა დაჭრილი პოლიციელის წუხანდელი ნათქვამი, — კესელი თან წაიყვანა“.

„კესელი“, — ჩავიზურჩულე და სმენა უფრო დავძაბე, ხუთი-ექვსი იარდის იქით ბევრს ვერაფერს ვხედავდი, საფრთხესთან ასე ახლოს კი არასოდეს ვყოფილვარ.

მდინარის მდორე დინება დასახლებიდან მოღწეულ ადამიანთა ხმასაც ვერ აზნობდა, ნიავეც ჩამდგარიყო, ლაქაშები არ შრიალებდა და მყუდრო ზეობაში სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ იგრძნობოდა.

ცოტა დაემშვიდდი და იმ ადგილის დათვალიერებას შევუდექი, სადაც ცხედარი იმყოფებოდა. ზეობაში ჩამოშლილ მიწას ოდესღაც მდინარის პირას მდგარი სახლის საძირკველი გაეშინებლებინა, ზის კედელთან მიგდებული ლოდა: ადრე, ალბათ, საფეხურის მოვალეობას ასრულებდა, საძირკველსა და კედლის ნარჩენს შორის დამპალი ფიცრები, ზის მორები და ხმელი ტოტები ეყარა, ლელქაშებში ჟანგისგან შეჭმული წყლის ჭურჭელიც შევნიშნე.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ერთი შეხედვით ერთმანეთზე დაუდევრად მიყრილი მორები და ფიცრები ძველისძველ ნასახლარზე ნაჩქარევად შეკონწიწებულ უბადრუკ ხუხულას წარმოადგენდა.

„ვამპირის ბუნავი“, — გამიელვა თავში. თითქმის ოთხით შეეფგორთხდი შიგნით და კიდობნის მსგავს საგანს მივეჯახე.

„ღმერთო ჩემო, — ჩავიზურჩულე გაოგნებულმა, — კუბო!“

როგორც ჩანდა, ზღაპრულად არსებული ვამპირების მსგავსად, მოახლეს უზარმაზარ კუბოში იძინებდა. კუბოს გვერდით ნიანგის ტყავის ჩანთა იღო, რომელშიც სანახევროდ დამწვარი ფურცლები, შავი თმის ბლუჯა და პორტა-

ტული ვიდეომაგნიტოფონი აღმოვაჩინე. ცნობისმოყვარეობით შეაყვრობილმა გავიწვდინე ხელი კუბოს სახურავის ასახლელად, მაგრამ კვლავ დაუძლეველი შიშა დამეუფლა.

„ვაითუ, სძინავს? კუბოში წევს გატრუნული?“

ამის გაფიქრებისთანავე კუბოს სახურავზე დანით თუ რაღაც სხვა ბასრი საგნით ამოჭრილი წარწერა გავარჩიე: „აშენდა 1857 წელს“.

გონებამ წამის მესახელებში ერთმანეთთან სრულიად ახლებურად დააკავშირა ჩემს მიერ ნანახი საგნები და ნივთები, კუბოს სახურავში უცნობი სახლის კარი ამოვიცანი და სახე ცივმა ოფლმა დამისველა.

„ნათელხილვები დამეწყო თუ დემონების მიერ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებ? ალბათ, გუშინ ამ ადგილამდე მოვადღინე, ბიზონის თავის ქალა დავინახე, თანგიანი ჭურჭელი, ნასახლარი და ქვეცნობიერად წარმოვიდგინე თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო აქაურობა თავის დროზე, მაგრამ წარწერა? საღებავის სუნი? მისის სმიტი ვიღაც კაცთან? მახსოვს, სახელურს კონდორის თავის ფორმა ჰქონდა, ამას?..“

ამ დროს ბაღის მხრიდან გატეხილი ტოტის ტკაცანი გავიგონე, ხმაურით გამოფხიზლებულმა ჩანთას დავეტაცე ხელი და შეძლებისდაგვარად სწრაფად გავშორდი ვამპირის ბუნავს.

ხიდისკენ მივიკვლევდი გზას და ვფიქრობდი, შეეცდი, ეს ჩანთა რომ წამოვიღე, ამით ვამპირს ჩემი იქ ყოფნა დაუუდასტურე-მეთქი. ვგრძნობდი, ჯეფერსონი საქციელს არ მომიწონებდა.

ექვთი ისე ამეკვიპატა, რომ ჯერ ნაბიჯი შევანეღე და მალე საერთოდ გავეჩერდი კიდეც. უცნაური რამ მემართებოდა: რაღაცა ძალა, წამოღებულს თავის ადგილზე დაბრუნებას მაიძულებდა, საღი აზრი კი სიფრთხილისაკენ მომიწოდებდა, მერე შიშის უზარმაზარი ტალღა დამატყვდა თავს და ერთიანად დაზაფრულმა, აღარ ვიცოდი სად დავმალულიყავი, საით გავქცეულიყავი, რამდენიმეჯერ ხეებს შორის ბაღში მისტერ სმიტიც მომელანდა.

„ცუდად ვარ! ნამდვილად ცუდად ვარ! – ჩავეკეპი, მხრებში მოვიბუზე და ციებიანივით აკანკალებულმა გავიმეორე, – ცუდად ვარ, ნამდვილად რაღაც მჭირს!“

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე, მაგრამ მდგომარეობიდან ჩემმა დაძახილმა ვამომიყვანა.

– ჯენი – მოისმა ბუნავის მხრიდან მამაკაცის ძახილი, – ჯენი

ახლაც იგივე განმეორდა: ადამიანის ხმის გაგონებაზე კვლავ საოცარმა, ავადმყოფურმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია ყოველგვარი სხვა გრძნობა, შიშის კვალაც აღარ დარჩა ჩემში, ჩანთა იქვე მივმალე და იარაღმომარჯვებული, ბუნავისკენ წავედი.

– ჯენ, – გაისმა მცირე პაუზის შემდეგ, – ჯენი

სანთებელა გაჩხაკუნდა და ცეცხლის აღმა მამაკაცს წამით სახე გაუნათა.

„ექიმი, – დავიჩურჩულე დაბნეულმა, – აქ რას აკეთებს?“

ექიმმა სანთებელას ალი სანიშნებლად თავ ზემოთ გაიტარ-გამოიტარა.

– ჯენი! – დაიძახა უფრო ხმამაღლა.

თითქოს ამას ელოდაო, უკანასკნელ დაძახილზე ბაღის სიღრმიდან ტოტების ლაწალუწითა და გამძვინვარებული ღმუილით საზარელი არსება გამოვარდა, უზარმაზარი ნახტომით თავს დააცხრა ექიმს და თვალისდახამხამებაში მდინარისკენ ჩაათრია.

ჩემს სმენას ძვლების მტკრევის შემზარავი ხმა მოსწვდა.

შესაშინებლად პაერში ვისროლე, მერე ხეობაში დავეშვი იმ მიმართულებით.



საითყენაც ვამპირი, მსხვერპლიანად, თვალს მიეფარა, მაგრამ უეცრად იგივე მრისხანე დუმილი, რომელსაც მხოლოდ ძუ ლომის ბრდღეინვას თუ შეკადარებ, ზედ ზურგს უკან შემომესმა, მიხედვაც ვერ მოვასწარი, რომ რალაც ზებუნებრივმა ძალამ ჰაერში ამიტაცა და ბაშბუკების რაყაში მიხროლა.

გონს რომ მოვედი, თავს ჯეფერსონი და ექიმები დადგომოდნენ.
 - მადლობა ღმერთს, თვალი გაახილე! - თბილად გამიღიმა ჯეფერსონმა, - წამოდგომა შეგიძლია?

მოპირდაპირე ნაპირზე, დასახლების მხრიდან რამდენიმე ავტომობილი მოკედდომოდა. ერთი მათგანი, რომელიც პოლიციის მანქანას ჰგავდა, პირდაპირ ჩვენ გვაშუქებდა.

- დაბეჭელობითა და ნოკაუტით გადარჩით, - ხელი გამომიწოდა თეთრხალათიანმა კაცმა, - ბედი გქონიათ. მისტერ პირსის საქმე კი ვერ არის კარგად.
 - რა მოხდა? - ვიკითხე და გაჭირვებით გავსწორდი წელში, - ისევ გაიქცა?
 - არა! - ჯეფერსონმა ლაქაშებში მოფუსფუსე პოლიციელებზე მიმითითა, - ორი ტყვიით შენ დაგიჭრია, მე მთელი მჭიდვე დავაცალე, მაინც მოაღწია ჩემამდე, შეხედე! - ჩამოხეული ლაბადა მიჩვენა, - ნახევი ახლაც ხელში აქვს ჩაბღუჯული. ასეთი სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ ზღაპრებში თუ გამიგონია.

მართლაც, ყოვლად წარმოუდგენელია, - დაეთანხმა თეთრხალათიანი.
 - ჯერებით ვესროდი და მაინც მოიწიქვა ჩემკენ, - გააგრძელა ჯეფერსონმა, - თანაც საშინლად ღმუღადა.

- ნებისმიერ ადამიანს პირველივე ორი ტყვია გამოასალმებდა სიცოცხლეს, - სიტყვა ჩამოართვა თეთრხალათიანმა, - მკერდი და თავი ერთიანად დაცხრილული აქვს, სახეზე ჭირს კიდევ ცნობა.

პოლიციელებმა მოახლის გვაში საკაცებზე დაახვეწეს და ფონი არც უძებნიათ, პირდაპირ შეტოპეს მდინარეში. წყალი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ.

- მისტერ ჯეფერსონი - დაიძახა პოლიციელმა, - რეზინის ჩექმები დაგჭირდებათ?

- არა, - გაეპასუხა ჯეფერსონი, - თუ ჩემს მეგობარს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ხილამდე ფეხით გავივლით, წავისაუბრებთ გადატანილი ფათერაკის შემდეგ.

იქვე მიმალული ჩანთა გამახსენდა და თანხმობის ნიშნად რალაც ჩავილულულუდე.

როდესაც პოლიციისა და სამედიცინო დახმარების მანქანები მეორე ნაპირს მოსცილდნენ, ჯეფერსონი წინ გამიძღვა.

- რა ეშმაკებმა მოგიყვანეს აქ? - მკითხა გაოცებით, - სიცოცხლე მოგბუნრდა? მისის სმიტი არ უნდა მიგეტოვებინა, კიდევ კარგი, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა.

- ბუნაგში რალაც ნივთებს წაეაწყდი, შეიძლება, გამოგვადგეს.
 - შიგნით ვამპირი რომ დაგზვედროდა, რას იზამდი?

მომეჩვენა, რომ მოახლის მოკვლას გაეყოფოჩებინა.

- დიდხანს ვიყავი უგონოდ? - ვიკითხე და ტალახით მოსვრილ, ჭაობის სუნით აქოთებულ ტანსაცმელზე დავიხედე.

- არა, დიდხანს არ ყოფილხარ, - დამამშვიდა.
 - ასე მალე როგორ შეგროვდა ამდენი ხალხი?

- რადგან გუშინ ვამპირი ბაღის ამ ნაწილში ნახე, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, თუ სანაპიროს გასწვრივ მორიგეობას დაეაწესებდით. აქაურ პოლიციის სხვა საქმე მაინც არ აწუხებს და დასახლების მაცხოვრებლებიც უფრო

უსაფრთხოდ იქნებოდნენ. ჭკუა იხმარეს, დამიჯერეს, თურმე ვიჯილანტების რაზმებიც შექმნეს, — ჩაიხიბოხითა, — სროლის ხმაზე უმაღლვე აქ გაჩნდნენ.

— ამ სახით დავენახო მისის სმიტს? — ლელქაშებში მიმაღულ ჩანათსთან შევედექი და ფარნის შუქზე კვლავ შევითვალეიერე ტანსაცმელი.

სიბნელეშიც ვიგრძენი ჯეფერსონის ორაზროვანი გამოხედვა.

— მთელი საღამო კენრი პირსს ვუდარაჯე, — განაგრძო მან ორჭოფულად, — აქამდე თავისი ფეხით მომიყვანა.. არ მისმენ? ცუდად ხომ არა ხარ?

— ექიმს უთვალთვალედი?

— კი, დარინ ვან პორნზე ტყუილად ვეჭვობდით, თუმცა მასთან შეხვედრა დღეს კიდევ მომიწევს, — ფარანი თავხედურად მომანათა, — საიდან მოიფიქრე ამ ადგილზე ხეტიალი, ვერ ამიხსნია!

კითხვაზე არ ვუპასუხე.

მინდოდა ეგრძნო, რომ რალაც ისეთი მეც ვიცოდი, რაზედაც მას წარმოადგენა არ ჰქონდა.

დავიხარე და ნაპოვნი ჩანთა ხელში მივაჩეჩე.

— ეჭვი არ შეპარება, პროფესორის ხელნაწერები გიპოვია, — ჩემი დუმილი არაფრად ჩააგლო ჯეფერსონმა. — კასეტზე რაც იქნება, დაახლოებით მაგასაც ეხვდება, დანარჩენი ბლექსტონში გაუარკვიოთ.

ჩემამდე მისი მხრიდან ალკოლოპის ძლიერმა სუნმა მოაღწია და ამ პროზაული ფაქტის გამო ზიზღის ნაცვლად, საოცრად შინაურული და მყუდრო განწყობილება დამეუფლა.

მხოლოდ ახლა გავიცნობიერე თავს გადამხდარის მთელი საშინელება.

„რატომ ვუბღვერ ჯეფერსონს, — გავიფიქრე განცვიფრებულმა, — მან ხომ უეჭველი სიკვდილისგან შიხსნა!“

ბლექსტონის შესასვლელში პოლიციელი დაგვხვდა და მისის სმიტი საავამდოყოფოში წავიდაო, მოგვახსენა. შევებით ამოვისუსუნტე, არ მინდოდა, რომ ამ სახით ვჩვენებოდი.

— რამდენი ხანია, რაც აქ ხართ? — დაეკითხა ჯეფერსონი.

— ბაღში სროლის გაგონებისთანავე ბლექსტონში მოსვლა მიბრძანეს.

— მისის სმიტმა პროტესტი არ განაცხადა?

— ვერ გავიგე! — დაიბნა პოლიციელი.

— არაფერი, ეზუმრობ! — გაუღიმა ჯეფერსონმა. — მისტერ დარინ ვან პორნი უნდა მოსულიყო, — მერე მე მომიბრუნდა: — გაგაკადნიერდი და მისის სმიტთან შეუთანხმებლად მოვიპატიჟე, ხვალ ისევ ინგლისში მიემგზავრება.

— მოსვლისთანავე შეგატყობინებთ, — დაგვიპირდა პოლიციელი.

ცხელი შხაპის შემდეგ სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი დაბეჭდილი სხეული დივანზე მივასვენე და ბლექსტონში ჩემი ყოფნის განმავლობაში პირველად მივეცი თავს უფლება, რომ არაფერზე მეფიქრა, ზერელედ გადამქონდა მზერა ერთი საგნიდან მეორეზე და უდიდეს სულიერ შევებასა და სიცარიელეს ვგრძნობდი, როდესაც ნაპოვნი ჩანთით ხელდამშვენებული ჯეფერსონი ოთახში შემოვიდა, ათქმის ნირვანაში ვიმყოფებოდი.

— ეს აუცილებლად დაკარგული ხელნაწერია, — მტკიცედ თქვა მან, — მისის სმიტი არც ამჯერად შემეცდარა, პარიკის ნარჩენზე კი რა მოგახსენო, შუბლის ნაწილია მხოლოდ დარჩენილი, მაგრამ ექსპერტისათვის ეგეც საკმარისია ამის გასარკვევად, თუ ვის ეკუთვნოდა... უფრო სწორად, თუ ვის გარეგნობას გამოხატავდა, შეხედე, — შავი თმის ბლუჯა თვალებთან მომიტანა, — მაღალი შუბლი,

კანის ფერი, შავი თმა, შუბლზე სიმეტრიულად გამელოტებული და შუაშტუკვე შეთხელებას იწყებს... არავის გახსენებს?

— არა.

— ჰო, სხვა ვინ შეიძლება იყოს? — თავისთვის განაგრძო მსჯელობა, — სხვა ყველა გამორიცხულია... ახლა გაიხსენე, ირვინ, ის საღამო, როდესაც მოახლეს პროფესორის თანაშემწემ კასეტი გადსცა... სიმაღლე, აგებულია თითქმის ერთნაირი, გაიხსენე?

— ეგ საღამო კარგად მახსოვს, — ვთქვი დაბნეულმა.

— ექიმს და დარინ ვან ჰორნს თითქმის ერთნაირი სიმაღლე და აღნაგობა აქვთ, ოღონდ ექიმი ქერაა, თანაშემწე — შავგვრემანი, ახლა ხედები, რის თქმაც მინდა? ჩვენ იმ დღეს ექიმი ვნახეთ დარინ ვან ჰორნის პარიკით.

ექვით გადავაქნიე თავი.

— არ გჯერა? — მკითხა გოცებულმა ჯეფერსონმა, — ეს ზომ ასე აშკარაა!

— მე მჯერა, მაგრამ სასამართლოზე...

— სასამართლოზე ის ფაქტიც საკმარისი იქნება, ვამპირი და ჰენრი პირსი ბუნავთან ერთად რომ ვნახეთ, თანაც ორივემ გავიგონეთ, როგორ მოუხმობდა თავისთან. ვარდა ამისა, ეჭვი არ მეპარება, ამ ნარჩენებზე, — ხელნაწერსა და თმის ბლუჯაზე მანიშნა, — უეჭველად ექიმის თითების ანაბეჭდებია. როდესაც მოახლესთან ერთად ვნახეთ, დარინ ვან ჰორნი საერთოდ არ ყოფილა ამერიკაში, ინგლისში იყო სამსახურის თაობაზე...

— ვიცი, — ჩაურთე.

— ხვალაც უნდა გაფრინდეს და ამიტომ დავიბარე ასე გვიან... თუმცა მოვა და თვითონ უფრო კარგად გვეტყვის ყველაფერს. ახლა კასეტს მივხედოთ.

ცხვირსახოცით კიდეებში ფრთხილად მოჰკიდა ხელი და მაგნიტოფონთან მიიტანა:

— აქ კიდევ ერთი კასეტაა, — თქვა ცოტა შეფიქრიანებულმა. — მაგნიტოფონშიც ყოფილა, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ის უნდა იყოს, რასაც მე ვფიქრობ, მეორე...

— რა უნდა იყოს? — ველარ მოვითმინე.

— შეხედე, — ჩართო და ეკრანს მიაჩერდა, — იგივე სიუჟეტი, იგივე ეპიზოდი, — ვამპირი და მისი მსხვერპლი. აი, სწორედ ამას ვფიქრობდი!

კადრში ვამპირი ღონემიხდილ ქალს სისხლს სწოვდა. კადრი წყდებოდა და ისევ თავიდან იწყებოდა.

ჯეფერსონმა ფირი გადააზვია და რამდენიმე ადგილზე შეამოწმა: კვლავ იგივე, — ერთი და იგივე ეპიზოდი მთელ კასეტზე მეორდებოდა.

— სალახანა! — გამოსცრა ზიზღით, — ამაზე მეტი სიბინძურე წარმოუდგენელია!

ბოლო წინადადება რა მიზნით თქვა, ვერ გავიგე, მაგრამ ნანახმა ჩემზე მართლაც უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა:

მონუსხული შეყვარებდი უკვე გამოართულ ეკრანს, თვალწინ კი მისის სმიტისა და ვამპირის დილანდელი ორთაბრძოლა მელანდებოდა. აი, სულ მალე ვამპირი მისის სმიტის მფეთქავ არტერიას კბილებით შეეხება, მისწვდება სათუთი კანით დაფარულ, მაღალ ყელს, პირში თბილი, ოდნავ მლაშე სითხის გემოს იგრძნობს...

პირი ნერწყვით ამევსო, თვალები მიმებინდა, სხეულში მანამდე არგანცდილმა თრთოლამ დამიარა, რომელიც ედრთდროულად ერქციის განცდასა და მიმშლიისაგან გამოწვეულ თავბრუსხვევასაც ჰკავდა.

— რაც მისტერ გრეჰემმა დღეს გადაიტანა, — მომესმა ჯეფერსონის ნათქვამი და მზარზე ფრთხილი შეხება ვიგრძენი. — სხვას მთელი სიცოცხლე ეყოფოდა. პოლიციელი და მისტერ დარინ ვან ჰორნი შემოსულიყვნენ.

დარინ ვან ჰორნი თავაზიანად მიწვიდა ხელს.

— უკაცრავად, — გამოწვდილი ხელი მობოდიშებით ჩამოვართვი. — დღეს მძიმე დღე გვექონდა.

— მშვენივრად მესმის, ჯენტლმენებო, — სათითაოდ დაგვიკრა თავი, — ამდენი სისხლი ორიოდ დღეში, ჭეშმარიტად ძნელი სანახავია.

სისხლის ხსენებაზე თვალი ჩემდა უნებურად ნავარჯიშები კისრისკენ გამექცა და ზარბაღ შევათვალეურ დაბერილი ძარღვები.

„რა მომდის! — გავიფიქრე თავზარდაცემულმა, როდესაც კვლავ წელანდელმა თრთოლამ ამიტანა, — რა მემართება!“

მაგიდაზე მდგარ თერმოსს მივწვდი და ყავა ჩამოვისხი, დასხმისას შევამჩნიე, რომ ხელები მიკანკალებდა, გულსაც ძალუმად გაუდიოდა ბაგაბუვი.

— თქვენი ნებართვით, — მიმართა ჯეფერსონმა პროფესორის თანაშემწეს, — ამ კასეტსაც გავსინჯავთ და მერე, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხეთ.

— დიდი სიამოვნებით, — გაიღიმა დარინ ვან ჰორნმა და ლიმილში გაოცება არ დაუმაღლავს.

— ეს კასეტი ვამპირის ბუნაგში ვიპოვეთ, — მოწყალედ აუხსნა ჯეფერსონმა, — შემთხვევის ადგილზე.

მტკიცედ გადაუწყვიტე, ეკრანისთვის არ შეეხედა.

წამოვდექი კიდეც, რათა რაიმე მიზეზით ოთახიდან გავსულიყავი, მაგრამ ჯეფერსონის რამდენიმე რეპლიკამ და ნაჩვენები ფირის ტექსტმა მიმახვედრა, რომ საქმე გვექონდა ჩვეულებრივ მელოდრამასთან.

— საიდან გაჩნდა ეს კასეტი აქ? — რამდენიმეჯერ უმისამართოდ იკითხა სასოწარკვეთილმა მისტერ ჯეფერსონმა.

ის აშკარად გაოგნებული ჩანდა.

ეკრანზე კი თეთრხალათიანი ლამაზი ქალებით გარემორტყმული ჭადარა მეცნიერი ექსპერიმენტს ატარებდა კარგად მოწყობილ თანამედროვე ლაბორატორიაში.

— არა, — ცმუკავდა ჯეფერსონი. — მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე, შეუძლებელია, მე ვცდებოდე.

მან რამდენიმეჯერ კიდეც გადაახვია ფირი და აღტაცებული შეძახილებით კადრი გააჩერა:

— შეხედეთ! — აყვირდა მოზეიმე ხმით, — დღეს ჭეშმარიტად ბედი მწყალობს! შეხედეთ, შეხედეთ! ამას კი ნამდვილად არ მოველოდი!


ფილმში მეცნიერი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს.

თვითმკვლელობის ეპიზოდი აქაც, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, დარჩენილ ფირზე განუწყვეტლივ მორღებოდა.

— ახლა ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია, — თქვა ჯეფერსონმა ოდნავი თავშეკავებით, — ალბათ, თქვენც ყველაფერს მიხვდით.

პროფესორის თანაშემწე სახეზე გადაფითრდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პოლიციელის შემოსვლამ შეუშალა ხელი. პოლიციელმა მისის სმიტის საკვადმყოფოდან დაბრუნება გვაუწყა, თუმცა ისიც დასძინა, თავს შეუძლოდ გრძნობს და გუთხოვთ, დღეს ნუ შემაწუხებთო.

— ექიმს როგორ არის? — კითხა ჯეფერსონმა.



— ექიმი გარდაიცვალა, სერ, მისის სმიტის ნახვა ისურვა, მაგრამ მერე გონება დაუკარგავს.

— ცუდია! — დაფიქრებით ჩაილაპარაკა ჯეფერსონმა. — ექიმს რამდენიმე კითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა.

— მე კიდე გჭირდებით, სერ? — იკითხა პოლიციელმა.

— იმედია, მოწყალეებს გაიღებენ პოლიციაში და ამ ნივთებს ქიმიურად დაამუშავენ, — ჯეფერსონმა ჩანთა მიაწოდა. — თითების ანახეჭდებიც მაინტერესებს.

— ადვილი სამსახურია, მისვლისთანავე დაგირეკავთ.

— პროფესორის ხელნაწერი, — თქვა დარინ ვან ჰორნმა, — ყოველთვის მიკვირდა, რატომ უნდა მოეპარათ, მანდ ხომ სერიოზული არაფერია!

— იცანით, არა? — ჩაეკითხა ჯეფერსონი, — მე თვითონ ვაპირებდი, მეკითხა თქვენთვის.

— რა თქმა უნდა, ვიცანი, — გაიცინა დარინ ვან ჰორნმა. — მანდ ჩემი ხელითაც არის შენიშვნები გაკეთებული. ძირითადად ექსპერიმენტების შედეგებია, ორიგინალები საავადმყოფოში ინახება.

— მაშინ, რატომ მოიპარა? — ვიკითხე.

— ან სხვას მოაპარინა, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღვინა ჯეფერსონმა და პოლიციელს მიუბრუნდა: — შეგიძლიათ, წაიღოთ, ჩვენ ეგ ნივთები აღარ გვჭირდება.

პოლიციელის წასვლის შემდეგ დუმილი ისევ მისტერ ჯეფერსონმა დაარღვია, — როგორც ვიცი, ტრანკვილიზატორებზე მუშაობდით, — უთხრა დარინ ვან ჰორნს.

— ჟანგბადიან ალკალიდებზე, — დააზუსტა დარინ ვან ჰორნმა, — მისტერ სმიტი ახალგაზრდობიდან მოყოლებული, სხვადასხვა მცენარეულ მასალას არჩევდა, თორმეტი-ცამეტი წლის წინ კი, მადაგასკარზე ყოფნისას, ადგილობრივი ექიმბაშისაგან რაღაცა წამლის დამზადება ისწავლა, ამის შემდეგ ამიყვანა თანა-შემწეად და მხოლოდ შხამიან სოკოებზე ვატარებდით ექსპერიმენტებს. დისერტაციასზე მუშაობაც დავიწყე, — დააყოლა დანახებით, — ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

— რატომ?

— უპროფესოროდ კვლევას ვერ გაუგარძელებ, — შეყოყმანდა, — არის მეცნიერული წერილმანები.

— მადაგასკარზე რომ არ მოხვედრილიყო პროფესორი, შხამიან სოკოზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ შეუდგებოდა?

— სოკოებზე, — შეუსწორა დარინ ვან ჰორნმა. — წამალს მეცნიერებისათვის უცნობი ორი სახეობის სოკოსგან ვამზადებდით. საერთოდ, სოკოებზე მანამდეც ბევრი მუშაობდა... ჩვენთანაც, ევროპაშიც, თვითონ მაგ კუნძულზეც... მხედველობაში მაქვს ოფიციალური მეცნიერული მუშაობა... საერთოდ, მადაგასკარი ცნობილია ხალხური მედიცინის განვითარებებს დონით, იქ ისეთი გავრცელებული დაავადებები, როგორიც არის გრიპი, ართრიტი, რევმატიზმი, თითქმის არ არსებობს...

— მაპატიეთ, — შეაწყვეტინა ჯეფერსონმა, — თქვენ კითხვაზე არ მიპასუხეთ.

— როგორ არა, — მე გადმომხვდა მისტერ დარინ ვან ჰორნმა. — სწორედ კითხვაზე გპასუხობთ. პროფესორი სოკოზე მანამდეც მუშაობდა, მაგრამ მადაგასკარის შემდეგ სხვა ყველა სახის მცენარე მიატოვა...

— მაპატიეთ, ახლა გავიგე. ზემოქმედების თავისებურებაზე რას გვეტყვით?

უკუბრუნებულ ავადმყოფებს არჩენდაო, აი, თუნდაც საბრალო ჯენი... ბოლომდე ვერ განკურნა, მაგრამ...

- მადაგასკარიდან ლემური ჩამოიყვანა, - ირონიულად ჩაიცინა პროფესორის თანაშემწემ: - ერთგვარი მაიმუნია...

- ვიცით, - ჩაურთო ჯეფერსონმა.

- პოდა, იმ მაიმუნს შეეძლო ველოსიპედის მართვა, ხატვა, საათის ცნობა...

- ცირკში მაგაზე მეტიც გვინახავს, - ღიმილით შევაწყვეტინე.

- საქმეც იმაშია, რომ მაიმუნისთვის არასოდეს არაფერი უსწავლებიათ, - მკაფიოდ წარმოთქვა თანაშემწემ. - მას მხოლოდ წაშლის გარკვეულ დოზას აძლევდნენ.

„ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია?“ - გავიფიქრე უკანასკნელი სიტყვების გაგრძელებაზე და თავი კიდევ უფრო ცუდად ვიგრძენი.

- წამალს მხოლოდ სულით ავადმყოფებზე სცილიდათ?

- დიახ.

- რეალური შედეგი?

- რამდენიმე უიმედო ავადმყოფი პრაქტიკულად გამოჯანმრთელეთ. პაციენტებთან ძირითადად პროფესორი და პენრი პირსი მუშაობდნენ, ჩემი ამოცანა ფარმაცევტული ქიმიის ჩარჩოებს დიდად არ სცილდებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმის კურსში ვიყავი და ძირითადად მათ დასკვნებს ვეყრდნობოდი. ჯენი გრეიც უკანასკნელ ამბებამდე გამოჯანმრთელებულად ითვლებოდა.

- შეიძლება თუ არა, თქვენმა პრეპარატმა უკურეაქცია გამოიწვიოს და ჯანმრთელი ადამიანი გადააცდინოს ნორმიდან?

- პრეპარატის ოდნავ დიდი დოზა ნარკოტიკია, საჭირო შემთხვევაში დოზის გის მოვალეობასაც შეასრულებს, რადგან ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მონაცემების გარკვეული მობილიზაცია შეუძლია, უფრო მეტი კი ჩვეულებრივი შხამია და სასიკვდილოა, ლემური მაგით დაგვედუპა. ჩვენი ექსპერიმენტების არსი სწორედ ზუსტი პროპორციებისა და დოზების დადგენაში გამოიხატებოდა. მთელი სირთულე იმაშია, რომ თითოეულ ადამიანს, საკუთარი გონებრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ამ პრეპარატის მიმართ სრულიად ინდივიდუალური რეაქცია აქვს, ესე იგი, ეს პრეპარატი ყველა ადამიანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს.

- ექსპერიმენტის გაგრძელებაში ამჟამად რა გიშლით ხელს?

- ყველაზე ცოტა რამ, - სინანულით ჩაილაპარაკა მისტერ დარინ ვან პორნმა, - არ ვიცი, ნედლეული სად ვიშოვო, სად ვეძებო! ერთი მათგანი მადაგასკარზე უკვე აღმოჩენილია, მეორე სახეობის სოკოს ქიმიურმა ანალიზმა კი მისი კონტინენტური პოპულაცია დაადასტურა, ყოვლად გამორიცხულია, რომ ის კუნძულზე არსებობდეს.

- გამოდის, რომ პროფესორმა საიდუმლო არავის გაანდო, - ვთქი მე.

- არავის, გუშინდლამდე ორივე სახეობა მეც მადაგასკარზე მეგულებოდა, გუშინ ჩავატარეთ დარჩენილი მარაგის საბოლოო შემოწმება და ასეთი შედეგი მივიღეთ. მანამდე პროფესორის სიტყვებში ეჭვი არავის შეგვპარვია.

- რა სახით შეიძლება წაშლის მიცემა ავადმყოფისათვის? - იკითხა ჯეფერსონმა.

- ფხენილის ან ამპულების სახით. ფხენილს ოდნავ მოტკბო-მომჟავო გემო აქვს, კარგად იხსნება წყალში, ზეთში... შეიძლება მიეცეს საკვებთან ერთად, სასიქლთან ერთად, ძლივს შესამჩნევი ხილის სუნი დაჰკრავს... სპირტშიც კარგად იხსნება, მაგრამ ალკოჰოლი მის ზემოქმედებას რამდენამდე აქვეითებს...

უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე ჯეფერსონმა ნიშნის მოგებით გადმოხედა და კმაყოფილმა ჩაიღიმა,

— წამლის ზემოქმედებას რა სიმპტომები აქვს? — ვიკითხე გაბზარული ხმით.

— ზემოქმედება იწყება სმენის საოცარი გამახვილებით, — მიპასუხა პროფესორის თანაშემწემ, — დროის შეგრძნების დაქვეითებით... დროთა განმავლობაში აუღმყოფი ვარდება პიპნოზური მდგომარეობაში და მის ფსიქიკაზე ზემოქმედებით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა, ფსიქოზებისა და დეპრესიების მოხსნა, მანიაკალური მდგომარეობიდან გათავისუფლება... ერთი სადისტიკო განკურნეთ, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ საპატიმროში გადაიყვანეს, მაგრამ ჯანმრთელობის დაბრუნება ჩვენთვის მთავარი იყო. ასევე ადვილად ხდება პომოსექსუალისტიებისა და ნარკომანების განკურნება...

— უარყოფითი შედეგები? — შეაწყვეტინა ჯეფერსონმა.

— როგორც ვითხარით, დიდი დოზა სასიკვდილოა, — გაღიზიანება დაეტყო დარინ ვან პორნს, — ოდნავ ნაკლებმა კი შეიძლება რობოტებად აქციოს ადამიანი.

— და ის უყოყმანოდ დაემორჩილება ბრძანებას?

— არამარტო ბრძანებას, მაიმუნის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ წამლის მიღების შემდეგ აუღმყოფი საოცრად მიმბაძველი ხდება, მასზე ზემოქმედება ადვილად შეიძლება ლექციით, წიგნით, ფოტოსურათით...

— ფილმით, — ჩაურთო ჯეფერსონმა.

— რა თქმა უნდა, ფილმითაც.

„ვის შეეძლო ჩემთვის წამლის შემოპარება? — გავიფიქრე საშინელი ეჭვით გათანგულმა და ფინჯანი ცივად დავედი მაგიდაზე, — მაგრამ მოახლე ხომ დღეს ბლექსტონში გვიან შევნიშნეთ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მისის სმიტს თავს დაესხა?“

— ასე შეიძლებოდა, საბრალო მოახლე ექცია ვინმეს ვაპირად?

— სავსებით შესაძლებელია.

— ის უზარმაზარი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა საიდან?

— შთაგონებას ყველაფერი შეუძლია, — დინჯად თქვა დარინ ვან პორნმა. — ყოველ ადამიანშია მისთვის უცნობი ენერჯის მარაგი, რომლის გამოყენებაც მან არ იცის და რომლის არსებობაც მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში გამოვლინდება.

— ალბათ, ასეც არის, — ჩაილაპარაკა ჯეფერსონმა, — ის კი, რაც შუადლით მითხარით, ჩემს გულს მიესალბუნა.

თანაშემწემ კითხვით შეხედა.

— მისტერ გრეკემ, — მომმართა ჯეფერსონმა. — მისტერ დარინ ვან პორნი მთელი პასუხისმგებლობით ამტკიცებს, რომ თუ ჯანმრთელი ადამიანი დიდხანს არ იმყოფება ამ წამლის ზემოქმედების ქვეშ, მის ფსიქიკაში პათოლოგიური ცვლილებები არ ხდება.

— გეთანხმებით, — დამოწმა დარინ ვან პორნი. — პიპნოზური მდგომარეობის მიღწევა ადვილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პაციენტი უკვე ამ წაჩალზეა დამოკიდებული და მისი ფსიქიკა განუწყვეტელ ზემოქმედებას საჭიროებს.

— ბოლო დღეების განმავლობაში განუწყვეტლივ ვგრძნობდი ჩემში მომხდარ ცვლილებებს, — ისევე მე მომმართა ჯეფერსონმა. — ალბათ, იგივეს განიცდიდი შენც. რადგან ერთნაირად ვჭამდით და ვსვამდით... რა თქმა უნდა, საშინელი ასატანი იყო, მაგრამ გადაღლას ვაბრალებდი. სანთლის ბიუსტის პოვნის შემდეგ მისტერ სმიტი მაინც რამდენიმეჯერ მომეჩვენა, თანაც იგივე სახით და ზუსტად იმ ად-

გილას, სადაც უკანასკნელად ვნახეთ, მერე გავიხსენე კასეტი, რომელიც, ჩვენი აზრით, მისტერ დარინ ვან ჰორნმა გადასცა მოახლეს, ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირე და უცნაური კანონზომიერების აღმოჩენა არ გამჭირვებია.

— ვინ გაძლევდათ წამალს? — იკითხა დარინ ვან ჰორნმა.

— ჯენი გრეი. შემოიპარებოდა ექიმის ბრძანებით, ჩაყრიდა ფხვნილს საჭმელში ან შეურევდა ყავაში და ამით გათავდებოდ საქმე. ეს არავითარ პრობლემას არ წამოადგენდა... თვითონ ექიმიც იყო ბლექსტონში, — დაასრულა მცირე პაუზის შემდეგ.

— წელან დამავიწყდა მეთქვა, რომ შესუნთქვითაც ითვისებს ორგანიზმი. თუ დაიყარა ფხვნილი სადმე, მისი ფილტვებში მოხვედრა არ არის გამორიცხული და ამიტომ მუშაობისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო.

— ახლა ჩემთვის ნათელია, ძაღლები რატომ ვერ მიჰყვებოდნენ კვალს, — წამოიძახა ჯეფერსონმა და საიდანღაც ბრენდის სახე ბოთლი დააძრო, — შეისუნთქავდნენ და აებნეოდან თავგზა.

მათი დაალოვის მოსმენისას მივხვდი, რაც მჭირდა, ვამპირიზმი მემართებოდა. ცხვირსახოციტ შევიშრალე ცივი ოფლით დანამული შუბლი, ხელისკანკალით ჩამოვასხი ბრენდი და უსიტყვოდ გადავკარი. მისტერ ჯეფერსონმა ყურადღებით შემათვალეირა და თანაგრძნობით გამიღიმა.

— ჯენტლმენებო, — მოგვმართა დარინ ვან ჰორნმა. — თუ აღარაფერში გჭირდებით, ნება მომეცით, დაგტოვოთ! ორიოდე დღეში კვლავ დავბრუნდები ინგლისიდან და ამ ჩახლართული საქმის ყველა წვრილმანსაც, ალბათ, მაშინ გავიგებ.

— თქვენ უკვე ყველაფერი იცით, ჯენტლმენებო, — ხაზგასმული თავმდაბლობით წარმოთქვა ჯეფერსონმა. — დავიწყით თუნდაც მისტერ სმიტის მკვლელობით. დიახ, მე აუცილებლად მკვლელობას ვარქმევ, — მან ორივე საქმიანად შეგვათვალეირა და დარინ ვან ჰორნს ჯიქურ მიაჩერდა, — უმორჩილესად გთხოვთ, თუ რამე შემეშლება, მაშინვე შემიხსოროთ!

პროფესორის თანაშემწემ ხელები მოწყალებდ გაშალა, ვითომ, მე რა შემიძლიაო, სავარძელში მყუდროდ მოეწყო და მოსასმენად მიემზადა.

— როდესაც ჩემთვის ცნობილი გახდა პროფესორის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი, დავასკვენი, რომ მისი მოკვლა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც აღნიშნულ ტრანკვილიზატორზე ხელი მიუწვდებოდა. ასეთ ადამიანთა სია კი, პროფესორის გარდა, მხოლოდ ორი კაცისაგან შედგებოდა, — ჯეფერსონმა ბრენდით პირი გაისველა და განაგრძო: — ერთ-ერთი მათგანი თქვენ ბრძანდებოდით, მისტერ დარინ, მეორე ექიმი ჰენრი ირსი იყო. რადგან თქვენ ალიბი გქონდათ თოჯინებით დადგმულ სპექტაკლსა და კასეტის გადაცემის სცენაში ვერ მიიღებდით მონაწილეობას, რჩებოდა მხოლოდ ექიმი. მედპერსონალის გამოკითხვისა და თქვენთან გასაუბრების შემდეგ ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა. აბა, კარგად გაიხსენეთ მისტერ სმიტის გარდაცვალების დღე, უფრო სწორად, მისტერ სმიტთან ექიმის სატელეფონო საუბარი!

— ჯერ მისის სმიტმა დარეკა, მაგრამ რაზე ისაუბრეს, კარგად აღარ მახსოვს, — შუბლი შეიჭმუნა პროფესორის თანაშემწემ. — სთხოვდა დაესვენა...

— მერე ექიმმა გამოართვა ყურმილი, — შეახსენა ჯეფერსონმა.

— დიახ, მანაც დასვენება და ტელევიზორის ყურება ურჩია.

— აი, ხომ ხედავთ! საკმარისი იყო პროფესორს ენახა ის კადრები, სადაც მეცნიერი თავს იკლავს, რომ მანაც იგივე გაიმეორა. დააკვირდით, ყველაფერი როგორ არის გათვლილი! თუ დოზის გადაჭარბებით მოკვდებოდა, რა თქმა უნდა, დაიწყებოდა ძიება, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, დაადგენდნენ — ექსპერიმენტი საკუთარ თავზე ჩაატარა და მეცნიერებას შეეწირაო. ჩვენ, ამერიკელე-

ბი, სანტიმენტალობას, რაც პირად ცხოვრებაში გვაკლია, ზოგადსაკაცობრიო საკითხებთან შეხებისას საკმაოზე მეტადაც ვიჩნით და ძალიან კმაყოფილნი ვრჩებით მაღალფარდოვანი დასკვნების გაკეთებისას. თუ თავს არ მოიკლავდა, მაგიათაც ბევრი არაფერი ფუჭდებოდა, თვითონ პროფესორი იფიქრებდა წამალი შემთხვევით შევისუნთქეო, ექიმი კი მოქმედებისათვის უკეთეს დროს შეარჩევდა. სამწუხაროდ, ტრაგედია ისე გათამაშდა, როგორც წინასწარ იყო ჩაფიქრებული, — ჯეფერსონმა ამოიხრა და ბრენდით შეივსო სირჩა: — კასეტის ნახვა ვის მოუვიდოდა აზრად, პოლიცია მკვლელს ეძებდა! მეორე დღეს მოახლემ ამოიღო კასეტი და შეინახა. მაგრამ ექიმმა დაუშვა ერთი საბედისწერო შეცდომა: სულ-მოკლეობის გამო, საბრალო ჯენის ნაადრევად მოაპარინა ხელნაწერები, ალბათ, შეეშინდა, სხვას არ ჩავარდნოდა ხელში და ამით მისის სმიტი დააეჭვა, მისის სმიტმა კი მე მთხოვა, ამ საქმისათვის მომეკიდა ხელი.

— მაგ ხელნაწერის ორიგინალი, — ფრთხილად შეეპასუხა დარინ ვან ჰორნი, — ჰენრის კლინიკაში ინახება, რატომ მოაპარინებდა იმას, რაც თვითონვე ჰქონდა?

— ექიმი სრულიად სხვა რამეს ეძებდა, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მას სოკოს საიდუმლოს ამოხსნა უნდოდა.

— ფიქრობთ, იცოდა, რომ მეორე სახეობა მადაგასკარზე არ არსებობდა?

— ასე გამოდის...

— პროფესორისთანა გამოცდილი კაცი, — ჩავერეე საუბარში, — წინასწარ ვერ იგრძნობდა ტრანკვილიზატორის ზემოქმედებას? თვითმკვლელობამდე რატომ მიიყვანდა თავს?

მე და ჯეფერსონი დარინ ვან ჰორნს მივაჩერდით.

— იქნებ იგრძნო კიდეც, — თქვა მან. — რამდენიმეჯერ მიღებული მცირე დოზის შემდეგ, რომელიც პრაქტიკულად არაერთარ გაველენას არ ახდენს ფსიქიკაზე, რაოდენობის უეცარი გაზრდა ძლიერ ეფექტს იწვევს, შეიძლება, მიხვედრიდან დაჰიპნოზებამდე მხოლოდ ორიოდე წამმა გაირბინა და მერე ისე მოქმედებდა, როგორც სიხმარში.

— საშინელებაა! — აღმოხდა ჯეფერსონს.

— ვის სჭირდება ასეთი წამალი! — ჩავილაპარაკე მე.

— ამ წამალს, — ცივად აღნიშნა პროფესორის თანაშემწემ, — ბევრი სიკეთის მოტანაც შეეძლო.

მცირე ხანს ჩაფიქრებულები ვდუმდით.

— ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა ექიმს ხელნაწერთან გაცნობის შემდეგ, — განაგრძო მსჯელობა ჯეფერსონმა, — მან ამხელა მსხვერპლის ფასადაც ვერაფერს მიადღწია; ჩაიღინა მკვლელობა, რომელსაც მის თვალშიც კი არავითარი გამართლება არ ჰქონდა. ბუნებრივია, შეშინდა, აჩქარდა, ამიტომ შეცდომა შეცდომაზე მოსდით... მოახლისთვის სცადა ყველაფრის გადაბრალე-ბა, ვაჰპირიზმამდე მიიყვანა საბრალო ქალი... მისტერ დარინ ვან ჰორნის სახით გამოგვეცხადა, ჩვენი და მისის სმიტის ქიმიურად დამუშავებას განაგრძობდა...

— მიზანი? — ვიკითხე.

— მიზანი, ერთი შეხედვით, საკმაოდ გულუბრყვილოა, ან მისტერ სმიტის მკვდრეთით აღდგომა უნდა გვერწმუნა, ან მოახლე, ადრე თუ გვიან მოკლავდა მისის სმიტს და ორივე მკვლელობა მისთვის უნდა დაგვებრალებინა. სხვა, უამრავ ლეგენდას იღუმალეებით მოცული ბლექსტონის ტრაგედიაც დაემატებოდა.

დარინ ვან ჰორნს გავხედე და მომეჩვენა, რომ ყურადღება თუ გულმოდგინება, რაც სახეზე გამოხატოდა, ცოტა გაზვიადებული იყო.

— როდესაც თქვენან შევიტყვე, რომ გარკვეული სტრესული მდღეობარეო-

ბის შენარჩუნებისათვის წამლის ყოველდღური მიღება იყო აუცილებელი, მაშინვე კლინიკისკენ გავემართე და ექიმს დაუდარაჯდი, ვიცოდი, ვამპირის სამალავთან მიმიყვანდა. მართლაც ასე მოხდა. კიდეც კარგი, — დაასრულა დინჯად, — დროზე მოვასწარი.

მისმა მსჯელობამ ბოლომდე ვერ დამაკმაყოფილა, თუმცა საწინააღმდეგოც არაფერი მქონდა: მისტერ ჯეფერსონმა დაადგინა მკვლელის ვინაობა, სიცოცხლეს გამოასალმა ვამპირი და ამით საზარელ აღსასრულს გადამარჩინა არა მარტო მე, არამედ, ვინ იცის, კიდეც რამდენი ადამიანი, ესე იგი, თავის მისიას მშვენივრად გაართვა თავი.

მისტერ ჯეფერსონის სრულ ტრიუმფს მხოლოდ მისის სმიტის შეუძლოდ ყოფნა აფერხებდა. მართალია, მე და პროფესორის თანაშემწეს მისთვის კომპლიმენტები არ ღაგვიკლია, მაგრამ ასეთ დროს ლამაზი ქალის გვერდით ყოფნა თითქმის აუცილებელია.

მისის სმიტი დილითაც არ გამოჩენილა.

— ბუნებრივია, — დიდსულოვნად ბრძანა ჯეფერსონმა. — ძიების დასრულებამ მისის სმიტს დარდი უფრო გაუმძაფრა, მე მესმის მისი!

მთელი დღია ხელნაწერებს ვუკირკიტე.

მოკლე შენიშვნების სახით ვიწერდი ყველაფერს, რაც ბლექსტონში ხდებოდა. მუშაობაში დრომ შეუმჩნევლად გაირბინა.

პირველის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ეზოში მანქანა შემოგრიალდა. ვიფიქრე, პოლიციიდან ჯეფერსონი დაბრუნდა-მეთქი, მაგრამ როდესაც გაცხარებული კამათიც გავიგონე, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ფანჯრიდან გადავიხედე.

მისის სმიტის აღელვებული ბიძაშვილი — ქენდი ჯორდანი რაღაცას გამწარებით უმტიციცებდა ეზოში მდგარ პოლიციელს, მერე თითქმის ხელის კვრით ჩამოიცილა გზიდან და ბლექსტონში შემოიჭრა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისის სმიტთან არ უშვებდნენ.

„რა სისულელეა! — გავიფიქრე, — რა უფლება აქვს პოლიციელს!“

როგორც კი ჩემს საქმიანობას მიუბრუნდი, ღერუფნიდან მისის სმიტის მკაცრი ხმა შემომესმა:


— წადი აქედან, — ამბობდა ბრაზით. — უნდა სცოდნოდა, ლალატს არ ვაპატიებდი!

— მკვლელი! — თითქმის კიოდა მის ჯორდანი. — რატომ მაინცდამაინც ჩემს შეყვარებულს ამოირჩევ ხოლმე, ედვინი არ გეყო? ჰენრი რატომღა გაიმეტე?

აღშფოთებამ მომიცვა და კართან მივედი: „გასაგებია ქენდი ჯორდანის მდგომარეობა, მაგრამ ექიმის სიკვდილში მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ექიმია დამნაშავე, რას ემართლება მისის სმიტს?“

— იფიქრა, აღმოჩენა ჩემს ხელშიაო, — იგვე კილოთი განაგრძო უძილობისგან თვალბეზუსივებულმა მისის სმიტმა, — მაშინვე ჯვრისწერა გამოაცხადა! ისე გათავხედდა, მოკვლა დამიპირა, სულელი ჯენი მომიგზავნა, მეპატიებინა? მიპასუხე, მეპატიებინა?

— მან კი არა, მე გამოვაცხადე, — ატირდა მის ჯორდანი, — იცოდე, ყოველთვის მე ვუყვარდი, ყოველთვის!..



— შენისთანა უკუნური ქმნილება, — თვალები ზიზღით აუელვარდა მისის სმიტს, — შეიძლება, ვინმეს უყვარდეს?

ოთახში შებრუნება დავაპირე, მაგრამ უკვე გვიანი იყო, შემამჩნიეს. წამით მისის სმიტი შეცბა, სახე მომარიდა, თუმცა უმაღლვე გამოერკვა და ნაძალადევი ღიმილით დამიქნია თავი:

— მისტერ გრეკემ, თქვენ არ წასულხართ პოლიციაში? მე მისტერ ჯეფერსონთან ერთად მეგულებოდით!

— არა, — ვუასუხე ნირწამხდარმა, — პატარა საქმე მქონდა.

— პონორარის ნაწილს დღესვე მიიღებთ, ნაწილს კი, ალბათ, უახლოეს ხანში გამოგვგზავნით ჩემი ადვოკატის ხელით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — კიდევ გამიღიმა და ზმის ამოღებაც ვერ მოვასწარი, ისე მიიხურა საძინებლის კარი.

დერეფანში მიმავალ ატირებულ ქენდი ჯორდანს თვალი გავაყოლე და დაბნეულმა გავიფიქრე, მისის სმიტსაც მთელი ღამე უტირია-მეთქი.

იმავე საღამოს წამოვედი ბლექსტონიდან.

პროფესორის ხელნაწერზე, როგორც მისტერ ჯეფერსონი ვარაუდობდა, ჰენრი პირსის თითების ანაბეჭდი აღმოჩნდა.

ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ძიების ბედი.

მართალია, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ მომშორებია, რამდენიმე უსიამოვნო კითხვაც მაწუხებდა, მაგრამ გაწუმება ვარჩიე. რაც მთავარი იყო, მისის სმიტის ადვოკატმა პონორარი მთლიანად გადმოგვცა, ჩვენი ფოტოები „ტაიმის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა, დასახლებაშიც სიმშვიდემ დაისადგურა, მკვლელობები აღარ ხდებოდა.

მისის სმიტისა და მისი ბიძაშვილის კამათის შინაარსი საიდუმლოდ შევინახე, რადგან ექიმისა და მისის სმიტის ინტიმური ურთიერთობის გახმაურება არ ჩავთვალე საჭიროდ.

მკურნალობას ორი თვე მოვანდომეთ, მერე ჯეფერსონს დავემშვიდობე, ევროპაში მივემგზავრები-მეთქი, გამოვაცხადე და სახლში გამოკეტილი, ბედისწერისაგან თითქმის მზამზარეულად ნაბოძებ სიუჟეტზე, წიგნის წერას შევუდექი. წიგნის დამთავრებამდე უკვე ყველას მიავიწყდებოდა ბლექსტონის გახმაურებული ისტორია და რომანის გამოქვეყნება არაიქნა ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში. ყველაფერი წინასწარ კარგად მოფიქრებული, უფრო მეტიც, საკუთარ ტყავზე გამოცდილი მქონდა, მაგრამ წერის პროცესში თვალნათლივ დავინახე, რომ რამოდენიმე კითხვაზე აუცილებლად უნდა გამეცა პასუხი. რაც საკმარისი აღმოჩნდა პოლიციის დეპარტამენტისათვის, მკითხველს არავითარ შემთხვევაში არ დააკმაყოფილებდა. და მაშინ, როდესაც წიგნის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, ეჭვებითა და დეპრესიით ღატრგუნვოლმა, ნაბეჭდი თაბახები ნაფლეთებად ვაქციე და რომანზე მუშაობა თითქმის თავიდან დავიწყე.

თვითონვე რატომ არ გაანადგურა ჰენრი პირსმა პროფესორის ხელნაწერი, რატომ დაავალა ამის გაკეთება ფსიქიურად დაავადებულ მოახლეს?

რატომ არ აღმოჩნდა ხელნაწერზე მოახლის თითების ანაბეჭდი?

ზომ არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცა საგანგებოდ ჩვენთვის ინახავდა ამ ნივთებს ვამპირის ბუნაგში?

ვინ ჩაყარა ყავაში ტრანკვილიზატორი?

ვინ გვასმევდა წამალს, როდესაც ექიმიცა და ჯენი გრეიც შორს იყვნენ ბლექსტონიდან?

ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა, ცოტაც და, შეიძლებოდა, შევშლილიყავი.

ადვილად შემძებლო სიუჟეტის უმნიშვნელოდ შეცვლა, ექიმისა და მოახლის შეთანხმებული მოქმედებით ყველაფრის დამაჯერებლად ახსნა, მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი კითხვა, რომელიც თავდაყირა აყენებდა სიუჟეტს და დამთავრებული წიგნის ხელახლა დაწერას მაიძულებდა.

— ჩემს მისვლამდე რატომ არ მოკლა ვამპირმა მისის სმიტი, მან ხომ მე ბაღეც და ექიმაც ორიოდე წაშში გამოასალმა სიცოცხლეს, იქნებ ის სცენაც ვიდაცის მიერ წინასწარ ჩემთვის საჩვენებლად იყო გამიზნული?

მტკიცედ გადაწყვიტე, დამთავრებისთანავე ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი მისის სმიტისთვის მერჩუქებინა, მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ბლექსტონის ტრაგედიის ჩემული ვერსია, მაგრამ თურმე პირიქით, მისის სმიტისგან მელიოდა სიურპრიზი.

ერთ საღამოს, როდესაც ჩვეულებისამებრ მუშაობის შემდეგ ავტომობასუხეს ვუსმენდი, რათა გამეგო დღის განმავლობაში ვინ მირეკავდა, მისის სმიტის ბოხი, ოდნავ ჩახლენილი ხმა გავიოგნე:

— მისტერ გრეემ, — ამბობდა თავაზიანად. — მე ვიცი, თქვენ ჩიკაგოდან არსად წასულხართ და ბინაში განმარტოებული გამაღებით წერთ წიგნს ბლექსტონის თავგადასავალზე, ვიცი აგრეთვე, რომ არ გიყვართ, როდესაც ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც რომანზე მუშაობაა, ხელს გიშლიან, მაგრამ რადგან მოსაცემი მაქვს ჰონორარის დარჩენილი ნაწილი, გაკკადნიერდი და თქვენთან დარეკვა გავბედე. ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ, ზვალ, დღის თორმეტი საათისათვის ესტუმრეთ მისტერ ჯეფერსონს და ჩემი ადვოკატი გადმოგცემთ დარჩენილ თანხას, თქვენ და თქვენმა მეგობარმა ეგ ფული უეჭველად დაიმსახურეთ. იმედი მაქვს, მაპატიებთ, ჩემდა უნებურად თუ რამე უსიამოვნება მოგაყენეთ ბლექსტონში, კიდევ ერთხელ გულწრფელად გიხდით ბოდიშს შესუხებისათვის.

ეს ჩანაწერი რამდენიმეჯერ მოვისმინე და ყოველ მოსმენაზე მეტი გაოცება მიპყრობდა. ცხადია, მისის სმიტის მიერ დაქორავებული აგენტები თვალს მადვენებდნენ, საგულისხმო იყო, რომ ისინი ასევე უთვალთვალებდნენ მისტერ ჯეფერსონსაც, მაგრამ რატომ? რა იდგა ყოველივე ამის მიღმა? ნუთუ ჩემს მიერ რომანში დაშვებული ვერსია სინამდვილეს შეესაბამებოდა?

ყველაზე გასაკვირად კი ის მეჩვენა, რომ ჰონორარი სრულად ავიღეთ და გაუგებარი ხდებოდა, რა დარჩენილ თანხას გულისხმობდა მისის სმიტი.

მეორე დღეს, ზუსტად თორმეტ საათზე, მისტერ ჯეფერსონთან მივედი, თან მთელი მგზავრობის განმავლობაში არ მოშორებია გრძნობა, რომ მითვალთვალებდნენ. ჯეფერსონი თმაბურძენილი, ყვრიძალებშეყვითლებული და სახეშეშუაბებული დამიხვდა. ყველაფრიდან ჩანდა, წინა ღამით კარგად გადაეკრა.

როგორღაც დარცხვენილმა ჩამომართვა ხელი, უინტერესოდ მომიკითხა და საგარძელი შემომთავაზა.

— საშინლად შევცდით, — თქვა ჩემი დაჯდომისთანავე, დღის გაზეთებიდან ერთ-ერთი ამოარჩია და მომავლიდა, — თუმცა რა შენი ბრალია, მე შევცდი! რაღაც უნდა დამიჯდეს, ჩემს შეცდომას გამოვასწორებ!

ის-ის იყო, გაზეთს დავეხდე და კარზე ზარმაც ჩამორეკა.

მაღე ჯეფერსონი ოთახში მისის სმიტის ადვოკატს შემოუძღვა.

— ჯენტლმენებო, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ადვოკატი, — დავადებული მაქვს, ეს გაზეთი გიჩვენოთ, მერე კი, თუ წინააღმდეგნი არ ინქებით, ჰონორარს ვადმოგცემთ.

მან პატარა ჩემოდნიდან დილის გაზეთის იგივე ეგზემპლარი ამოიღო.

„საუკუნის აღმოჩენა“, — ეწერა პირველ გვერდზე დიდი, მსხვილი შრიფტით და წარწერის ქვევით მისის სმიტის უზარმაზარი ფოტოსურათი იყო მოთავსებული.

„სწობილი მკვლევარის, პროფესორ ედვინ სმიტის მეუღლემ, მისის პამელა სმიტმა, — წავიკითხე ხმაბალა, — გარდაცვლილი ქმრის დაწყებული მეცნიერული კვლევა ბოლომდე მიიყვანა და ორგანული მასალისგან მიიღო პრეპარატი, რომლის ეფექტური სამკურნალო თვისებები სრულიად ცვლის მეცნიერთა საზოგადოებაში გავრცელებულ ტრადიციულ შეხედულებას ტრანსკვილიზატორებზე...“

კითხვა შევწყვიტე და სახეაღწილ ჯეფერსონს გადავხედე.

— ქრთაში შემოგვადგლია, — გაჭირვებით გამოსცრა მან და ჩემოდანი შუბლ-შეჭმუნნილმა შეათვალიერა, — ცინიზმის დონე ნახე!

— ამ ჩემოდანში ათი მილიონია, — ფარისეველურად აღნიშნა ადვოკატმა, — დავტოვო, ჯენტლმენებო?

მცირე ყოყმანის შემდეგ უსიტყვოდ დაფუქნე თავი.

საქმის ხელახლა აღძვრა და მისის სმიტის წინაღმდეგ გალაშქრება კარგს არაფერს გვიქადა, მაშინვე თვალწინ უშუშევარი ჯეფერსონი და ჩემი წიგნის გაუყიდავი ეგზემპლარები წარმომიდგა.

ადვოკატმა ჩემოდანი ჟურნალების მაგიდაზე შემოდო და გამომშვიდობების ნიშნად, ხელი მიიტანა ქუდთან.

— ხვდები, რა ჩავიდინეთ? — ჩაიბურტყუნა ჯეფერსონმა, როდესაც მართლ დავრჩით, — ჰენრი პირსი ფაქტიურად ჩვენი ხელით მოიშორა.

— თანამზრახველები იყვნენ, — ვუპასუხე, — რომანი ჰქონდათ. ექიმი ისეთივე დამნაშავეა, როგორც მისის სმიტი.

— მაშინ რატომ გაიმეტა? — კედელზე მწუხარე სახით მიყრდნობილი ჯეფერსონი ჩემოდანს მზერას არ აცილებდა, — მხოლოდ თვითონ რომ დარჩენოდა ქმრის აღმოჩენა?

— ღალატის გამო. ქმრის გარდაცვალების დღეს გაიგო, რომ ჰენრი პირსი მის ბიძაშვილზე აპირებდა დაქორწინებას, მისის სმიტისთანა ქალს კი, რომელსაც ტკუატა აქვს, ქონებაც და გამბედაობაც, საშინელი შურისძიება შეუძლია. ასეა თუ ისე, ჩვენ გავმდიდრდით, უკვე ოცნების ასრულება და რესტორნის ფიდეა შეგიძლია, — ვთქვი და ფულით სავსე ჩემოდანს მივუახლოვდი, — ზედმეტი ფიქრით მიცვალებულებს ვერ გავაცოცხლებთ!

ჩემოდნისაკენ თვაზბრილმა მისტერ ჯეფერსონმა უცებ დამდუღრულივით დაიხია უკან და თავზარდაცემულმა ფულზე მიმითითა:

ფულს მტკრის თხელი ფენა ეღო და ოდნავ შესამჩნევი ხილის სუნი ასდიოდა.





ეთერ თათარაიძე

ციკლიდან „თუში კალის ნათყვამი“

ემო-გემოდ ნაცხორი,
 „მინდ-მინდაის“ ქონას,
 ას ცხენისი-დ ათას ცხერის
 პატრონობას, ყოლას.
 ფერად-ფერად მთა-წვერის
 სამოფრებად ქონას,
 ცხვით პაპანებაში წვას,
 თაჲა ჩდილში წოლას.
 ლეგა, შავ, ჯანგაროსფერ
 სკლატის ქათიბ ქონას,
 ემაგავ ფერ გალიფეთ,
 აზიანცკით ჭდომას.
 მოსევადულ, მოვერცხლილ
 იარაღის ქონას,
 მკლავის უსხო მათრახით
 ჩალა ცხენის მთხოლას...
 მაგის სიკვდილს რა უშავ,
 მაგის მიწას წოლას.

წავიდ ჩემ წუთისოფელ
 წვალეებითად წამებით,
 შტწწვეტელა წვიმებით,
 მუხლჩუხრელა ქარებით,
 ნახორ-ნამცეც ნანატრის
 შეფოფინით, კმარებით,
 საღაღობო დაგმანულ,
 სასეულოს მლე კარებით.

ჯავარაანთ სახლითაა
 ჯარნის ძახვა გამოდის,
 ზოგ შინითა ლზინის ხმაა,
 ზოგით — კენესის ჩქამ მოდის.
 გოგორათის გორი-გორ
 ქირსლ პარვ-პარვით ჩამოდის,
 წერამწერელ სოფელში
 ფეხჩუხრელად დად-მოდის.

ხან ზესკენელს მიმწვდინეს,
 ხან ქვესკენელში ჩამაგდეს,
 ხანაც მითელ-მითელილ
 მუსკენელ, ცის ძირ დამაგდეს.
 ხან მწვერვალზე წამლაღეს,
 ხან არაად ჩამაგდეს,
 იაგრ დაღლილი-დ დატანჯულ
 საიქიოს გამაგდეს,
 ჩემ წასვლითა დისვენეს,
 ჩემ წასვლითა დაჲანდეს.

იახლ შენ, დედო, ვინ იცის,
 პეპისკარ ხარ ჩამომჯღარ,
 თუ შენ ნამცეც ეზოში
 მზე კვავ ჩამოღლე-ჩამომღნარ.
 ან და ნოს გორ ზიხარი,

გზისაკ თვალზე ჩამომდგარ,
 ანა-დ ჯვარისკარს ზედავ
 სუ ამედით ამომდგარს
 წას-გადასულს დახვევები,
 და ნაფლეთარს, ჩამომჭკნარს,
 ათასში ერთ სიხარულს,
 განამქალარს, ჩამომწყდარს.
 ანა-დ ზედავ ჩემ მამის
 ფარას, ფარებს ჩამომდგარს,
 ნაპატარზლარ გზა-ბილიკს,
 ჩამონაფხვრულს-ჩამოცხავს...

წუთისთავა სადარდეღ
 მწკალსავით გულს გამოძკრავს.

წუხრ სიზმარში ვხედავ, რო
 ჭრელ პეპელა ვარ,
 აყვავებულ ზეს ნაჯდომს
 არ მასვენებს ქარ,
 ხან სგაეძერა მემჭყალებ,
 ხან გველის მწვედებ ჭარ,
 სუყველგნისკ გასაღწევა
 დაჭუჭკულ მიდგ კარ...
 მემრ სიითიმ გამიზლან
 ცია ქორა ხარ,
 მოდივ, — მანიშნ, — ბეჩაოვ,
 მომიდგ ნამტყელ მხარ,
 წამისხანზე მომავლი
 ზესკენელ, მიწა-პყარ,
 თეთრ საყდარში შემაფრინ, —
 ეთეროივ ვარ...

გამომეღვიმ დაქანცულს,
 ცისა ტყდებოდ კარ.

უნდ დავჯდ, პირსჯვარ დავიწერვ,
 დავიწვე ლექსის ლოდინ,

ციტ მომდინარ ანგელოზთ
 უნდ ლუგვ მარმამ ლოგინ.
 გულ-გვამითა გავიკარგვ
 მაცდურ-მაცილთ ბოგინ,
 მამ სამზეოზე გავწი. ევ
 აბებ ჩემგნით მბობილ.
 ჩემ წამის-წამზე წვევამ,
 ზესკენელ-ზეცისკ ხმობილ,
 ჩემდ იქ დანახვედრაღა
 სიტყვათ მთა-გორნ წყობილ...

უნდ დავჯდ, პირსჯვარ დავიწერვ...

აბოლებულ ნისლები,
 აცრიატულ დილაი,
 ანაცხროალ ფოთლები,
 ჰაერ — გაცრილ, მინამ.
 თერგ თავქვისაკ მიმჩქეფარ,
 მოხმამაღლოდ მკივან,
 კდეებ ნალეს-ნასიპებ,
 მოსალტული-დ კინამ...
 ანაცრიატ დილაი,
 ჰაერ — გაცრილ, მინამ.

მახლ საოცარ მიმწუხრი,
 სტეფანწმინდა-გერგეტის
 არე-მარე ღუმს.
 ჩამავალ მზე სხივებს ზფევს
 მყინვარწვერის ნაპრალის
 ნანაჟღლარა წყელულს.
 სადარო ნისლთაც იფლეთს,
 გიშველთავ, — იმედს მფეკენ
 სამების გუმბათებ ჩუმს...
 მახლ საოცარ მიმწუხრი,
 სტეფანწმინდა-გერგეტის
 არე-მარე ღუმს.





ლევან მაღაზონია

ღორღით სამსა აუზი

(მოთხრობა)

და მე ზღბუვით თქუნენ: ისხენით თავისა თქუნენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუისა, რათა რაფაშს მოაკლდეთ თქუნენ აშიერ, შეგიწყნარნენ თქუნენ საუკუნეთა შათ საუოფელთა.

ლუკა, 16,9.

თუ ვინმე იცნობდა ამქვეყნად ბონდო ზომერიკს, ალბათ, მისი აკადემიოფური გულგრილობის წყალობით. ოჯახი რომ ამოწყვეტოდა ნათესავს, აინუნშიაც არ ჩაადგებდა, ისეთი სქელკანიანი იყო. ჭაჯავრებული ან, უბრალოდ, გულმოსულიც კი ცხოვრებაში არავის უნახავს. მაშინაც, როცა ერთხელ, შუაღამისას, უკაცრიელ ქუჩაში სამსახურიდან მართოდმართოდ მომავალს ბანდიტები დახვდნენ, წარბი არ შეუხრია — მძარცველებს ფული, რაც ჰქონდა, აუღელვებლად მისცა, ჯიბეები უხმოდ ამოიბრუნა და გზა ნელი ნაბიჯით განაგრძო. მერე შინ რომ მივიდა, ამ ამბავს ისე ჰყვებოდა, თითქოს ვიღაც გადამთიელს დამართნოდა, რაც თავად გადახდა. ჭირშიც და ღზინშიც ახლობელის თუ შორეულის ყურადღებას იმით იქცევდა, რომ მშვიდი და აუმღვრეველი გამოიქვეყნებოდა.

ლუბა ეხატა უცვლელად სახეზე. ერთი სიტყვით, მოღუშული ან მოღიშარი ბონდო ზომერიკის მნახველი ამქვეყნად არავინ იყო. ხმამაღალი სიცილი რომ მოესმინათ ნაცნობებს მისი, ისევე გაოგნდებოდნენ, მეზობლის ასი წლის ბუბიის გასვენებაში რომ აზღუქუნებული ეხილათ. ორმოცს ისე მიატანა, შვილებს ერთხელ არ მოფერებია. ცოლს თითქმის უსიტყვოდ უთანხმდებოდა ყოველდღიურ საზრუნავზე — თავის დაკანტურებით ან გვერდზე გაქნევით. იშვილათად ისეც ხდებოდა, რომ ყველასთვის მოულოდნელად, ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა და მაშინ დილიდან საღამომდე სულმოუთქმელად შეეძლო ექაქანა იმაზედაც კი, რომ კატას თურმე ძაღლის ეშინია. სუფრის და ღრეობის მოყვარული არ იყო, მაგრამ, თუ გარემოება მოითხოვდა, გვარიანი სმა შეეძებოდა.

ლო, რა თქმა უნდა, ყოველგვარი სადღევრძელოსა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე. მხარჯველი და ხელგამლილი კაცი არ ეთქმოდა, მაგრამ სიძუნწესაც ვერაინ დასწამებდა. საერთოდ, უფულობა მისთვის უკუნებობის მიზეზი არასდროს ყოფილა. ოქროებითა და ბრილიანტებით სავსე კიდობანს რომ წასწყდომოდა სადმე, ალბათ, მაშინაც არ შეეცვლებოდა გამომეტყველება, თუმცა, იმასაც ვერ იტყვოდით, ფული და სიმდიდრე ეჯავრებო. მთავარი მაინც, ალბათ, ის იყო, რომ ორმოცს მიტანებულ ბონდო ზომერიკს ამქვეყნად მტერი არ ჰყავდა.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ მისი გამლანძღავი კაციც არავის უნახავს.

ყოველივე ამის გამო, არც მეგობარი ჰყოლია ოდესმე. ადამიანებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, — კონკრეტული და პრაქტიკული, და სხვა არაფერი აინტერესებდა. ცხოვრობდა თავისთვის მყუდროდ, უხმაუროდ და ამ ქვეყნის ჭირსა და ღვინს გულთან ახლოს არ იკარებდა.

პროფესიით ფერშალი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ აგერ თითქმის ათი წელი იქნებოდა, სახლმმართველად მუშაობდა მილიონიანი ქალაქის შუაგულში. ასეთ სადავიდარაბო ადგილას ამისთანა კაცი საქმეს თავს რომ ართმევდა, იმათაც უკვირდათ, ვინც ბონდო ზომერიკს მისი ავადმყოფური გულგრილობის წყალობით იცნობდა, მაგრამ იმდენად შრომისმოყვარე იყო, რომ შეეძლო ყველანიერ ხელობას დაუფლებოდა, თუ საჭიროდ დაინახავდა. პოდა, ერთხელაც ჩინოვნიკობა ურჩია შინაბერა დამ, ხეირიანი საქმეაო და ბონდო ზომერიკი სულ რაღაც ოთხ თვეში სახლმმართველად იქცა. რა თქმა უნდა, ქრთამის გაღებაზე უკან არ დაუხევია. ასე შეეღია ფერშლობას იმ იმედით, რომ მალე დააწინაურებდნენ და „ცოტა სულს მოითქვამდა“ (როგორც გუნებაში ფიქრობდა მაშინ). მაგრამ ბონდო ზომერიკი როგორღაც არავის გახსენებია და ისიც, იმედდაკარგული, სახლმმართველო

ბაში ჩარჩა, თუმცა მერე ისე შეეგუა იქაურობას, რომ სხვაგან გადაბარგება ვეღარ წარმოედგინა და აღარც უნდოდა. მისთვის მთელი სამყარო სახლმმართველობით იწყებოდა და იქვე მთავრდებოდა. პოდა, ისიც ცხოვრობდა მყუდროდ თავისი უცვლელი გულგრილი გამომეტყველებით და ამქვეყნად სადარდებელი არაფერი ჰქონდა. ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც ზოგჯერ ლაპარაკის საღერდელი აეშლებოდა, მისი კარის მეზობელი გიგოლა ხავთასი იყო, რომელთან ერთადაც ახალგაზრდობაში რუსის ჯარი ჰქონდა მოხდილი. სხვებს, იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა, ბონდო ზომერიკი ახლოსაც არ ეკარებოდა, ყველას შორიდან ესაუბრებოდა და ამით მთავრდებოდა მისი ურთიერთობა მეზობლებთან.

გიგოლა ხავთასი ახალგაზრდობაში ველოსიპედისტობას იჩემებდა რატომღაც, თუმცა ტრეკზე ერთხელაც არავის დაულანდავს. მერე, როცა დაღვინდა თუ დასერიოზულდა, მილიციელის ფორმა ჩაიცვა და მალე, ყველასთვის მოულოდნელად, სახლმმართველობაში ამოყო თავი. მეზობლების აზრით, ეს მან ბონდო ზომერიკის წამბაძველობით გააკეთა, სინამდვილეში კი რომელიღაც მღალა თანამდებობის პირმა გადაწყვიტა, დაესვა „ძველი სპორტსმენი“ იქ, სადაც სხვებზე მეტად გამოადგებოდა. ასე გახდა გიგოლა ხავთასი სახლმმართველი და ისიც ძალ-ღონეს არ იშურებდა, როგორმე „ნდობა გაემართლებინა“. ფიცხი ბუნებისა იყო, უტაქტო და, ჩინოსნების გარდა, ყველასთან მუდამ საჩხუბრად შემართული, თუმცა უფროსებთანაც დაუკარგავს წონასწორობა, თუ ვინმე გაბედავდა და მანდილოსნების თანდასწრებით აგდებულად მოექცეოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალები საკუთარ თავზე მეტად უკვირდა და ამიტომაც მათთან დამცირებას მინისტრსაც სანანებლად გაუხდიდა. უსაშველოდ ზარმაცი იყო და ამ ცოდვის დასაფარავად წამდაუწუმ, ვითომდა საქმის მოსავკარებლად, სინამდვილეში კი სუ-

ფთა პაერზე გასასეირნებლად, ხან საით გაეარდებოდა და ხან საით, ძილი სი-
ცოცხლეს ერჩია და, თუ ვინმე დილა-
ადრიან გააღვიძებდა, სამუდამოდ გადა-
ემტერებოდა. დღედაღამ მისი ყვირილი
ისმოდა სახლმშრთველობაში და მაინც,
იმის მიუხედავად, რომ დიდთან თუ პა-
ტარასთან უშვერად ილანძლებოდა, არ-
ავის ეჯავრებოდა, რადგან ბუნებით კე-
თილი იყო და ამას ყველა გრძნობდა,
მამინაც კი, როცა გიგოლა არცთუ თა-
ვაზიანი სიტყვებით უმასპინძლებოდა
ხალხს. პატივმოყვარეობა იმდენად მძა-
ფრად ჰქონდა სისხლში და ხორცში გა-
მჯდარი, რომ თავის გამოჩენისთვის
არაფერს დაიშურებდა. ალბათ, ამის გა-
მომც იყო ძალზე ხელგაშლილი, თუმცა,
ღვინოს და, საერთოდ, სასმელს ვერ იტ-
ანდა. ადრე გამელოტებულს, საშუალო-
ზე ოდნავ მაღალს, ტანთხელს და ჭორო-
ფლიანს, რატომღაც სწამდა, რომ წარ-
მოსადგეი გარეგნობა ჰქონდა და უკვირ-
და, როცა მანდილოსნები სუფრასთან
სხვების მიმართ უფრო მეტ ყურადღებ-
ას იჩენდნენ და მას ჩრდილში ტოვებ-
დნენ. ეს გიგოლასთვის სიკვდილზე უა-
რესი იყო და ისიც, გაღიზიანებული და
წონასწორობადაკარგული, ოფიციატე-
ბის უთავბოლო ლანძლევა-გინებას იწ-
ყებდა, რომ იქნებ, როგორც თვითონ
ფიქრობდა, ამით მაინც დაეფასებინათ
და ყურადღება მიექციათ. ფიცხი და
ფხუკიანი ხასიათის გამო მტერი საკ-
მაოდ გაიჩინა, მაგრამ მეგობრობასაც
უთვალავი ეფიცებოდა და ბევრი გულ-
წრფელადაც.

ასე ცხოვრობდა ერთ სახლში ორი
სახლმშრთველი ქალაქის შუაგულში,
მტკვართან ახლოს. საკმაოდ იშვიათა
შემთხვევაა, რა თქმა უნდა, მაგრამ
არც მთლად დაუჯერებელი. ბინები პი-
რველ სართულზე ჰქონდათ, ორმოცდა-
ათიან წლებში პრივილეგირებული კლას-
ისთვის ამუშებულ მაღალჭერიან სახ-
ლში, საიდანაც მტკვარის სანაპირო მო-
ჩანდა. მათი ფანჯრების წინ მინიატურ-
ული სკვერი იყო გაშენებული პატა-
რა აუზით და ბავშვების სათამაშო მო-

ედნით. მიუხედავად იმისა, რომ კარი-
მეზობლები იყვნენ, იშვიათად ხვდებო-
დნენ ერთმანეთს, რადგან ზარმაცი გი-
გოლა, ჩვეულებისამებრ, მაშინ იღვიძე-
ბდა, როცა ბონდოს სამი-ოთხი მთხოვე-
ნელი სამსახურში უკვე გასტუმრებულია
ჰყავდა. ამას გარდა, ძველი ველოსიპე-
დისტის კანტორა ქალაქის განაპირას
მდებარეობდა, ყოფილი ფერშლისა კა-
იქვე, ქუჩის ბოლოში. სახლი, სადაც
ორი სახლმშრთველი ცხოვრობდა,
მთელს უბანში იმითაც იყო ცნობილი,
რომ წაგრძელებულ შვიდსართულიან
შენობას თეთრი ქვით მოპირკეთებულა
უზარმაზარი ჩუქურთმიანი თალი ჰქონ-
და, რაც იმ დროისათვის დიდ ფუფუნე-
ბად ითვლებოდა. მეზობლებში ამბობ-
დნენ, ამისთანა საპარადო შესასვლელი
მშენებლებს საგანგებოდ გიგოლა ხაე-
თასის ხათრით გაუკეთებიათო. ალბათ,
არცთუ უანგაროდ. ბონდო ხომერიკს
კი, რატომღაც, პატივს არავენ სცემდა.

თუმცა ისიც სახლმშრთველი იყო.

იმ წელს ისეთი ზაფხული იდგა, სუ-
ლს ძლივს ითქვამდა გაეარვარებული
ქალაქი. თაკარა სიცხისგან აზელილ
ასფალტზე ფეხი ეფლობოდა ქუჩაში
მოსიარულე არაქათგამოცლილ ხალხს.
ფოთოლიც კი არ იძვროდა. ხანგრძლი-
ვმა გვალებმა ამწვანებული მთის ფერ-
დობები ხრიოკებად აქცია. წყალი სა-
ნატრელი გაუზნდა მილიონიან ქალაქს.
მტკვარი ალაგ-ალაგ აშშორებულ გუბე-
ებად იქცა. ქალაქს ალმური ასდიოდა.

ეს ამბავიც მაშინ მოხდა, როცა აუ-
ტანელი სიცხისგან ხალხი სახლში ვე-
ლარ იძინებდა და დამეებს ეზოებში ატ-
არებდა. ზოგნი სულის მოსათქმელად,
ნუსტიან სარდაფებში ჩადიოდნენ საათო-
ბით. ბევრი სოფელს აფარებდა თავს.

ივლისის თვის ერთ გვიან საღამოს,
იმ სახლიდან, სადაც ორი სახლმშრთ-
ველი ცხოვრობდა, სულის შემზუთავა
სიცხისგან გულწასული ბერიკაცი გა-
მოიყვანეს მეზობლებმა და ამომშრად

აუზთან ახლოს, ძელსკამზე მიასვენეს. მოშორებით, გადახრიოკებული ეზოს კუთხეში, ხის პატარა, მოგრძო მაგიდას ირგვლივ თითქმის გატიტვლებული ხალხი შემოსხდომოდა და ათასგვარა ჭორით იქცევადა თავს. ბონდო ზომერიკიც იქ იჯდა იმ დღეს, მუქ ლურჯ პიჯამაში გამოწყობილი — ერთადერთი კაცი სამეზობლოში, ტანის სიშიშვლეს გაგანია სიცხეშიც რომ მალავდა. იგი არავის უსმენდა, წარამარა ამთქნარებდა და დროდადრო მაჯის საათს დაჰყურებდა სასხვათაშორისოდ.

ვიღაცამ მიმკვდარებულ ბერიკაცს, მოღვლილი, ჭუჭყიანი პერანგი რომ ეცვა, სველი ტილო მიურბენინა, გულმკერდი და პირისახე გაუგრძელა და მერე თოვლივით თეთრთმიან გაბურძენულ თავზე ბოთლით წყალი დაასხა. იქვე მდგომი ბუბუბგადმოყრელი ფაშფაშა ქალი ჭადრის ტოტს მარაოსავით უნიკვებდა და ასე ცდილობდა მოხუცის მოსულიერებას. მზეზე გარუჯული ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა რაღაც წამალს ასუნთქებდა. მალე მოხუცს მთელი ეზო დაეხვია. ჯგროდ შეყრილი მეზობლები რამდენიმე წუთში წელს ზემოთ შიშველმა, ბანჯგვლიან ბეჭებსა და მკერდზე ტატუირებით აჭრელებულმა დაჟღაჟა მელოტმა გაარღვია და ოდნავ მოსულიერებული ბერიკაცის ახლოს წყლით სავსე პლასტიმასის წითელი ვედრო ისეთი გამომეტყველებით დადგა, თითქოს ამის გაკეთება მის ვარდა სხვას არავის შეეძლო. მოხუცის საშველად მოსული ხალხი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდა. ყოველ მათგანს, ამ ჩოჩქოლში, თავისი რჩევა მიაჩნდა უებარ საშუალებად გულწასული ბერიკაცის გონს მოსაყვანად. ფაშფაშა ქალმა მოხუცის ირგვლივ შემოხვეულ ხალხს დაუცაცხანა და თან მუქარით ჭადრის ტოტი აუქნია.

— დაიწით, უკან დაიწით! სულს ნუ უხუთავთ ადამიანს. ხომ ხედაეთ, ჰაერი არ ჰყოფინს...

— სასწრაფოს გამოუუძახოთ, სასწრაფოს! — წამოიყვირა ვიღაცამ და მზეზე

გარუჯული ახალგაზრდა მაშინვე სადარბაზოსკენ გაიქცა.

ერთადერთი კაცი, ვისაც მოხუცისთვის თავი არ შეუწუხებია, მაგიდასთან მჯდომი ბონდო ზომერიკი იყო, როცა ხალხი სკამებიდან წამოიშალა, ერთი კი მიიხედა აუზისკენ და მერე იქით დაიწყო ყურება, საითაც სანაპირო მონანდა. რამდენიმე წუთში ბერიკაცი უარესად შეიქნა. როგორც ჩანდა, მარტო პაპანაქება და უპაერობა არ იყო მისი ცუდად გახდომის მიზეზი. ამ დროს ეზოში ოფლად გახვითქული გიგოლა ხავთახი შემოვიდა, რომელსაც კისერზე სველი ცხვირსახოცი შემოეხვია, იღლიაში კი უზარმაზარი სახამთრო ჰქონდა ამორილი. აჩოჩოლებული ხალხის დანახვაზე მაშინვე აუზისკენ გაემართა ისე რომ მაგიდასთან მარტოღმარტო მჯდომი ბონდო არც შეუმჩნევია.

— უკან დაიწით და ამოასუნთქეთ ეს ადამიანი! — გაჰკიოდა ახლა უკვე გაკაპანებული ფაშფაშა ქალი და ჭადრის ტოტს აქეთ-იქით იქნევდა გამეტებით.

ამასობაში ბერიკაცს მთელი ვედრო წყალი დაასხეს თავზე, მაგრამ მას საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა. სასწრაფო დახმარების მანქანა, ყველას გასაოცრად, მალე მოვიდა. მომხიბლავი გარეგნობის თეთრხალათიანმა ექიმმა ქალმა მოხუცს მაჯა გაუსინჯა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ საცოდავს მამაზეციერიც ვეღარ მოაბრუნებს, — მერე ხმამალა დაუმატა: — თქვენი ჭირი წაუღია უკვე...

მეზობლებმა, გიგოლას თაოსნობით, ნოხი გამოიტანეს და ბერიკაცი სახლში აასვენეს. ამ ხნის განმავლობაში ბონდო ზომერიკი გაუნძრევლად იჯდა მარტო გრძელ მაგიდასთან. ცოტა ხანში ეზო მიწყნარდა, მეზობლები ახლა აუზს შემოუსხდნენ, მოხუცი მალე მიივიწყეს და, ჩვეულებისამებრ, მოღვნიენ ცისას და მიწისას. გიგოლა ხავთახიც მათთან იყო. ფეხზე მდგომი წარამარა ცხვირსახოცი თ იმშრალებდა კისერს და თან, დროდადრო, ბონდო ზომერიკისკენ იყურებოდა ცნობისმოყვარე თვალებით.

მელოტი, რომელსაც ბანჯგვლიანი ბეჭე-
ბი ტატუირებული ნახატებითა და უი-
მელო სიყვარულის დამადასტურებელი
წარწერებით ჰქონდა აჭრელებული,
ზღაზვნით წამოდგა და სადარბაზოსკენ
გასწია. როგორც ჩანდა, მობეზრდა ათა-
სგვარი ჭორის მოსმენა და სახლში ას-
ვლა და ორპირში წამოწოლა არჩია (ბე-
ვრი ასეც ცდილობდა მაშინ თავის გა-
დარჩენას სულის შემხუთავი სიცხის-
გან).

— ვედრო ხომ ჩემგან ჩამოიტანე! —
გაისმა ამ დროს ბონდო ხომერიკის ხმა
მთელ ეზოში. იგი ისევ მაგიდასთან იჯ-
და და ახლა მელოტისკენ იყურებოდა,
რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს სიტყვები
მისი მისამართით იყო ნათქვამი.

მეზობლებმა მარტოდმარტო მჯდომ
ბონდო ხომერიკს, თითქოს ვიღაცამ
უბრძანაო, ერთდროულად გახედეს და
დიდხანს უხმოდ მისჩერებოდნენ. მელო-
ტიც შეჩერდა, შემობრუნდა და სახლმ-
მართველს, დასტურის ნიშნად, თავი და-
უქნია.

— ჰოდა, აიტანე ისევ ზევით. გადა-
საგდები ვედრო ვისა აქვს! — გასძახა
მელოტს ბონდო ხომერიკმა მთქნარე-
ბით და მერე ისევ სანაპიროს მიაპყრო
მზერა.

მეზობლებმა მრავალმნიშვნელოვნად
გადახედეს ერთმანეთს.

მელოტი უძრავად იდგა და სახლმ-
მართველ ბონდო ხომერიკისკენ წარბ-
შეკრული იმზირებოდა. აუზთან მჯდომ-
მა ჩალისქუდიანმა აყლაყულა წითურმა
კაცმა, რომელსაც ტანზე მხოლოდ ყვი-
თელი ტრუსი ეცვა, ჯერ მხრები აიჩე-
ჩა და მერე მუხლზე ხელი ისე მაგრად
დაირტყა, რომ მთელ ეზოში ტყლაშანი
გაისმა. მელოტი ახლა მეზობლებისკენ
შებრუნდა, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა,
რომ პასუხს მათგან ელოდა. ბონდო
ისევ სანაპიროსკენ იყურებოდა და ხე-
ლში გასაღებების ასხმას ათამაშებდა.

— მეზობელი მოკვდა, ბოლოს და ბო-
ლოს, — ჩაილაპარაკა ჩალისქუდიანმა
დ. მხრები ისევ აიჩეჩა.

მელოტი ადგილიდან არ იძვროდა. ჩა-

ლისქუდიანმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია
და მთელი ტანით წამოიმართა.

— აიტანე, ჰო, აიტანე, — დამრიგებ-
ლური ტონით გამოსძახა მელოტს ბო-
ნდო ხომერიკმა და ისევ დაამთქნარა.

ჩალისქუდიანმა აყლაყულამ თავის-
თვის რაღაც ჩაიბურტყუნა და ფლოსტე-
ბის ფლატუნით გასწია სადარბაზოს
კენ.

— კი, მარა, მკვდარი კაცის ატანა და
ვედროსი ერთი და იგივეა? — წამოიძა-
ხა გიგოლა ხავთასმა უცებ მთელი ხმით
და გააცეცხლებული თვალებით გახედა
ბონდო ხომერიკს.

— რა ვიცი, მგონი, არა, — უკან მო-
იხედა და ისე უპასუხა სადარბაზოსკენ
მიმავალმა ჩალისქუდიანმა.

— აიტანე, ჰო, — ისევ გამოსძახა ბო-
ნდომ მელოტს და ახლა უფრო მაღიანად
დაამთქნარა.

— კი, მარა... — წამოიწყო აბნეულად
გიგოლა ხავთასმა, წამით შეჩერდა და
მერე ბრაზმორეული ხმით ბონდოს მი-
აყვირა, — რომ წამოტყლარჭულხარ
ყენივით გრილოში და არც ინძრევი,
რას ჰგავს ეს? ადამიანი მოკვდა და ერ-
თხელ მაინც გამოგეხედა აქეთ! კაცი ფე-
ხებზე კვიდია და ვედრო და ტაშტი არ
გაეიწყდება!

ეს სიტყვები ზარივით გაისმა მთელ
ეზოში, რასაც უმალ სამარისებური სი-
ჩუმე მოჰყვა.

— რაო, რაო? — ხმა ამოიღდა ცოტა
ხნის ღუმელის შემდეგ ბონდო ხომერი-
კმა, ყველასთვის გასაოცრად, ისევ და-
ამთქნარა და მშვიდად განაგრძო: — შე
მეუბნები ამას?

— შენ, ჰო, შენ! — ახლა მთელი ხმით
იღრიალა გიგოლა ხავთასმა და რამდენ-
იმე ნაბიჯი წარსდგა გრძელი მაგიდის-
კენ, — ძაღლი და ღორი მიგაკვდა სულ-
ში!

ამ სიტყვებმა ბონდო ოდნავ შეაფიქ-
რიანა და გაოცებით იკითხა:

— რა გინდა შენ ჩემგან! მთვრალა
ხარ ან შეიშალე, მგონი!

— გაანებე თავი, თუ კაცი ხარ, — ჩა-
ულაპარაკა გიგოლას მეტისმეტად გადა-

სუქებულმა გრუზათმიანმა მეზობელმა და ხენუით და ზლაზვნით წამოდგა.

მელოტმა წითელი ვედრო უცებ გამოწვევად, დემონსტრაციულად დააგდო მიწაზე და გრძელი ნაბიჯით ისე გაეშართა სადარბაზოსკენ, თითქოს გაუგონარი გმირობა ჩაედინოს.

— რა ზარმაცი ყოფილა, — გულგრილად ჩაილაპარაკა ამის დამნახევმა ბონდომ და გასაღებების ასხმა ხელში შეათამაშა.

გიგოლა დარწმუნდა, რომ მისი ლანძღვა ყოფილ ფერშალს აინუნშიაც არ ჩაუგდია და ამან სულ შეშალა. მოთმინებიდან გამოსულმა, მიწაზე დაგდებულ ვედროს ხელი დასტაცა და უნდოდა, ბონდოსკენ ესროლა, მაგრამ მეზობლები შემოეხვივნენ და შუაში მოიჭყვიდეს.

— ეს ღორი, ეს!.. — თავისას არ იშლიდა გიგოლა და თან თვალს არ აშორებდა მაგიდასთან მშვიდად მჯდომ სახლმმართველს.

— თუ ჩემი ზათრი გაქვს, თავი გაანებე, — ახლა ხვეწნით ეუბნებოდა გრუზათმიანი ყოფილ ველოსიპედისტს და თან მხარზე ხელს უთათუნებდა.

— ვითომ ვედროს დარდი აქვს, მარა, სინამდვილეში, წყალი დაენანა ამ მთხოვარს, — ჩაიურჩულა ვიდაცამ.

— კი, ნამდვილად, — დაემოწმა მეორე.

— თუ შართალი გინდათ, იცოდეთ, ამ კაცს წყალიც ფეხებზე ჰკიდია და, საერთოდ, ყველაფერი, — ხმა აიმაღლა გრუზათმიანმა და მეზობლებს თვალი მოაელღო.

— ო, ახლა ნადდი ხარ! — დაეთანხმა ზომამზე მეტად გადასუქებულს ის, ვინც ჩურჩულებდა.

ამ ამბის შემდეგაც არ გასჩენია ბონდო ზომერიკის მტერი, თუმცა მოსალოდნელი იყო, რამდენიმე კაცს მაინც აეთვალწუნებინა ან კრიჭაში ჩადგომოდა. მსგავსი არაფერი მომხდარა: მთელ სამეზობლოსთან ძველებურად უსულგულო დამოკიდებულება ჰქონდა და ამას,

ბოლოს და ბოლოს, ყველა მიეჩნია. უფრო გასაკვირი ის იყო, რომ თვითონაც არ თვლიდა მობინადრეებიდან მტრად არავის, იმდენი ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის შემდეგ. ერთი სიტყვით, ბონდო ზომერიკის ზნე-ჩვეულებაში არაფერი შეცვლილა, ყველგან და ყოველ წამს მშვიდი და აუღელვებელი გამოუმეტყველება ეხატა სახეზე, თითქოსდა ამ ქვეყნის ჭირ-ვარამს ვერც ამჩნევდა.

რამდენიმე თვის შემდეგ იმ სახლიდან, სადაც ორი სახლმმართველი ცხოვრობდა, ქალიშვილი გაიტაცეს და მთელი სამეზობლო ფეხზე დადგა. ოთხი დღე ისევ გავიდა, გოგონას კვალს ვერავინ მიაგნო. სად არ ეძებეს, მაგრამ ამაოდ. გიგოლა ზავთასი დღედაღამ გატაცებულ გოგონას მამას ედგა გვერდში და ყოველნაირად ცდილობდა, მიშველებოდა დაზაფრულ ოჯახს. ასე იყო თუ ისე, მეზობლობა თეთრად ათენებდა ღამეებს.

ბონდო ზომერიკს იმ დღეებში, რა თქმა უნდა, თითიც არ გაუნძრევია. და ამას ქვეყანა ზედავდა, თუმცა, აღარავის უკვირდა მისგან ის, რომ ერთხელაც არ დაინტერესებულა მეზობლის ქალიშვილის ბედით.

გატაცებულ გოგონას მხსნელად გიგოლა ზავთასი მოეველინა. იმდენი ირბინა აქეთ-იქით ყოფილმა ველოსიპედისტმა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო იმ სახლს, სადაც ქალიშვილს მალავდნენ. მერე საქმე გართულდა: გამტაცებლის დედ-მამას არ სურდა, ოჯახში მიეღო გაუბედურებული გოგონა. გიგოლას შუამავლობით ყველაფერი ბედნურად დამთავრდა — მეზობლებმა ქორწილზე ხელი გვარიანი საჩუქრებით დაიმშვენეს და მამაპაპურადაც მოილხინეს.

მთელ ამ ამბავში უცნაური თუ მოულოდნელი ის იყო, რომ დაპატიჟებულ ხალხში სუფრასთან სხვებთან ერთად, ბონდო ზომერიკიც იჯდა. რა თქმა უნდა, ქორწილშიაც გულგრილი გამოიმეტყველება ეხატა სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ სადღეგრძელო არ გამოუტო-

ვებია. ეზოსი შემთხვევით შეხვედრილ ოჯახის უფროსს ცალკეად უთქვამს, გვეწვიეო, ისიც აძღვარა და მისულა. გადაკრული სიტყვაც არ უკადრებიათ სახლმმართველისთვის, გიგოლა კი რამდენჯერმე ალავერდსაც გადავიდა. ერთადერთი კაცი მთელ სამეზობლოში, რომელიც ქორწილში ხელცარიელი მივიდა, ბონდო ხომერიკი იყო და ეს არავის გაკვირვებია. შუა ქეიფში ყოფილმა ფერშალმა სუფრა დატოვა და ფხიზელმა და საღ.სალამათმა დასაძინებლად შინ გასწია. მისი წასვლა არავის შეუმჩნევია.

გიგოლა ხავთასი გათენებამდე შეუსვენებლად ქაქანებდა, ათასგვარ სისულელეს ყვებოდა, ვითომდა ოზუნჯობდა, ვითომდა მღეროდა, ვითომდა იმ ქვეყნად წასულთა შესანდობარზე ტირიდა და, რაც მთავარია, ლაპარაკს არავის აცლიდა. სუფრაზე წამდაუწუმ ქებამ (იმის გამო, რომ პატარძლის ოჯახი სირცხვილს გადაარჩინა) იმდენად გაათამამა და გააბრიყვა, რომ შეზარხოშებულმა, ნეფის მშობლების ლანძღვა დაიწყო ბოლოს. მაგრამ გიგოლას ყველაფერს პატიობდნენ, რადგან, როგორც მეზობლებში ამბობდნენ, „მაგას რომ არ ევაჟაკა“, შეიძლებოდა, უბედურება დატრიალებულიყო. თუმცა ისიც ყველამ იცოდა, რომ ამ საქმეში მან საკმაოდ დიდი გასამრჯელო მიიღო. ეს გიგოლას არც ეთაკილებოდა და, მოგვიანებით მეზობლებს თვითონვე გაანდო უტიფრად:

— მომიტანეს და, რა მექნა, ხომ ვერ გადავაგდებდი.

ასეთი განსხვავებული ზნე და ხასიათი ჰქონდათ იმ სახლმმართველებს, ერთ სახლში რომ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ყველაფერი რომ შეცვლილიყო ქვეყანაზე, ბონდო ხომერიკი და გიგოლა ხავთასი ისეთივე დარჩებოდნენ, როგორებიც იყვნენ.

და თუ რამე გააჩნდათ საერთო, მხოლოდ ის, რომ ორივენი მალულად მუთაქებსა და ბალიშებს ნაქურდული ფულით ტენიდნენ.

ერთხელ გიგოლა ქუჩაში შეეფთა ბონდოს და როყოოდ მიახალა:

— ბიჭო, ღმერთმა დაგიფაროს და, რამე რომ გაგიჭირდეს, რას იზამ მაშინ, ვისი იმედი გაქვს, სანამდე გინდა იარო ასე გან.გან... მთელი შენი სიცოცხლე... ყოფილმა ფერშალმა კარის მეზობელი უხმოდ შეათვალიერა ყურადღებით და გაშორდა. გიგოლამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მეტი არაა ჩემი მტერი, შენ მე რამე დამიჯერო!

ზამთრის ერთ საღამოს, სამეზობლოში ყოფილ ველოსიპედისტზე საშინელი ჭორი გავრცელდა: თითქოს სახლმმართველი გიგოლა ხავთასი ლაწირაკ ბან. დტებს ნაქურდალ ოქროულობას უნახავდა თავისთან სახლში და ზოგჯერ გასაღებაშიც ეხმარებოდა. ზოგიერთებს მისი მევახშეობა ვერ წარმოედგინა, სხვებს — ყჩაღებთან დამპყაყება და ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. უმეტესობა მაინც გიგოლას იცავდა და ამ თავმოსაჭრელ ამბავს სახლმმართველის მტრების მონაჩმახად მიიჩნევდა. ბოლოს, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი გამოძვლავნდა, ჭორი სიმართლე გამოდგა და ფაქტები დადასტურდა. გიგოლას საქმე საციხედ გაუზდა. დატრიალდნენ მეგობრები, დაცალა ყოფილმა ველოსიპედისტმა ფულით დატენილი ორი მუთაქა და... გადარჩა, რამდენიმე მეზობელი მოწმედაც დაუდგა სასამართლოზე, ჩხრეკისას აღმოჩენილი ოქროს სამაჯურები თუ საყურეები ჩვენ მივაბარეთ სახლმმართველს შესანახადო. ერთი სიტყვით, გიგოლას ბევრი ამოუდგა მხარში და აიციდინა პატიმრობა.

ოღონდ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შუა გაზაფხულზე, უარეს უბედურებაში ჩავარდა. სოფლიდან ჩამოსული, უმადლესდამთავრებული, მიმზიდველი გარეგნობის ქალიშვილი უკანონოდ ჩაწერა ერთ ძველ ბინაში და სანაცვლოდ მასთან

რომანი გააჩაღა. ეს ამბავი მაშინვე გახმაურდა, თუმცა გიგოლამ იმდენი მოახერხა, რომ, როგორც თვითონ ამბობდა, ჩააჩუმა „ცილისმწამებლები და პროკატორები“, მაგრამ მერე გამოირკვა, რომ დროებით. საქმე ის იყო, რომ სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილი ერთ-ერთაზიან ბინაში ჩაწერა, სადაც ისედაც ოთხი სული ცხოვრობდა და თან პატრონის დაუკითხავად. კარგად იცოდა, დად რისკზე რომ მიდიოდა, მაგრამ უმაღლესდამთავრებული გოგონას გამოწვევმა ღიმილმა აცდუნა და ჯოჯოხეთში ამოყო თავი. ბინის პატრონმა, როცა მოგვიანებით ყველაფერი შეიტყო, გაცოფებულმა, იმავე დღეს ამოაწერინა ქალიშვილი და მილიციით დაემუქრა კიდეც. ნირწამხდარი გიგოლა ყოველნაირად ცდილობდა, საქმე არ განხაურებულიყო, მაგრამ საფრთხე ამჯერად აგორებულ თოვლის გუნდასავით იზრდებოდა: ახლა ბინიდან ამოწერილი, უკვე ფეხმძიმე, გაბოროტებული ქალი იმუქრებოდა რომანის გამხელთ და სასამართლოში ჩივილით. დაბადების დღეს იწყველიდა გიგოლა და დღედაღამ ენაგადმოგდებული აქეთ-იქით დარბოდა. ბოლოს ისევ დატენილმა მუთაქებმა უშველა და, როგორც იქნა, თავი დაიხსნა (იმდენიც შეძლო, რომ უმაღლესდამთავრებულ გოგონას, მედიცინის დახმარებით და ჩარევით, დედობაც ააშორა და ქალიშვილობაც დაუბრუნა).

გიგოლასთვის ამ უმძიმეს დღეებში მეზობლები, ზოგი გულწრფელად, ზოგი პირფერობით, ამხნევებდნენ შიშისგან დალეულ სახლმმართველს და ათასგვარ გზასაც ასწავლიდნენ გადასარჩენად. ყოველ შემთხვევაში, გულგრილი არავინ დარჩენილა.

ეს ამბავი ბოლოს ისე მიწყნარდა, რომ ბონდო ხომერკის არც შეუტყვია თუ რა დღეში იყო ჩავარდნილი მისი კარის მეზობელი.



იმ წელს დიდმოვლობა იყო.

ადრინანი გაზაფხული დადგა. მზინანი

დღეები დაიჭირა და უჩვეულოდ დათბნითიქმის მთელი თვე ღრუბლის ნაფლეთი არ გამოჩენილა გადაღურჯებულ ცაზე. თოვლმა დნობა დაიწყო. მაისი მიწურა და მთებიდან დვარცოფები დაიძრა. ფაფარაყრილი მდინარეების საშიშროება დღითიდღე მატულობდა ბარში. ხალხმა მოსვენება დაკარგა. დიდ ქალაქსაც წალეკვით ემუქრებოდა აბოხოტრებული მტკვარი. ჯებირები და დამბები ნაცარტუტად აქცია აზვირთებულმა მდინარემ. უსუსური და უილაჯო ადამიანები ყოველ წუთს უბედურებას ელოდნენ. სტიქიის უძლეველი ძალა ქარიან ღამით მისწვდა ქალაქს. გამთენიისას, სანაპიროს კედელი გაანგრია შეშლილმა მდინარემ და მობინადრებს სახლებში შეუვარდა. ახლომახლო ქუჩები უმაღლეს დიდი დაიტბორა. ზათქითა და გრუზუნით მოაგორებდა მტკვარი ძირიანად მოთხრილ უზარმაზარ ხეებს. სახლების სარდაფებში შევარდნილი წყალი მაღლა მაღლა მიიწვედა შეუჩერებელივ. გამძვინვარებული მდინარის ღმუილში სასოწარკვეთილ ადამიანთა ყვირილი ისმოდა...

სტიქია შუადღისას დაცხრა.

მაღე ზოგიერთ უბანში, აქა-იქ, პატარა ნაევებში ჩამსხდარი ადამიანები გამოჩნდნენ.

ასეთი წყალდიდობა არ ახსოვდა მილიონიან ქალაქს.

სანაპიროს გასწვრივ, ორმოცდაათიან წლებში ჩამწკრივებულ შენობებამდე მიადწია განგრეული კალაპოტიდან გადმოხეთქილმა მდინარემ. იმ სახლში, სადაც ორი სახლმმართველი ცხოვრობდა, სარდაფების ჭერსაც ასცდა წყალი მაშინ, როცა კარგად გათენებული იყო. პატარა სკვერი და ახლომახლო ეზოები პანიკით შეპყრობილი ხალხით აივსო. უაზრო წამოძახილები, ყვირილი და კივილი ისმოდა ირგვლივ. რამდენიმე ქალს ტირილი ისტერიკად გადაექცა. ბევრი ანგარიშიშუცემლად გარბოდა წყლით ავსებული სარდაფებისკენ. ზოგს მხნედ ეჭირა თავი და შეძლებისდაგვარად აიძვებოდა თავზარდაცემულ ადამიანს.

ანებს. მამაკაცები, თოხებით ხელში, პანიკორ ქალებს სადარბაზოებისკენ ერეკებოდნენ და ცდილობდნენ, მოვარდნილი ნიაღვრისთვის სანაპიროსკენ გაეკვალათ გზა.

სალამო ხანს, როცა წყალმა იკლო, შლამითა და ღორღით ავსებული ეზოების გაწმენდა დაიწყო. მერე სარდაფებსაც მიხედეს. ბევრი გაოგნებული შეჭურებდა პირველი სართულის ჩამონგრეულ აივნებს. სახლმმართველების ბინებიც ასეთ დღეში აღმოჩნდა.

ხალხი მალე დაშოშმინდა, გონს მოეგო, დაწყნარდა. მდინარე თანდათან უბრუნდებოდა კალაპოტს. სანაპიროზე და ქუჩაში ტრანსპორტი გამოჩნდა. პატარა ნაგებს უკვე ხელით მიათრევდნენ დაბრეცილ ასფალტზე ბიჭები.

ბონდო ზომერიკი მთელი ამ წარდენის განმავლობაში თავის ცოლ-შვილთან ერთად, მშვიდად იჯდა ფანჯარასთან და აუღელვებლად გადაჭურებდა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა, ოღონდ რამდენჯერმე თითის აქნევით უსაყვედურა აცახცახებულ ცოლს, მისი შიშით ტირილსაც რომ ვერ ბედავდა. ბავშვები კი, თითქოს სეირს უყურებენო, ისე დახტოდნენ ტაშისკერით ფანჯარასთან. დედა თუ დაუცაცხანებდა ხანდახან, მამა ყურადღებასაც არ აქმენდა.

გიგოლა ზავთასი იმ წუთიდანვე, როგორც კი წყალმა იკლო, პანიკით მოცული ხალხით სავსე ეზოში იყო და ათასგვარ განკარგულებას იძლეოდა. ზოგს ამხნევებდა, აიძვებდა, ზოგს უჯარდებოდა და ლანძღავდა, ზოგს ჭკუას ასწავლიდა და ხანდახან სილასაც გაულაწუნებდა შიშისგან დაგლახაკებულ მეზობლებს. ერთი ისტერიკაში ჩავარდნილი ფაშფაშა ქალი ზურგზე აიკიდა და ძლიერძვივობით აათრია სახლში. სადაც ვინმე წამოიკვებდა, მამინვე მასთან ჩნდებოდა და, მუქართა თუ დაყვავებით, ხმას აწყვეტინებდა. პირველი, ვინც თოხს წამოავლო ხელი შლამითა და ღორღით ავსებული ეზოს გასაწმენდად, გიგოლა იყო. მალე სხვებიც აივლია.

მინგრეულ და გაპარტახებულ ფეხებში ჩასვლა ყველას, რაღა თქმა უნდა, ყოფილმა ველოსიპედისტმა დაასწრო. აქ გამოამჟღავნა გიგოლამ გამჭრიახობისა და საზრისიანობის დიდი ნიჭი. თითოეულ მეზობელს, ასაკისა და უნარის მიხედვით, საქმე მიუჩინა და თან ყოველ მათგანს პირადად უჩვენებდა, რა და როგორ ეკეთებინა. ბოლოს გიგოლამ, რაღაცით უკმაყოფილომ, შუბლზე თითი მიიღო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ყველას გასაკონად თქვა:

— ასე არ ივარგებს, მეზობლებო, ცალ-ცალკე რომ ვფაფხურობთ. ის აქობებს ღორღისაგან ჯერ ერთი სარდაფი გავწმინდოთ ყველამ, მერე მეორე და ასე შემდეგ. საქმესაც უფრო მალე მოვრჩებით.

— მართალი ხარ, მართალი! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან და თოხებითა და ბარებით შეიარაღებული მეზობლები სახლმმართველს შემოეხვივნენ.

— ოღონდ, — დამრიგებლური ტონით განაგრძო გიგოლამ, თან საჩვენებელი თითი შემართა, — ჩხუბი რომ არ მოგვივიდეს, კენჭი ვყაროთ, ვისი სარდაფით დავიწყოთ. მაგნაირ საქმეებში გამოცდილი კაცი ვარ და მენდეთ მე. ამას იქნებ არც ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, მარა მაინც ასე აჯობებს. ვყაროთ კენჭი.

სახლმმართველის რჩევა მობინადრეებმა ყურად იღეს და საქმესაც შეუდგნენ, ოღონდ კენჭი არ უყრიათ — სარდაფების ამოწმენდა მთავარი კარიდან რაგზე მიყოლებით დაიწყო და იქაურობა გუნებაგამოკეთებული ადამიანების ყავილ-ზივილით აივსო. ყველას უხაროდა, რომ გადარჩნენ და არავინ დაღუპულა! გაპარტახებული სარდაფები და ჩამონგრეული აივნები ვისღა ახსოვდა! თუმცა, მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, წუწუნით გულს რომ უწუნებდნენ გაზალისებულ მეზობლებს. მინიატურული სკვერი, სათამაშო მოედანი და პატარა აუზი მთლიანად შლამსა და ღორღში ჩაფლულიყო, მაგრამ გიგოლამ ამ საქმის მოგვარება სამომავლოდ გადასდო. საკუთარი გამჭრიახობით უკმაყოფილ სახლმმართველს

არავინ შედავებია და მეზობლები ბარებით, თოხებითა და ჯალამბარებით, პირველ სარდაფს მიადგნენ. უფროსებს ბავშვებიც წამოეშველნენ ვედროებით ხელში და მალე ყველანი, დიდი და პატარა, ხალისით შეუდგნენ საქმეს. აქაიქ უკვე ხუმრობდნენ გადატანილ უბედურებაზე...

სამუშაომ მთელი კვირა გასტანა.

ბონდო ხომერიკი ფანჯრიდან ყველაფერს ხედავდა; მით უმეტეს მაშინ, როცა ეზოს გადაივლიდა ან სამსახურიდან ბრუნდებოდა. ერთ საღამოს თვითონაც ჩავიდა თავის სარდაფში. რკინის კარი ღორღით ამოქოლილი დახვდა. ირგვლივ ნესტის სუნი ტრიალებდა. ახლომახლო არავინ ჩანდა. ესიამოვნა, რომ მართო იყო. ფეხის წვერებზე შედგა და კარის ზემო ჭუჭრუტანიდან სარდაფში შეიჭვიტა. ყოფილმა ფერშალმა სიბნელებში ვერაფერი გაარჩია, მაგრამ მერე თანდათანობით გამოიკვეთა თითქმის ჭერამდე მისული შლამისა და ღორღის კონტური. რკინის კარს ჯაჯგური დაუწყო, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. მერე ჭუჭრუტანებიდან დანარჩენ სარდაფებშიც შეიჭვიტა და თვალს არ დაუჯერა: ყველაფერი დასუფთავებულ-დაწკრივლებული იყო (თვალი სიბნელეს თანდათან ეჩვეოდა და საგნებს იოლად არჩევდა). ზოგს ახალი მაგიდა დაუდგამს და შპალერიც გაუკრავს. ერთი მეზობლის ტახტზე უზამზახარი ტელევიზორიც დალანდა. იქვე, გვერდით, თოკზე ასხმული ხახვისა და წიწაკის გალაც მიუკიდიათ. ბოთლები და ათასგვარი ჭურჭელი კოხტად იყო კუნჭულში მიწყობილი. ვიდრეცას ჩარჩოებიანი სურათებიც ჩამოუკიდია კედელზე! მისი სარდაფი კი მიწით იყო ამოვსებული ისე, რომ კარიც ვერ გაადლო! მერე ასანთი გაჰკრა და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი იქაურობას. ჰო, მხოლოდ მისი სარდაფი იყო დანაგვიანებული, სხვა ყველასი — დასუფთავებულ-დაწკრივლებული. შლამი და ღორღი ისე გულდაგულ გაეტანათ, კვალიც არხად დაეტოვებინათ. მის სარდაფთან


კი მთა იდგა! კიბე ფრთხილად ამოვიდა და სახლში ოდნავ შეფიქრიანებული ავიდა!

ცოლი, რა თქმა უნდა, მიწით ამოვსებული სარდაფის ხსენებასაც ვერ ბედავდა სიტყვაძუნუნ და უფმურ ქმართან და გულში იკლავდა დარღს. ამჯერადაც არაფერი უთქვამს. შეფიქრიანებული ქმრის დამნახავმა პირზე ხელი მიიფარა, ერთი მწარედ ამოიგმინა და სამზარეულოსკენ გასწია.

ბონდო კი ლოჯიაში ტახტზე გულაღმა გაიშოტა, ხელები თავკვეშ ამოიწყო, თვალები მილულა და წაძინება დააპირა, მაგრამ ცხოვრებაში, ალბათ, პირველად, ფიქრებმა არ მოასვენეს. უცნაური ის იყო, რომ განწყვენებული არ დარჩენილა. უბრალოდ, უკვირდა, რატომ დატოვეს მისი სარდაფი ხელუხლებლად მეზობლებმა. „ჩემ დღეში ამ ხალხისთვის ცუდი არაფერი გამიკეთებია, უხეში სიტყვაც კი არ მიკადრებია რომელიმესთვის. ჭირში თუ ლხინში მათთან ვიყავი სულ. ვის რა ვაწყენინე, რომ არაფრად ჩამავდეს. ერთი მაინც გამოეხედა რომელიმეს ჩემკენ. არც ერთს არ ვახსენდი. ვის რა დაუშავე?..“ — ფიქრობდა ტახტზე გულაღმა მწოლი ბონდო ხომერიკი. მერე, როგორც სჩვეოდა, მადიანად დაამთქნარა, გვერდზე გადაბრუნდა და უდარდელი ხვრინვა ამოუშვა.

ქვევით, ეზოში, მეზობლები ღორღით ავსებული აუზის ამოწმენდას იწყებდნენ.

რომ გამოეღვიძა, სარდაფი აღარც ახსოვდა. ფანჯარასთან სკამი მიდგა, დაჯდა და ეზოს გადახედა. მეზობლებს გულდაგულ ამოქონდათ შლამი ვედროებით აუზიდან. იქვე გიგოლა იდგა და წამდაუწუმ მითითებას აძლევდა ხალხს. ბონდოს ისევ მოაგონდა მიწით ავსებული თავისი სარდაფი და უნებურად მხრები აიჩინა: „რა ვაწყენინე ამ ხალხს, ერთიც რომ არ წამომეშველა“, — გაიფიქრა ყოფილმა ფერშალმა და მთქნარებით გახედა სანაპიროს.



დავით მჭედლური

შტრინგები ავტოკორტრაქტისათვის

ოღესმე თუ დაგავიწყდება ის დღე? – უცხო პობედის კუთხეში მიკუნჭული შიშით რომ გამოჰყურებდი უცნაურად მოშზირალ ხალხს და ჩამოსვლისა გეშინოდა, უკვე იცოდი, რომ რაღაც მოხდა; ზუსტად შეპყრობილი მგლის ლეკვივით იყავ მიკუნჭული და ზუსტად ასე აღგიქვა სოფლის პატარა მოედანმაც.

ჯერ შორიდან გათვალეირეს, ერთმანეთს იღაყვი გაჰკრეს – შენსკენ მოახედეს ზოგიერთი უყურადღებო და მაშინ კიდეც უფრო დარწმუნდი, რომ შენს თავზე რაღაცა მოხდა.

ზუსტად მგლის ლეკვივით დაფრთხი და კიდეც უფრო მოიკუნჭე შენთვის უჩვეულო სამყაროში – უცხო „პობედის“ სავარძელზე, სკოლიდან წამოსულს კეთილმა კაცმა გზაზე შემთხვევით რომ გაგიჩერა. ინატრე, – დამრულიყო, ქარსა და წყალს მისცემოდა, ე ღონდ აქ კი არა მდგარიყო.

მაგრამ „პობედა“ არ იძვროდა, სოფლის პატარა მოედანზე ჯიუტად იდგა, უძრავად იდგა ზოოპარკის გალიასაკით. ხალხიც ნელ-ნელა შეჯგუფდა და შენკენ დაიძრა, ნელა მოდიოდნენ, ფრთხილად მოდიოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ შენ იმ წუთიდან მართლა მგლის ლეკვი იყავ; ახლად დედაშკვდარი და გააფთრებული.

შიშით მოგიახლოდნენ, ვილაცამ გაბედა და კარი გააღო, მერე ყველანი უკუდგნენ და გზა დაგიდეს, რათა გამოვარდნილიყავ და ტყვისათვის მიგეცა თავი.

მაგრამ იცოდი, რომ გაქცევა არ ეგებოდა, ნელა ჩამოხვედ და ამდენ უცხოში შენი სისხლის მგლის თვალებს წააწყდი: დედიმმა თველორე იყო, ნასვამი და ღამენათუვი, მოგიახლოვდა და თითქოს ვილაც სხვას უთხრა: – დედა მოგიკვდა!

სამყარო იძრა და იმ წუთიდან უკვე ნამდვილ
 და დედამკვდარ მგლის ლეკვად იქცა.
 აქეთ შენ დარჩი და იქით დედამამიანთა მსუყვე სამყარო,
 ყველაფერი ორად გაიყო და თქვენს შორის მარადიული მტრობა ჩამოწვა.

იმ წუთიდან ცამეტი წლის ლაწირაკი
 უკვე დამოუკიდებელი მგლის ლეკვი იყავ
 და დამოუკიდებელ ბუნაგზე დაიწყე ფიქრი.

...შემდეგ მიდიოდი სოფლის ამბულატორიისაკენ,
 სადაც მანქანის მოკლული დედის ცხედარი ესვენა,
 მაგრამ ეს უკვე იმ მგლის მოქმედება იყო,
 რომლისთვისაც ყველაზე საშინელი ხვალისდელი მშვიერი დღეა.

* * *

იმ დღიდან დღემდე მარტოდმარტო დაეხეტები
 და ადამიანთა მოდგმას, როგორც მგლის ობოლი ლეკვის
 საეჭვო ჭირისუფალს — ისე აღიქვამ.
 ტკივილს კბილების ღრჭუნით მალავ და გულში იკლავ,
 არცვის შეჭმუვლებ, შველას არვის შეევედრები.

წლები გადიან და თანდათან უფრო ძნელად გადასატანი ხდება
 ზამთრის გრძელი ღამეები და ზაფხულის გრძელი დღეები,
 გაზაფხულის წვიმები და შემოდგომის ქარები,
 თანდათან უფრო ძნელი ხდება მარტოდმარტო მგლის ცხოვრება.

ადამიანებს დღემდე მიუზღავ უყურადღებობით და გულგრილობით,
 იმ ერთი წუთისთვის, უცხო „პობედის“ კუთხეში მიკუნჭულს
 მართლა მგლის ლეკვივით რომ შემოგყურებდნენ
 და ყველა მათგანს მხოლოდ ახლად დედამკვდარი
 მგლის ლეკვის რეაქცია აინტერესებდა.

იქიდან დაგეკარგა ჯოგში გარევის სურვილი,
 ამჯობინებ, ეული იყო და თუ ვინმემ ბრჭყალი გაგკრა, —
 მქისედ შეულრენ და აგრძნობინებ
 ვინცა ხარ და რა სისხლიც გიდვა.

მარტო ნადირობ და ნელ-ნელა ემზადები სიკვდილისათვის,
 იცი, რომ იგი მარტოს უფრო ჩქარა მოგაკითხავს,
 ვიდრე ჯოგში გარეულს და სიცოცხლეზე ნაბლავჭებულს.

სიმარტოვეა ობოლი მგლის მარადიული გალია,
 ყველა გალია დაირღვევა,
 ყველგნით გაიქცევა ყოჩალი სულიერი,
 მაგრამ სიმარტოვიდან ვერავინ გაიქცევა,
 სიმარტოვეში ერთხელ შესული, გარეთ ვეღარავინ გავა,
 ერთადერთი ეგლა არის შენი ნუგეში — სანამდის ძალგამს,
 ტყის იღუმალ ხმებს აყურადებ.

ოცნება

მტრისგან მეც ჩემი მიფარავს კოშკი,
ათოვს კოშკებში დამწყვდეულ ქალაქს,
აღარც სიყვარულს, აღარც სიძულვილს,
დღეს უკვე ქვეყნად აღარვინ მაღავს.

იცვლება წელი, ახალი მოდის,
ხადლაც აქვეა, ზღურბლის კიდესთან,
და დიაცური სულწასულობით
აქრობ სინათლეს და იბინდება:

სარკმელი,
სახე,

თოვლი,
ვარსკვლავი,
უცნობი ფერი ედება ფოველს,
ბრმად ფათურობენ შენი თითები

და შენს სხეულში დავინთქა — მთხოვერ,

ირყვება სული, ირყვება კოშკი,
ათოვს შიშისგან გათანგულ ქალაქს,
ო, სიყვარული რაოდენ დატკბა,
როცა სიძულვილს აღარვინ მაღავს.

ჩიტი მატროპოლიტანში

მეტროპოლიტენის ცივ სარკოფაგში
უეცრად ჩიტმა შეიფრთხილა,
ჩაუქროლა მატარებლის მოლოდინში
გარინდულ მგზავრებს
და გვირაბში გაუჩინარდა.

ჰე-ჰე-ჰეი, ქვესკნელის შავ ხახაში
დაკარგული პატარა ჩიტო,
ჩიტა მოდგმის დაუოკარო ყარბო,
შხის და სინათლის სამიებლად
წყვდიადს შებმული მამაცო ჩიტო,
ნეტავი თუ მოგიკითხავენ
ხეებზე შევებით მოფართხალებ
თანამოძმენი,
თუ გაივებენ შენი გმირობის
და ყარბობის საოცარ ამბებს.

არ გათავდება ეგ ქვესკნელი,
როგორც დრო არ გათავდება,
როგორც არ გათავდება ქვესკნელის
გავლით
სინათლისაკენ ლტოლვის წყურვილი,
როგორც არ გათავდება
თავისუფლებისთვის
მებრძოლთა სისხლი და
სისხლისმსმელები.

ჰე-ჰე-ჰეი, ქვესკნელის ცივ ხახაში
დაკარგული მამაცო ჩიტო,
რა ხანია ჩვენაც ეგრე მივიბრძვით

სინათლისაკენ,
რა ხანია, ჩვენაც ეგრე ვაფხიზლებთ
ეპოქათა გასაყარზე გარინდულ
მგზავრებს,
რა ხანია, ჩვენც ეგრე დაფინებით
ჩაეცქერიოთ
სიკვდილის შავ გვირაბს და გული
მამაცობის სასწაულს ითოვს.

ეჰე-ჰეი, ნეტავ როდის გახვალ
თავისუფლების მზეზე,
ქვესკნელის წიად დაკარგული
მამაცო ჩიტო,
ანდა ჩვენ კი როდის გავაღწევით
ამ უეცილობის, მტრობისა და
სისხლისმსმელობის
საშინელი სამყაროდან?

როდის შეერთდებიან ჩვენი წყლები,
როდის ივლიან თანხმობით ჩვენი
სხეულები,
როდის შევეხმიანებით კოსმოსურ
სამყაროებს,
როდის იქნება ყოველივე
ერთიანი, მთლიანი და პარმონიული.

ჰე-ჰე-ჰეი, ქვესკნელის ბნელეთს
დაკარგული პატარა ჩიტო,
როდისღა გავა სამზუოზე
ცოცხალთა სული.

სახლი თანამედროვე

მე ვარ სახლი ბილწებისა,
 სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ
 პოეტი და დიქტატორი —
 მსხვერპლი და ჯალათი.

მე ვარ სახლი ქიშპობისა,
 მე ვარ სახლი უსამართლობისა,
 სადაც გვერდიგვერდ მუშაობენ
 პოეტი და დიქტატორი.

მინი უერთმანეთოდ ვერ იცხოვრებენ,
 პოეტმა დიქტატორი უნდა ამხილოს,
 დიქტატორმა პოეტი უნდა როზგოს
 და სახრჩობელისკენ ათრიოს.

მე ვარ სახლი სიხარბისა,
 ხან ლექსი მწყურია,
 ხან სისხლი და ლეშის სიმყრალე,
 ხან ღმერთს ვესაუბრები, ხანაც
 ტარტაროზს.

მე ვარ სახლი თანამედროვე,
 და შიგ ერთად ღამეს ათევენ
 მკვლელი, მემკვი და... პოეტიც,
 პოეტიც კადრულობს ღამის გათევას.

მე ვარ სახლი ბილწებისა,
 მე ვარ სახლი თანამედროვე,
 ავაზაკის, დიქტატორის...
 და პოეტის შემფარებელი.

კვარტალი

რკინა-ბეტონის ნაცრისფერ ტყეში
 სადაც ზაფხულში ადამიანები და მცენარეები
 ერთნაირად ჭკნებიან, — შენი ვიწრო ბუნაგიც არის
 და რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაღიზიანებს
 შენს კართან უცხოთ გამოჩენა,
 უცხო სუნზე შიში და ზიზღი გიპყრობს.

ყოველ დილით შენი შვილები
 რკინა-ბეტონის ნაცრისფერი ჯურღმულებიდან
 სადაც მიდიან და აღარ იცი, როდის მოვლენ
 ანდა საერთოდ მოვლენ თუ არა.

ჭიანჭველათა გორაკია ეს კვარტალი
 და გარეთ გასული ყველა ჩვენგანი
 ჭიანჭველასავით უსუსურია
 და ყოველ წამს საფრთხე მოელის.

აქ იყო, ამ ნაცრისფერი ჯურღმულის ბოლოს
 1990 წლის 10 აპრილს რომ რუსის ჯარმა დასცა ბანაკი,
 აქ იდგნენ ზვლიკისფერი ტანკები და „ბეტკერები“,
 წრედ იდგნენ და მრავალთავიანი ურჩხულივით
 საქართველოს ოთხივ მხარეს ლულის შავე ჭერელით ზვერავენენ.

შემზარავი იყო ირგვლივ ყველაფერი:
 მეცხრე ტალღასავით აქოჩრილი ზვლიკისფერი ბანაკი
 და საველე სამზარეულოს მხრჩოლავი კვამლი.
 მაგრამ ვმანწვილებს, რომელნიც კვარტლის ბოლოს მდებარე

რუსული სკოლიდან იპარებოდნენ, ბედმა გაუღიმათ,
აზალი გასართობი იპოვეს, მიძვრებოდნენ ტანკების მუხლუხობებზე,
მიბობდავდნენ უფრო ზევით,
ისხდნენ ლუკებზე და ზოგიერთი ლულებზეც კი ეკიდა
ანდა იჯდა მაიმუნივით.

ებაასებოდნენ შორეულ თანამემამულეებს,
გოროზად იქცეოდნენ, ამაყად ისხდნენ,
დამპყრობლის გენი უღვიოდათ,
ოცნებობდნენ ტანკისტობაზე,
რათა ეს ზვლიკისფერი ურჩხულები
მათაც დაეძრათ სხვა ქვეყნის დასალაშქრავად.

ჩვენი გამტკნარებული აჩრდილები კი
კვარტლის ნაცრისფერს შეფარვოდა
და იქიდან ვადევნებდით თვალს
ტანკისტობაზე მეოცნებე ყმაწვილები —
როგორ ისხდნენ და ეკიდნენ ტანკის ლულებზე,
რა ინტერესით იქექებოდნენ მათი ჯავშნის ნაოჭებში
და მოხდა ისე, რომ იმ წელსაც
გაზაფხულმა ჩვენს ნაცრისფერ კვარტალს
კიდევ ერთხელ აუარა გვერდი...

ნანგრევები...

ნანგრევები...

ხვლიკების ლეგა ქარავანო, საით
მიდიხარ,
კვლავ გულუბრყვილო და ნაზია ღამე,
კვლავ სუფიანია დღე, როგორც,
როგორც ხვლიკები და ნანგრევები.

პირველყოფილებაც საამურია
და ნანგრევთა ჭირისუფლობაც,
როცა ქვეყნად ყველაფერი,
ყველაფერი უკვე დაიმსხვრა.

...ხვლიკების ლეგა ქარავანო, საით
მიდიხარ?!

მშობლიურ წყვდიადისაკენ


წყვდიადის აჩრდილო!
მე შენი ძმა ვარ,
შენს ძებნაში გაიღია
ჩემი ცხოვრება.
მე ვარ ბნელეთის სამყაროდან

გადმოსროლილი ობოლი ჩრდილი,
და უძილო ღამეებში
ცხადად მესმის დედის ძახილი:
— დაუბრუნდი, დაუბრუნდი
მშობლიურ წყვდიადს!

ნ-ს

„შენთვის ისე მომსურდების,
წყაროსათვის ვით ირემსა“,
ეპ, ტირილი რას მიშველის,
მიშველიდეს — ვიტირება;

ხომალდსა ჰგავს სიყვარული,
ღრო მიდის და იძირება,
შენთვის მაინც მომწყურდების,
წყაროსათვის ვით ირემსა.



მარინე რჩეულიშვილი

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის

მაშ ასე!

თავგადასავლებით სავსე ზაფხულები შეწყდა ჩემთვის, რადგან მამას აღარ ეცალა და მართოს, როგორც წესი, არსად არ მიშვებდნენ არათუ ბავშვობაში, არამედ დიდობაშიც. ჩემი ძმა კი ბევრს ახსოვს ადრე გაზაფხულზე უნივერსიტეტის ბაღში ან მის საყვარელ რუსთაველზე ჩავლილი, უკვე მზეზე დამწვარი, აქერცლილი ცხვირის კეხით, საკინძეგახსნილი პერანგით, ბარში და მთაში ერთნაირად მოსახერხებელი „ბატინკებით“. გურამმა ბავშვობიდანვე გაიგო წელიწადის ნებისმიერ დროს მტერიანი, ასფალტიანი ქალაქიდან ბუნების სიმშვენიერეში გავარდნის გემო. მაშინ ეს გასვლები მთაში არ იყო ასე ჩვეულებრივი, როგორც ახლაა. გურამი, მართალია, პიონერთა სასახლის ყველა კაბინეტის წევრი იყო, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ლაშქრავდა, მაგრამ გადიოდა ქალაქიდან სასახლის კაბინეტებიდან დამოუკიდებლად, ხშირად გაურკვეველი მიმარ-

თულებითაც კი, რომელიმე ამხანაგთან. ან ამხანაგების ჯგუფთან ერთად, ან სრულიად მარტო, ცალ მხარეზე ნახევრად ცარიელა რიუკზაკგადაკიდებული ერთის მხრივ, სილაღე და თავისუფლება მთელ მის გარეგნობასა და ქცევაში, მეორე მხრივ, თავდაჭერილობა, მორცხვობა, თითქოს სიდარბაისლეც კი, ორივე ასე დამახასიათებელი, ჩემი აზრით, ბუნებაში ხშირად მყოფი ადამიანისთვის, ქმნიდა სხვებისთვის გურამის გაურკვეველ უცნაურობას. გურამის ამ თავისებურებას ზედ ემატებოდა ბებო საშასეული ხასიათი — ღიაობა ყველა ასაკის, რჯულის და სქესის ადამიანის მიმართ. გურამის ხასიათის ჩამოყალიბებას, ალბათ, გარდა გენეტიკური თუ სხვა საფუძვლისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენმა ხეტიალმაც შეუწყო ხელი.

ახლა, წერის პროცესში მივხვდი, რატომ შეწყდა ჩვენი მოგზაურობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და რატომ აღარ ეცალა მამას. ეს იყო ჩვენი ოჯახის ისტორიაში უკვე ის დრო, როდესაც მან პრაქტიკული საქმიანობი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 2, 3.

7. „ცისკარი“, № 4.

დან კვლავ თეორიულზე გადაინაცვლა. დაიწყო ინტენსიური მუშაობა ქართულ ცხვრის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.


მამას კუთხე გაივსო სხვადასხვა ჯიშის ცხვრების სურათებით: ზოგ სურათზე იმერული ცხვარი იყო გამოხატული, ზოგზე თუშური, ზოგზე ოქროს ვერძი... ჩვენ ვიცოდით, რომ ზოგ ცხვარს ნაზი მატყლი ჰქონდა, ზოგს უხეში, ზოგს დიდი ღემა, ზოგს გრძელი ბეწვი, ზოგს აბრეშუმის მაგვარი ბეწვი, რომელსაც მერიონოსს ეძახდნენ. მამას კუთხეში ბევრი იყო, აგრეთვე, დაფეხზე გაკრული ცხვრის ბეწვის ნიმუშებიც. ისიც ვიცოდით, რომ მამა ცხოველთა გენეტიკაში მუშაობდა, გენეტიკა კი, როგორც მეცნიერება, მამის დაგმობილი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მისი სურვილი, გამოეყვანა ისეთი ჯიშის ცხვარი, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა სხვადასხვა ჯიშის ცხვრების საუკეთესო თვისებებს, დიდი ხნით გადაიდო. თუმცა ისიც მახსოვს, რომ მამის, როდესაც გენეტიკა აღარ იკრძალვებოდა და მამამ ქიმიური მუტაგენების საშუალებით მიიღო გრძელმატყლიანი მუტანტი, რომელსაც ჰქონდა ნაზი ბეწვი, როგორც კროსბრედს, თუშური ცხვრის ღემა და იმერული ნაზი ხორცი, როდესაც მიიღო ის „სასურველი მუტაცია“, როგორც ახლა მითხრან, „გრძელი კროსბრედული მატყლით“, ახალ გზაზე ძველი დაბრკოლებები გადაეღობა და მისი ოცნება კვლავ განუხორციელებელი დარჩა. ჩვენი ბავშვობისას მამას ინტენსიურ მუშაობას მალევე მოჰყვა ვრცელი მეცნიერული ნაშრომი „ქართული ცხვრის ისტორიისათვის“. როგორც ამბობდნენ, ამ ვრცელი მეცნიერული ნაშრომის საფუძვლები უკვე ჩანდა პატარა სტატიაში, რომელიც მამამ ჯერ კიდევ 1938 წელს გამოაქვეყნა სათაურით: „მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის“. შემდეგ ეს ვრცელი ნაშრომი მამას საკანდიდატო დისერტაციადაც დაუმტკიცეს და ცოტა ხანში გამოქვეყნდა „მეცნიერებაში“ წიგნადაც დასტა-

მა. ამ წიგნის ყდაზე ხატია იმერული ჯიშის ცხვარი მთელი სივრცე-სივრცით; მამის მამა 38-39 წლისა იქნებოდა. მახსოვს, იმასაც ამბობდნენ, მაღლი ასეთი ნამუშევარს აქვს, როდესაც მეცნიერულ შრომას წინ უძღვის მყარი, ხანგრძლივი პრაქტიკული საქმიანობა (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მამამ, თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილის რჩევით თუ დავალებით, ფეხითა და ცხენით შემოიარა მთელი საქართველო და აღწერა ყველა ჯიშის ცხვარი; რაც კი შემორჩენილი იყო ჩვენს სამშობლოში).

ამ წიგნს შემდეგ, ერთ-ორ წელიწადში, მოჰყვა მეორე, უფრო სქელტანიანი ნაშრომი, რომელშიც მთელი საქართველოს მოშობარულ მეცხვარეობის ისტორია იყო მოცემული. იქვე დასახული იყო გზები ამ შესაქონლეობის გაუმჯობესებისა. რამდენადაც ვიცი, მამაჩემის არც ამ გეგმებს ეწერა განხორციელება. მიუხედავად ამისა, ის მაინც დაულაღაველ, თითქმის ყველა მთავრობას, დღევანდელის ჩათვლით, თავახობდა საქართველოში მეცხოველეობის განვითარების გზებს, თუმცა ყოველთვის ამოდმის მიერვე დაარსებულ ლაბორატორიაში „მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბიოლოგიური საფუძვლები“, მამას ხელმძღვანელობით დღემდე ისევ და ისევ მუშაობდა იდეები მომავლის პერსპექტივით!

მამას ხასიათში, ისე როგორც დედას ხასიათში, არის ერთი თვისება, რომელსაც, როგორც ჩანს, გურამი თავის თავშიაც კრძნობდა, იმიტომ, რომ ამ თვისების შესახებ წერს თავის ერთ-ერთ პირველ დღიურში:

„თბილისში ვიჯექ და წვიმა მთელი დღე კოკისპირულად. მე კი ვიჯექი, თავზე წყლულები დამისკდა ხოვლეში უქუდოდ სიარულისას და ვუყურებდი წვიმას. მოწყენილი ამინდი, წვიმა, უკაცური ქუჩა ჩემი გულის დარდს ერთგვარ თანაგრძნობას უწევდა. მერე მინდოდა დამეწერა ამ დარდის ამბავი, მაგრამ სულ სხვა რამეზე გადავედი, კალამმა ჩემდაუნებურად სხვა დამაწერინა, როცა



დავამთავრე და წაიკითხე, გამიხარდა. ჩემს გრძნობას სხვა ფორმებში უფრო კარგად გადმოეცა ის ჩემი დარდი, მე-ღანქოლია, უიმედობა და თან შეუპოვრობის ნაპერწკალი, თუნდაც ის ამბავი, რომ სახლში არ მინდოდა გაეგოთ, რომ მე ვდარდობდი რამეზე“.

ჩემი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის მოთხრობა, რომელსაც არქივში აღმოჩენილი, გურამის მიერ შედგენილი მოთხრობების სიის მიხედვით ქვაბ „ცქიტო“ და „სელიოდა“ (გამოცემებში შესულია როგორც „ცქიტო“).

„ცქიტო და „სელიოდა“ გურამის ერთ-ერთი პირველი მოთხრობაა, რომელიც, როგორც ამავე დღიურის დასაწყისში წერია, დააწერინა „ძველი სიყვარულის დამსხვრევის შემდგომი დღეების გახსენებამ“. მისმა მაშინდელმა განწყობილებამ ასეთი გამოსავალი ჰპოვა: ერთის მხრივ უიმედობა, დარდი, სპარტოვე, წვიმიანი დღე, უკაცრიელი ქუჩა, მეორეს მხრივ კი თითქოსდა სიცოცხლის სუნთქვა, ჩუმი სიმზიარულის შეგრძნება ყველაფერში, პატარა ლექვი და თვითონ ცქიტო, რომელიც მამასთან ერთად ხალისიანად ურჩევს ამ ლექვს სახელს. შეილი მამას თავის განცდებს არ აგრძნობინებს. მისი განცდები სხვაა, ნაწილია ცხოვრების, ეკუთვნის ერთ გარკვეულ ამბავს და არა დარდს, რომელიც ყველაფერზე ვრცელდება და რომელსაც შეუძლია დაავიწყოს ყოველდღიური ცხოვრება. შეიძლება სწორედ ამ მოვლენას გულისხმობს გურამი, როდესაც ერთ-ერთ დღიურში, ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში წერს:

„ადამიანო, იცოდე სიყვარული და როცა გიყვარს, არ ამოსწურო შენში ეს გრძნობა ერთი სიყვარულისათვის, შეინახე უძვირფასესი სიყვარული შენივე მოძმისათვის“, ან კიდევ მაშინ, როდესაც სხვა ნაგლეჯზე ჩაიწერს სხვა წინადადებას, რომელიც მოწოდებასავეთ გაისმის: „არ ამოსწუროთ გრძნობა!“

ამ ნიშნის, ამ „საერთოდ სიყვარულის“, „შიშველი სიყვარულის“ მატა-


რებელია დედაჩემი. ამიტომ არავითარი კონკრეტული ამბავი, ჭეშმარიტი ძლიერი განცდა, ღვთის წყალობით, არ აკარგვინებს მას ამ „საერთოდ სიყვარულის“ უნარს. მისთვის ყველა მომენტში, როგორი სასოწარკვეთილიც უნდა იყოს, გრძელდება ცხოვრება: კეთდება სადილი, ლაგდება სახლი, ისე როგორც თვითონაც ყოველთვის მოვლილ-დაბანულ-დავარცხნილ-ჩაცმულია და მზად არის სადასახლისოდ და საურთიერთობოდ. ეს არის, ალბათ, ის „შეუპოვრობის ნაპერწკალი“, რასაც გულისხმობს გურამი — შეუგუებლობა, ამოუწურაობა თავისი გრძნობის ერთი განცდისთვის, როგორი ტრაგიკული და ყოველისმომცველიც უნდა ჩანდეს ეს განცდა. მახსოვს ჩემი გაკვირვება გურამის შემდეგ — დედა გადარჩა, ცხოვრება გრძელდება. საიდანაც ამოტივტივდა მაშინ, ჩემ ბუნდოვან გონებაში, ტოლსტოის სიტყვები: „მხოლოდ დიდი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული ადამიანები ინარჩუნებენ დიდი ტრაგედიის შემდეგ სიყვარულის უნარს. მხოლოდ მათ შეუძლიათ ხელახლა შეყვარება“. და მართლაც, ჩვენს სახლში, დედაჩემის ხელმძღვანელობით, თითქმის მაშინვე დარდი დარდი იყო და ცხოვრება ცხოვრება. ისინი ერთმანეთს არ ფარავდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, ვერც დაუპირისპირდებოდნენ. ტრაგედია, რაც გამოიწვია უსაყვარლესი შვილის დაკარგვამ, დედისათვის მინც ცხოვრების ნაწილი იყო. და ეს მაშინ, როდესაც მისი შეილი თავის სიცოცხლეში განუყოფლად მოითხოვდა დედის სულიერ და ფიზიკურ ენერგიას. ეს, მართალია, თვითონ დედას შეგრძნებებია, მაგრამ ასეთი იყო საქმის რეალური ვითარებაც. დედას აზრით, ადამიანს არც ერთ მომენტში არა აქვს უფლება, იჯდეს გულხელდაკრეფილი და მთლიანად მიეცეს თავის გრძნობას. ეს სიცოცხლის კანონი, ცხოვრების კანონი, რომ დარდი დარდია და ცხოვრება ცხოვრება, იმდენად ორგანული და ბუნებრივია ჩემი მშობლებისათვის, რომ გინდაც უყვარდეთ ანალიზი, ეჭვით არ შეხედავდნენ გურამას

შემდგომდროინდელ ჩვენს ყოფას, რადგან უგურამოდ დარჩენილ ჩვენ სახლში, ალბათ, თავდაპირველად ყველას გასაკვირადაც, მთელი სიგრძე-სიგანით და მთლიანობით გრძელდება ცხოვრება.

ამრიგად, „შეუპოვრობა“, „შეუპოვრობის ნაპერწკალი“, ჩემი მშობლების წყალობით, ჩემთვის, ფაქტიურად, ყოველდღიურ მაგალითად იქცა. ჩემთვის ბავშვობიდან იყო ცნობილი, რომ მამას თავის სამუშაოსთან დაკავშირებით მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძოდნენ სხვადასხვა ადამიანები, ებრძოდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ წასულიყო დოქტურანტურაში, რომ არ დაეარსებინა ლაბორატორია (მამაჩემს რამდენიმე ლაბორატორია აქვს დაარსებული). ებრძოდნენ ადრე იმიტომ, რომ თავისი გონებით და იდეებით გენეტიკოსი იყო, მაშინ, როდესაც გენეტიკა იკრძალებოდა და სხვა. მიზეზი არ იყო. ბევრჯერ ყოფილა კონფლიქტური სიტუაციები, როდესაც მამას სამსახურის თუ რაღაცის ბედი ბეწვზე ეკიდებოდა და მამა ერთი სპეციალობისაინი არიან, თუმცა დედამ სამსახურს თავი ადრევე დაანება; იმიტომ გარკვეული ამბები დედამ იცოდა არა მამასაგან, არამედ თავისი ამხანაგებიდან, რომელთა უმეტესობა მისი მეუღლის კოლეგები იყვნენ.

ცნობილი იყო, რომ მამა ბრძოლით მიიკვლევდა გზას ცხოვრებაში. მახსოვს მამაჩემ-ნ.-ს კონფლიქტი, როდესაც მთელი ჩვენი ოჯახის მომავალი სასწორზე იდო და ერთი დილა, როდესაც გავიღვიძეთ და გაირკვა, რომ „მიშა თურმე მთელი ღამე მუშაობის მაგივრად რაღაც პოემას წერდა“. ეს იყო პოემა სწორედ ამ კონფლიქტის მთავარ მოქმედ პირობზე, რომელიც ასეთი გააფთრებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. არ ვიცი, ეს პოემა შემორჩა თუ არა მამას არქივს. დამამახსოვრდა მხოლოდ ერთი სტრიქონი, სადაც მამა აქებს ნ.-ს მუშაობას და ბოლოს დასძენს, ისეთი ყოჩაღი ჩვენი ნ., რომ თხის ჯიშების გამოცნობა კურკლებით ემარჯვება.

მახსოვს მამას სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციები თუნდაც ერევანში, დაცვის შემდეგ გამართულ ბანკეტზე და ბევრი კიდევ სხვა რამ. მაგრამ ერთ ისტორიაში, რომელიც ჩემი ძმის ამბიდან დიდი ხნის შემდეგ მოხდა, ჩემი აზრით, მთლიანად გამოვლინდა მამას ეს თვისება, რასაც გურამი „შეუპოვრობას“ ეძახის. როგორც ადრევე აღვნიშნე, მამას ოცნება იყო, გამოეყვანა ცხვრის ისეთი ჯიშში, რომელშიც სხვადასხვა დადებითი, ადამიანისათვის სასარგებლო თვისებები იქნებოდა გაერთიანებული. ამ ამოცანის განხორციელებას ის პრაქტიკულად შეუდგა მას შემდეგ, რაც გენეტიკა, როგორც მეცნიერება, აკრძალული აღარ იყო. დააარსა გენეტიკის დ ბიოფიზიკის ლაბორატორია. ინსტიტუტის მწირი საცდელი მეურნეობა მარნეულში, სადაც აზერბაიჯანელები გაურკვეველ საქმიანობას ეწეოდნენ, გადააქცია თავისი ლაბორატორიის სამეცნიერო ბაზად. შეიქმნება პირდაპირი მნიშვნელობითაც ითქვას, რომ მამამ ის ადგილი ააყვავა. ძალიან კარგად შეიარაღებული ლაბორატორია, ფართო, ნაპატრონები ცხვრის ბინები, ბალ-ბოსტნები, რომელთა საშუალებითაც მეურნეობას შეეძლო თავისი თავის რჩენაც კი. ყვავილნარები, პატარა საცხოვრებელი კორპუსი, სადაც ცდების პერიოდში კვირაობით რჩებოდნენ თანამშრომლები, საუკეთესო პირობებს ქმნიდა სამეცნიერო ინსტიტუტის პრაქტიკული საქმიანობის გასაშლელად. იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელზეც ყურადღება მიმაქცევინა ერთმა სრულიად შემთხვევითმა ადამიანმა... ორიოდე წლის წინ სრულიად უცნობი, მათრობელა სასმელს ოდნავ ნაზიარები, ასაკში შესული კაცი მე და ჩემს შეილებს დაგვემტავრა ტაქსით, გამოგველაპარაკა და, როდესაც გაიგო, რომ მე ვიყავი რჩეულიშვილი და თანაც მიშა რჩეულიშვილის ქალიშვილი. საშინლად აღელდა და სწრაფად, ცრემლნარევი ხმით თქვა: „იცავი, ვინ არის მიშა რჩეულიშვილი? ეს ის ადამიანია, რომ“



მელმაც მარნეულში დააარსა მეურნეობა და ამ მეურნეობას მისცა სახელი „ლომთაგორი“. აქამდე რა იყო ის ადგილები? — არაფერი. ახლა კი აქვს სახელი „ლომთაგორის საცდელი მეურნეობა“. მაშინ მე იქ ვმუშაობდი. ვინ მისცა მას ეს სახელი? მიშა, რჩეულიშვილმა, აი, ვინ არის თქვენი მამა!”

ლაბორატორიის სწორად წარმართულმა მუშაობამ გამოიღო შედეგი. ქიმიური მუტაგენების გზით გამოიყვანეს ცხერის ახალი ჯიშური ჯოგი, რომელსაც სასურველად ჰქონდა შეცვლილი მემკვიდრული თვისებები. ეს გენეტიკოსთა წრეში ჩაითვალა სენსაციად. ქიმიურმა მუტაგენების ავტორი იყო ცნობილი აკადემიკოსი რაპპორტი. შემდეგ საქართველოდან წასული ანონიმური წერილების საფუძველზე მოსკოვიდან ჩამოვიდა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თვითონ რაპპორტიც. სახელმძღვანელო ქიმიკოსი, აღფრთოვანებული ლაბორატორიის საქმიანობით და შედეგებით, მამას გამოუტყდა, რომ მოსკოვიდან ჩამოსული კომისიის მიზანი იყო მისთვის ცდების გაგრძელების აკრძალვა.

თბილისში გატარებულმა დღეებმა საფუძველი ჩაუყარა მამას და რაპპორტის მეგობრობას, რომელიც მთელი ცხოვრება გაგრძელდა. და აი, რას ვგულისხმობ, როდესაც მამას შეუპოვობაზე ვლაპარაკობ — მამას საქმიანობის აქტიურმა მოწინააღმდეგეებმა, როდესაც ასეთი ტიპის ბრძოლების მთელი სერიის შემდეგ ვერაფერს გაზღვენ, ერთ მშვენიერ დღეს აიღეს და არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი სათუთად და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მიღებული უნიკალური ცხერები „მუტანტები“, როგორც მათ ეძახდნენ, დაკლეს, ვითომ შემთხვევით. საინტერესო იყო ის, რომ ჩვენი ოჯახის წევრებმა, ისე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ამის შესახებ სხვისგან გავიკეთ. ეს იყო უკვე დიდი ხნის შემდეგ, მაშინ როდესაც მამა ძველი ხალისით და ენერგიით უკვე სხვა

ლაბორატორიას აარსებდა და სხვა მეცნიერულ ბაზას ქმნიდა.

სხვათა შორის, ასეთმა „შეუპოვრობის ნაპერწკალმა“ გაიელვა ერთხელ, ჩემი ბიძაშვილის ძია მირიანის შვილის გოგა რჩეულიშვილის მონაყოლში, რაც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა, როგორც რაღაც საოცარი თვისება, როგორც მაგალითი, რომელიც უნდა გახსოვდეს და გახსოვდეს და სხვასაც მოუხვე:

ერთხელ ძია მირიანმა გოგა წაიყვანა ტყეში შეშის დასატრელად და დასალაგებლად. სისხამ დილიდან აწყობდა თურმე გოგა ერთ ზომაზე დაჭრილ შეშას მწყობრად, ლამაზად. საღამოსათვის დაჭრილი შეშა მთასაკით წამომართა გოგას თვალწინ და აი, უეცრად, როდესაც ბოლო შეშას დებდა ყველა სხვა შეშის თავზე, ეს მწყობრი გროვა დაცურდა: ზოგი ხეში ჩაგორდა, ზოგი იქვე დაიყარა და ეს მთელი დღის მუშაობის წყალობით აგებული კოშკი მთლიანად დაინგრა. გოგამ მომიყვა ეს არა როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, ან მაგალითი, ან სხვა რაიმე, არამედ, უბრალოდ, ლაპარაკს მოჰყვა. „მერე შენ, შენ რა ჰქენი?“ გაიფიქრებულმა ვკითხე, როდესაც ყველაფერი წარმოვიდგინე. გოგას გაუკვირდა ჩემი რეაქცია და სიცილით მითხრა: „რა დაგემართა, მარინე, რა უცნაური ხარ! რა უნდა გამეკეთებინა, თავიდან დაიწყე დალაგება“. მართლაც, რა უნდა გაეკეთებინა? ალბათ, სრულიად ბუნებრივი იყო: თავიდან დაიწყო დალაგება, ისე როგორც მაშინ დედამ, თავიდან ისეთივე ხალისით აბანავა გურამი, მას შემდეგ, რაც ახლად ნაბანავეები და სუფთად ჩაცმულა ჩავარდა ტუჭყიან წყალში. ისე როგორც მამამ თავიდან დაიწყო ახალ სიტუაციაში იგივე ცდებზე მუშაობა. მახსენდება ივანე ჯავახიშვილის მთელი ბრძოლები, რომელთა შესახებ ბევრი მსმენია სახლში; გიორგი ჩუბინაშვილის ბრძოლები, უცნაური სხდომები, რომელთაც უკვე ჩემ თვალწინ ჩაიარეს (გიორგი ჩუბინაშვილი იყო ძია ლეოს მეუღლის

მამა), ომის შემდგომი სიღარიბის წლები, დედას პატარა-პატარა საყოფაცხოვრებო გამარჯვება-დამარცხებები და ვხვდები, რომ საერთოდ, ადამიანის საოცარი თვისებაა ეს შეუპოვრობა, რაც აგრძელებს ცხოვრებას, რაც თავის თავში დასრულებულად, დამთავრებულად, უნიკალურად, ერთადერთად არ წარმოადგენს არც ერთ ამბავს, მოვლენას. რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ადამიანი არასოდეს არ ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში. ამიტომაც სწორედ, რომ როგორც უნდა დანიგრეს გზა, როგორც სამუდამოდ უნდა ჩაიხერგოს ის, ცოცხალი კაცისთვის ყოველთვის გამორჩელება საბოლოოდ რაღაცა ბილიკი, შეიძლება მაშინვეც კი, ყველაზე უიმედო სიტუაციაში... საოცრად ვიწრო, თვალის უხილავი, არარსებული ბილიკა, რომელიც მერე გზად იქცევა. ამ უგზოობა-გზობის მაგალითებს ახლა ყოველდღე თვალნათლივ ვხედავთ, ვიღებთ როგორც შეუპოვრობის გაკვეთილებს თუნდაც მიწისძვრის შედეგად დანგრეული ადგილებიდან – სულერთია, ეს საჩხერე იქნება, ონი, მთიანი აჭარა თუ სპიტაკი, რადგან იქ მცხოვრები ხალხი აგრძელებს ცხოვრებას, არ ბოროტდება, არც სასოწარკვეთილებაში ვარდება და თავის თავში იმდენ ძალასაც პოულობს, რომ კეთილი, ღია გულით გაუმასპინძლდეს დასახმარებლად ჩასულ ხალხს და იმედითაც კი ადევნოს თვალყური იქვე, იმ დანგრეულ ადგილებში თავთავიანთი სახლებისთვის ახალი საძირკვლის ჩაყრას. ამას ეს ხალხი სწორედ თავისი შეუპოვრობის წყალობით აკეთებს.

მამის მამა განსაკუთრებულად ბევრს მუშაობდა. საჭირო იყო ამდენი ხნის-პრაქტიკული საქმიანობის, ცდების განხორციელება, მეცნიერული საფუძვლების ახსნა და სხვა. მახსოვს დიდი ძველებური მაგიდა მოყვანილი ფეხებით, არა საწერი მაგიდა, რომელზეც ახლაც მუშაობს მამა და რომელიც თელავის სახლის გაყიდვის შემდეგ შევიძინეთ, არამედ ნამდვილი ძველებური სასაიდლო მა-

გიდა, რომელიც იმ პერიოდში საწერი მაგიდის მაგივრობას უწევდა. მაგიდას უკან მთელ სიგრძეზე იდგა წიგნებით სავსე შეკრული თაროები, რომელთაც ასევე ვეძახდით „თარო“. აგრეთვე, სკამები საწერი მაგიდის გარემოში, ასევე გადაშლილი წიგნებითა და ნაწერებით სავსე, საქალაქეები, ჟურნალები, რალაც აღნიშვნებით და შიგადაშიგ ჩადებული მოგრძო ქაღალდებით. მამა იჯდა ხოლმე მთელი დღის განმავლობაში ჩვენი დიდი ოთახის მზიან კუთხეში, ხავერდადაკრულ ბამბუკის სავარძელზე, რომელზეც მწვანე პომპონები ეკიდებოდა. ამ დროს შეეხება დედამისს ერთი საყვარელი მოგონება: ჩვენი სახლი თბებოდა ნახერხის „ფენით“, რომელიც მამას საწერი მაგიდის ახლოს იდგა. ამ „ფენს“ ორი ფორმა ჰქონდა, რომლებიც დიდიდანვე იტენებოდა ნახერხით და „ფენიც“ მთელი დღე ენთო. მაგრამ სითბო საჭირო იყო ღამითაც, რადგან მამა ღამითაც მუშაობდა და სიცხე განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა თავის საწერ მაგიდასთან მარტო დარჩენილისათვის. როგორც ჩანს, ორი ფორმა საკმარისი არ იყო და პატარა გურამი ხშირად მშობლების უწუმრავლად კი დგებოდა ხოლმე ღამით, ცარიელა ნახერხის ფორმის დასატენად. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ნახერხი ეყარა სარდაფში, რომელში ჩასასვლელადაც უნდა გაგველო ეზოს ღია აივანი შუალამისას, სიბნელესა და სიცხეში.

ჩვენ გავიზარდეთ. მამა სულ თბილისში იყო. ახლა ჩვენ ვბრუნდებოდით უკან ზაფხულის შემდეგ მზეზე გარუჯულები, მამა კი გვხვდებოდა გამორწყობილი სახლის პიყამაში, საშინაო მსუბუქი ფეხსაცმლით, გამხდარი, ფერმკრთალი, თეთრი პირსახითა და ხელეებით. შეიცვალა ის დრო, როდესაც მამას დამწვარ ხელებსა და კისერზე საყვლოსავით შემორტყმული ჰქონდა თეთრი სხეული. მამას ჩაცმულობიდან გაქრა ჩემებში ჩატანებული შარვალი. თუშური ქუდი. ამ ფორმას ის უბრუნ-



დებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მი-
დიოდა ან ექსპედიციაში, ან სანადიროდ.
მახსოვს, ძლივს-ძლივობით იყიდეს მა-
შინ მამასათვის ერთი კოსტიუმი (ეს ის
კოსტიუმი იყო, რომელიც შემდეგ ქურ-
დებმა მოიპარეს) და ერთი თეთრი პერა-
ნგი სხვადასხვა საყვლოებით. დედა ახ-
ლაც ამყოფს მაშინდელი გამოგონებით:
მეუბნებოდნენ, რა კარგი პერანგები აქ-
ვს მიშას და იმას კი ვერა ხედებოდნენ,
რომ, უბრალოდ, საყვლოებს ვუცვლი-
დიო. თუშური ქუდი შეიცვალა პატარა
შლიაპით.

მამ ასე!

შეიცვალა ჩვენი ოჯახის რიტმი...

დამთავრდა უდარდელი, ლალი ბავ-
შუობა. და დედას, გარდა ჩვენ ჯანმრთე-
ლობაზე ზრუნვისა, გაუჩნდა ინტენსიუ-
რი საქმე — ზრუნვა ჩვენი მომავალი
ცხოვრებისათვის ფორმის მისაცემად.
ამ ფორმას იგი უკვე ხედავდა და ღრმად
სწამდა, რომ მას საფუძველი ბავშვობა-
ში უნდა ჩაყროდა. დედაჩემმა დაიწყო
ჩვენი მომავალი ცხოვრების ძერწვა.
მთლიანობაში საჭირო იყო, უპირველეს
ყოვლისა, ზომიერების გრძნობის გან-
ვითარება. მთავარი იყო, რომ გადა-
ხრა არა ყოფილიყო არც ერთ მხარეს...
ცოტა ისე, ცოტა ასე... ცოტა იქით, მა-
გრამ არ უნდა დაგვიწყნოდა, რომ ცოტა
აქეთაც იყო საჭირო...

როგორცა ჩანს, თავისი შეილება სათ-
ვის წინასწარდასახული ფორმის მისა-
ცემად, დედაჩემის მხრიდან, საჭირო
იყო დიდი ენერჯის გაცემა, დიდი ძა-
ლისხმევა, „დიდი მუშაობის ჩატარება“,
როგორც თვითონ ამბობს ხოლმე. დედა
ოჯახის რომელიმე წევრის დასახასია-
თებლად ახლაც ხმარობს ასეთ ფრაზას:
„აი, ის“, სულერთია ვინ, ოჯახის ნე-
ბისმიერი წევრი, „ადვილად მოგყვება
ხელში“, შემდეგ, სხვა დროს, ოჯახის
სულ სხვა წევრის დასახასიათებისას: „ად-
ვილად არ მოგყვება ხელში, ეს არის
მთავარი“. ასეთ შემთხვევებში შორიახ-
ლო მჯდომი მამაჩემი ჩაილაპარაკებს
ხოლმე: „ხელში მოგყვება რა, ცოტაა?“
აი, ამ სიტყვებში „ხელში მოგყვება“.

„ხელში არ მოგყვება“, „უნდა მისცე
ფორმა“, „უნდა მიიღოს ფორმა“ და სხ-
ვა, ჩანს დედას ხასიათი, ბუნება, რომე-
ლიც მთლიანად გარეთკენა მიმართუ-
ლი, სხვისკენ. ეს ჩანს თუნდაც იმ მო-
მენტებში, როდესაც ეს ასე არ არის,
რადგან მაშინ დედაჩემის ეს მდგომარე-
ობა ყველას მიერ აღიქმება, როგორც
არაბუნებრივი, როგორც ნორმიდან გა-
დახვევა, როგორც მისი უგუნებოდ ყოფ-
ნა.

...პატარა ვარ, რაღაც არ შევასრუ-
ლე... დედას სასურველად „არ მოგყვვი
ხელში“... დედა ჩუმადაა, არაფერს
ამბობს... მახსოვს ამ სინჟიმით გამოწ-
ვეული სიხარული, თავისუფლების წა-
მის შეგრძნება და მაშინვე შიში ამ სი-
ჩუმის და ამ თავისუფლების შეგრძნე-
ბის... თუ როგორ მინდა დაიწყო მალე:
„მარინე! ასე არაფერი გამოვა... შენ...“
ყველანაირად ვცდილობ დედაჩემის გუ-
ლის მოგებას, დედაჩემის „შებმას“, დე-
და გრძნობს... კარადაში შეყოფს თავს,
რომ სახეზე ღიმილზე არ შევამჩნიო. მე
უკვე ვიცი, რომ ის მოგუნებდა, ცოტაც
და დაიწყება... რაღაცა ვიღაცაზე, რო-
მელსაც ჰქონდა მსხვერპლის გაღების
უნარი და კიდევ ვიღაცაზე, რომელსაც
ეს უნარი არა ჰქონდა და ისე უნდოდა
ყველაფერი, „ზეპირად“... რომ ყველა-
ზე ადვილია ამ ქვეყანაზე, თქვა — არ
შემიძლია... რომ ადამიანს ამ არშემძლე-
ბის უფლება არა აქვს, რომ ცხოვრება
გასართობი არ არის და რომ ძია შალი-
კო თვითონ აუთოვებდა შარვლებს
მოსკოლში ყოფნის დროს, ვიძირები ნაც-
ნობ სიუჟეტებში და სულ არ ვცდილობ
საიმედო საფარიდან თავის ამოყოფას.
ეს სიტყვა „ფორმა“ დღემდე ყველაზე
შშირად ხმარებული სიტყვაა დედაჩე-
მის ლექსიკონში. ჩვენ გავიარეთ ყველა
შესაძლებელი ფორმა: „საბავშვო ბაღში
მოსიარულე ბავშვების ფორმა“, „მოწა-
ფის ფორმა“, „მუსიკის მომეცადინე ბა-
კშვის ფორმა“, „ქალის ფორმა“, „გო-
გოს ფორმა“, „კაცის ფორმა“, გურამმა
— „სასახლეში მოსიარულე ბავშვთა
ფორმა“ და სხვა. იყო რაღაც აბსტრაქ-

ტული ფორმები, ყალიბები, რომელთა შევსებისკენაც მოგვიწოდებდა დედა. დღესაც ხშირად გაისმის ეს სიტყვა ჩვენს სახლში. აი, სულ ახლახან გადმოვკარდი ქვის კიბიდან, დავარტყი თავი, დამემართა ტვინის შერყევა, მომტყდა ხელი. დედა უახლოვდება, ჩემს საწოლს, ჩქარ-ჩქარა იწერს პირჯვარს და თან გაუჩერებლად ლაპარაკობს: „ღმერთო, ღმერთო, მე სულ მადლობას ვუუბნები ღმერთს. მთავარია, გადარჩი! ეგ არაფერია, ღმერთი რა ფორმასაც მოვცემს, იმის კმაყოფილი უნდა იყო. როგორი ძნელიც უნდა იყოს ეს... ყველაზე მნიშვნელოვანია, მაშინ მიენდო ღმერთს, როცა განსაკუთრებით დაიჭიმება ფორმა, მაშინ უნდა მოიკრიბოს ადამიანმა მთელი ძალა, რომ ეს ფორმა არ გაექცეს, უნდა მიენდო ღმერთს და ის გაგამღებინებს... ხომ არ შეიძლება, შენ სულ კარგად იყო, დაღზინებული, ჯანმრთელი და სხვა — გაჭირვებული. კარგად თუ ხარ და მაშინ გწამს ღმერთა, იმიტომ, რომ გგონია, ღირსი ხარ და იმიტომ ხარ კარგად და სხვა უღირსია და ამიტომ არის ცუდად“. მესმის ნაცნობი სიტყვები და ხმაშაღლა ვიწყებ სიცილს ნახევრად გულწასული, რადგან ეს-ეს არის გადამიარა ვეგეტონერული კრიზის ტალღამ, რაც ტვინის ძლიერ შერყევას მოყვა. ვიცინი სიხარულით, რადგან ამ სიტყვებმა დღეს პირველად შეიძინეს ჩემთვის მნიშვნელობა (ვუსმენ დედას აი, ახლა და სადაც მეხსიერებაში ამოტივტივდა უცბად ცნობილი მოქადაგის დედას დედის ბებედა დაროს სახე, რომელიც თითქმის სრულიად ბრმა უვლიდა მთელ ოჯახს და თან განუწყვეტილად ლაპარაკობდა: „ვარდსა და ნეხვს შუე ერთნაირად მოეფინება, როგორც დიდმა შოთამა თქვა; მაგრამ, ხომ ხედავთ, ვარდი ვარდია, ნეხვი კიდე ნეხვი“. ბებო დაროსგანაც ბევრი მზამზარული ცნება, ფორმა აღიბეჭდა ჩვენს გონებაში, რომელთაგან ყველაზე ძალიან მაშინებდა მოდელი ვიღაცა მუქთახორა კაცისა, რომლის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა). დედა ახლა თავის

თავზე ამბობს: „ყველაზე საწყენია, რომ ფორმა აღარა მაქვს, ფორმა“. ან კიდევ: „მეშინია, არ დაკვარავო ფორმა. ვძალობ, უნდა ვიძალო“. რა ფორმას გულისხმობს ამ შემთხვევაში დედაჩემი? არ ვიცი; შეიძლება საერთოდ სხეულის, როგორც სულის სადგომი ჭურჭლის, რომლის სიმაგრის და გამძლეობის, ამტანიანობის, ძალის თანდათანობით შესუსტებასა და გაცეკვთასაცა გრძნობს ყოველდღიურად, რომლის სიძველესაც, მოუქნელობასაც ებრძვის ის ყოველდღეთითქმის ისეთივე ახალგაზრდული შემართებით აიძულებს თავის დასუსტებულ ფეხებს, რომ იარონ. ასევე ამბობს: „უნდა შეუძახო შენ თავს ყოველ დღით. თუ არ შეუძახე, ისე შეიძლება ლოგინად ჩავარდე. რომ ვიღვიძებ, მგონია, ნაბიჯს ვერ გადავდგამ და, აი, ნელ-ნელა ამ შეძახილებით ვაიძულებ ჩემს თავს, გადავდგა ნაბიჯები“ და მართლაც, მერე ამ ნატკენ ფეხებს და ხელებს აკეთებინებს მთელი ჩვენი უზარმაზარი ოჯახის საქმეს.

დედას არ მოსწონს, არ აკმაყოფილებს ბოლომდე ოჯახის არც ერთი წევრის ფორმა. ჩვენ ყველა რაღაც საშემო ზღვარზე ვდგავართ ფორმის დაკარგვის, ფორმა-უფორმოების. ეს ძერწვის პროცესი დედაჩემისათვის მუდმივია, დაუსრულებელი; ყოველთვის შეიძლება გამოხტეს რაღაც ზედმეტი, რომლის მოცილება აუცილებელი ხდება. ეს ახლავიცი, თორემ მაშინ გულუბრყვილოდ ვოცნებობდი თერთმეტ წელზე, რადგან მეგონა, რომ იმდროისათვის უკვე გამოძერწილი ვიქნებოდი და ჩემ ნებაზე მიშვებულნი. ჩემში, დედაჩემის აზრით, არ არის სასურველად შერწყმული ოჯახის მოწესრიგებული დიასახლისის და მეცნიერი მუშაკის ფორმა. დ მე ვიცი, რომ არსებობდა თუ არსებობს ასეთი ქალი, დედაჩემის ამხანაგი თ. ს., რომელსაც დაწკრიანებული ჰქონდა სახლი და თან კარგი მეცნიერიც იყო. არ აკმაყოფილებს ნინოს ფორმა, ჩემი ქალიშვილის, და ამბობს, რომ მხატვრის ფორმა სრულებითაც არ გულისხმობს

გურამ რაულ-უზნილი
შემოქმედებისათვის

იმას, რომ იარო შარვლით და საღებავი-ანი ქურთუკით. დედაჩემს უკვე არ მოსწონს მარიამის ფორმაც, რომელიც სკოლის მოსწავლისათვის შეუფერებლად გვიან იძინებს და ამიტომაც უძნელდება დილით ადრე ადგომა. თუმცა კმაყოფილია, რომ მარიამი მოსწავლის ფორმისათვის ჩვეული პასუხისმგებლობით უდგება გაკვეთილების მომზადებას და გვაფრთხილებს, რომ თუ მარიამმა დაკარგა თავისი ფორმა, ეს უფროსების ბრალი იქნება. თვითონ პატარა ტასიკოს და ლომერიკოს ფორმაშიც არ მოსწონს უკვე რაღაც და ჩვენ გვაბრალებს. ერთადერთი, ვის ფორმაზეც არ ლაპარაკობს დედაჩემი, ეს სულ რამდენიმე თვის ალექსანდრეა. იქნებ მართლაც ასეა და სწორია დედა, იმიტომ, რომ პატარა ალექსანდრეში ჯერ სრულ პარმონიაშია სული და სხეული და ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს.

აი, ზოგიერთი ფრაზა დედის დღიურებიდან, რომლებშიც ნახსენებია სიტყვა „ფორმა“: „გადმოვიყვანე გურამი თბილისის სკოლაში. დიდი ენერჯია და დავა დამჭირდა, გურამისათვის მომეშორებინა ალვანის გარეგნობა. ძირითადად თითქოს შევუცვალე ფორმა, მაგრამ ჩაცმაში ყოველთვის რაღაც თავისებური ჰქონდა...“

„მთელი დღე ქუჩაშია, ვითომ საჯაროშიც. ვერ მივალწიე, ჩამყუდროვდეს სახლში, მიიღოს ფორმა დამშვიდებული ადამიანის...“

„გაეიდა დრო, გურამმა შეიცვალა თავისი მუშობის ფორმა...“ და სხვა.

მე უნდა გამოვსულიყავი მუსიკოსი, რადგან „ქალისათვის მუსიკას არაფერია ჯობია“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მე ამ მუსიკოსობასთან ერთად უნდა ვყოფილიყავი კარგი დედა, მეუღლე, დიასახლისი. ასე რომ, დედა ოცნებობდა ჩემ მუსიკოსობაზე არა მუსიკოსობის გამო ან თუნდაც იმის გამო, რომ ამ მუსიკოსობით მომეხვეჭა რაღაცა სახელი, ან ვყოფილიყავი რითიმე გამორჩეული სხვისგან, წინ წასული და სხვა, არამედ იმიტომ, რომ, დედაჩემის აზრით, მო-

მავალი დედისთვის, მეუღლისთვის, ოჯახის ქალისთვის, ყველაზე კარგი სპეციალობაა მუსიკა... სახლში ხარ, თან მოწაფეებს ამეცადინებ, თან შეგიძლია ნავთქურაზე დადგომულ სადილსაც მიხედო. წავა მოწაფე. უცებ მიალაგ-მოალაგებ, მერე კონტად კაბას გამოიცვლი, თმებს გადაივარცხნი და ვითომც არაფერი, მეორე მოწაფეს მიუჯდები სამეცადინოდ. თან ისედაც კარგია, რომ დედას ჰქონდეს მუსიკალური განათლება: „აი, მე რომ მუსიკოსი ვყოფილიყავი, რამდენად კარგი იქნებოდა შენთვის“. დედას თვითონ ძალიან წყდება გული, რომ არ არის ექიმი; ვარდა იმისა, რომ თვითონ მოწოდებასაკეთა ვრძნობს, შეეძლო ყოფილიყო კარგი ექიმი ან მუსიკალელი, რაც დედაჩემის ბუნებიდან გამომდინარე მართლაც ასეა, ფიქრობს, შესაძლებელია ამ ორი საქმიანობის შეთავსება ოჯახთან, რადგან ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე გადასვლა სრულიად უმტიკინეულოდ და დროის დაკარგვის გარეშე შეიძლება მოხდეს.

დედას არ ეპარებოდა ეჭვი, რომ გურამი უნდა გამოსულიყო ისტორიკოსი, მეცნიერი, არქეოლოგი.

პროფესორი ლევან ჯანდიერი (გარჩეულიშვილის ამავე დასახელების მოთხრობიდან) — აი, ის ფორმა, რომელიც გურამს უნდა შეეკოს: მეცნიერი, თან ოჯახი, ცოლ-შვილი. არც გურამის გამოცხადებისასა და გამორჩეულობაზე ოცნებობდა დედა, ყველას მჯობნობაზე. ახლაც დედაჩემი სრულიად გულგრილია იმ საქებარი სიტყვების მიმართ, რომლებითაც გურამს მოიხსენიებენ ზოლმე შორეულები, უცნობები თუ ახლო მეგობრები; ეს თითქოს არც მას და არც მის შვილს არ ეხება. დედა ამით არც ამავობს, არც არ ამავობს და არც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მათ შესაგროვებლად თუ დასამახსოვრებლად.

დედა ოცნებობდა თავისი შვილების მომავალ, მშვიდ, იდილიურ ოჯახურ ცხოვრებაზე, რომლის სიმშვიდისა და ლტახტისათვის სწორედაც რომ საჭი-

რო იყო შესაფერი საქმიანობა, პროფესია — ქალისათვის ქალური, კაცისათვის კაცური; თუმცა შეილებითვის ამ ელემენტარული, სრულიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი მოძალების მომზადებას, დედა არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი მიზანსწრაფულობით და ძალისხმევით შეუდგა.

ის ფორმა, რომელიც გურამს უნდა შეეცო, ჩვენს საგვარეულოში უამრავი კონკრეტული მაგალითით იცხებოდა — პაპა ვანო, პაპა გიორგი, პაპა ტიტო, მეორე პაპა გიორგი (გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის ყოველდღიური ცხოვრება, განსაკუთრებით თელავში ყოფნისას; ჩვენ თვალწინ მიდიოდა), ძია ლეო, ძია ვახტანგი. ეს იყო მშობლიური ფორმა, თავისი საწერი მაგიდით, საწერ მაგიდაზე მუდმივად გაშლილი სამუშაოთი, სპეციალური ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებისა და ჟურნალის არეგებზე სხვადასხვა ფერის აღნიშვნებით, ბიბლიოგრაფიებისათვის განკუთვნილი კარტოთეკებით, პატარ-პატარაფურცლიანი ჩანაწერებით, წიგნებით სავსე თაროებითა და კედლებით, ასპირანტებით, კონფერენციებით... მახსოვს რაღაც განუწყვეტელი შრომის ატმოსფერო, რაღაც ზომიერების, თავდაპირველობის, ალაგმული ვნებების შეგრძნება „ზევითებისა“ და „ჩემოების“ („ჩემოებს“ ვეძახდით აბაშიძეებს, რადგან ისინი ლაპარაკისას ხშირად ხმარობდნენ სიტყვას „ჩემო“) ქცევაში, ლაპარაკში, სიტყვა-პასუხში. მახსოვს, უკვე დიდობაში როგორ გამიკვირდა, როდესაც ერთი ახალგაცნობილი მეგობრის სახლში გადავწყვიდი საწერ მაგიდას, რომელზეც გაშლილი სამუშაოს მაგიერად იდო ფოტოსურათები ძველებურ ჩარჩოებში, ლამაზვდიანი ძველებური წიგნები, შანდალი, ძველებური სარკეც კი. როდესაც ჯერ კიდევ ბავშვობისას ვხვდებოდი ხოლმე სხვა სახლში, ვგრძნობდი, რომ ჩვენი სახლის სიტუაცია არ იყო ჩვეულებრივი სიტუაცია. რით? რატომ? ძნელია ამისი თქმა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მხოლოდ საწერი მაგიდის პრობლემა...

სხვა სახლის ატმოსფერო ჩემთვის, რატომღაც, ამოსუნთქვასავით იყო, თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით, რადგან ნორმალური ადრევე იმ განუწყვეტელი შრომის, ჩემი, უსიტყვო შრომის ატმოსფეროს, რომელიც ნამდვილად არ ელტვოდა არც სახელს, არც დიდებას; პირიქით, თითქოს ნამდვილად პირიქითაც კი; ყველანაირი ქება, დიდება ცალკეული ადამიანისათვის მხოლოდ დამორგუნველი იყო. შესაძლებელია იმიტომ, რომ გვარის სათავეში შესადარებლად იყო ისეთი პიროვნება, როგორც ივანე ჯავახიშვილია. არა მარტო ქება-დიდება, არამედ უბრალო ფორმალური სადღეგრძელოც კი, მახსოვს, საშინელ ტვირთად იქცეოდა ხოლმე მისი შემკვიდრებისათვის. მახსოვს ამ ტვირთის შეგრძნება ძია კახაში, ძია ლილიში, როდესაც თამადა მათ სასიამოვნოდ, სრულიად გულბრყვილოდ, აქებდა მათ ინტელექტუალურ და ადამიანურ შესაძლებლობებს. ამ ხაზის გაგრძელებაა ის, რომ ერთხელ, ძია ლალი ჯავახიშვილმა, მის უჩუმრად თანამშრომლების მიერ მისი აკადემიკოსობაზე წარსადგენი საბუთები ასევე უჩუმრად გამოიტანა უკან. ამ ხაზის გაგრძელებაა დათო ჯავახიშვილის თავმდაბალი, მორცხვი დიმილი. ქცევა და ლის, ჩემი მამიდაშვილის, სურვილი, იყოს ყოველთვის უკანა პლანზე, სხვისთვის შეუმჩნეველი და სხვა (ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის შემკვიდრების თავმდაბლობის სათავე საძიებელია დიდი მამისა და პაპის ცხოვრებაში, თვითონ ივანე ჯავახიშვილისა? რომელიც უბრალოდ შემოსვლისას, როგორც ამბობენ, პატარა ბავშვსაც კი არ ჩაუვლიდა ისე, რომ ქული არ მოეხადა, არ მისალმებოდა, არ მოეკითხა, რომელიც პალსტუხის გარეშე, როგორი დაკავებულიც უნდა ყოფილიყო, საკუთარ დისშვილსაც კი არ შეეგებებოდა. თავმდაბალი, მორიდებული, თავდადებული მეცნიერი მუშაკი, რომელსაც მუდმივად ემინია უქმად დაკარგული წამისაც კი მაგალითად, ყვებოდნენ, რომ მოსკოვში ყოფნის დროს სტალინის თავისთან დაუბარებია ივანე ჯავახიშვი-

ლი. ბატონი ივანე ელოდა თურმე ერთ დღეს, მერე მეორე დღეს, მერე მესამე დღეს. შენდებ თურმე მოიხადა ბოდიში, რომ საუნაივერსიტეტო საქმეები უფლებას არ აძლევდა, მოსკოვში კიდევ დიდხანს გაჩერებულიყო და დაბრუნდა თბილისში. ეს იმდროისათვის, რა თქმა უნდა, ძალიან უჩვეულო იყო).

ისე კი, მამჩაჩეში მეცნიერი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, თითქოსდა გამონაკლისი იყო. მშვენივრად ათავსებდა მუშაობას, საწერ მაგიდას და ქართულ სუფრას ერთმანეთთან. თუმცა შეიძლება გამონაკლისი იყო მია ლეოც, რომელიც მუშაობისას ხშირად ინაცვლებდა საწერი მაგიდიდან როიალისაკენ და როიალიდან თავისი ოთახის ინტერიერისაკენ რომელიღაცა დეტალის დასახუსტებლად, შესაცვლელად, როგორც მხატვარი რაიმე ლაქის დასადებად თავის ტილოზე.

მომავალი მეცნიერისათვის ბევრი რამ იყო საჭირო, უპირველეს ყოვლისა კი, საჭირო იყო ენების ცოდნა. და აი, გურამი, მიუხედავად ომის შემდგომი გაჭირვებული წლებისა, იწყებს გერმანულის სწავლას საუკეთესო პედაგოგთან, ელენა გეორგიენა შაგრევსკაიასთან (მეუღლის გვარია), გერმანულ ქალთან, რომელიც სადღაც კამოს ქუჩის რომელიღაცა შესახვევში ცხოვრობდა, დიდი ეზოს შუშაბანდიან ოთახებში. მართალია, ომისშემდგომი თბილისი სავსე იყო „ტანტეებით“, რომელთა მემკვიდრეები დღესაც აგრძელებენ მასწავლებლობას (ბავშვობისას მეცა მყავდა ჩემი „ტანტე“), მაგრამ ელენა გეორგიენა, როგორც ამბობდნენ, ყველაზეან გამაირჩეოდა როგორც თავისი ცოდნით, კულტურით, განათლებით, აგრეთვე, იმითაც, რომ ის იყო პროფესიონალი პედაგოგი, (ეს ის ელენა გეორგიენაა, რომელიც გურამმა უკვდავყო თავის პატარა მოთხორობაში „სიყვარული შემოდგომაზე“). გურამი იწყებს გერმანულის ინტენსიურ შესწავლას. ეძებს სიტყვებს იმ ლექსიკონებში, რომლებიც ახლა არქივის რკინის კარადაშია შენახული. აკეთებს რა-

დაც სავარჯიშოებს. ორიგინალში იწყებს შილერისა და გოეთეს კითხვას. არქივში შემონახულია ეს წიგნებიც გურამის აღნიშვნებით და წიგნში ჩადებული ამოწერილი უცხო სიტყვებით. დედა და ელენა გეორგიენა გურამის ძალიან კმაყოფილები არიან. თუმცა მე, ჩემი ოთხი წლით უმცროსობაშიც კი ვიცი, რომ არსებობს რამაზა, ელენა გეორგიენას მეორე საყვარელი მოწაფე, რომელიც გურამისაგან განსხვავებით ყოველთვის ერთნაირად მუყაითი და მონდომებულია, რომ ის, ამ თავისი შრომის წყალობით, ელენა გეორგიენას საუკუთესო მოსწავლეა. დედას გურამის გერმანულის მასწავლებლის მუდმივი ვალი აქვს. ამ ვალის მთლიანად გასტუმრებას მხოლოდ თელავის სახლის გაყიდვის შემდეგ ახერხებს. გარდა გერმანულისა, გურამი რიგ-რიგობით დადის ყველა სპორტზე — კრივი, ჭიდაობა, ფარიკაობა, ტანვარჯიში. მე მგონი, ყველა შესაძლებელ სპორტზე, გარდა ცურვისა და ტენისისა. სპორტი, ძლიერი ფიზიკური მომზადება აუცილებელია მომავალი არქეოლოგისათვის; აუცილებელია საქართველოს ყველა კუთხის ნახეაც. ამიტომ გურამი, ჩემთან განსხვავებით, მამას ხშირად დაყვება ექსპედიციებში. იმ ფომრის მისაღებად, რისთვისაც დედა მე მამზადებდა, მთაში სიარული სრულებითაც არ იყო საჭირო. სამაგიეროდ, გურამის ფორმისთვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლო. ამიტომ, როდესაც ჩემი ნამბობი გურამის სულთნის ცხოვრების ინტენსიური აღმაკვლავის წლებს მიუახლოვდება, მამას ექსპედიციებს, განსაკუთრებით ქციაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ექნება ჩემი ძმის ბიოგრაფიაში. აუცილებელი იყო ისტორიის განსაკუთრებული შესწავლაც. ამ მიზნით გურამი იწყებს სიარულს სასახლის სხვადასხვა წრეში: მხარეთმცოდნეობის წრეში ირინე მიქელაძესთან, ტურისტულ წრეში მზია ერისთავთან, ისტორიის წრეში და სხვა. სკოლაშიც განსაკუთრებული მონდომებით სწავლობს ისტორიას. მახსოვს გურამის ის-

ტორიის მასწავლებლის გვარიც — რო-
ლონაია, რომელიც გურამს განსაკუთრე-
ბით უყვარდა. არქივში შემონახულია
პატარა, ბლოკნოტის ტიპის რვეულა,
კონსპექტი შუა საუკუნეების ისტორია-
ში, თავისი ჩანახატებითა და რუკებით.
1958 წელს, მოსკოვში ყოფნისას, გუ-
რამი სიყვარულით იხსენებს ამ პატარა
რვეულს. საერთოდ, გურამი ამყობდა
თავისი ისტორიკოსობით; მახსოვს, ერ-
თხელ მითხრა: „მე იმით განვსხვავდე-
ბი სხვა მწერლებისაგან, რომ მე ისტო-
რიკოსი ვარ“.

მომავალი მუსიკოსის საქმე, უფრო
სწორად, მუსიკის მასწავლებლის ე. „
ჩემი, გაცილებით ცუდად იყო. უპირვე-
ლეს ყოვლისა, არა გვქონდა ინსტრუ-
მენტი.

დედა ხშირად ლაპარაკობს ჩემი მუ-
სიკის მასწავლებლის სხვა მოწაფეებზე,
ორ დაზე, რომელთაც ასევე არ ჰქონდათ
პიანინო და იმდენად მუყაითები იყვნენ,
რომ დახატულ კლავიატურაზე მეცადი-
ნობდნენ. ჩემთვის კლავიატურის დახა-
ტვა არ მოხერხდა. და აი, შუა საქმეში
გართული დედა უცბად იხსნის წინსა-
ფარს, მაცემეს, ხელში ნოტებს იღებს
და მივდივართ ქომოთიანებთან, მოპირ-
დაპირე სახლში ან ახმაიფარაშვილებ-
თან, „პატარა გურამთან“, ცოტა გვერ-
დით, ხან ზევითთან — მაშიდა ნათუ-
ლასთან, ხან სხვა ქუჩაზეც კი. დედა
ჯდება ჩემს გვერდით, მე როიალზე რა-
ღაცებს ვხლაფორთობ და დაჯდომის
მომენტიდან ველოდები დედაჩემის ხმას,
რომელიც იტყვის: „კარგი, დღეს გეყო-
ფა, ახლა სკოლას მიხედე“. და ასე ყო-
ველდღე. მერე ერთ მშვენიერ დღეს
ერთ-ერთ ზემოთა ქუჩაზე დედა აღმო-
აჩემს „იფიან“ რეპეტიტორს, რომელიც
ყოველდღე მამეცადინებს თვეში ათ მა-
ნეთად. იქიდან ხშირად მოყვავარ გუ-
რამს. გამიგდებს წინ, უკნიდან გაშ-
ლილი ხელით მომწვება ბეჭებზე და
სირბილ-სირბილით მიმარბენინებს სა-
ხლში.

ბუნდოვნად ვვრძნობ, რომ მუსიკის
მასწავლებლებს რაღაც მოსწონთ ჩემი,

მგონი, მუსიკალურობა. რაღაც მოსწონ-
სონთ, მგონი ის, რომ თითები მოჭი-
ლად არ დარბიან კლავიშებზე... ცოტა
მოზრდილ ასაკში მუსიკასთან დაკავში-
რებით რაღაც ფარული მიზნები მიჩნდე-
ბა, რაღაცნაირი კავშირები. მაგრამ
მთლიანად უუნარო ვარ, როიალზე გად-
მოვიტანო ის, რასაც ვვრძნობ. ხანდა-
ხან კონსერვატორიაში ღია კონცერტზე
ეუკრავ მასწავლებელი მაქებს, ოღონდ
მეუბნება, რომ ძალიან ძალიან ვარ და
ეს მუსიკოსისთვის არ ვარგა, ყოველთ-
ვის ხელს შემიშლის, რადგან ყველას
უფრო დიდი ვეგონები, ვიდრე სინამდ-
ვილეში ვარ და ისეთ ეფექტს ვერასოდეს
ვერ მოვახდენ...

დედას თავისი გვეგების განხორცი-
ელებაში ხელს არ უშლიდა არც უფუ-
ლობა, არც სიღარიბე, არც უინსტრუ-
მენტობა.

შეიცვალა ჩვენი ოჯახის რიტმი.
დრო იყო ის კატეგორია, რომელიც
დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ჩვენს
თაზე. ყოველ წამს ვიცოდით, რომ „ახ-
ლა რაღაცის დროა“, რომ „ახლა რაღა-
ცის დრო არ არის“, ვიცოდით, რომ
„დროს უნდა გავურფთხილდეთ“, რომ
„დროის დაკარგვა არ შეიძლება“, რომ
„დრო მიდის“, რომ „დროსთან ზუმრობა
არ შეიძლება“. ფაქტიურად, ჩვენ მთელი
ბავშვობა და დიდობაც ცაიტნოტში
ვცხოვრობდით და ასევე ვცხოვრობთ
ახლაც, ოღონდ უკვე გურამის გარეშე.

„გურამ, გურამ!“ თითქმის მთელი დღე
ესმოდათ მეზობლებს დედაჩემის ხმა.
შეიძლება „მარინეც“, მაგრამ მე თითქ-
მის გვერდიდან არ ვშორდებოდი, რად-
გან ვიცოდი, რომ „ორჯერ არ უნდა ვა-
თქმევიწიო“, რომ „არ უნდა დავამახე-
ბინო“ და ამიტომ ყველა სიტუაციიდან,
როგორც მიმზიდველიც უნდა ყოფილიყო
ის, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სახ-
ლში. საოცარი სიზუსტით გაანაწილა
დედამ ჩვენი ცხოვრება დროში. გაუთავე-
ბლად, დედასთან ერთად, მერე მარტოც,
ვხაზავდით და ვადგენდით დღის რეჟი-
მებს წითელ-ყვითელი ფანქრებით. ეს
დღის რეჟიმები სრულდებოდა მხოლოდ

პირველ დღეს. ყოველთვის ვგრძნობდი, ან ჩვენ მიერ განაწილებულ საყოფაცხოვრებო დროს, საიდანაც ვაუთავებლად ვვარდებოდით. თავიდან შედგენილ დღის რეჟიმს ახალი დარღვევებისაკენ მიყვავდით მხოლოდ. ასეთი ძალისხმევით შედგენილი დღის რეჟიმებიდან ამოვარდნა უკვე დანაშაული იყო. ო! ეს ზუსტად დრო, რომელსაც კერასოდეს ვერ ვემთხვეოდით! ამიტომ, ფაქტიურად, დანაშაულში ეცხოვრობდით, რადგან კერასოდეს ვაკეთებდით იმას, რაც უნდა გაგვეკეთებინა. ზანდაზან ფორმალური დამთხვევა დღის რეჟიმთან, როდესაც უგრძნობი სხეული მექანიკურად მიყვებოდა დედას რიტმს, კიდევ უფრო ამოღებდა დანაშაულის გრძნობას. რადგან სული, გონება სულ სხვა მხარეს მიქროდა ან ინერტული, გარინდებული, იქვე ჩასაფრებული, ყოველთვის ახერხებდა თავის დაძვრენას დედის თვალსაგან შეუმჩნეველად. სული, გონება ვერ ემორჩილებოდა რაღაცას: 1 საათიდან 2 საათამდე, მერე 2 საათიდან 3 საათამდე და ა. შ. ვაუთავებლად. ამიტომ პირადად მე, ალბათ, ჩემ ძმასაც, არ ვიცი იქნება ვცდები კიდევ, — ამ დღის რეჟიმებმა არ დამიტოვა, ვთქვათ, უკეთ ნასწავლი ენებს, ან უკეთ ნასწავლი გამები, ან სხვა რაიმე — ამან უფრო იმოქმედა ჩვენ მიერ საყოფაცხოვრებო დროის, აბსტრაქტული დროის, საერთოდ, დროის აღქმაზე — ამან განავითარა ჩვენში დროის გამძაფრებული შეგრძნება, დროის მსკლელობის ყოველწამიერი აღქმა.

... სულა იღვიძებდა დილით ადრე, ვეგონება, არც დაუძინია, მაშინ, როდესაც სხეულს ჯერ კიდევ ეძინა და ეზარებოდა მთელი ღამის უმოძრაობიდან გამოსვლა. ბუნდოვანება ბუნდოვანებაში, — ოღონდ ახლა სიტყვების ბუნდოვანებაში, — მოუხელთებელი სისწრაფით იკვლევდა გზას, მკვიდრდებოდა სულში ფიქრებში, გონების თვალში. ვაუთავებლად ნათდებოდა მასში აღბეჭდილი ტბები თუ მინდვრები, სახლები, ფანჯრები თუ სახეები. უკვე მთლიანად იხლა-

რთებოდა თვალთ ნანახი თუ განცდილი ცხოვრების სხვადასხვაობაში, გეგრაში, როდესაც სხეული ჯერ კიდევ ლოგინზე წამომჯდარი, ზანტად იცვამდა ტანზე, ზანტად, აუჩქარებლად უყრიდა ფეხებს ღამის ჩუსტებში და მილასლისებდა პირის დასაბანად. იწყებოდა დილა და დედა „მათრახით ხელში“ მიგვერეკებოდა სხვადასხვა მხარეს — პირის დაბანიდან საუზმეზე, საუზმიდან სკოლაში, სკოლიდან თითქმის სირბილით პირდაპირ სახლში (რითაც ის ძალიან ამყობდა, რადგან, ჩვენგან განსხვავებით, გურამის მეზობელი თანაკლასელები სახლში გრძელი გზით მოდიოდნენ, ჩემი ამხანაგები კი ფუნთუშების საჭმელად გარბოდნენ). შუადღის საუზმის შემდეგ დედის ნება მისტუმრებდა ეზოში 45 წუთით, მერე — ეზოდან გაკვეთილების მოსამზადებლად ჩვენ-ჩვენს კუთხეებში, მერე მე — მუსიკის სამეცადინოდ 1 საათი, მერე ისევ სკოლის საგნების, მერე ისევ მუსიკის, მერე რომელიღაც დღეს იყო სოლოფეჯიო, მერე რომელიღაც დღეს იყო გუნდი, მერე მუსლიტერატურა, მერე ფრანგული, ძილის წინ ყოველ საღამოს — ეზო, ისევ 45 წუთით, მერე აუცილებლად ტუალეტი, მერე კბილების გაბეჭვა და ზუსტად 9 საათზე (დიღობაში 10 საათზე) — ძილი.

დედაჩემი ამბობს: „მე იმდენად ანგარიშს მიწევდა გურამი, რომ არასოდეს არ წამოსულა სკოლიდან სახლში გრძელი გზით“. ამ გრძელი გზით რომ წამოსულიყო გურამი სახლში, უნდა გამოეკვლო ზალხმრავალი, მზიარული, მზიო განათებული პლენანოვის ქუჩა. ამ ქუჩით ბრუნდებოდა სახლში გურამის კლასის ყველა ამხანაგი გაკვეთილების შემდეგ, გურამი კი არბოდა ზევით ვიწრო ქუჩით და მიყვებოდა ყოველთვის ნახევრად ბნელ ქუჩას, რომელზეც ტრამვაის ზაზი იყო გაყვანილი, მაღალ სახლებსა და კენწეროებით ერთმანეთთან შეერთებულ მაღალ ხეებს შორის. მე კი მოვზობდი პლენანოვის ქუჩიდან (მეტი ძალა არ იყო) მარჯანიშვილის აელით, გზადაგზა, როგორც მატარებლის ვაგონ-

ნიდან, ჩემ გვერდით ჩაიქროლებდნენ ხოლმე ნაყინის და ბუშტების გამყიდველები, ზანტად მოსაუბრე გოგო-ბიჭები, ჯგუფ-ჯგუფად განერებულები ქუჩების კუთხეებში.

მაშ ასე!

მთელი დღის განმავლობაში იყო რაღაცის დრო. არ იყო არც ერთი დრო დროის გარეშე, „გაღვიძების დროდან“ დაწყებული.

...დედა სახლში არ არის, არ ვიცი, რა გააკეთო. ვზივარ დედაჩემის მოლოდინში სრულ სიცარიელეში და უაზროდ ვიყურები აქეთ-იქით... თუმცა ეს მხოლოდ წუთებია, რომელიც მე საათებად მერყენება. დედა სულ სახლშია, რომ პავშეები არც ერთი წუთით არ იყვნენ თავის ნებაზე მიშვებულები.

ზუსტი დრო, რომლითაც დედა ასე ძალიან ამავობს: „ბავშვები 9 საათზე ყოველთვის ლოგინში იწვნენ. რაც უნდა მომხდარიყო, გინდა, ქვეყანა დაქვევლიყო“. დედა არ ჯდება სტუმრებთან, არ მიდის სტუმრად. „მარო, შენთან მოსვლა აღარ გვინდა“, — ეუბნებიან დედას ნათესაეები და ამხანაგები. „ვის არა ჰყავს ბავშვები“, დედა იღებს უდიდეს მსხვერპლს ამ 9 საათისათვის, მართლაც, თანდათანობით ის მთლიანად ექცევა ოჯახის იზოლაციაში (საერთოდ, მსხვერპლის ცნება დედაჩემის ქადაგებების ლეიტმოტივია: „თქვენ არ გინდათ მსხვერპლის გაღება“, — ასე იწყებს დედა და მაშინვე აგრძელებს — „იციოდეთ, არაფერი არ არსებობს მსხვერპლის გარეშე, განსაკუთრებით სიყვარული, მიყვარს! ეს ყველას შეუძლია თქვას და სრულებით არაფერსაც არ ნიშნავს ეს სიტყვა საქმის გარეშე. თუ გიყვარს, მაშინ გაიღე მსხვერპლი. სიყვარული მსხვერპლის გარეშე არ არსებობს — შეილის სიყვარული! ქმრის სიყვარული! საქმის სიყვარული! სულერთია რისი!“

ო, ეს ზუსტი დრო, რომელმაც სამუდამოდ დაუმთავრებელი დატოვა ჩემთვის პატარა თამრიკოს ამბავი: „პატარა თამრიკომ გადაშალა სუფთა წერიბ

რვეული. აილო ზელში კალმისტარა და მოულოდნელად მელნის დიდ წვეთი ჩამოვარდა რვეულის ფურცელზე. თამრიკომ სასწრაფოდ დადო კალმისტარი და ის იყო...“ ის იყო, რადიოში, საიდანაც მოისმოდა დიქტორის ოდნავ ალეღვებული ხმა, გაისმა ეს სიტყვები, რომ შემოვიდა დედა, მშვიდად გამორთო რადიო და თქვა: „ძილის დროა“. ჩემმა სასოწარკვეთილმა ბღავილმა მხოლოდ დედას გაღიზიანება და გაკვირვება გამოიწვია, და პატარა თამრიკოს დაუსრულებელი ამბავი შეუერთდა რაღაცა სიუჟეტს, რომელიც მხოლოდ დაუმთავრებელი ამბებიდან შედგებოდა, აუხდენელი ოცნებებიდან, აუსრულებელი ნატვრებიდან, რაღაცს „არ შეიძლებებიდან“, რომელიც იყო მთლიანად უფორმო, დიფორმული იყო მთლიანად უფორმო, მოულოდნელობისათვის

...გრძელი ლოგინი გრილ ოთახში პატარა ფუმფულა ბალიშით, რომელსაც შემოიმწყვდევე ხელებში, მერე გადაიხურავ უმსუბუქეს თბილ საბანს და ქათამა ზეწრებში გახვეული, მთლიანად შენ ნებაზე მიშვებული (რაც გინდა აკეთე!), მაშინვე გადაეშვები ძილის სამყაროში. და რა საწყენია თუ ხდება ისე, რომ ამ თავისუფლების სამყაროში, უსეღამეხედველად დარჩენილი, იმის მაგივრად, რომ თავდაყირა დადგე, მოულოდნელად ეჯახები დღის კერპებს, რომლებიც დანან შენ გზაზე და უეცრად უღმობელ ძილში დღის ცხოვრების ნორმა, ურომლისოდაც უაზრობა გგონია არსებობა, ურომლისოდაც, უბრალოდ, არ იცი, რა უნდა აკეთო, წამოიმართება, როგორც დაბრკოლება, რომლისაგან თავის დასაღწევად იქვე ძილის მინდვრებში, საშინელ ბრძოლებში ებმები. წამოიმართება, როგორც წინააღმდეგობა, რომელიც უნდა გადალახო, რომელიც იმდენად არის დაკავშირებული შენთან, რომ გვერდს ვერ აუვლი. შეიძლება იფიქრო კიდევ, რომ შენ თვითონ ხარ ის... ის შენა ხარ...

მახსოვს თბილისში მთელი ამაღლა, რომელიც დედას რაღაცნაირად ეხმარე-

ბოდა, რომ ყოველდღიური ყოფისათვის გაერთიანდა თავი და რომელსაც და, თავის მხრივ, თავის ყოფას უმსუბუქებდა:

მარო მეკვერცხე, რომლისგანაც ვვიდულობდით კვერცხს უმეტესად ნისიად; ლუსიკა, სუსტი სიმხის ქალი, რომელიც ჩვენი ალაყაფის გვერდზე ბნელა ფანჯრიდან გვიცინოდა ხოლმე, რომელსაც უყვარდა დედა და ხშირად ნავითის რიგში ენაცვლებოდა (ეს ის ლუსიკაა, რომლის სახელი შეგადაშიგ გაისმის დედას ქადაგებებში — „კოცნას არა აქვს მნიშვნელობა, შენ ეგრე შეგიძლია ლუსიკასაც აკოცო, მერე რა...“). ლუსიკა ერთ მშვენიერ დღეს გადაასახლეს და უკვალოდ გაქრა. მოდიმარი სუსტი ქალის პორტრეტი ბნელ ფანჯარაში; მენავთე ვართანა — მაღალი, ჭორფლიანი, მხარბეჭიანი კაცი, ნავთისფერი წინსაფრით, ნავთისფერ ბოხოხით, ნავთისფერი ხელებით, რომელიც ჩვენი სახლისკენ მომავალ გზაზე სარდაფიდან გვიცინოდა ხოლმე. ეს სწორედ ის ვართანაა, რომელთან ერთადაც აქვს გურამს გადაღებული სურათი ეტუალის კიტელში. ეს სურათი დედას ძალიან უყვარს, ალბათ, იმიტომ, რომ გურამი ამ სურათზე მთელი სახით იცინის; ეს სურათი თურმე გურამის ბავშვობის მეგობარმა ვაჟა გიგაშვილმა გადაიღო. გურამი და ვაჟა ვაჟას სახლიდან, რომელიც ჩვენ მეზობლად იყო, მოდიოდნენ ჩვენ სახლში. ვაჟას თან ქიონდა ფოტოაპარატი, ჩამოიარეს ვართანას სამფლობელო, ვართანამ ამოიხუდა თავისი ნავთისწერტიდან და შემოსცანა ბიჭებს ან, შეიძლება, იქვე იჯდა გრძელ სკამზე თავისი სარდაფის წინ. გურამი მიესალმა, მერე ხელი მოკიდა, დიდი ჯიბიდან უზარმაზარი ნავთისფერი ფული ამოუღო, ზევით ასწია და ვაჟას უთხრა, გადაგვიღეო. ამ სურათზე ვართანაც იცინის, გურამიც იცინის და, ალბათ, ვაჟაც იცინოდა — ეს ვართანა გურამს საიდან გაახსენდაო. კლარა ცეტკინის მეორე მხარეს კი ყრუ იაგორა ცხოვრობდა, რომელიც ნისიად ამოუბრუნებდა ხოლ-

მე მამას და გურამს დახეულ შარველებს, კოსტიუმებსა და პალტოებს. თან აკერებდა კიდეც. ხანდახან პალტოებს დახეულ სარჩულსაც უცვლიდა. ომის დამთავრება რომ გამოაცხადეს რადიოთი, დედა ქუჩაში გაუარდა, მეც გავეყვი; პირველად იაგორას შევეჯახეთ, რომელმაც თავისი დიდი პალტოთი დ უზარმაზარი ფეხსაცმლით კლარა ცეტკინის ქუჩის კუთხიდან ამოუხვია. „იაგორა, ომი დამთავრდა, ომი დამთავრდა!“ ყვირილით უთხრა დედამ, რომლის პასუხად იაგორამ ცივი სახე მიიღო, ხელები უარყოფის ნიშნად აამოძრავა: „ტყვილა მეუბნები, მარო, ამ კვირას ვერ შევძლებ, ბევრი სამუშაო მაქვს ძალიან“, ბლუკუნ-ბლუკუნით თქვა იმიტომ, რომ ყრუ იაგორას ენაც ებმოდა ლაპარაკის დროს. დედას და მე სიხარულის სიცილი წაგვსკდა, გახარებულები გავკვრდით ანიკასთან, იქვე ქუჩის დასაწყისში. მახსოვს, როგორ უყვებოდა ომის დამთავრებით გახარებული დედა ანიკას იაგორას ამბავს, მახსოვს, მერე რამდენჯერ მოყვა დედა ამ ამბავს, როდესაც ომის დამთავრებაზე ლაპარაკობდნენ და მახსოვს ის მომენტი, როდესაც უეცრად შივხვდი, რომ ომის დამთავრება და იაგორა სამუდამოდ დაკავშირდა ერთმანეთთან ჩვენ ცნობიერებაში.

იაგორა კაცების მკერავი იყო. ზუსტად ჩვენს პირდაპირ კი ცხოვრობდა ქალების მკერავი, ძალიან მსუქანი ქალი თამარა, რომელსაც, ჩემდა სავალალოდ, სადღაც ესწავლა რაღაც კერვის მაგვარი და რომელმაც ერთხელ დედას თხოვნით იმ ჩვენი საოჯახო ნაჭრიდან, რომელიც თურმე ღია ნაცრისფერიც არსებობდა, პალტო შემიკერა. მახსოვს, როგორ ვიდექი ფეხზე, ალბათ, რამდენიმე საათი და მსუქანი თამარა კენესაკენესით, ნება-ნება უკუღმა მხრიდან როგორ აკერებდა ჩემ ტანზე ერთმანეთს სახელოსა და ზევითა ტანს, როგორ გამოყავდა „ვიტინკები“, როგორ აკერებდა საყველოს ახლაც მახსოვს, როგორ მელუოდა ნელ-ნელა გული, მეცვლებოდა ძალა, როგორ ვერ ვავიგე, რატომ ვამი-

ცივდა ხელები და სახე და, უეცრად, მანამ გავერკვეოდი, რა მემართებოდა, როგორ ჩავიკეცე. მახსოვს ისიც, რომ ვერაფრით ვერ მივხვდი თავდაპირველად, რატომ არ მიყვარდა ასე ძალიან ეს პალტო, რომლის სილამაზისათვის მაშინ საკმარისი მეგონა ის, რომ ახალი იყო. როგორ ვერ გავიგე თავდაპირველად თუ რატომ მიჭირდა ამ ახალი პალტოთი სიარული და როგორ გამიკვირდა, როდესაც უეცრად აღმოვაჩინე, რომ ეს ახალი პალტო, ჩვენი საყვარელი ნაჭრისგან შეკერილი, იყო საოცრად მძიმე, უზარმაზარი, ზედმეტად გრძელი, უსწორმასწორო და ისიც, რომ ნაცრისფერ ეტუალში ჩემი ისედაც საოცრად უფერო სახე, წყალში დასველებული წიწილასავით, კიდევ უფრო იცრიცებოდა.

ჩვენს მოპირდაპირე მხარეს კი, ოდნავ დამრეცად, იყო ის სახლი, ფიცხელაურების, სადაც მაშინ ვაპირებდით „იპენანამ რა ქმნას“ დადგმას და რომელშიც ცხოვრობდა ჩემი ბავშვობის მეგობარი თინა ფიცხელაური და დედაჩემის გაჭირვების ტალკვესი — თინას დედა, დეიდა ანიჩკა, დედაჩემზე ბევრად უფროსი ქალი, რომლისგანაც დედა ბევრ რამეს სწავლობდა და რომელიც თავისი ავკარგიანობით რეალურად გვიმსუბუქებდა ომისშემდგომ გაჭირვებულ ცხოვრებას.

დედას ჰყავდა კიდევ თავისი „სტარი ოდიოჟდ პოკუპაიები“, რომელთა ხმას როგორც კი გაიგებდა ქუჩის კუთხიდან, სასწრაფოდ ახდიდა სკივრს თავს და იწყებდა რაღაცების ამოქექვას. ამასობაში „სტარი ოდიოჟდ“-ი გამოჩნდებოდა კიდევ ჩვენს ფანჯარაში დიდი ტომრით ზურგზე, „ხაზეიკაჯან“, — ჩამოსძახებდა დედას ფანჯრიდან და დედაც ორ-სამ მანუთად აძლევდა და აძლევდა ჩვენ ნახმარ ტანსაცმელს. ხან „ბუტილიკი პოკუპაი“ მოდიოდა და ბოთლების გავიდვით შოულობდა დედა ცოტაოდენ ფულს. დედამ თურმე ბოთლების ულევით მარაგი აღმოაჩინა ორბელთანთა სახლში, სარდაფის სარდაფში, რომელიც ჩვენ დროს უკვე მთლიანად წყლით იყო გა-

ლენთილი. მერე მოდიოდა „სტარიტ ნოჟი“! თავისი პატარა დაზვით, გავეკონდა დანები „სტარიტ ნოჟი“ ზურგიდან იხსნიდა თავის დაზვას, ცალი ფეხით ატრიალებდა ბორბალს, ხელებით კი დანებს უმიზნებდა რაღაც მბრუნავ ქვას და ნაპერწყმებს აყრევინებდა. „ყვავილების მიწა“-ს რატომღაც არაფერ არ აჩერებდა ჩვენ ქუჩაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მას იმედს არ უკარგავდა, რადგან კვირამი ერთხელ მაინც გაისმოდა მისი ხმა. ჩვენ ფანჯარასთან ერთმანეთს ცვლიდნენ ტომრისანი ქალების და კაცების ფეხები. ხანდახან ჩვენი ვიწრო ფანჯრიდან, რომელიც კალინინის ქუჩის ტრამვაის ხაზზე გადიოდა, მოჩანდნენ მალაღობი, გამხდარი, ძალიან ფერმკრთლი, უსახური, სათვალისანი და ქუდიანი-შინელიანი კაცები, გერმანელი ტყვეები, როგორც მამამ თქვა, რომლებსაც ბიჭები პაპიროსებით და საჭმლით ამარაგებდნენ. ისინი დაკვირვებით გვიყურებდნენ, ძალიან სუსტად ილიმებოდნენ და ტრამვაის ლიანდაგს რაღაცებს უჩივიანებდნენ.

დედას ყოველთვის ყავდა სახლში ვიღაც დამხმარე ქალი — ხან რუსიკო, ხან ნატაშა, ხან ბერძენი პარფენა. დედა დიდი დან იწყებდა ფუსფუსს — ასუფთავებდა ქუჩას, ასუფთავებდა ეზოს, თუთის ძირს და ხანდახან იქაც კი გაჰქონდა ჩემი სამუშაო მაგიდა. ასუფთავებდა ფეხსაცმლის ძირებს, სკამის ფეხებს, ხანდახან მამლევეა მტკრის საწმენდ ნაჭერს და მეუბნებოდა, გამეწმინდა მაგიდის ფეხები, რაც განსაკუთრებით არ მიყვარდა.

როდესაც წამოვიზარდეთ, ყოველ შაბათს მთელი ოჯახი მივდიოდით აბანოში — „ბალნეოლოგიურში“. ეს აბანო გვიყვარდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ აქ გოგირდის წყალი ჭრელ აბანოსა და მირზოევის აბანოსთან შედარებით ნაკლებ ცხელი იყო. მე და დედა კი ძალიან დიდ სიცხეს ვერ ვუძლებდით. ვიღებდით ორ ნომერს: მე და დედა; მამა და გურამი; ხშირად მიგვყავდა თან საზაქ-

თროდ ჩამოსული ბებო საშაც, რომელიც ჯდებოდა აბაზანის შხაპის ქვეშ, სადაც განსაკუთრებით ცხელი წყალი მოდიოდა. ბებო შხაპის ქვეშ, ქვის სკამზე დაკეცდა ზოლმე დაკანკებოდ ამისთვის წამოღებულ პირსახოცს და ძლიერი შხაპის ქვეშ, ძთლიახად ჩართული ბანაობაში, ისაპნებოდა ხშირ-ხშირად და თან ამბობდა: „იფ, იფ, იფ, ღმერთო! მა გიშველოს, მარო, როგორ მასიამოვნე“ — თეთრი ქათქათა ბებო, ახალგაზრდული სხეულით, წელში მთლიანად მოღუნული, თხელი ჭადარა თმით, მოკუმული ტუჩებით, კეთილი თაფლისფერი თვალებით. მერე მე, დედა და ბებო ერთმანეთს ზურგს ვუხედავდით. მერე დედა წყლის ქვეშ წმინდა სავარცხლით მვარცხნიდა თმებს, რაც ძალიან არ მიყვარდა. მერე ხელში აყვანილი გამოვყავი პატარა ქვის პოლში, რომელსაც ის შესვლის წინ ოაზისად გადააქცევდა ზოლმე ჩვენი ქათქათა ზეწრებით, სხვადასხვა ზომის პირსახოცებით, თავსაფრებით, პატარა მაკრატლებით, სავარცხლებით. მსვამდა ერთ წინდაწინ მომზადებულ კუთხეში, სადაც ცოტა ხნით ვრჩებოდი მარტო გამშრალებული, თავწაკრული, მშრალ პირსახოცში გახვეული და საიდანაც ამაოდ ვცდილობდი, თვალი მომეკრა ჩემი თავისათვის დანისლულ დიდ სარკეში, რომელიც, გეგონება ჯიბრზე, ყოველთვის სხვა მხარეს იყურებოდა; მალე დედა და ბებოც გამოდიოდნენ აბაზანიდან, ვიშრალბდით, ვიცვამდით და ზანტად გავდიოდით გრძელ ნათელ კორიდორში, სადაც აწითლებული მამა და გურამი ჩვენს მოლოდინში უკვე ბოლთასა სცემდნენ. მერე მივიდიოდით ბუფეტში, რის გამოც მე და გურამს განსაკუთრებით გვიყვარდა აბანოში სიარული, რადგან მხოლოდ აქ გვაძლევდნენ ძეხვის ბუტერბროდის ჭამის უფლებას. ამ ბუტერბროდს ვაყობდით ზოლმე თითო ჭიქა გრილ ლიმონათს. გვიყვარდა კიდევ იმიტომ, რომ სახლში ყოველთვის ტაქსით ვბრუნდებოდით. როდესაც შემდეგ, მე და მამას აბაზანის შვილი, მერაბ რაზმაძე, ერთმანეთს ვეჯიბრებო-

დით ვინ მეტჯერა მჯდარა მსუბუქ-მსუბუქ ნქანაში და ის იწყებდა „ჯერ მარტო ოთხჯერ ფუნეკულიორზე“, მე მაშინვე ვამბობდი ჩემსას: „ყოველ შაბათს ბალნეოლოგიურიდან ჩვენ სახლამდე“ დავლუნავდი ერთ თითს.

იმ ამბებიდან, რომელთა მოყოლა დედას დაუსრულებელიც შეუძლია და რომელიც თითქმის ყველა ჩვენმა ახლობელმა იცის, ყველა შეილიშვილიშვილმაც, პატარა ალექსანდრეს გარდა, არის ამბავი იმის შესახებ თუ როგორ გამოიყვანა დედამ რადიოს ხაზი. დედა ყველა ზოლმე ასე: ერთხელ მიშა როგორც იყო დავითანხმე, გურამი და მარინე წავეყვანა კინოში. როგორც კი მარტო დავრჩი, სასწრაფოდ შევუღექი ჩემი გეგმის განხორციელებას. ჩამოვიდე ფარდები, გავაგრძელე რადიოს ხაზი, რომელიც ადრევე მქონდა სამზარეულომდე შემოყვანილი და ორ ფანჯარას შუადავიდე პატარა რადიო. სასწრაფოდ მივალაგ-მოვალაგე დიდი ოთახი, ამოვიღე ნამცხვარი, რომელიც წინდაწინ მქონდა ჩადგმული, გავშალე სუფრა სავაზმოდ და ცდაც აღარ დამჭირვებია, კარზე ბრაზუნიც გაისმა. გავვარდი ვარის გასაღებად და თან რადიოც ჩავრთე და, რა მოხდა, იცით? უცებ რადიოში გაისმა მრავალჟამიერის ხმები. გურამმა გაკვირვებულმა ჩამოიბრინა კიბეზე. სამივეს ეგონა, რომ ჩვენთან სტუმრები იყვნენ და მღეროდნენ. მიშამაც გაკვირვებით შემომხედა რა ზღბაო. როგორ გაუხარდა გურამს! მაშინვე შეამჩნია ფარდებიც, მომვარდა და გადაამკონა“.

დედა ძლივძლივობით ასრულებდა თავის დასახულ გეგმას: გურამი — მეცნიერი, მე — მუსიკოსი. ბორძიკ-ბორძიკით მივიდიოდით წინ. საბოლოოდ გავყიდეთ თელავის სახლი. დედას დაჟინებული სურვილით ვიყიდეთ მამასთვის საწერი მაგიდა, რომელზეც მამა ახლაც მუშაობს; ჩემთვის—გერმანული სისტიმის პიანინო „როინიში“, რომელსაც მქონდა ძალიან კარგი ბეგრა, ოლონდ ზედმეტად რბილი კლაეიშები, რის გამოც მთლიანად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ტექნიკის

განსაყოთარებლად, ყოველდღიურად სამეცადინოდ (ეს პიანინო ახლა თელავის სახლში გვიდგას და უკვე პატარა მარიამში, ჩემი შვილიშვილი, ცდილობს ამ რბილკლავიშებიან ინსტრუმენტზე კლემენტის სონატინების გამოყვანას). შემდეგ დედა თელავის სახლის ფულით ისტუმრებს გურამის გერმანული ენის მასწავლებლისათვის აღებულ პროცენტთან ვალს. ვყიდულობთ, აგრეთვე, უკვე მამას ინიციატივით, ზამთრის მოსალოდნელი შემშლისაგან თავის დასახსნელად სარჩოს – ღობიოს, კარტოფილს, ხახვს, ნიორს და სხვა.

მერე ერთხელ გურამი, მამა და მე გამოვიდვართ კინოთეატრიდან და ქუჩაში, ბოძზე ჩამოკიდებულ რადიორეპროდუქტორთან შეკრებილი ხალხიდან ვიგებთ, რომ გამოიცვალა ფული. მახსოვს, მამა იღებს გრძელ, ფართო ქაღალდის ფულს, რომელიც თელავის სახლის გაყიდვის შემდეგ დაგვრჩა და მთელი იმ ფულით იქვე ქუჩაში ყიდულობს ორ ყუთ მანდარინს...

ძია ლეო, როგორც კი ჩვენთან სტუმრად მოვიდოდა, მაშინვე ჯდებოდა პიანინოსთან, იღებდა ჩემს ნოტებს და იწყებდა დაკვრას. ერთხელ ვარჩევდი ახალ პიესას „შადრევანთან“ რომელშიც უამრავი ტრიოლი იყო. ვცდილობდი, გამომეყვანა ტრიოლების ყველა ბგერა ცალ-ცალკე, ძალიან მიჭირდა. მოვიდა ძია ლეო, დაჯდა ინსტრუმენტთან, დაიწყო ჩემი ახალი პიესის დაკვრა, თან მეუბნება: „მარიკუნი! მომისმინე... პირველი ბგერა აიღე, როგორც საყრდენი, დანარჩენი ორი თვითონვე მიყვება ზედ... აი, ასე... შენ, უბრალოდ, ძალიან პატიოსნად უკრავ...“ რა იგულისხმა ძია ლეომ სიტყვით „პატიოსანი“, კარგად ვერ გავიგე, მაგრამ რატომღაც ძალიან მესიამოვნა და გაეწითლდი.

...საღამოა. ჩვენს ოთახში ყოველთვის ახლად გარეცხილი, ერთ დროს ჭრელ-აბრეშუმ-გადასაფარებლიანი მრგვალაჭალი ანთია ოთხკუთხა, განიერი სასადილო მაგიდის თავზე. დედა ჩაის სუფრას შლის. ბებო იქვე, ჩვენ ძველებურ,

გაფართოვებულ სავარძელში ზესტარევი გრელი, განუშორებელი ქვედატანით, შავი „ბლუზკით“, მხრებზე შავი მოსასხამით, გადავარცხნილი, მზზინავი თეთრი თმით და უცნაურად ჩუმად, დაფიქრებული და ნაღვლიანი იყურება. თითქოს მორცხადაცაა, უბერხულად. შეიძლება იმიტომ, რომ არ ფუსფუსებს და თითქოს მისთვის უჩვეულო განცხრომასაა მიცემული. ბებო სულ ახლახან ჩამოვიდა ზევითებიდან. დღეს დაასაფლავეს ბებო კატო, ბებოს და. მე ვდგები, მივდივარ პიანინოსთან და ვიწყებ შუბერტის რომანსის დაკვრას, თან მახსენდება, რომ ბებოს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობისას ამ რომანსის სიმღერა. დედა თვალთ მანიშნებს, რომ არ დაუკრა, რომ ახლა დაკვრის დრო არაა. მე მაინც ვუკრავ. ბებო დგება, თავზე ხელს მადებს და დედას ეუბნება: „მარო, დაუკრას, პირიქით, ძალიან მსიამოვნებს“. დედა თავს მანებებს...

ღმერთო რატომ ნათდება, ნეტავ, რაღაც მომენტი და რატომ არის სხვა ყველაფერი მის გარშემო ბინდში გახვეული! რატომ ამოტივტივდა ბურუსში ეს ოთხკუთხა მაგიდა თავისი ჭაღით და საღამოს ჩაის სუფრით – დედა ჩაინდო ხელში, იქვე, მაგიდასთან; ბებო – სავარძელში და მე პიანინოსთან. სად იყო ამ დროს მამაჩემი ან ჩემი ძმა? იყვნენ კი ისინი ოთახში? სუფრასთან ჯერ ნამდვილად არავინ იჯდა. თუმცა აი, თითქოს ვხედავ... სიბნელიდან შემოდის გურამი თავისი ჯიბეებიანი ეტუალის კოსტიუმით, რომელზეც ისევ თეთრი საყვლოა ამოშვებული. გურამის ჩაცმულობის მიხედვით ვფიქრობ, რომ, ალბათ, ისიც ეს-ეს არის ჩამოვიდა ზევითებიდან ბებოსთან ერთად და ჩუმად ადევნებდა ახლა თვალს ამ მოძრავ სურათს, რომლის მოქმედი პირებიც ვიყავით: დედა, ბებო და მე. ეს იყო ჩვენი ბოლო საღამო ბებოსთან ერთად. მგონი მეორე დღესვე წავიდა ის თელავში, სადაც ელოდებოდნენ სტუმრად ჩასული მეგობარი ქალები – ნატაშა და ელენე ჩიჯავაძეები. ბებომ სტუმრებს დიდი ოთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხი დაუთმო, თვითონ კი აივანზე იწვა. როგორც შემდეგ ვაირკვა, შუალამისას ცუდად გამხდარა. ბოლო ხანებში თავისი ვანუკრელი ვალიდოლი და ნიტრო-გლიცერინი იმ ღამით ოთახის კარადაში დარჩენოდა. როგორც ჩანს, მოერიდა სტუმრების გაღვიძებას. როდესაც შესვლა გადაწყვიტა, უკვე გვიან იყო. პირში ჩადებული ნიტროგლიცერინის მოწუნვა ვეღარ შესძლო. ბებო გარდაიცვალა გულის ინფარქტით. მაშინ ყველას უკვირდა — ინფარქტი ამ ასაკში იშვიათიაო. ჩვენ სიამაყით ვამბობდით ხოლმე, რომ ბებო გარდაიცვალა როგორც ახალგაზრდა. ვამაყობდით კიდევ იმით, რომ ასეთი იყო ბებო, მოერიდა სტუმრების გაღვიძებას; და კიდევ იმით, რომ ბებომ, რომელმაც პირში ჩადებული წამლის მოწუნვაც კი ვერ შესძლო, მაინც მოახერხა და მის გარშემო შემოკრებილ მამიდა ნატაშასა და ჩიჯავაძეებს უთხრა: ყველას დაგენაცვლეთო, და მშვიდად განუტევა სული.

საოცრებაა, თუმცა ეს საოცრება უკვე დიდი ხანია, რაც ვიცი. აი, ახლაც... პატარა უმნიშვნელო ცხოვრებისეულ ამბავს მოყვა მეორე უმნიშვნელო ამბავი, მეორეს მესამე და უეცრად დამეუფლა შეგრძნება: რა მნიშვნელობა აქვს ან ვისთვის არის საინტერესო ჩვენ ბალნეოლოგიურში უბანობდით თუ ჭრელ აბანოში, ფეხით მოვდიოდით სახლში თუ ტაქსით. მშრალი, უინტერესო, არაფრის მთქმელი ფაქტები. ფაქტები ყოველგვარი ამბის გარეშე. რითია სხვისთვის საინტერესო ჩვენი ბოლო საღამო ბებოსთან ერთად, სიბნელეში ამოტივტივებული ეს ოთხკუთხა მაგიდა თავისი მრგვალი ჭადით და საღამოს ჩაის სუფრით, მაგრამ აი, უეცრად, საკმარისია ამ უმნიშვნელო ფაქტების ფონზე, ბურუსში, საღდაც, გამორჩედეს გურამის ბეზოსასუსელი ნაღვლიანი თვალეში, რომლებიც ხანდახან დედაჩემის შავი თვალეების ელვარებით აკიაფდებიან ხოლმე, რომ ყველაფერმა შეიძინოს მნიშვნელობა, ყველაფერი რაღაცა საიდუმლო აზრის შემცველი გახდეს, რაღაც

აუცილებელი ფაქტის, რომლის განუშეც თითქოს საერთოდ წარმოუდგენელი იქნებოდა რაღაც რიტუალის შესრულება. ერლომიც ამბობს ხოლმე ხანდახან: „გურამის დროს ყველაფერს ეძლეოდა მნიშვნელობა, ყველა ცხოვრებისეულ დეტალს“.

ერთხელ გურამი პარტახტიანი ტიფით გახდა ავად. დედამ შემორჩენილი ორადორი ოქროს ნივთი — საათი და ძვირფასთვლიანი გულსახბევი გადაცვალა ხუთ ფორთოხალსა და ერთ ფილა შოკოლადზე. როგორც ჩანს, გურამის ეს ავადმყოფობა დაედო საფუძვლად დედაჩემის სამსახურიდან წამოსვლას. მე დედა სამსახურში მოსიარულე არ მანსოვს. მერე გურამს ყანგიანი ლურსმანი შეერჭო ხელში. დედამ გაჭრილზე ზევიდან სტრეპტოციდი მოაყარა. ცოტა ხანში ის ადგილი გაწითლდა და ოდნავ შესამჩნევი ვარდისფერი ხაზი წავიდა ზევით. გურამის მკლავს შეწუხებული უყურებდნენ დედა და მამა, მეზობლები და შემოსწრებული სტუმრები. მე ოდნავი შურით ვადევნებდი თვალს ვარდისფერ ხაზს, რომელიც ცოტა ხანში უკვე შორიდანაც კი ჩანდა, რომ წითელი იყო. მერე მამამ მოიყვანა ექიმი, რომელმაც თქვა, ასეთ დროს სტრეპტოციდის დაყრა არ შეიძლებოდაო... გურამი კარგა ხანს აღარ გაუშვეს სკოლაში, მერე საბოლოოდ მეც გავხდი ავად ბრმანაწლავის ანთებით. საშინლად გაამაყებული ვიყავი ჩემი ავადმყოფობით. სკოლაში მთელი თვე აღარ დავდიოდი. ეხოში ძალიან ნელ-ნელა დავაბიჯებდი. მთელი ოჯახი ჩემზე ლაპარაკობდა. სტუმრები თანაგრძნობით მიყურებდნენ და ყველა ერთხმად ამბობდა: „რა დაემართა ამ ბავშვს!“ დედა ოხრავდა. დედაჩემისაგან განსხვავებით მამა ძალიან თხლად მისვამდა კარაქს პურზე. იმ წამსვე მივხვდი მამას ეშმაკობას, ოღონდ არ ვიმჩნევდი. მამა პურს შუაზე ჭრიდა და შიგნით უსვამდა ბევრ კარაქს. მერე გამიკეთეს ოპერაცია. ყველა ჩვენმა ახლობელმა იცოდა, რომ მე და გურამი, დედაჩემისაგან სათანადოდ დამუშავე-

ბულები, ყველანაირ გასაჭირს, წამლის გადაყლაპვა იქნებოდა თუ ოპერაციის გაკეთება, არათუ ვეგუებოდით, არამედ სიხარულითაც კი ვზვდებოდით, როგორც რაღაც საგმირო საქმეს. ბრმანაწლავის ოპერაციის შემდეგ მთელი კვირა ვიწე-ქი გაუნძრევლად. გადატრიალებაც კა არ შეიძლებოდა. საშინლად მეწვოდა ქუსლები. ერთ დღეს საავადმყოფოში ჩემს სანახავად მოვიდნენ მამა და გურამი. გურამი მოუახლოვდა ჩემ საწოლს და მაკოცა.

დედას ძალიან ბევრი ვალი ჰქონდა — პროცენტიანი თუ უპროცენტო. მამას ხელფასი ვერაფერს ვერა წვდებოდა. მე-ვალეები აკითხავდნენ. საჭირო იყო ვალების გასტუმრება გარკვეული თანხიმდევერობით. დედამ მითხრა, როდესაც ვინმე უფროსი რაიმეს გეკითხება ოჯახური ამბების შესახებ, ჯობია, უთხრა, რომ არ იცი. „არ ვიცი“ ძალიან კარგი სიტყვაა, რადგან ეს არ არის ტყუილი. შენ მართლაც არაფერი არ იცი“. ცოტა ხანში, როდესაც დედა სახლში არ იყო, მოვიდა ერთი მეგობარ და მკითხა: „აიღო, შეიღო, მამამ ხელფასი?“ მე ვუთხარი: „არ ვიცი“, მეზობელმა მაშინვე შემოსწრებულ დედას უთხრა: „მარო, გაკვირვებული ვარ, რა ეშმაკი ბავშვია მარინე. ჩემი შვილი, ენაცვალის იმას დედა, ამას ზომ ვერასოდეს ვერ მოახერხებდა. როგორ მომიჭრა „არ ვიცი“. აი, ბავშვიც ამასა ქვია“.

გურამს მე-8 კლასში გამოყვა მხოლოდ ერთი ოთხი. მახსოვს ის ნიშნების ფურცელი ჩაწიკწიკებული ხუთეგობით შუაში და ოდნავ მარჯვნივ ერთი ოთხით. მოვიდა სტუმრად ერთი ნათესავი კაცი და გურამს ჰკითხა, რა ნიშნები გყავსო. გურამმა უპასუხა: „ყველანაირი“. ნათესავს გაეცინა. დედას გული დაწყდა და მერე გურამს უსაყვედურა. გურამმა დედას უთხრა: „სიმართლის თქმის შემუხერხულა იმიტომ, რომ სანამ მია ჩემს ნიშნებს შემეკითხებოდა, თქვა: ჩემი შვილი ამ მეოთხედში ორიანებით აივსო“.

ყოველ საღამოს ჩვენ ფანჯარასთან იმუხლავდა გურამის კლასის ამხანაგი ტყაჭვიშვილი და ქუჩიდან ყვიროდა: „გურამ, თუ ძმა ხარ, მითხარი გაკვეთილები“. გურამი ყოველთვის დაწვრილებით უხსნიდა, თუმცა დარწმუნებულა იყო, რომ ტყაჭვიშვილს სულაც არ აინტერესებდა გაკვეთილების სწავლა და, რაც მთავარია, არც აპირებდა. ჩვენს ეზოში, ჩვენს ფანჯარასთან და სახლში ერთმანეთს ცვლიდნენ გურამის ამხანაგები. ერთს თვალები ეშმაკურად უცინოდა და სულ სახუმარო სიტყვა ქონდა პირზე. მამა ეუბნებოდა გურამს: ეგ ბიჭი ღლიცინაა და ჯობია, მოერიდეო. მეორე კი — სერიოზული და მუდმივად შეწუხებული სახით, კოხტად დავარცხნილი თმით, ყველას მოსწონდა. ბიჭები ძირითადად ეზოში საჯდომამოვარდნილ სკამში ისროდნენ ბურთს. გურამი ძალიან შორს დგებოდა, მალა და უკან წევდა ბურთიან ხელს, მერე თვითონაც ოდნავ უკან იხრებოდა და ბიჭვით ისროდა. ბურთი ნახევარ წრეს შემოხაზავდა ჰაერში და ზუსტად ხვდებოდა გაზრეტილ სკამში. დათო ყოველ დღით აბრაზუნებდა ჩვენს ხეებაკრულ სამზარეულოს ფანჯარაზე, მერე ჩანთაკიდებული შემორბოდა ოთახში და შეწუხებული სახით უყურებდა გურამს, რომელიც ნელ-ნელა ალაგებდა წიგნებს ჩანთაში და სრულებითაც არ ჩქარობდა. მახსოვს, ერთხელ გურამმა და დათომ გრძელ ხატვის რვეულში დახაზეს მობო კვადრატები ერთმანეთის მიყოლებით, მერე შიგნით ჩახატეს პატარ-პატარა კაცები, რომელთაც სხეულის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ზომის რგოლებისაგან ჰქონდათ დახატული. ერთ-ერთ კვადრატში ტომარაკადებული ასეთი კაცი აღმართზე აღიოდა, ერთ-ერთ კვადრატში კი სანგრები ეხატა. ყველა სურათის ქვეშ რაღაცები ეწერა. გურამი და დათო ამბობდნენ, რომ წერენ სპარსულად, მარცხნიდან მარჯვნივ. მოთხრობის სიუჟეტი ძისდევდა სურათებს. ასეთი წესით მოიგონეს

კიდევ რამდენიმე მოთხრობა ღამის თემაზე.

დედამ გურამი ისტორიკოსთა წრეში წაიყვანა პიონერთა სასახლეში ირიკო ვაჩნაძესთან. ერთხელ გურამმა მოხსენება წაიკითხა. მე და დედა დიდ აუდიტორიაში ვისხედით. გურამი თავისი მუქი, ლურჯი ეტულის კოსტიუმით, რომელსაც წელზე ქამარი ჰქონდა შემორტყმული, თეთრი პერანგით, ამაყი ვაჟაკური იერით ავიდა კათედრაზე და დაიწყო მოხსენების კითხვა. სხვებისაგან განსხვავებით, ეს მოხსენების მოყვლა უფრო იყო, ვიდრე კითხვა. დახვეული მოხსენება კოსტიუმის ჯიბეში ელო. არქივში ეს მოხსენებაცაა შემონახული. ის ზაფხული გურამმა პიონერთა სასახლის წრის წევრებთან ერთად ხევსურეთში გაატარა. მოხსენებაც ასეა დასათავურებული: „ძველი დ ახალი ხევსურეთი“. მოხსენების შემდეგ მე და დედა ფართო პოლში ვიდექით, დიდი აუდიტორიის წინ. გაბრწყინებულ დედას ულოცავდნენ და ეუბნებოდნენ: „როგორი ყოჩაღი შეილი გყავთ! რა კარგად წაიკითხა ზეპირად მოხსენება“. მე დედას კალთას მიკრული ჩუმად ვიყურებოდი. ერთმა კაცმა თავზე ხელი გადამისვა და მკითხა: „შენ როდის წაიკითხავ მოხსენებას, ა?“ გურამს, როგორც გამარჯვებულს, რაღაც ლამაზყდიანი წიგნები აჩუქეს, წარწერებით. ეს ორი წიგნიც, სტალინის ტომები არქივის რკინის კარადაშია შემონახული. ამ პერიოდს ეკუთვნის არქივში აღმოჩენილი ერთი ლექსიც და ფოტოსურათები, საიდანაც ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი თბილისელი გოგო-ბიჭები იყურებიან. გურამი ოდნავ განზე გადგმული ფეხებით მყარად ეყრდნობა მიწას. ხელი სატყეაზე უდევს. კისერი შემართული აქვს. სურათის ბუნდოვანებაში გურამის ნაღვლიანი და მოსიყვარულე თვალები იკვლევენ გზას. ეს ლექსი ერთადერთი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც შემორჩა არქივს ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომელიც საერთოდ გურამმა დაწერა 1956 წლამდე, ანუ „წე-

რის დაწყებამდე“ (თუ მხედველთა შორის მივიღებთ დათოსა და გურამის მიერ შეთხზულ მოთხრობებს, რომლებიც დაიკარგა.).

მწერლის არქივში ხშირად არის ხოლმე შემონახული ბავშვობისდროინდელი ნაწერები, რომლებიც ან თვითონ არიან მხატვრული ღირებულების მქონე, ან ისეთ მუხტს მაინც შეიცავენ, რომელშიც ამოიცნობა მომავალი შემოქმედის. ჩემი აზრით, გურამის არქივში შემონახული ეს ლექსი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ 1956 წელს გურამის თავზე მართლაც რომ „დაემხო შემოქმედება“ და რომ იქამდე ამისი არავითარი წინაპირობა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად გამოვლენილი, არ არსებობდა.

ერთხელ რომელიღაც კლასში გადავშალე სკოლის სახელმძღვანელო დ მომინდა თავი მომეწონებინა ოჯახის წევრებისათვის, განსაკუთრებით კი გურამისათვის, რომელიც რაღაცას ჩხირკედლობდა ოთახის რომელიღაც კუთხეში; მეჩვენებინა, რა კარგად და როგორი გამოთქმით შემიძლია კითხვა: „გარეთ ციხივა, ქრის ქააარი, მთვარე ვაა... ხშმობს მუუხებში...“ დავიწყე ხმამალლა, გაბმით და მაშინვე ვიგრძენი, რომ გურამი მისმენდა დამაბუღლად. კიდევ უფრო მეტი გრძნობით და უფრო ხმამალლა გავაგრძელე: „გახსენ კააა... რი დედაე უ...“ ჩავედი ბოლომდე და თავმომწონედ შევხედე გურამს. სამუდამოდ ჩამრჩა ჩემი ძმის სახე მახსოვრობაში, რომელსაც თითქოს ის-ის იყო, ჟრუანტელმა გადაუარა. მერე ჩუმად თქვა, თითქოს თავისთვის: „არასოდეს არ წაიკითხო ეს ლექსი ხმამალლა ჩემი თანდასწრებით“. უმცროსი დის ცნობის მოყვარულობით და სიჯიუტით ერთხელ, დიდი ხნის შემდეგ, მაინცა ვცადე ამ ლექსის უკვე ზეპირად თქმა. როგორცა ჩანს, მაინტერესებდა თუ რას იტყვოდა გურამი, ახსოვდა თუ არა, რაცა თქვა. მაგრამ ამ ლექსის პირველივე სიტყვებმა ისე ააღელვა ის, რომ სამუდამოდ დამეკარგა მისი ხმამალლა თქმის

სურვილი, რაც განსაკუთრებით მიზიდავდა, რადგან გურამის დამოკიდებულებამ მის მიმართ თითქოს გააცოცხლა ყველა სიტყვა და გახადა ისინი რაღაცა სინინა, ავისმომტანი ქარის ნაწილი, რომელიც უცნურად ძლიერ შეგრძნებებს აღძრავდა ჩემში. ამ შეგრძნებას არც ახლა გაუვლია.

როგორცა ჩანს, ეს განცდა — დედას მოკვდომია შვილი — ადრეული ბავშვობიდანვე აუტანელი იყო გურამისათვის. ის, სხვადასხვანაირად ტრანსფორმირებული, მთელ მის ცხოვრება-შემოქმედებას გასდევს. არქივში გადავწყვიტე 1957 წლის გაზაფხულზე დაწერილ პატარა ლექსს, მინიატურას თუ ტანკას, რომელსაც ასევე ქვია:

თავის დახრჩობა ან დედას მოკვდომია შვილი

გაზაფხულობით გიქვება მტკვარი
ამომშრალი თვალები იყურებიან
დედას მოკვდომია შვილი.

აქვე, ამავე ფურცელზე კალმისტრით მის მიერ მოხაზულია მამაკაცის პროფილი, რომელიც საოცრად გავს გურამისას.

ერთხელ გურამს დაემართა ქუნთრუშა. გურამი და დედა დიდი ხნით დაიკარგნენ საავადმყოფოში. გურამს თურმე საშინლად ექავებოდა ტანი. ექიმს წამოცდა, რომ ამ ქაველის დაამება მხოლოდ თბილი აბაზანით შეიმღებოდა. მაგრამ თან დაამატა ამის საშუალება საავადმყოფოში, სამწუხაროდ, არ არსებობსო. დედამ არამიანცინი საავადმყოფოს (იქ იწვა გურამი) ერთ-ერთ კორპუსში აღმოაჩინა აბაზანა, გაუკეთა დეზინფექცია, გაზეხა, გაწმინდა და შუალამისას, როდესაც ყველას ეძინა, გადაიყვანა საბანში გახვეული, ხელში აყვანილი თავისი შვილი და თბილი წყლით სავსე აბაზანაში ჩააწვინა. დედას დღესაც შეებასა გურამის გურამის ტკბილი, მშვიდი ძილი აბაზანის მიღების შემდეგ.

ერთხელ კი თურმე მე და გურამს ერთდროულად შეგვეყვარა წითელა. ორივე

ერთად დაგვაწვინეს ჩვენი სამრდასა-სართულის წინა, მზიან ოთახში. მერე უცრად გადავიყვანეს უკანა, ნესტიან ოთახში. ჩვენს გვერდით, როგორც ყმბიან, დასვეს ბაბუა სიმონი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გვიკითხავდა ზღაპრებს. როგორც შემდეგ გავიგე, ეს ის მომენტი იყო ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც თელავში, უბედური შემთხვევის შედეგად, ერთ წუთში საცოცხლეს გამოუსალმა პაპა ტიტო, რის შემდეგაც მისი ნეშტი ჩამოასვენეს თბილისში და დაასვენეს ჩვენს დიდ ოთახში. ბებო თურმე არავის არ აძლევდა ხმამაღლა ტირილის უფლებას, რომ ჩვენ არ შევეწუხებინეთ. როგორც დედა ყვება, გურამი დიდი ხნის მოლაპარაკებების და კამათების შემდეგ, როგორც უფროსი, გაიყვანეს პაპას სანახავად. მე კი შეიმღება რაღაც მომენტში, როდესაც საღამოთი შემთხვევით გაიღო კარი, თვალი მოვკარი უცნაურად დალაგებულ იმ ჩვენს წინა ოთახს, იმიტომ რომ, თითქმის მთელი ბავშვობა, მერე დილობაშიც, თან მღევდა, აი, ეს ერთნაირი, კოსმარული სიზმარი... ვითომ რატომღაც ჩვენი დიდი ოთახი უცნაურად იყო დალაგებული... ალბათ, ამიტომაც კიდევ უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ იყო... კედლებზე მიწვობილი ცარიელი სკამებით. ოთახის შუაში ჩვენი ტახტით, რაც ძიღშივე არასასიამოვნო შეგრძნებას ბადებდა ჩემში. ამ ტახტზე გადაფარებული იყო ჩვენი ოთახის ერთადერთი მოსართავი, ჭრელი, სპარსულორნამენტებიანი, შიგადაშიგ ჭიანჭამი ფარდავი, რომელიც, ჩვეულებრივ, ჭერიდან ეშვებოდა ხოლმე და ისე ეფინებოდა ყოველთვის ოთახის ერთსა და იმავე კუთხეში მდგარ ამ ტახტს. ოთახში ირეოდა ბევრი სხვადასხვა ადამიანი. ყველაფერი იყო ისეთი ზომის, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე შორიდან და ცოტა ზევიდან...

ეს სიზმარი ერთხელ გურამსაც მოეუყვი. გურამი ჩუმად მისმენდა. არ ვიცი, ამ სიზმრის მოყოლის შემდეგ იყო თუ ბებო საშას დაკრძალვის შემდეგ, მე და

ჩემი მძა დაუნაძღვედით, ვის გასვენებაზე მეტი კაცი მოვიდოდა. მე ვუთხარი, რომ ჩემ გასვენებაზე, იმიტომ რომ ორჯერ გამოვიცვალე სკოლა, თან მუსიკასაც ვსწავლობდი. ეს კი ნიშნავდა დამატებით ვუნდისა და მუსლიტერატურის ამხანაგებსაც. გარდა ამისა, იმედი მქონდა ჩემი შეგობრის უფროსი დის კლასელებსაც, რომელნიც ჩემს მიმართ აშკარა სიმპათიით იყვნენ განწყობილნი. გურამმა, არ მახსოვს, რა მითხრა. ყოველ შემთხვევაში, გამოდიოდა, რომ თავისი გასვენების უპირატესობაში ეჭვი არ ეპარებოდა. მახსოვს, გაუბრაზდი და გავიბუტე.

ერთხანობას გურამმა ალპინისტობა დაიწყო, „აგისა და გიგის აყვა“, როგორც სახლში ამბობდნენ. არქივში ინახება სამკუთხედად დაკეცილი გურამის უკონვერტო და უმარკო ბარათი, რომელიც დაწერილია 1953 წლის აგვისტოში რომელიდაცა. მწვერვალის აღების წინ:

„გწერთ წერილს თქვენი გურამი, საყვარელო მშობლებო და დამ მარინე. მე თავს მშვენიერად ვგრძნობ, მხოლოდ თქვენ მენატრებით. ვიცო, გაინტერესებთ ჩემი ამბავი და მეც ყოველივეს თავიდან მოგიყვებით..... ორ დღეში, ალბათ, გავალთ, ასე რომ ამბის უცოდინრობამ არ შეგაფიქრიანოთ. მაინც ვეცდები დროდადრო მოგწეროთ ჩემს შესახებ.... შენ იცი, ჩემო დედა, არ ინერვიულო. მე მშვენიერ პირობებში ვარ. მამაჩემო, მომწერე შენი ნაშრომის შესახებ რაიმე. „ნახვამდის“.

დედა ამაყად ყვება ხოლმე: გურამმა თხუთმეტი კილომეტრი გამოიარა უკან „რიუკზაქაიდებულმა“, რომ ჩემთვის ეს ბარათი გამოეგზავნა; ასე მითხრა, იქ ფოსტა არ იყო და ვიცი, ძალიან იდელებდი ჩემი ამბავი რომ არ გაეგოო. დედა ხშირად იხსენებს იმასაც, რომ ერთხელ, როდესაც გურამის მთელი კლასი წავიდა შატალოზე 23-ე ქალთა სკოლის ეზოში, გურამი ჯერ სახლში მივარდა და დედას შეატყობინა, სად იქნებოდა, მერე გაიტყა ამხანაგებთან...

შაბათ-კვირას „ზევითობთან“ შალიკო, მაშინვე ძვრება ჩვენი წინა ოთახის ფანჯარაზე, პირში იღებს რაღაცა ქალაღს და გურამს ეუბნება: „მოდი გავეჯიბროთ, ვინ უკეთ დაუსტვენს „სილვას“ და იწყებს სისინით ქალაღების ბერვას; რაღაც მელოდიისმაგვარი გამოდის, მერე უქალაღოდ უსტვენს სერიოზული სახით, ოდნავ შეჭმუნხილ წარბებით და თან სადღაც ზევით იყურება. ჩვენ გაკვირვებულები ვადევნებთ თვალს. მერე მოაქვს საკუთარი ლექსები, რომელიც რვეულის ფურცლებზე წერია. დგება ფანჯარასთან და ხმამაღლა კითხულობს. ყველა ამბობს, რომ შალიკო ძალიან ნიჭიერია, ოღონდ საჭიროა, ჩაწყნარდეს და ყველაფერი კარგად იქნება. მოდის პატარა გურამი, უცნაურად ნახევრად ღია თვალებით, მუდმივი ხუმრობებით ენის წვერზე. თითქმის ყოველ საღამოს ან ჩვენ მივედივართ ძია ლეოსთან, ან ისინი მოდიან ჩვენთან. ძია ლეოსთან კარს მოტია გვიღებს. ჩვენს დანახვაზე მაშინვე შებრუნდება და თავისთვის ამბობს: „пришли“ მერე სასწრაფოდ შედის ოთახში. ცოტა ხანში ყველა ერთად ვუსხდებით გრძელ სახადილო მაგიდას. ერთ ბოლოში სხედან ბაბანი (ნინო ღვინიაშვილ, გ. ჩუბინაშვილის მეუღლე) და პაპა გიორგი. პაპა გიორგი ძირითადად ჩუმად შეეძქევა სადილს, ბაბანი კი გაუთავებლად ლაპარაკობს. ხანდახან იხსენებს ლაიპციგში გატარებულ ახალგაზრდობას და რომელიდაც კონცერტს, სადაც პირველად მოისმინა ბეთოვენის სონატები ასეთი ინტერპრეტაციით. მერე დედას ეკითხება თუ როგორ მიდის ჩემი მუსიკის საქმე. სადილის შემდეგ მთხოვს, რამე დავუკრა, სულერთია, რა. მე მინდა მაგიდის ქვეშ შევძვრე, საერთოდ გავქრე, რომ არავინ არაფერი მითხრას დაკერის შესახებ.

დედას ვანიშნებ შეხვეულ ხელზე, რომელიც წინდაწინ ავოტკივე სწორედ იმის გამო, რომ არ დაჰკრა. მაგრამ არაფერი მშველის. უფროსები მაინცა მსვა-

მენ პიანინოსთან და ვიწყებ შუმანის „ოცნებების“ დაკვრას, რომელიც წინა დღით დაუკარი კონსერვატორიაში, მერე მოცარტის სონატინის. ბაბანი მაქებს.

დეიდა ანიჩკას რჩევით დედას გადავყავარ თინას სკოლაში, პლენანოვზე. ძალიან ძნელია ახალ სკოლაში სწავლა. რაღაც გაორებულივითა ვარ. სიზმარში ორივე სკოლა მესიზმრება ერთდროულად. ვითომ არც ერთ სკოლაში არ მიღებენ. ერთხელ ახალ სკოლაში გამომიძახა მასწავლებელმა, გავედი. ამდენი უცნობი ბავშვის დანახვისას ამივარდა ტირილი. მასწავლებელმა ადვილზე დამსვა. უკვე მერვე კლასში ვარ. ახალ სკოლაში დავდივარ, მაგრამ წვიმაში დედა მაინც „კალოშებს“ მაცემებს. ერთხელ განვებ ვტოვებ მათ სკოლაში. მთელი ღამე მხიარულად მძინავს, მაგრამ მეორე დღეს ჩვენს მეზობლად მცხოვრებ დამლაგებელს ჩემი კალოშები დილაადრიან მოაქვს სახლში. მეჩვენება, რომ ჩემ „კალოშებს“ ბაბაჯანას ქოშებივით ყველა იცნობს...

მახსოვს, ჩემი ძმის კლასელები რაღაც თარიღთან დაკავშირებით შეიკრიბნენ ჩვენს სახლში. დიდი ხნის მოლაპარაკებების და გადაწყვეტილებების შემდეგ პირველად გამოუტანეს ბიჭებს ცოტაოდენი ღვინო. ბიჭები შეთვრნენ. დედა და მამა ამის გამო შელაპარაკდნენ.

გავიდა დრო. რომელიღაცა წელს დალი, დათო და გურამი დამამთავრებულ კლასში აღმოჩნდნენ. გიგი ამ დროს, მე მგონი, უკვე პირველ კურსზე იყო. დალის და დათოს უნდა აეღოთ ოქროს მედალი, გურამს — ვერცხლის. გაზაფხულზე ჩვენი ეზო აივსო გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის ამოცანებით. გურამი აქეთ-იქით დადიოდა პატარ-პატარა ფურცლებით, რომლებზეც ან ამოცანის პირობა ეწერა, ან ამოხსნა. გურამი ამოცანებს კარგად უძღვებოდა, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, მათემატიკა განსაკუთრებით ემარჯვებოდა დალის. ჩვენთან უამრავი ბავშვი

მოდიოდა ამოცანებით. ზოგი დალისთანაც აჯიოდა, რაღაცებს ეკითხებოდა... გურამის ქართულის გამოცდასთან რაღაც ისტორია იყო დაკავშირებული, მგონი, რაღაც უსამართლობა. თუ არ ვცდები, მერე გაასაჩივრეს კიდევ იმიტომ, რომ დიდი ხნის შემდეგ გურამის ქართულის მასწავლებელი მოუყვა ვილაცას რაღაცა აღსარებასავით. გურამმა მიიღო ვერცხლის მედალი...

მამა მიდის მოსკოვში დოქტურანტურაში დიდი ბრძოლების შემდეგ; დედა გაჭირვებით ართმევს თავს ოჯახის ბიუჯეტს. მახსოვს, ერთხელ უფროსების ლაპარაკს მოვკარი ყური. დედა ისევე პროცენტთან ვალს ეძებს მამასთან ფულის გასაზღვანად. მგონი, ვერ შოულობს, მერე მე, დედა და გურამი მამას გარეშე მივდივართ ბალნეოლოგიურში. სახლში ფეხით ვბრუნდებით. დედას უეცრად სახე გვერდზე ექცევა. გურამი მირბის ექიმთან. ექიმი დედას ეუბნება: „თქვენ, ქალბატონო, არაფრის მოყოლა არ დაგჭირდებათ. თქვენმა შეიღმა დეტალურად მიაშრო ყველაფერი“. დედა ნასიამოვნები უღიმის ექიმს და ტუჩებზე ხელს იფარებს.

მათა ლეომ გადმოვიცა მის არქივში შემონახული დედასა და ბებოს მიმოწერის მხოლოდ ერთი მხარე — დედაჩემის წერილები: წერილები უკონვერტოდაა დარჩენილი. არეულია ფურცლები; დაულაგებელია ქრონოლოგიურად. ამ წერილების ქრონოლოგიურად მოწესრიგებას ართულებს ისიც, რომ, მამასაგან განსხვავებით, დედაჩემის თითქმის არც ერთი წერილი არ არის დათარიღებული. ასევე მინდა მივაწოდო მკითხველს ამონაწერები ამ წერილებიდან. არეულად, დაულაგებლად, როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დოკუმენტები. რადგან დროთა სიშორიდან, უცხო თვალისთვის და თვითონ ჩვენი თვალისთვისაც კი ყველა დღე და ამბავი ისე გავს ერთმანეთს, რომ აღარც კი აქვს მნიშვნელობა, როდის რომელი მოხდა. თუ ადამიანის მთელი ცხოვრება წუთისოფელია, მით

უმეტეს ცხოვრების პატარა მონაკვეთი, რომელიც წუთის მეთხუთმეტი კი არ გამოდის.

დედა წერს:

„ჩამოვიდა ედი და ჩამოუტანა თქვენი საჩუქრები მარინეს, რაც ყველაზე ძალიან გაუხარდა და ხელუხლებლივ შეინახა თავისი დღეობისათვის. თუმცა დღეობა არ გადამიხდია, მაგრამ თავისთავად სტუმრები მოვიდნენ და დღეობაც გამოუვიდა. ანჩკამ დილით დღეობის ანგარიშში მომიტანა ორი კილო თეთრი ფქვილი, შაქარი მქონდა და ორი კეკსი გამოუტყებ... საღამოთი მოვიდა რუსუდანი თავისი ამალით, მართვა მარინეს შოკოლადი, უცებ მოგვიბრაზუნეს ბიცოლა კუკუნიმ, შალიკომ, ირაკლიმ. მოუტანეს ვაშლის ბეროგი. მოუვიდა თავისი სამი ამხანაგი და ამასობაში დღეობაც გაჩაღდა. თქვენმა გამოგზავნილმა დიდი ელფერი დადო სუფრას. მარინე ძალიან კმაყოფილი დარჩა. 10 საათზე მოირბინა გოგუცამ.“

„მიშა ითხოვს ფულს მოსკოვიდან. ანჩკამ ასესხა, რუსუდანმაც ასესხა.“

„3 დღეა შალიკო წაიყვანეს, ადვილად წარმოიდგენთ ჩვენებისა და ჩემ დარდს. ვალოდიასაც დაუძახეს და სამუშაოების გამო ერთი თვით გაანათავისუფლეს.“
„თქვენი ტკივილები სულ მოთმინებაში გაქვთ“.

„მიშამ ის დარჩენილი სამუშაო ბოლომდე ვერ მიიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრს მუშაობს. ის წიგნიც ვერ დაიბეჭდა ჯერ-ჯერობით. მოკლედ, ამ ფრონტზე ვერა ვართ კარგ გუნებაზე“.

„მეტი რა მოგწეროთ, სულ შრომა და შრომა. ჩვეულებრივ. მეორე მოტია გავხდი. 2-3 საათამდე ან ვრეცხავ, ან ვაუთოვებ. ესენი გამოცვლას ვერ ასწრებენ, მე კიდევ რეცხვას.“

მამას ტელეგრამა ბებო საშას, მოსკოვიდან: „მოხსენება გადადეს, ბინა ვიშოვე, რეცენზიები კარგია. 1951. 28. XII, მოსკოვი“.

„მიშა, როგორც იცით, მიჯაჭკუ-

ლია თავის მაგიდასთან. გურამი დადის უნივერსიტეტში. მუშაობითაც მუშაობს. ძალიან შეუყვარდა საჯარო სამკითხველოში ჯდომა, იქ ხელზე ყველა წიგნი მაქვსო. ძვ. აღმ. ისტორიას გერმანულად კუთხულობს, ძალიან მკაყოფილია ბევრი ახალი, საინტერესო სიტყვები გავიგეო. მარინეტე კარგად არის. დადის თავის სკოლაში და მუსიკაზე. საქმე თარგად არის, ზემოთები კარგად არიან“.

„ახლაც დარდადა მაქვს ნატაშას ისეთი შეწუხება გურამის ამხანაგების გამო, მე შეგონა, ეს იყო უბრალო ექსკურსია და მანდ ეს მთელი ქიფი გამოვიდა. ჩვენები კარგად არიან, ზევითებიც და ლეოს ოჯახიც. მარინე უკვე მშვენივრად უკრავს. გურამს ჰქონდა მოხსენება პიონერთა სასახლეში: „ძველი და ახალი ზევსურეთი“. მარინემ კი დაუკრა კონცერტზე და ზუთი მიიღო“. 1950 16/XI.

„ბანოში ვიყავით, მე და მერინეს ცივი ნომერი შეგვხვდა, „დღუშის“ ქვეშ მარინე სასწრაფოდ ვახანავე, მე ცოტა შემცივდა. იქიდანვე შეციებული წამოვედი სახლში. მოვედი, ქარიც იყო და მთელი სარეცხი გართა მქონდა. ჩამოვიდე. ალბათ, ბედი იყო, თორემ სხვა დროსაც ბევრჯერ გამიკეთებია ესე, დილით ბავშვები სკოლაში გავისტუმრე და, რასაც ვხედავ, სახე მომედრიცა, და ტურნებზე დამბლასავით გადამიარა და გრძნობს წამერთვა... სიღამებლე სახის ნერვის“.

დედა მაშიდა ნაშატას: „პალტო არა მაქვს, თორემ ერთი-ორი დღით ჩამოვიდოდი. ...სტუმართმოყვარე ხარ და გეკუთვნის დიდი აივანი... ოღონდ ბევრი მურაბები გჭირდება, იცოდე, ვაი შენი ბრალი“.

„მიშა ძველებურად განაგრძობს მუშაობას. გურამი კმაყოფილია თავისი დარგით“.

„ამ ფულის საკითხებში ისეთი თარსიანები ვართ, სანამ არ დავინახავ, არ მჯერა“.

„გურამი სტუდენტი დადის უნივერსიტეტში. დილის 8 საათზე მიდიან გურამი, დათო, დალი, ავი, გივი... ძალიან

მოსწონს მელიქიშვილის ლექციები ძვ. აღმოსავლეთში. ნელ-ნელა შეუდგა მუშაობას. ამუშავებს ლექციებს. პირველი დღეები კი სულ სიარულში და ვიზიტებში იყო. მარინეს გადაყვანაზე დიდი შრომა დამჭირდა. თამრიკო აბაშიძემ მიშველა“.

„შალიკოს ვურჩევთ, სიღარიბე, ცოტა სიღარიბე არჩიოს. იმეცადინოს კარგად, რომ სტიპენდია აიღოს. 100 მან. როგორმე ჩვენ მოუხერხებთ, ასი ლეო რომ შეძლოს, რა ვიცი, იქნებ როგორმე გაიტანოს თავი. თქვენი ცხოვრებაც უფულოა და დარდიანი. მიშა გადატვირთულია სამუშაოებით, დალაპარაკების დრო არა აქვს. ზემოთები კარგად არიან“.

„ჩემი გურამი ლამის არის გააგიჟოს მაგ ლავროსიმ. ახლაც არ ასვენებს. ქართულ თემაში შარი მოსდო, ერთი წინადადება რაღაც პოლიტიკურად გაუმართლებელიაო; გურამს მოუხდა კომისიაში თავისი აზრის დამტკიცება. მოუტანა შესაფერისი წიგნიც - საბჭოთა ენციკლოპედია, სადაც სიტყვა-სიტყვით იგივე ამოიკითხეს. ხომ იცით გურამი როგორი ნერვიულია, ამას ყველაფერს განცდა უნდოდა, საბოლოოდ ყველაფერი მიიღეს. ნიშანი კი, არ ვიცი, რა აქვს. როცა ოლქი დაამტკიცებს, მაშინ გავიკებთ. ზეპირებში კი სულ 5-ები აქვს. ჯერჯერობით ვნახოთ, ბოლო რა იქნება. მუშაობს, რაც თავის ძალას აღემატება. საყვედურს ვერ ვიტყვი. მთავარია, გაუმართლდეს საერთოდ, როგორც იცით, სკოლის ატმოსფერო მძიმე აქვს. მეც, რა თქმა უნდა, განვიცდი გურამის ყველა დეტალს. მარძნეს კი არავითარი გაუგებრობა არა აქვს... დათო და დალი, ალბათ, ოქროს მედალზე გავლენ“.

„მიშა დღე და ღამეს სულ წერაში ატარებს“.

„გურამა სიციხიანმაც ლოგინში ბევრი იმუშავა. ვნახოთ, რა იქნება. ეს არის წელს თავისი ალპინისტობა აკრძალული აქვს“.

„დავიწყეთ ჩემი შტატიდან: დოქტორანტი მიშა, სტუდენტი გურამი და

მოწაფე მარინე კარგად არიან. სამუშაო სამთავეს ბევრი აქვთ. მუშაობენ. მეტადრე მიშა ჩაიფლო პირდაპირ თავის მაგიდასთან... აუარებელი დრო ეკარგება სახელგამში... ჩვენი ბედი ფულის საკითხში. მიშას ვუბნებოდი, ნეტა ბანკი სულ არ დაკეტონ ან რამე არ მოხდეს-მეთქი. ვალი და ვალი“.

„გურამის ავადმყოფობას და სიცხეს ვერ ვირდვენ. ეს ორი კვირაა დიდი სიცხეები აქვს“.

ასეთი იყო ჩვენი ყოფა, ჩვენი საოცრებებით და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება, ჩვენი ზეიმები, ჩვენი დღესასწაულები: ახალი ფარდა, რადიო, რომელშიც, როგორც მალევე გაირკვა, უმეტეს წილად ლაპარაკობდნენ. გრძელი გზა ელენა გეორგიენამდე სანაპიროს გავლით. შემწვარი კატროფილი, რომელიც ბოლომდე შევჭამე და დედას გახარებული სახე. ერბო-კვერცხი, რომლის ჩუმად გადადებდა მოვახერხე გურამის თეფშზე, როგორც კი დედა მიტრიალდა, და რომელიც გურამმა ჩემი ხართით მაშინვე გადასანსლა. ძეხვის ბუტიერბოდი და თითო ჭიქა ღიმონათი ბალნეოლოგიურში, ავადმყოფობის მერე გამოჯანმრთელება. მერე დედამ იშოვა პროცენტის ვალი და გაისტუმრა გურამის გერმანულის ფული. ბუდად, ჩამოიარა „ბუტილიკი პოკუპაი“-მ. დედამ გაყიდა ბოთლები და გამოვიციხო ხატაპური, ლუსიკამ ადრევე დაუჭირა ნავთის რიგი და შეძლო რამდენიმე ბოთლი ნავთის მომარაგება. ვილაცამ აჩუქა ნავთქურისათვის 'პატრუქები, ძია გიორგიმ კი „დახურული“ ერთი ტალონი, რომლითაც იყიდა ღამის პერანგი. გურამმა პიონერთა სასახლეში ზეპირად წაიკითხა მოხსენება. დედა კიდევ ერთხელ დაიბარეს ნერსესოვთან, ჩაერია კოტრიკაძეც. მაშამ ჩამოიტანა უამრავი მწვერი და სადილად კარგ ხანს მწყრის ტაბაკები გვაქვს. დედა „სტარი ოდიოჟდ პოკუპაის“ მიყიდა რაღაც და ჩემი მუსიკის მასწავლებლის ერთი თვის ვალი გაისტუმრა. მერე ერთხელ ჩემი დაბადების დღე, 9 დეკემ-

ბერი, გადავიხადეთ მწყრის ტაბაკებით, კურდღლის საცივით და კაკის ჩახოხბილით. მერე მამამ ჩამოიტანა ნანადირევი ეშვებიანი ტახი. დავაბასტურმეთ და დედას იმედი აქვს, რომ კარგა ხანს გვეყოფა.....

ზეიმებს მიეკუთვნებოდა ის დღეები, როდესაც ჩვენთან სტუმრად მოდიოდა დედას ბიძაშვილი ძია ვალოდია კიკნაძე, რომელსაც დედა გავიჟებით უყვარდა. დედა იხსნიდა წინსაფარს, უცნაურად, ახალგაზრდულად იდიმებოდა, ჯდებოდა პიანინოსთან და იწყებდა რომელიმე რომანის დაკვრას, ძია ვალოდია კი, რომელიც მომღერალი იყო — სიმღერას. მერე ძია ვალოდია იცინიდა და აქებდა დედას და ორივე იცინოდა. მერე დედა ისევ უკრავდა რაღაც სხვა სიმღერას ახალი კინოფილმიდან. ძია ვალოდია ისევ მღეროდა, ისევ აქებდა, მერე ორივენი ისევ კოცნიდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ.

ასეთი იყო ჩვენი ბავშვობა.

რა იყო ის თვისება, რითაც გამოირჩეოდა გურამი ბავშვობაში, რაზეც წერს დედაჩემი თავის მოგონებებში, რაც ახსოვს ყველა ახლობელს და რაც შემდეგ, უკვე სხვა ხარისხებში ტრანსფორმირებული, მთელი ცხოვრება წარმოადგენდა მის თვისებურებას?

ეს იყო საოცარი მოუსვენარი, დაუდგრომელი ხასიათი, რასაც ბავშვობაში სიცელქე ჰქვია და რის გამოც უფროსები გურამის დახასიათებისას ყველაზე ხშირად ხმარობდნენ სიტყვას „ვერცხლისწყალივით“. სხვათა შორის, აი, ეს სიცელქე, მოუსვენრობა, რაც მშობელს აიძულებს სულ მზადყოფნაში იყოს, არ შეანელოს რეაქცია შვილის მოულოდნელ გამოხტომებზე, აგრეთვე, მუდმივი ზრუნვა შვილის მოსათვინიერებლად, გასაჩერებლად, დასაწყნარებლად, გადასარჩენად, დედაჩემისათვის გურამის ბუნების გამო, იქცა ნორმად, დადებით თვისებად, საქებრად და, როდესაც დაიბადა ჩემი შვილი, რომელსაც ბიძის საპატივცემულოდ გურამი

დაეარქვით და როდესაც დეამ ის პირველად აიყვანა ხელში ჯერ კიდევ სამშობიარო სახლში, მაშინვე ვიგრძენი დედაჩემის გაუთვთლცნობიერებელი სურვილი — პატარა გურამი ყოფილიყო ბიძასავით ცელქი, ვერცხლისწყალი, დაუდგრომელი, მოსათვინიერებელი, მოსარჯულბეული, ანუ ისეთი თვისებების მქონე, რაც ფაქტიურად მისთვის ყველაზე ძნელი იყო თავისი შვილის აღზრდისას და რისგანაც თვითონ დედა ყველაზე მეტად იტანჯებოდა. მახსოვს ჩემი მაშინდელი შეგრძნებები და დედაჩემის სიტყვები სამშობიარო სახლის პატარა ცალკე ოთახში, რომელიც ხმაძალა, ოღონდ უმისამართოდ ნათქვამი, შინაგანი დინებებიდან მოწყვეტილი, სრულიად უადგილოდ გამოიყურებოდა: „რა საოცარია, არა? ზოგი ჭკვიანს ეძახის ბავშვს, რომელიც არ იმძრევა, რომელიც ცელქი არ არის!“

საინტერესოა, რომ ჩემი ძმის ამხანაგებიც თავისდაუნებურად იგივე მოთხოვნას უყენებდნენ პატარა ბავშვს, რომელსაც ბიძის სახელი ერქვა, „ნახე, რა ცელქია! ერთ წუთს არ ისვენებს ბიძამისივით“, გახარებულები ამბობდნენ ისინი. ზოგი სწორედ ამ სიცელქის ნიუანსებში ხედავდა განსხვავებას. დედაჩემი ამ სიცელქის შესახებ ბევრსა წერს თავის მოგონებებში: „გურამი მოუსვენარი, მეტისმეტად სიცოცხლით სავსე...“ „...მე კი შემძლია თამამდ ვთქვა, ესეთი საინტერესო და თანაც ესეთი ძნელად გასაზრდელი ახალგაზრდა ძნელად იბადება. გურამი დაიბადა თუ არა, ისეთი მოძრავი და მოუსვენარი იყო, ერთ წუთში უანგარიშო ფორმას იცვლიდა, ტირილი ზომ საკითხავი არ არის — შეეძლო 24 საათი გაბმით ეტირა“. „მართლაც, გურამმა მთელი ოჯახი გამოაფხიზლა: ისეთი ამბავი ქონდა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. დიდი სიხარულით მშველოდა საწყალი დედა (ბებო ანეტა). მე არც კი მანებებდა ჩემ შვილს. მთელი სიმძიმე მოვლისა ბებიას და ბაბუას ქონდათ...“ „სალამოთი გურამის დაძინებაში მთელი ოჯახი

იღებდა მონაწილეობას — ბაბუა, ბებია დეიდა, ბიძია; როცა გურამი დაიძინებდა, ძლივს ვიდევით ფეხზე, თუმცა გეგმით, გურამი ისე უნდა დაგვეძინებინა, ტარებას არ უნდა მიჩვეულიყო, მაგრამ გურამის ხასიათმა ყველაფერი დაგვაიწყებინა...”

„მამა გურამისა ისეთი დინჯი კაცი იყო, ყველაფერს ადვილად უყურებდა. გურამის აურზაური, რაზედაც მე დიდი რეაქცია მქონდა, მიშასათვის არაფერი იყო. მუდამ გაუნძრევლად იჯდა თავის მაგიდასთან და წარბშეუხრელად მუშაობდა, ხანდახან თუ დანახავდა, რომ გურამის ტირილი და მოუსვენრობა გადაჭარბებდა, სავარძლიდანვე იკითხავდა „რა იყო, რა ამბავი აქვს მაგ ბიჭს“ და ისევ განაგრძობდა მუშაობას...”

„გურამი ჩქარა გზმოეშვიდობა ამ დამშვიდებულ ფორმას და ნელ-ნელა შეუდგა ცელქობას, ხშირად უსაყვედურებდნენ...”

„სწავლაში მუდამ მუყაითი იყო, მაგრამ სიცელქისათვის ხშირად მიბარებდნენ სკოლაში...”

„ტოლ-ამხანაგებში ცელქობას ხშირად გაკვეთილებზედაც განაგრძობდა. რაც მუდამ იწვევდა უდისციპლინობას...”

„გურამი ისე იზრდებოდა და მწიფდებოდა, მაგრამ ეს სიცელქის და ცოტა დაუდევრობის ჩრდილი თან მიყვებოდა მე-10-11 კლასის მოსწავლეს. ბევრი უსიამოვნება შეხვდა თავისი მოუსვენარი ხასიათის გამო, ბევრჯერ მიტირია გურამის მასწავლებლებთან, როცა მასწავლებელი გურამის უდისციპლინობაზე მიმითითებდა...”

„მაგრამ ეს ბავშვობიდან სადღაც ჩაბუდებული, როგორა ვთქვა, დაუდევარი თუ მოუსვენარი ხასიათი, დროდადრო ისევ გაღვივდებოდა...”

როდესაც დედაჩემი ჩემ ბავშვობაზე ლაპარაკობდა, ჩემ სიდინჯოზე, ჩემ თვისებაზე, რომ შემქმნლო ერთი და იგივე პოზაში საათობით ვმჯდარიყავი, კერასოდეს ვერ გამეგო, მაქებდა დედა

თუ პირიქით. ამიტომ დიღობაშიც უხერხულად ვიშმუშნებოდი ხოლმე, ვცდილობდი, დედას სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი, როდესაც თავისი შვილების კონტრასტულ დახასიათებას იწყებდა: „შვიდი წლის გურამს ყავდა უკვე სამი წლის და მარინე, მეტისმეტად დინჯი და ადვილი გასაზრდელი გოგო“. დედა ახლაც ასე ყვება: „მარინე ისეთი ადვილი ბავშვი იყო... როგორც მუთაქას, სადაც დავღებდი, იქვე დამხვდებოდა გაუნძრევლად...”

„დავვარცხნიდი, გადავუჭერდი ბაფთას, ღაცვამდი ტახტზე, შემოვუწყობდი ბალიშებს, ვეტყვოდი — მარინე, აი, ასე იჯექი, არ გაინძრე... მერე შემქმნლო მთელი დღე ჩემი საქმე მეკეთებინა“. ასე აგრძელებს ხოლმე დედა ჩემს ქებას თუ გამტყუნებას. მერე კი, უფრო იშვიათად, დედას უყვარს სულ სხვა რაღაცის გახსენება: „ო, რა ძნელი დასავარცხნი იყო მარინეს ზვეული თმები. ეს იყო მთელი პრობლემა!“ აი, ასეთ შემთხვევებში კი ვიცი, რომ დედა ნამდვილად მაქებს. ჩემი ზვეული თმა, რომელზეც დედა ჩაის წყლით და რკინის სავარცხლით ყოველდღე იმარჯვებდა ჩემ ვაი-ვიშში, ძლიერად მვარცხნიდა და მერე ერთი მიმართულებით კულულებად ახვევდა, მინათლია, მხოლოდ რაღაც მოშენტში, მაგრამ მაინც უტოლდებოდა გურამის სიცელქეს.

გურამი იყო ძალიან ცელქი, მილიონ ფორმას იცვლიდა ერთ წუთში, მილიონ მდგომარეობას, სულ ბეწვის ხიდზე გადიოდა, შექმნო ხის კენწეროზე ასულიყო და ფოთლის წვერზე მოკალათებინა (გურამის ეს ფოთოლზე მოკალათება ახლა გაახსენდა დედას, როდესაც ჩემი ძმის შვილიშვილმა 3 წლის ტახიკომ, მაღალი, ოთხკუთხა მაგიდის წვერზე მოკალათა გაშლილი წიგნით ხელში). გურამის ერთ-ერთი, პიონერთა სასახლეში შექმნილი მეგობარი ქალი იხსენებს: „მასხოვს გურამი, როდესაც პირველად მოიყვანეს სასახლეში დედა ირინესთან. ძალიან პატარა, ქერა, ზვეული თმებით. დედა



მაროს ხელი ჰქონდა ჩაჭიდებული, გეგონება, ემინოდა არ გაიქცესო. მახსოვს, როგორ უთხრა დედა ირინეს— ძალიან ლექცია, მინდა თქვენთან ერთად გამოვიშვა ექსპედიციაში და თან მეშინია“. დედა იხსენებს, როგორ არიგებდა გურამს, როდესაც მზია ერისთავს მიყავდა ექსპედიციაში, როგორ უყვებოდა მზიას სიმკაცრეზე, რომ თუ დინჯად არ მოიქცევა, არ წაიყვანს, უკან დააბრუნებს. „ბევრჯერ გაუშეორე ერთი და იგივე“ აი, სულ ახლახან მომიყვა დედა: „თითქოს ყური დამიგდო კიდევ. შერე ჩაუღაპე ყველაფერი, გავაცილე, გავისტუმრე, და ცოტა ხანში, ვხედავ, თავისი რიუკზაკით მობრუნდა უკან: „დედა, შენ გულთმისანი ხომ არა ხარ, მართლა უკან გამომისტუმრა“. მოგონებებშიც იხსენებს დედა ამ ეპიზოდს: „გურამმა მზია ერისთავთან ერთად ბევრი იმოგზაურა, თუმცა ერთხელ მზიამ გადაჭარბებული სიცხელქისათვის გზიდან სახლში მოაბრუნა თავმომწონედ მოწყობილი მოგზაური...“ აღარ წაიყვანა მზია ერისთავმა, რადგან გურამმა ქალაქიდან გასვლამდე მოასწრო გაეცნო მზიასათვის თავისი თავი, რომელიც ერთ ადგილზე დგომას ვერ ეგუებოდა.

გურამი იყო ძნელად აღსაზრდელი ბავშვი, მოსათვინიერებელი პატარა, გაუხედნავი კვიცი და ყველა მართალია, როდესაც გურამის სალამურა-თვითთვილებში მწერლის ავტოპორტრეტს ხედავს. აი, ეს მდინარება, „ცოცხლობა“, თითქოსდა მოუხელთებელი ფორმა, რომელიც იქმნება უფრო სულის ცეცხლოვანი წვით, ვიდრე მატერიალური სხეულით, ჩემთვის ძალიან კარგადა ჩანს ჩემი ბავშვობის მეგობრის ესმა ონიანის მიერ შესრულებულ ნახატზე, რომელიც თითქოს გურამის ანთებულ სულს აცოცხლებს ჩვენ უფანჯრო, ბნელ ოთახში. და უცნაურია, რომ ეს სურათი ჩვენი დიდი ოთახის კედელზე მოულოდნელ გარემოცვაში აღმოჩნდა.

რამდენიმე წლის წინ ამ ჩვენს სასტუმრო-სასადილო ოთახში დაკვიდე

ძველებური გობელენები, რომლებიც ჯერ კიდევ ლარსის ქუჩაზე ცხოვრების დროს გადმომცა ბებო საშას მეგობარმა კაცმა, ალექსეი პავლოვიჩ კელერმა. კელერი იყო მხატვარი, მუსიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და თან, როგორც ერთხელ თვითონ მოგვიყვა, ერთ დროს უნიკალური კოლექციის პატრონი. კელერი წარმოშობით პეტერბურგიდან იყო და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში პეტერგორფში მუშაობდა საქონელმცოდნედ. მის ხელში არა ერთმა და ორმა უნიკალურმა ნივთმა გაიარა. მას უფლება ჰქონდა, სურვილისამებრ შეესყიდა ის ნივთები, რომელთა ორეულიები მუზეუმს უკვე გააჩნდა ან ის ნივთები, რომელთაც თუნდაც სულ ოდნავ ხინჯის გამო მუზეუმში არ იღებდნენ. კელერი თავის კოლექციას ავსებდა საკომისიო მალაზიებიდან და კერძო კოლექციებიდანაც. ომის დაწყებამდე ერთი-ორი წლით ადრე ის გადასახლეს, მაგრამ კოლექციის გარკვეული ნაწილის გადამალვა მოუსწრია. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კელერი ცხოვრობდა თელავში, რადგან დიდ ქალაქში ცხოვრების უფლება არა ჰქონდა და იქ დაუმეგობრდა ბებოჩემს. ჩვენ ბებოს გარდაცვალების შემდეგ სწორედ კელერისაგან შევიტყვეთ, რომ ჩარსკაიას რომანის „Княжна Джаваха“-ს გმირი ქალის პროტოტიპი ყოფილა ბებოჩემი და მწერალ ქალს რომანისათვის ასეთი სათაური ბებოს საპატივცემულოდ მიუცია (ჩარსკაია სწავლობდა თურქულ ბებოსთან ერთად ფრანგულ კოლეჯში) და ამის შესახებ თვითონვე მოუყვა ერთხელ ბებოს. მახსოვს მსხვილი, ძველებური რუსული შრიფტით დასტამებული, დაფურცლილი, ნახატებიანი წიგნი, რომლის ყდაზე, მე მგონი — ხეების ფონზე, ეხატა პატარა, ყოჩაღი გოგოს პორტრეტი. ჩარსკაიას ეს რომანი, მის სხვა რომანებთან ერთად, ჩვენს სკოლაში ხელიდან ხელში გადადიოდა. შეიძლება, ბებოს მაშინ გაახსენდა ეს ამბავი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს დაინახა, რომ ამ რომანის წასა-

კითხვად თელავის სახლის აივანზე მოვი-
კალათე და, ალბათ, მაშინვე მოუყვა ამის
შესახებ ალექსეი პავლოვიჩს, რომე-
ლიც ჩემგან ცოტა მოშორებით ბე-
ზოსთან ერთად მოაჯირთან მიდგმულ
გრძელ მაგიდასთან შუადღის საუბრეს
შექცევოდა.

კელერის მიერ გადმოცემული ეს
გობელენები, წლების განმავლობაში
სუფთა ტილოში გახვეულები, იღო დი-
დი, უხმარი ჩემოდნის ძირზე და მათი
არსებობა ჩვენ სახლში ყოველთვის მხო-
ლოდ რაღაც მოუსვენარ შეგრძნებას
ბადებდა ჩემში, რადგან არ ვიცოდი, რა
უნდა გამეკეთებინა მათთვის. რაღაც-
ნაირად არ მსიამოვნებდა, რომ ისინი
ასე დაკეცილები, სხვისი თვალისაგან
აღუქმელები, იმალებოდნენ ჩემოდან-
ში. მერე უეცრად, გურამის პორტრეტის
მოტანამდე არც ისე დიდი ხნით ადრე,
ამოვიღე ისინი ჩემოდნიდან, გავშალე
და საოცრად მიმიზიდა ამ გობელენების
სიძველემ, ფერთა შეხამების ნიუანსებ-
მა, ფორმამ. აშკარა იყო, რომ თითოეული
იყო ხელოვნების ნიმუში, სულ სხვა-
დასხვა საუკუნეში, სულ სხვა ადაშია-
ნების მიერ შთაგონებით, გულიანურით,
ცოდნით, გემოვნებით შესრულებულ-
ამოქარგული. გამახსენდა კელერის კო-
მენტარები, ოღონდ სრულიად მექანიკურ-
რად, თუ თავის დროს რომელს რა და-
ნიშნულება ჰქონდა, რა ფუნქცია. რომე-
ლი რომელ საუკუნეში იყო შესრულებუ-
ლი. შემდეგ დედაჩემს ვთხოვე, გაეკეთე-
ბინა თითოეულისათვის პატარა ყულფები
და ამ ყულფებით, ერთმანეთისაგან გარ-
კვეულ მანძილზე დაშორებით, ჩამოე-
კიდე ისინი კედელზე, ჩემი ძმისა და
პაპაჩემის ახალგაზრდობის ფოტოსუ-
რათებს შორის.

აი, ახლა, ამ წუთას, როდესაც ჩემ-
მა გონებამ და ფიქრმა სრულიად მოუ-
ლოდნელად ჩვენი ამჟამინდელი დიდი
ოთახისაკენ გადაინაცვლა და როდესაც
ის გობელენები გავიხსენე თავიანთი
ფორმით, სიძველით, კელერით, პირვე-
ლად გაიხსნა ჩემთვის მათი შინაარსი,
ის შინაარსი, რომლის გადმოსაცემა-

დაც იყვნენ ისინი ასეთი ოსტატობით
შესრულებულნი. ამ ამბავმა კიდევ ერ-
თხელ დამარწმუნა, რომ ადამიანის
ცხოვრებაში, ძალიან ხშირად, შემოდის
რაღაცა ფორმა, სხეული, ფაქტი, სიტ-
ყვა, რომელიც დროთა განმავლობაში,
თითქოს ყველაფრისაგან დამოუკიდებ-
ლად, ივსება შინაარსით. ცხადია, ეს
შინაარსი ჩვენგან აღუქმელი, თავიდან-
ვე დევს მათში. მაგრამ ადამიანს თუ
ღვთის წყალობაა, ის მხოლოდ „ეპიფა-
ნიურ“ (საეკლესიო ტერმინი საერო
მნიშვნელობით ნახმარი ჯეიმზ ჯოისის
მიერ) მომენტებში, ეხსნება, რომ-
ლის დროსაც, ერთი შეხედვით სრუ-
ლიად ჩვეულებრივი უინტერესო სხეუ-
ლის არსიც კი შეიძლება „გაბრწყინ-
დეს“, „გახსივოსნდეს“ მთელი სისავსით.
გავიახრე ამ გობელენების შინაარსი
და ისევ დამუფლა ახალი ფიქრი, რო-
მელიც წინას მიყვა. აი, თურმე რას ემ-
ყარებოდა ჩემი შეგრძნება, რომელიც
ბავშვობიდანვე ამეკვიატა და რასაც რა-
ღაცნაირად სხეულითაც, ფიზიკურადაც
კი ვგრძნობდი: ვიცოცხლებ ძალიან
დიდხანს, გავივლი ყველა ასაკს. მახ-
სოვს, მიყვარდა კიდევ ეს თემა ჩემ ზო-
გიერთ ამხანაგთან საუბრისას: მოხუცე-
ბულობისას როგორ გავაკეთებ ამას და
ამას, როგორ ვიჯდები, რას ვიტყვი,
როგორ გავიხედავ, როგორ გავივლი,
როგორ დავვიძინებ, როგორ გავიღვი-
ძებ... რაც ისევ, მაშინ, რაღაც დინე-
ბებს მოწვევტილი, ჩემთვისაც კი იქნე-
ბოდა ან კომიკური, ან პოზიორული თუ
არა: რეალური, ფიზიკური შეგრძნება
ჩემი ასაკის ხანგრძლივობის და მისი
სიკეთის. ვგრძნობდი, რომ ჩემთვის,
უბრალოდ, აუცილებელი იყო ყველა
ასაკის გავლა, ყველა ასაკში ცხოვრება
და რომ ყველა მომატებული წელი იქ-
ნებოდა სიმშვიდისაკენ, ქაოსური გონე-
ბის, გაურკვეველი ვნებების დაწმენდი-
საკენ და ძნელია, ალბათ, ამის დაჯერება,
მაგრამ ჯერ კიდევ 17-18 წლის ასაკ-
ში რაღაცნაირად დარწმუნებული ვიყა-
ვი მოხუცებულობის სიკეთეში და ამი-
ტომ თითქოს იმ დროს, რომელიც ახ-



ლა, ალბათ, არც ისე შორსაა, ხალისით და იმედითაც კი შევეცქეროდი. და მართლაც, თუ არა ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობა, თუ არა ჩემი სრულიად მოულოდნელი ვალდებულება, ეს სრულიად მოულოდნელი გადაულახავი სურვილი: მივყვე ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედებას, თუ არა ჩემი ასაკი, თუ არა ჩემი შვილების და შვილიშვილების თვლებში და სიტყვებში გამოვლენილი ჩემი ბუნდოვანი, ქაოსური შეგრძნებები, თუ არა მათი ძილი, მათი გაღვიძება, მათი მიმოხრა, მათი სიჯიუტე, მათი დარდი, მათი სიხარული, მათი ურთიერთობები — საოცარი სკოლა, რომელიც მე მიხსნის ჩემს სულს ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ, რომელიც რეალობას ანიჭებს ჩემს შეგრძნებებს, მაძლევს ძალას, საფუძველს, მწვეს წინ — სამუდამოდ სიბნელეში დარჩებოდა ყველაფერი. რადგან ის, რაც ზედაპირზე ამოდის თანდათანობით და თან უეცრად, ნახტომებით, არის ძირითადი, არის ის, რაც მნიშვნელოვანს ხდის ყველაფერს ხილულს, ჩვენ ყოფას, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას.

რა არის გამოსახული ამ გობელენებზე და რისთვის იხმარებოდა ისინი? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რადგან ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ისინი წმინდა ნივთებია, ანუ მათზე გამოსახულია მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდენი. ის, რომელიც კიღია ჩემი ძმის სურათის მარჯვნივ, პეტრე დიდის ეპოქისაა, მასზე დებდნენ ეკლესიაში საღვთო წიგნს. ამ გობელენის მთელ სიგრძე-სიგანეზე ამოქარგულია ჯვარი. მთლიანად გობელენს ალისფერი იერი აქვს, ცეცხლოვანი. რაც ფერში ასე შეესაბამება ჩემი ამხანაგის ნახატს. ჩემი ძმის სურათის მარცხენა მხარეს მოთავსებული გობელენი კი საოცრად მშვიდი, რაღაცა ბაცი, ფერმკრთალი მწვანის ნიუანსებითაა შესრულებული, რომელიც ხან ღია მომწვანო ჩალისფერში გადადის, ხან ბაც მონაცრისფრო-მწვანეში, ძირითად

ნაწილში კი მთლიანად იბრუნებს უნახეს მწვანე ფერს. მასზე ამოქარგულია ღია მონაცრისფრო-მოქროსფრო წმინდა ემბაზი, რომელიც აქეთ-იქიდან ხელთ უპყრიათ ანგელოზებს და რომელშიც სხვა ანგელოზები ჩვილ ყრმას აბანავენ. ეს არის გობელენი, რომელსაც შეგიძლია არც შეხედო, ის თითქოს თავისთვის არის წყნარ ნათებაში, არფის ზეციურ ხმებში გახვეული. ჩემი ძმის ფოტოსურათის გვერდითა და კუთხის კედელზე კი კიღია მესამე გობელენი ჩალისფერ-ოქროსფერი, ისევე მთელ სიგრძე-სიგანეზე ჯვრის გამოსახულებით. ამ გობელენების ფუნქცია, რომელიც ოცდაათი წლის წინ ამიხსნა ბებოს ამხანაგმა და რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, ზუსტად არ მახსოვს. როდესაც მხატვარმა ერთ მშვენიერ დღეს თავის მიერ ცეცხლოვანი ფერებით შესრულებული ჩემი ძმის პორტრეტი მოიტანა, ამ გობელენებს, ამ წმინდა ნივთებს, რაღაცნაირად, ჩვენი დიდი ოთახი უკვე განწყობით მის მიხალეზად. სხვათა შორის, მახსოვს, მთელი საათი ხან ახლოდან, ხან შორიდან, ცალთვალმოჭუტული მხატვარი როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება პარმონიული გამოსულიყო ის ექსპოზიცია, რომელიც გარე სიუჟეტურ ხაზში, სრულიად შემთხვევით, თითქოსდა ჩვენგან ჩაურეველად გაკეთდა ჩვენი დიდი, უფანჯრო ოთახის დამრეც კედელზე და რომლის დომინანტსაც წარმოადგენდა ეს პორტრეტი. სხვადასხვა წლებში ეს ექსპოზიცია უცვლელი ფონი იყო ფეხზე წამომდგარი სამი წყვილი ნეფე-პატარძლისა (ხათუნა-გურამი, ია-არჩილი, წინო-ვახტანგი), რომელთაც საქორწინო სუფრაზე შეკრებილი ხალხი ქორწინების დღეს ულოცავდა.

თავიდანვე იყო ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანი მხატვრის მიერ შესრულებულ ამ პორტრეტში, რომელზეც გამოსახულია ჩემი ძმა თითქოს მდინარე-ბაში; სრულიად ახალგაზრდა, მთლიანად ღია უსხეულო, შემოუსაზღვრელი, და-

უსცველი ფიზიკური, მატერიალური სხეულითაც კი, ცეცხლის ალში გახვეული, გახელილი ცინცხალი თვალებით, ჩემი, უსიტყვო, თითქოს რაღაცის გაკეთების თუ თქმის წინ წამით, წუთით შეჩერებული, რაღაცა არა კატეგორიულის, არა მნიშვნელოვანის, უბრალოსი. ამ წამით არის ის გადასული მარადისობაში („წუთი ეს ხომ გარდამავალი საფეხურია, ა?“ – გურამის დღიურებიდან). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს „რაღაცა“ მხოლოდ სისავესიგან გადმოიღვარა გარეთ. ვუყურებ სურათს და უმეტრად ვხვდები, რატომ იქცევა გურამის თითქოსდა უმნიშვნელო სიტყვა ზოგადად, იგავად, ალეგორიად, მითის გატოვებულად. ეს ხდება იმიტომ, რომ მისი სიტყვა იღვრება შიგნიდან გარეთ მხოლოდ სისავესიგან, იღვრება გარეთ ისეთი სიღრმეებიდან რომელში ჩაძირული სიტყვებიც ცილდება ერთი ადამიანის ცნობიერების ფარგლებს და შეეხება ყველას, ყველა ადამიანის კუთვნილებას წარმოადგენს.

ამ სურათის გვერდით ჩამოკიდებულ ერთ გობელენზე ასევე ცეცხლის ალშია გახვეული ქრისტეს ჯვარი, უდიდესი სიწმინდე; ხოლო მეორეზე კი – გამოკვეთილი ხაზებით, მშვიდად, წყნარად აბსტრაქირდება ბიბლიური იგავი, ზოგადობა, სიმბოლო, მოდელი, რომელიც ყოველთვის ახლიდან და ახლიდან შეივსება სხვადასხვა კონკრეტული შინაარსებით, სხვადასხვა კონკრეტული განხორციელებებით, სიცოცხლეებით. იყო რაღაც უცნაური კავშირი ამ უაღრესად სუბიექტურ პორტრეტსა, ფაქტიურად, მხატვრის შთაბეჭდილებასა და უაღრესად აბსტრაქტულ ხელოვნების ნაწარმოებს შორის, რომლის შემოქმედი, აპრიორულადაც არ იგულისხმებოდა, რომ საინტერესო იქნებოდა როდესმე. ამას, ალბათ, ხელს უწყობდა ფერწერისა და ნაქარვის, თვითონ მასალის სხვადასხვაობა და თავისებურებაც, რომ არაფერი ვთქვათ მათ ფუნქციაზე.

ახლა, როდესაც ერთად აღვიქვამ

მთელ ექსპოზიციას, უკვე ვიცი, რას მიმანიშნებს ის: ჩემი მძა, ჯერ კიდევ ჩვილი ყრმა, ასე აბანავს წმინდა ემბაზში ანგელოზებმა, ასე შევიდა მასში ქრისტეს იმპულსი, ყოვლისმომცველი სიყვარულის ძალა, თავდაპირველად, ალბათ, მის მიერვე გაუთვითცნობიერებელი, ჩაძირული, რომელიც რომელიც წელს დაიძრა მასში, აგზავნდა, ცეცხლივით ააღდა, როგორც ამ სურათზეა გამოსახული, და 1956 წლის ადრე გაზაფხულზე სისავესიგან გადმოიღვარა სიტყვად.

აი, ამონაწერი ჩემი ძმის ერთ-ერთი პირველი დღიურიდან, რომელშიც სიყვარულის სემანტიკური ველი აერთიანებს თითქმის ყველა სიტყვას, რომელიც ცეცხლთანაა დაკავშირებული:

„... ამ სიყვარულით გამოწვეული ხანძარი ნელ-ნელა ქრება ჩემს გულში. მაგრამ მაინც ღვივის, რაც დარჩა, მოკაშკაშე ნაღვერდალია, ესაა თვით სიყვარული, შიშველი სიყვარული, რომელიც ისევე აუცილებელია ჩემი გული-სათვის როგორც კოცონისათვის საწვავი. ახლაც ღვივის გული ნამდვილი სიყვარულით, მაგრამ ეს ცეცხლი არაა, მას ალი აკლია. სამი წელი ამ ნაღვერდალს საწვავს უმატებდა და აალებდა... ახლა ჩემი გრძნობა ვეღარ იღებს მისგან საალო მასალას. თვითეული ღამა-ში გოგოს დანახვა სწრაფად წყალს ასხამს – ეს ნამდვილი საწვავი არ არის, რომელსაც წყალი ჩააქრობს. დღესაც ნაპერწკალივით იფეთქა და მუგუზლებს ცეცხლი მიემატა, როდესაც ნაცნობი... გოგო დაინახე... ერთს კი ვიტყვი – სანამ ვიცოცხლებ, ღმერთმა ნუ ქნას ეს მოგიზგიზე მუგუზალი, რომელსაც სიყვარული ჰქვია ადამიანისა, ზოგჯერ მარტო ქალისა, გაქრეს ჩემს გულში. მაშინ მე მოგკვდები. სანამ ცოცხალი ვარ, სანამ გიზგიზებს მუგუზალი, საწვავის მიმწოდებელი ადამიანს ყოველთვის ეგოლება. მთავარია იცოდდე როებითი განელებისას ცეცხლის შენახვა, მოვლა, თორემ თუ ჩქარა, ძნელად რომ აანთო...“

მოვა იმ ამბის თხრობის დროც, როდესაც მე შევეცდები, შეძლებისდაგვარად მივყვე ჩემი ძმის დაწერილ, ნათქვამ სიტყვას, როგორც დოკუმენტს, მაგრამ იქამდე მივსა, ისევ დავუბრუნდე ჩვენ ბავშვობას, ისევ გავიხსენო გურამის სიცულქე, რომლის გამოც ბაბუსა ქუთაისში გურამის „დასასჯელად“ დაფინის ტოტისაგან გამოთლილი „წკეპელი“ ჰქონდა მომარჯვებული. ბაბუა ყვებოდა, როგორ მთარბენინა ერთხელ გურამმა ქუთაისიდან წამოსვლის წინ ეს „წკეპელი“ და როგორ ჩაუდო ჩემოდანში დედას, რომელიც ბარგს ალაგებდა თბილისში დაგვჭირდებო. ბაბუსა მოხუცებულობის დროსაც თვალწინ ედგა თავისი წითელტრუსიანი შვილიშვილი ქუთაისის ბაღში, რომელიც ბავშვობით და გახარებული სახით მობოდა მისკენ და რომელსაც ასეთივე ბავშვობით მოსდევდა უკან გაფხორილი, გაწითლებული, გაგიჟებული ინდაური. ბაბუსა თქმით, ეს ინდაური ან „ბოეშის“ წითელმა ტრუსებმა გაახელა, ან უფრო გურამის „დასასჯელად“ გამოთლილმა „წკეპელმა“, რომლითაც მან გარინდებული ინდაური მოთმინებიდან გამოიყვანაო. როდესაც ქუთაისის ბულვარიდან სეირნობის შემდეგ დაბრუნებულ ბაბუა-შვილიშვილს წინ ბებიის შეეგებებოდა, ბაბუა თურმე თავმომწონედ გადაისვამდა ხელს უღვაშზე და თავისი შვილიშვილის ერთ-ორ საქებას სიტყვას აუცილებლად იტყოდა. ბებო ანეტა კი მშვიდად გაეხუმრებოდა ხოლმე: შენი შვილიშვილია, სიმონ, და მიტომ აქებო. ბებოს ამ სიტყვებს ბაბუამაშინვე ანთებული პასუხობდა თურმე: „რას ჰქვია ჩემი შვილიშვილია... თვალები მაქვს და ვხედავ. რახან ვამბობ, გავს, რომ ასეა... სულ სხვანაირია ეს ბოეში და არაფერი „მიტომ“ აქ საჭირო არ არის“.

ამ სიცულქის გამო დედას გაუთავებლად იბარებდნენ სკოლაში მასწავლებლები. „ცისკარი“, № 4.

ლები, უმცროს კლასებში სიყვარული უცროსში — გაბრაზებით და ათას სარჩულს უდებდნენ. დედა სკოლიდან ხშირად ბრუნდებოდა თვალცრემლიანი და მამას თხოვდა, რომ ახლა ის წასულიყო. თუმცა დედისათვის ერთი რამ იყო დამამშვიდებელი: არაფერი არ ეუბნებოდა, რომ მისი შვილი უზრდელია, ან უხეში, ან უცოდინარი, ან რომ უფროს უმცროსობა არ იცის. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, ჯერ კიდევ უმცროს კლასებში, გურამის უნარს — როგორი სიცულქითაც უნდა ყოფილიყო გართული, — ყველას გასაკვირად, ყოველთვის ჩართული ყოფილიყო გაკვეთილის მსვლელობაში. ბავშვობიდან გურამს ჰქონდა კიდევ ერთი თვისება, ერთი თავისებურება, რაც მშობლის საამაყოდ მას მთელი ცხოვრება გაჰყვა. ეს იყო, როგორც დედა ამბობს ხოლმე, „დაჯერების დიდი უნარი“. დედა ახლაც ასე ყვება: „ნებისმიერ დროს შემქმლო გურამის სიცულქიდან გამოყვანა, მობრუნება, მოტრიალება, მისი ყურადღების სხვა ამბავზე გადატანა“. ამას ამბობდა თურმე შვილიშვილთან ერთად სეირნობიდან დაბრუნებული ბაბუაც: „ბაღში რომ მივდივართ, გურამი ჩემ ჯოხს არ შორდება... ერთი დაძახება საკმარისია, რომ ჯოხთან გაჩნდეს...“ ასეთი იყო გურამი დიდობაშიც. ეს მეც მახსოვს: 22, 23, 24, 25, 26 წლის გურამი, როგორ არეულ სიტუაციაშიც უნდა ყოფილიყო, როგორ აყალმაყალშიც (რაც არ აკლდა), როგორი ნაზიარებიც უნდა ყოფილიყო ბახუსის მათრობელა სასმელს (არც ეს აკლდა), საკმარისი იყო მისთვის მშობლის დანახვა, სულერთია, დედისა თუ მამის, რომ ჩაეჩინდრა თავი და წამოყოლოდა მშობელს უსიტყვოდ, უთქმელად, როგორც ცხვარი, როგორც ბატკანი, როგორც კრავი.

გურამს ჰქონდა კიდევ ერთი თვისება, ერთი თავისებურება, რაც მშობლის საამაყოდ, მას მთელი ცხოვრება გაჰყვა.

ეს უყოყმანო მორჩილება დედ-მამის მიმართ, აი, ეს დაჯერება მათი სიტყვის, თავჩაქინდრული უკან გამოდევნება მშობლის არაფრად აგდებინებდა დედას იმ ამბავს (როგორც თავის დროზე ბაბუა სიმონს), რომ შვილის გაგარდნა, რასაც მაშინვე მოყვებოდა ხოლმე მისი „მოტრიალება“, „მობრუნება“ იყო, ფაქტიურად, ყოველწამიერი, ყოველდღიური, ყოველწლიური ამბავი იმ დღიდან, რაც მან ფეხი აიდგა. გურამი მართლაც ლაგამამოდებული სალამურა იყო, რომლის აღვირი დედაჩემს პქონდა ხელში. ამ შემთხვევაში დედაჩემი შეიძლება ცხოვრების სიმბოლოდაც კი წარმოვიდგინოთ, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, თავისი შვილისთვის საზოგადოებისათვის მისაღები ფორმა მიეცა, კალაპოტში ჩაეყენებინა. ის ხან იქიდან ქაჩავდა აღვირს და ხან აქედან და, როგორც ჩანს, გურამი ხან „გრძნობდა ლაგამს“, ხან „ვერ გრძნობდა ლაგამს“, „ხან „აქქავდებოდა ლაშები“, ხან „ეზლიჩებოდა ლაშები“, ხან ამ „ახლენილი ლაშებიდან სისხლი იწყებდა ჟონვას...“

ადრევე უნდა მომეყვანა ზოგიერთი წინადადება ცხენების ციკლის მოთხრობებიდან, იმ ადგილას, სადაც ვწერდი, რომ გურამი თითქოს გრძნობდა გასაველელი ინტენსიური წლების ხანზრძლივობას და უნდა დამემატებინა მაშინვე ისიც, რომ სიტყვა „თითქოს“ ასეთ შემთხვევაში უადგილოდაც კი გამოიყურება, რადგან იგი პირდაპირ ამბობს: „ოთხი წელი ღრღნიდა ლაგამს შეიდი წლის ულაყი და ვერაფერი მოუხერხა“ („თვირთვილა“). ან კიდევ „ოთხჯერ შემოურბინა წრეს სალამურამ...“

ძლიერი იყო გურამის შინაგანი ხმა, რომელიც ხანდახან განთავისუფლებული რეალურად იღვრებოდა ერთ გაბმულ, ხანგრძლივ, ძლიერ ყვირილად, ხანდახან კი, „ლაგამამოდებული მარტო ფრუტუნ-

სლა ახერხებდა...“ ორივე ხმა ნაცნობი უნდა იყოს გურამის მოთხრობების მკითხველისთვის (თუმცა, შესაძლებელია, რომ გამოუქვეყნებელ მოთხრობებსა თუ დღიურებში უფრო მკვეთრად იგრძნობა მათი მნიშვნელობა), ისევე როგორც მისი ნაცნობ-მეგობრებისათვის.

ვანო ყიფიანმა მიაპბო: „ერთხელ გურამმა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ჰატელევიზიო ანძის დასათვალისწინებლად წაგვიყვანა. თვითონ წინ მიგვიძლოდა უმოაჯირო კიბეზე. საკმაოდ უსიამოვნო გრძნობით მივდევდით უკან. მერე უეტრად სწრაფად დაწინაურდა და ცოტა ხანში მოგვესმა ძლიერი, გაბმული ყვირილი ზევიდან. გურამი იდგა ანძიდან საკმაოდ შორს გამოწეულ მილზე, ოდნავ გაშლილი, ზევით აწეული ხელებით და ყვიროდა“.

თემო ჯაფარიძე იხსენებს: „პირველად გურამი დავინახე კიროვის ბაღში, პატარა ბორცვზე იჯდა და შიგადაშიგ ფრუტუნებდასავით...“ გურამი-თემოს ურთიერთობების მიხედვით ეს უნდა ყოფილიყო 1957 წელს, 1958 წელს კი მე მწერდა ოდესიდან: „მარინე!... დავრბივარ ზღვის ნაპირზე და შიგადაშიგ ფრუტუნებ... მეშინია ვინმეს გაყი არ ვეგონო...“ ლევან მალაზონიამ მითხრა: „საბოლოოდ რომ ვნახე გურამი, მთელი დღე ერთად ვიყავით. სულ ჩუმად იყო. მხოლოდ ხანდახან, როგორც იცოდა, ნესტოები ებერებოდა, თითქოს ფრუტუნებდასავით...“

ერთხელ დაძრული ვნება, ერთხელ დაძრული სულიერი ენერგია სულ უფრო და უფრო საშიშად იმატებდა მასში. რაღაცნაირად ამ ხმას ტოლს არ უდებდა ლაგამამოდებული აღვირის ძალა.

ღრობით აქ მინდა შევწყვილო გურამის ცხოვრების ისტორია, დაგტოვო ჩვენი ოჯახი ისევე რენინგერის ქუჩაზე, ჩვენი სარდაფის სართულის ოთახებში, სადაც ქუჩიდან რამდენიმე საფეხურიანი ქვის კიბე ჩადიოდა და სადაც სა-

დარბაზო კარის გაღების შემდეგ ისევ ჩადიოდა, ოღონდ ახლა უკვე ხის კიბის რამდენიმე საფეხური, რომლებიც უცნაურად იყვნენ მომრგვალებულები ისე, როგორც, ჩვეულებრივ, თეატრის დეკორაციებშია ხოლმე; დაეტოვო ჩვენი ოჯახის ისტორია დედაჩემის ოცნებასთან, რომელიც მიყვებოდა მთელ ჩვენს ბავშვობას — ვცხოვრობდეთ ისეთ სახლში, სადაც უნდა ახვიდე (თუნდაც სულ რამდენიმე საფეხურის ავლის შემდეგ). ისეთ სახლში, რომელსაც ექნება ფანჯრები, საიდანაც შეიძლე-

ბა გადახედო ქუჩას..... ქუთაისის სახლი, დიდი ფანჯარა..... ბებოს პატარა, გაცრეცილი მულინებით ამოქარგული ბალიში ფანჯრის რაფაზე..... ასეთი სახლიდან ღამით, როდესაც მოიღვე მთელ საქმეებს და საბოლოოდ მყუდროდ მოიკალათებ საკუთარ საწოლში მსუბუქი, თბილი საბნის ქვეშ, პატარა ჭურთბალიშთაფქვეშამოდებული, იქამდე სანამ ძილის მინდვრებში გაუჩინარდებოდე, შეგიძლია ისარგებლო განცხრომის წამით და შეხედო ხეებს, ცას.....

(გაგრძელება იქნება)



ლელა ლაგაზიძე

ჩაეწვერება მზე მეწამული,
 ჩამოიყვავილებს ბროწეული.
 ოდნავ გაბაცდება ძოწეული.
 იქნებ გავიმეტო საწუთრო,
 ღვთისგან ნაბოძები სასწაული.
 ეგებ ჩაიარონ გრძნობებმა,
 დასტოვონ გული დანაცრული.
 მიყუჩდეს სულში ქართა ქნარი,
 მღერით დაქანცული.
 ჯერ ძლიერ ადრეა,
 მდობილობს ბედი მშვენიერი.
 არ დაშრეტილა სისხლში სიყვარული.
 კვირტები თვლემენ
 ჩემს გაშლილ ხელებში.
 მე სად გამქცევი ვარ,
 დამელოდე...
 ჩამოიყვავილებს ბროწეული,
 ოდნავ გაბაცდება ძოწეული.

მე აღარ მოვალ.
 მოთელავს შარას
 სიკვდილის ეტლი
 და ვერას გშველი.
 ...ახლა რატომღაც მახსენდება
 წვიმიან ტყეში,

ტბათანის გზაზე,
 ფეხმომტვრეული,
 მტირალი ცხენი.
 მერე გასროლა,
 მტკივნეულად გულის მზაფრავი.
 მარწყვა ბალახზე ჩაჩოქილი
 პირქუში ქისტი — ცხენის უფალი...
 მე აღარ მოვალ, იცოდეს ღმერთმა,
 ჩემი არმოსვლა ისე შორსაა
 ლალატისგან,
 როგორც ის ტყვია,
 წვალებისთვის ბოლოს მომღები.

გესმის? წვიმა მღერის
 ლორთქო ბალახზე.
 უნაზესი შრიალით წყდება
 კაკალს საყურე სურნელოვანი.
 გესმის გალობა?
 სიყვარულზე გალობს ძილშიც
 დაღლილი ჩიტი.
 რომ სამხრეთიდან მომავალ სწორფერს,
 ბუდის მოძებნა გაუადვილოს.
 სადღაც, სულ ახლოს,
 წვეთი ასკილის ყვავილს აკუნესებს.
 ჰო, გაზაფხული ჩამომჯდარა
 ქვის კიბეებზე.
 სველი თითებით
 უკაკუნებს მოხურულ სარკმელს.

●
 თქვენი კუნძული უცარგვალაო,
 გაძარცვული ოლქანდრებით,
 წამლის საღბუნით.
 თქვენ გზმობენ გიჟად,
 რადგან არ ძალგიძთ
 გრძნობებს დაუღოთ
 მოკვდავთ სამანი.
 გარეთ კი რუხი
 მტკივნეული დღეების ფეთქვა
 აცრემლებს თქვენი კუნძულის ნაპირს.
 ნაპირის იქით...

მოყვასისა და იმედის მძებნელს
 გაგულისებით გნესტრავენ გესლით.
 ...დღე რომ იღლება,
 მოდის ღამე, — დარდის მალამო,
 სიზმრების კალთას დააფარებს
 მძინარე ტკივილს.
 და თქვენი სული
 დაფეთებულ მტრედთა გუნდებად
 ტოვებს სამყოფელს,
 ჩუმს და უსახურს,
 გარიჟრაჟამდე აწვალებს ზეცას
 ბინდთან შეხლილი
 ფარფატა შუქი...

●
 თიბათვე ალაღ ედება მინდვრებს.
 მაგონებს ტაფობს,
 ტყისპირთან ახლოს,
 აბზინდას სურნელს,
 მძაფრსა და ველურს.
 მაღალ ბალახში

ჩემ თავს გრძნეულს,
 შენს მკლავზე დამდნარს. *
 მე შენ გიგონებ
 ბოშასავით მოგიზგიზედ
 უღვთოს და ღამაზს.
 ...თიბათვე წაუა.
 სიყვარულის ზანზალაკებს
 სულს შეატოვებს.
 ვიხსენებ, რადგან დაეწყების
 არ შემწვევს ძალა...

●
 ჩემს ნადევლს უკვე აღარ ჰქვია
 შენი ნადველი,
 კარგა ხანია სიხარულიც არ გვაქვს
 ზიარი.

შენ აღარა ხარ
 ჩემი სულის მძლავრი ღვთაება,
 ვის სამსხვერპლოზეც
 მუხლმოდრეკით ვიდექი დიდხანს.
 ნუ მიხმობ მიწვივ,
 ნულარ მეძახი,
 ქვეყნად ყველაფერს თავის ყავლი აქვს,
 და ჩემი გულიც მშვიდი და წყნარი
 შემოდგომის ფერს ენიაზება,
 მცინარი თრიმლის
 ძოწსა და ლალებს
 ტყეებს ნუგეშად უტოვებს ქარი.
 ის დაფეთება სიყვარულის
 „შეშლილი ფერი“ —
 ჩემს წილ საწუთროს
 მგლისფერს და უღვთოს
 მზედ ჩამოსტყდება.





მაია ციციშვილი

არჩილ ჯორჯაძის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული პრინციპები

ესთეტიკურ პრობლემათა შორის არ-
ჩილ ჯორჯაძისთვის საგანგებო ყურად-
ღების საგანია ხელოვნების, როგორც
ადამიანის სულიერი კულტურის არსის
პრობლემა. ა. ჯორჯაძის ლიტერა-
ტურულ-ესთეტიკური შეხედულებების
პირველი მეცნიერული ანალიზი მოგვცა
ცნობილმა ქართველმა ლიტმცოდნემ
გ. აბაშიძემ, თავის ჩინებულ ნაშრომში.¹
ჩვენ პირველ რიგში შევეხებით ა.
ჯორჯაძის მიერ ხელოვნების რაობის,
მისი დანიშნულებისა და სპეციფიკის
გააზრების საკითხს და, ამასთან დაკავ-
შირებით, იმ გაგებას, რომელიც არჩილ
ჯორჯაძეს ჰქონდა ესთეტიკის საკვან-
ძო საკითხების შესახებ.

ხელოვნების არსის, მისი მთავარი
მიზნისა და სპეციფიკის საკითხებს არ-
ჩილ ჯორჯაძე ეხება ცნობილ წერილ-
ში „ხელოვნების შესახებ“, რომელიც
1911 წელს გამოქვეყნდა „სახალხო გა-
ზეთში“.
ეს წერილი, უპირველეს ყოვლისა,
საინტერესოა იმით, რომ ავტორი მკა-
ცრად ილაშქრებს იმდროისათვის საკ-
მაოდ ფეხმოკიდებული ხელოვნების მა-
რქისისტული გააზრების წინააღმდეგ და
აკრიტიკებს ხელოვნების გაგების ამ
უულგარიზაციას და ცალმხრივობას,
რომელიც დამახასიათებელი იყო იმჟა-
მინდელი მარქსისტების ზედმეტად უტი-
ლიტარული თეორიისათვის.

წერილის დასაწყისში ა. ჯორჯაძე საგანგებოდ აღნიშნავს ხელოვნების მიერ სინამდვილის ასახვის საჭიროებას, რაც მას ხელოვნების განვითარების საფუძვლად და მის მთავარ მიზნად მიიჩნევს. მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ „ხელოვნების მიერ დასახული სინამდვილე არასოდეს არ არის (ე. ი. არ უნდა იყოს — მ. ც.) ფოტოგრაფიული ასლი რეალური სინამდვილისა“.

ამრიგად, ხელოვნების არსის გაგებაში ა. ჯორჯაძე მატერიალისტურ თვალსაზრისზე დგას, თუმცა არ იზღუდება იმ დროის არაერთი ავტორის ნაწერებში გამოქვეყნებული ვულგარული მატერიალიზმის გაგებით.

„რაკი ხელოვნება ზედმეტია (ე. ი. „მეტია“, ანუ სრულყოფილია — მ. ც.) ვიდრე სინამდვილე, ამიტომ ადვილად მისახვედრია ის, თუ ხშირად რატომ სცაღდება ხელოვნება ემპირიულ მოვლენათა ფარგალს და რატომ სცდილობს ეს თეტიკურის ხილვის საშუალებით დაგვანახოს ის, რაც სინამდვილეში არ არის“.

აქ ავტორი მართებულად აღნიშნავს მოვლენათა ემპირიული ასახვის უკმარისობას და ხელოვნების ერთ-ერთ მიზნად ფუნქციას ზედავს მოვლენათა წინგანჭურვებაში და იმ იდეური მომენტის აუცილებლობაში, რომელიც ეხმარება მწერალს არა მარტო გარკვეულ თვალსაზრისით შეაფასოს მოვლენა, არამედ გარკვეული იდეის მიხედვითაც დაანახოს მკითხველს სასურველი მომავალი და, ამის შესაბამისად, რეალური სინამდვილის გარკვეული მიმართულებით განვითარების პერსპექტივაც.

„ხელოვნების განსაზღვრის დროს — წერს ა. ჯორჯაძე, — ერთი დარგი ხელოვნებისა კი არ უნდა გვექონდეს მხედველობაში (ე. ი. ავტორის აზრით, ხელოვნების ზოგადი კანონზომიერების, ობიექტური კანონების დადგენისათვის, ხელოვნების ერთი დარგით კი არ უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ ხელოვნების ზოგადი არსი ხელოვნების სხვადასხვა ფორმის ერთობლიობის დახმარებით გა-

ნესაზღვროთ — მ. ც.), არამედ ეს დარგის შემოქმედის ყოველი დარგი: პოეზია, მხატვრობა, პლასტიკა (ე. ი. ქანდაკება — მ. ც.) და მუსიკა“¹.

არჩილ ჯორჯაძე აქვე განსაზღვრავს ხელოვნების ამ დარგების გამოვლენის საშუალებებს, ე. ი. მათი მხატვრული ფორმის „საამშენებლო მასალას“ — სიტყვას, ფერადებს (ე. ი. ფერებს — მ. ც.), მარმარილოს (ე. ი. საძირწ მასალას — მ. ც.) და ხმოიანობას (ე. ი. ჰანგებს — მ. ც.). ყოველივე ეს — აღნიშნავს ა. ჯორჯაძე, — იარაღია ესთეტიკურის (ე. ი. მხატვრული — მ. ც.) შემოქმედებისა. ამის მიხედვით ზოგი დარგი ხელოვნებისა, ასე ვთქვათ, ხორცშესხმულია, როგორც არის მაგალითად, პლასტიკა, ზოგი დარგი კი სრულიად მოკლებულია ამ ხორცშესხმულობას, როგორც არის მუსიკა.

როგორც ვხედავთ, აქ ავტორი ზედმეტ უტილიტარიზმს იჩენს და „ხორცშესხმულობა“ შეზღუდულად ესმის, ე. ი. ამ შემთხვევაში ზედმეტი მატერიალიზაციის ტენდენციას ამჟღავნებს.

ცხადია, დღეს ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ თვალსაზრისს, ვითომც მუსიკა ხელოვნების ის დარგთაგანია, რომელსაც ვერ მივუდგებით ხელოვნების „ნატურალური საზომით“, ამ კონტექსტში სიტყვა „ნატურალური“ ა. ჯორჯაძეს ნახშირი აქვს ისევე, როგორც იმ დროის სხვა ქართველ კრიტიკოსებს, კერძოდ, კიტა აბაშიძეს (ისევე, როგორც ბ. ბელინსკის) რეალისტურის გაგებით, „მიუწვდომელი დარჩება თქვენთვის ვაგნერი, ბეთხოვენი და ყოველი სხვა დიდი კომპოზიტორი“.

წმინდა „უტილიტარულ-ნატურალისტური“ მოთხოვნათა დაკმაყოფილება რომ მოვთხოვოთ მუსიკას, ეს მუსიკის პროფანაცია იქნება და, ამდენად, ა. ჯორჯაძის ეს დებულება, რა თქმა უნდა, სწორია. თუმცა მუსიკის რეალურა იმპულსებიდან და საფუძვლიდან სრული მოწყვეტაც არ არის გამართლებული და მეორე უკიდურესობად გვექმედნება.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ა. ჯორჯაძის სწორი ტენდენცია, რომელიც უარყოფს ხელოვნების მხოლოდ და მხოლოდ უტილიტარულ გაგებას თუ შეფასებას, მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილისათვის მის სამსახურს.

ერთი სიტყვით, ა. ჯორჯაძე მკაცრად ილაშქრებს ხელოვნების მიზნებისა და ამოცანების მხოლოდ უტილიტარულა თვალსაზრისით შემოფარგვლის წინააღმდეგ. ამ მხრივ იგი პრინციპულად ემიჯნება იმ პერიოდში ფართო გავრცელებისა და დამკვიდრების პროცესში მყოფ თეორიას — მარქსისტულ იდეოლოგიას, რომლის მიხედვით ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული ცხოვრებისა და სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს უნდა ისახავდეს. არჩილ ჯორჯაძე ჭეშმარიტ ხელოვნებაში გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე იმგვარ ხელოვნებაში, რომელიც მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური და კლასობრივ-პარტიული ინტერესებით იფარგლება.

დღეს, როდესაც მარქსისტული იდეოლოგიის მცდარობანი აშკარად გამოჩნდა, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ის წინგანჭურეტა და ხელოვნების მომავლის ჭეშმარიტი გააზრება, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში მარქსიზმისა და სოც-დემოკრატიული პრინციპების მძლავრი და აჩქარებული გავრცელების პერიოდში გამოამქვავნა არჩილ ჯორჯაძემ.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებაში ხელოვნებაზე მთავარია მისი მტკიცება — „ხელოვნების დეფინიციისათვის საჭიროა უფრო ფართე მცნება, ვიდრე მცნება სინამდვილისა და ამ სინამდვილის სამსახურისა“ (დეფინიცია მას ესმის, როგორც ამა თუ იმ ცნების ან მოვლენის ყველაზე უფრო არსებითი ნიშნების განსაზღვრა, ეს დედააზრი თავისი პოზიციისა მას გარკვევით აქვს ჩამოყალიბებული ამ ნარკვევის ერთ ყველაზე უფრო არსებით დებულებაში:


„გაპკვირვებით, როდესაც გაიხსენებთ ჩვენს საზოგადოებასა და მწურობაში გაიფხვეთ უტილიტარულ აზრებს ხელოვნების შესახებ. ამ უტილიტარულ ფილოსოფიის მთავარი დებულება ის არის, რომ ხელოვნება უნდა ემსახუროს ადამიანს მის ბრძოლაში მოქალაქეობრივ და სოციალურ-პოლიტიკურ ასპარეზზე. თუ ხელოვნება ბრძოლისაკენ არ იწვევს ადამიანს, თუ იგი მამშრალთ და დაჩაგრულთ არ იცავს, თუ იგი არ ლაპარაკობს იაფფასიან სადგომების და რვა საათიან სამუშაო დღის შესახებ, თუ ყველა ეს არ ისახება ხელოვნებაში, იგი სუსტია, უვარგისა და მას არავითარი ფასი არა აქვს“.

არჩილ ჯორჯაძე მკაცრად ილაშქრებს კულგარული მარქსიზმის წინააღმდეგ, იმ ცალმხრივი და პრაგმატისტული შეხედულებების წინააღმდეგ, რომელთაც იმ დროს ქართული ურა-მარქსისტები ქადაგებდნენ, ვითომდა ხელოვნების სინამდვილესთან დასახლოებლად და „მაღალი“ რეალისტური ხელოვნების დასამკვიდრებლად.

არჩილ ჯორჯაძის პოზიცია ხელოვნების გაგების საკითხში, ეს არის პრინციპული კამათი სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის თეორეტიკოსებთან, რომლებიც ხელოვნების მთავარ დანიშნულებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პრაქტიკულ-ცხოვრებისეული ამოცანებით საზღვრავდნენ.

იგი აღნიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, ხელოვნებას „უმდიდრესი მასალა გააჩნია „დროსა და სივრცის“ ფარგლებში, და რომ ადამიანის ტანჯვაც ღირსია ამ შემოქმედების ყურადღებისა“, მაგრამ ამასთან ერთად არჩილ ჯორჯაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელოვნებისათვის მხოლოდ ამ მისიის დაკისრება ხელოვნების რაობის დამცირება, დამდაბლებაა, მისი ფარგლებისა და მასშტაბების გაუმართლებელი დავიწროება.

როგორც დღეს ნათელი გახდა, ძირითადი ესთეტიკური პრინციპების ინტერპრეტაციის საქმეში მართალი იყო არა იმ დროის მარქსისტულ-პარტიულ პრინციპებზე აგებული გაგება ხელოვნ-



ნებისა, არამედ მსოფლიო საგანძურის სწორი გააზრებით გამორჩეული, გარდუვალ ჭეშმარიტებათა მართებულად გამგები შეხედულება არჩილ ჯორჯაძისა.

არჩილ ჯორჯაძე წერს, რომ ვულგარისტული, ზედმეტად პრაგმატული, ვიწრო პრაქტიციზმით შემოფარგლული ხელოვნება (და, შესაბამისად, ამგვარი ხელოვნების თეორია) იქნება სიკვდილია იმ „სულიერ შემოქმედებისა, რომელსაც მართო ის არ ასულდგმულებს, რაც უკვე გაზომილი და ცნობილია, არამედ ისიც რაც უცნობი და გაუზომავია“.

არჩილ ჯორჯაძე თანამიმდევრულად იცავს ხელოვნების ფართო გაგებას და ცდილობს, დააზღვიოს იგი ვიწრო პრაქტიკული პარტიულ-კლასობრივი ამოცანებით შემოფარგვლისაგან. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მისი ასეთი დებულება: „მოაცალეთ სიცოცხლეს საიდუმლოება და იგი ვახდება უფერული, მქრალი, მოსაწყენი და უაზრო. და ამწყვდით ხელოვნება „საგანთა სამეფოში“, აუკრძალეთ მას საიდუმლოების ჭვრეტა და ხილვა, იგი მკვდარი ვახდება და თავის სიკვდილთან ერთად მოჰკლავს პოეზიას და ოცნებას. ოცნება სინამდვილე არ არის და თუ გინდათ, რომ ხელოვნება უსათუოდ სინამდვილე იყოს, ოცნების ფრთებიც უნდა მოაჭრათ ხელოვნებას და მაშინ იგი სამზარეულოში მომზადებული ბოზბაში იქნება და არა ესთეტიკური შემოქმედება“³.

მართალია, არჩილ ჯორჯაძეს აუცილებლად მიაჩნია ოცნების (თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წარმოსახვის ფანტაზიის) აუცილებლობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი წყვეტს ხელოვნებას სინამდვილისაგან და იმ ობიექტური კანონზომიერებებისაგან რომელიც ხელოვნებას, როგორც იდეოლოგიის ფორმას, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთ უმთავრეს გამოვლინებას ახასიათებს.

არჩილ ჯორჯაძე განიხილავს ტიპიურობის პრობლემას და მხატვრული-

ტირატურული ტიპების შექმნის პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი თვალსაზრისი უდავოდ სწორია. ტიპიურობის განსაზღვრაში ე. წ. „საბჭოურმა ესთეტიკამ“ არა ერთი შეცდომა დაუშვა. სულ ბოლო ხანებამდე ესთეტიკამ და ლიტერატურის თეორიამ დაივიწყა ის პრინციპები, რომლებიც ვერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში საკმაოდ სწორად ასახავდნენ ტიპიურობის პრობლემას. ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა არჩილ ჯორჯაძის აზრი მხატვრული ტიპისა და ტიპიურობის შესახებ.

იგი წერს: „რა არის ტიპი? სინამდვილეში არსებული პიროვნება? — არასოდეს. სინამდვილეში თქვენ ვერ პოუვებთ სალიტერატურო ტიპის არც ერთ იდენტიურ პიროვნებას, მის კოპიოს (ასლს — მ. ც.). ხელოვანი შემოქმედების ძალით თავის სალიტერატურო ტიპის პიროვნებაში აგროვებს იმას, რაც უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ადამიანთა თვისებებს შეადგენს“.⁴

ამ თვალსაზრისით არჩილ ჯორჯაძე იხილავს გიორგი ერისთავის პიესას — „ძუნწი“, როგორც ყველაზე უფრო პოპულარულ და ფართო წრისათვის გასაგებ ნაწარმოებს და აღნიშნავს, რომ ქართველი დრამატურგის ეს ნაწარმოები, ისევე როგორც საზოგადოდ მთელი პოეტური შემოქმედება, ნაყოფია არა ფოტოგრაფიული საქმიანობისა, არამედ ტიპიზაციის პროცესისა; არჩილ ჯორჯაძის აზრით, გ. ერისთავის „ძუნწი“ მწერლის პოეტური შემოქმედების ნაყოფია და არა ფოტოგრაფიული სურათი ძუნწი ადამიანისა.

არჩილ ჯორჯაძე ცდილობს, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროდან არ გამორიცხოს არარეალისტური მიმდინარეობები (რომანტიზმი, მოდერნიზმი) და ეს უადრესად საყურადღებო ფაქტია. „ვეულგარული მარქსიზმისაგან“ განსხვავებით, იგი „მოქალაქეობის ღირსად“, ე. ი. არსებობის ღირსად მიიჩნევს არარეალისტურ მიმდინარეობასაც.

არჩილ ჯორჯაძე ეხება ახალგაზრდა

ქართველი პოეტების შემოქმედებას, რომელთა შეხედულებებში თავი იჩინა მოდერნისტული მიმდინარეობის თეორიულმა დებულებებმა, გარკვეულმა ირაციონალიზმმა და აღნიშნავს, რომ უტილიტარისტული თეორიის მიმდევარი ზოგიერთი კრიტიკოსი, დაშინებულია ზოგადფილოსოფიური და განყენებული მოტივებით და თავის მხრივ, ნებსით თუ უნებლიეთ, უბიძგებს მათ ირაციონალიზმისა და „ირეალიზმისაკენ“. არჩილ ჯორჯაძე მექანიკურად არ უპირისპირებს ერთიმეორეს უტილიტარისტულ ტენდენციებს და ირაციონალისტურ მოტივებს, მაგრამ მას აშინებს ის გარემოება, რომ „ზოგადსაკაცობრიო მოტივები, იმ საბაბით, რომ ისინი „მეტად ზოგადი და ირაციონალური არიან“ შეიძლება ამგვარმა კრიტიკამ მთლად განდევნოს ლიტერატურული პრაქტიკისაკენ“. „ზოგიერთ ჩვენებურ ლექტორს აფიქრებს და აშინებს ირაციონალურა ხასიათის მოტივების დამკვიდრება ლიტერატურულში – წერს არჩილ ჯორჯაძე. – არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ „კრიტიკოსები“ ამ შემთხვევაში ცუდ სამსახურს უწევენ არა მარტო ჩვენს სალირიკო პოეზიის გაფურჩქვნას, არამედ ჩვენს სულიერი გამდიდრების საქმესაც“.⁵

არჩილ ჯორჯაძე აქვე გამოთქვამს იმ უძირითადეს აზრს, ლაიტმოტივს მისი შემოქმედებითი კრედოსი, რომ, მიუხედავად ირაციონალური, ზოგადადამიანური განცდებისა და ფიქრების გადმოცემის აუცილებლობისა, ლიტერატურა და, საერთოდ, მთელი ხელოვნება არასოდეს უნდა მოწყდეს ცხოვრებას, რეალურ სინამდვილეს, საზოგადოებრივ ინტერესებს, ხალხის სწრაფვას და გულისთვის. არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ აფრთხილებს მწერლებსაც და ხელოვნების ოსტატებსაც, აუცილებლად აიცილონ თავიდან ასეთი ყოვლად დაუშვებელი შეცდომები. ავტორს სურს, რომ მკითხველმა არ გამოიტანოს ყოველივე ზემოთ თქმულიდან აზრი, ვითომც ხელოვნებამ ზურგი უნდა უბრუნოს სი-

ცოცხლეს და, „ვითომ მისი ერთადერთი სამოქმედო ასპარეზი ირაციონალურა ხასიათის სამეფოა“.⁶

20-იანი წლების ქართულ პოეზიაში ირაციონალური მოტივების მოძალეობის მიუხედავად, არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ აღნიშნავს ასეთი მოტივების „მეორეულობას“ და ამგვარი ტენდენციების გამოვლენა არ მიაჩნია ქართული პოეზიის განვითარების მაგისტრალურ ხაზად. „თუ ზოგიერთი პოეტი ამას სჯერდება (ე.ი. ირაციონალიზმსა და განყენებულობას, – მ.ც.), ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომ ხელოვნება ისაზღვრებოდეს ამ მოტივებით“.⁷

არჩილ ჯორჯაძე ამჟღავნებს ხელოვნების ღრმა გაგებას, სწორ კვალიფიკაციას აძლევს ხელოვნების სინამდვილესთან უწყვეტ კავშირს და რეალისტურ ამსახველობას, როცა წერს: „ყოფაცხოვრება, ადამიანთა შორის არსებული კონკრეტული განწყობილებანი, საგანი და „საგანთა სამეფო“, პლასტიკა საგნისა და მოვლენისა, ხორცი და ნივთი, ყოველთვის უნდა იყოს საფუძველი არა მარტო ხელოვნების შემოქმედების, არამედ ადამიანის სულის ყოველნაირ შემოქმედებისა“.

ამასთან დაკავშირებით არჩილ ჯორჯაძე მეტად საინტერესო დასაბუთებას უძებნის თავის შეხედულებას: მაგალითად მას რელიგიის ცხოვრებასთან კავშირი მოჰყავს. იგი თვით რელიგიასაც სინამდვილის წარმონაქმნად მიიჩნევს და ცხოვრებასა და რელიგიას შორის უწყვეტ კავშირს ხედავს. იგი ასე მსჯელობს: თუ რელიგია უწყვეტად არის დაკავშირებული სინამდვილესთან, როგორღა შეიძლება, რომ ხელოვნება, როგორც სინამდვილის ასახვა, მოწყვეტილი იყოს ამ სინამდვილეს, ე. ი. ხალხის ცხოვრებას?.

არჩილ ჯორჯაძე ცდილობს, გარკვეულწილად აღწევს კიდევ, დაუახლოოს ერთმანეთს, „შეარიგოს“ ირაციონალური და რეალურად არსებული, ე. ი. „ოცნება“ და „სინამდვილე“, წარმოსახვა და მიწიერი ცხოვრება. ამ შემთხვე-



ვებში იგი მართებულად მიმართავს ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას და გვაროვნულსა და ქანრულ ფორმებში ზედავს რაციონალიზმისა და რეალიზმის გარკვეულ ურთიერთობას, „პროპორციას“. იგი წერს: „...ესთეტიკურ შემოქმედებას „ზორცთან“ და „ნახაზთან“ შორეულადმოკიდებულება აქვს, ეს არ ითქმის პლასტიკაზე, მხატვრობასა და სკულპტურაზე, სადაც „ნახაზი“ ე. ი. რეალურად არსებულ სვანთა ფორმა და გამოხატულება უნდა იყოს დაცული“.

არჩილ ჯორჯაძე კიდევ უფრო აფართოებს და აკონკრეტებს ამ შეხედულებას, რათა მეტაფიზიკურ-ირაციონალური დაუახლოოს, შუუწყვილოს ცხოვრებისეულს, სინამდვილისეულს, რეალურად არსებულს. მას ისინი ხელოვნებისათვის ურთიერთშემავსებელ სიდიდეებად მიიჩნია, რომელთა ერთობლიობა უფრო უკეთ წარმოსახავს სინამდვილეს, თავისი მრავალფეროვნებით და კონტრასტებით. იგი წინააღმდეგია ცხოვრების ცალმხრივი, ვიწრო პრაგმატიკული გაგებისა.

საესებით ცხადია, რომ არჩილ ჯორჯაძე ილაშქრებს მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელი იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომელიც ავიწროებდა ხელოვნების გაგებას და მას საყოფაცხოვრებო, სოციალურ-კლასობრივ და პოლიტიკურ ფარგლებში აქცევდა, ე. ი. ემპირიულ ჩარჩოში სვამდა. მართალია, ის აქვე აღნიშნავს, რომ არც მეორე უკიდურესობაში შეიძლება გადავარდნა, რაც ირაციონალურ სამყაროში გადაბარგებას, რეალური ცხოვრებისაგან სრულ მოწყვეტას მოასწავებს. იგი ამ ორი მომენტის სინთეზში ზედავს ხელოვნების ძლიერებისა და ზემოქმედების საფუძველს.

არჩილ ჯორჯაძე მკაცრად ილაშქრებს ხელოვნების იმ გაგების წინააღმდეგ, რომელიც ხელოვნებაზე მისთვის არაორგანული ფუნქციების დაკისრებას ღამობს. ასეთ პოზიციაზე მაშინ არაერთი ურა-მარქსისტი და ვიწრო ბუნე-

ბის სოციალ-დემოკრატი იდგა. არჩილ ჯორჯაძეს სურს, გაათავისუფლოს ხელოვნება იმ ვიწრო საყოფაცხოვრებო „მოვალეობისაგან“, რომელიც ზღუდავდა, აკნინებდა და აპრიმიტიულებდა ხელოვნების არსსა და ბუნებას. რა ხმამაღლა ჟღერდა და რამდენად უფრო ხმამაღლა ჟღერს მისი სიტყვები დღეს, მარქსისტულ-ლენინური ბურანიდან ჩვენი გამორკვევის შემდეგ, რომ „ღრმა და უტყუარი მნიშვნელობა ნამდვილი ხელოვნებისა სწორედ აქ იმალება და არა იმაში, ვითომ ხელოვნებამ უნდა იზრუნოს ივანეს, პეტრეს და არშაკას „ბედნიერებისათვის“, — იმისათვის, რომ ყველას თანასწორად დოვლათი მიენიჭოს, სადილად შემწვარი ვარიკები და ყაბულფლავი არ მოაკლდეს, რომ ყველანი თანასწორად თბილ და კარგად მოწყობილ სადგომებში სცხოვრობდნენ და რომ სადგომებს სიბინძურის თავიდან ასცილებლად კარგად მოწყობილა კანალიზაცია ჰქონდეთ. დეე, ყოველივე ეს სოციალურმა და პოლიტიკურმა პროგრესმა მოგვანიჭოს, ხოლო მოიღეთ მოწყალეობა, საახენიზაციო „ობოზების“ ორგანიზაციას ნუ დააკისრებთ ხელოვნებას“⁴⁸. (ხაზი ჩვენია — მ. ც.).

ყოველივე აქედან ნათლად ჩანს თუ რა სწორად აქვს დანახული არჩილ ჯორჯაძეს ხელოვნების ჭარბი უტილიტარიზაციის სასიკვდილო საფრთხე, როგორ ზედავს ეულგარული სოციოლოგიაზმის, უტრირებული „მატერიალიზმის“ ფსევდომარქსიზმის სახიანო ტენდენციებს და რა დასაბუთებულად, მამაკურად იბრძვის ხელოვნების სწორი გაგების, ხელოვნების მართებული შეფასებისათვის.

ხელოვნების მნიშვნელობის სწორად გაგებისა და მისი ღირსების დაცვისათვის არჩილ ჯორჯაძე ორ მომენტს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: ისევე, როგორც ბუნებასა და ცხოვრებაში არსებობს მნიშვნელოვანი და ნაკლებ-მნიშვნელოვანი მოვლენები, ისევე, როგორც სინამდვილეში არსებობს შემთხვევითი და კანონზომიერი, ცხადი და

ხედვისათვის დაფარული (რასაც ჯორჯაძე „საიდუმლოებით მოცულ“ მოვლენებს უწოდებს), ასევე ხელოვნებასა და ბუნებაშიც (ცხოვრებაში); ამგვარივე მდგომარეობა გვაქვს ხელოვნებაშიც. აქ არჩილ ჯორჯაძე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად თვლის კანონზომიერ მოვლენებს („არაკანონზომიერთაგან“ განსხვავებით), რომლებიც არ არიან არც შემთხვევითი, არც მუდმივად „გარეგნული“ და არც უმნიშვნელო. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ხელოვნების ღირსება დაფასდება ორნაირი მხრივ: შინაარსის მიხედვით და გარეგანი ფორმის მხრივ“.

არჩილ ჯორჯაძე ხაზს უსვამს ფორმისა და შინაარსის აუცილებელ შესატყვისობას, მათ ერთიანობას. რამდენადაც შინაარსის პრიმატი მაშინაც საყოველთაოდ აღიარებული იყო (მითუმეტეს, რეალისტური ხელოვნების ქომავთა და მიმდევართა მიერ), არჩილ ჯორჯაძე საჭიროდ მიიჩნევს ფორმის მნიშვნელობის ხაზგასმას, რადგან შინაარსის უპირატესი მნიშვნელობა მას ისეთ ცხად და უდავო მოვლენად მიაჩნია, რომელსაც ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება; იგი წერს: „მხოლოდ მარტო შინაარსი ვერას იზამს, თუ ხელოვნური ნაწარმოები (ე. ი. ხელოვნების ნიმუში — მ. ც.) გარეგნობის, ფორმის მხრივ სუსტობს, ყოველი საგანი და მოვლენა, რომელიც ხელოვნური (ე. ი. ხელოვნების — მ. ც.) გამოსახვის შინაარსად ხდება, უნდა განსაზღვრული, მკაფიოდ ხორცშესხმული იყოს“⁹.

ხოლო იმისათვის, რომ ხელოვნების ყოველი ნიმუში, არჩილ ჯორჯაძის სიტყვით რომ ვთქვათ, განსაზღვრული, მკაფიოდ ხორცშესხმული იყოს, მას აუცილებლად მიაჩნია:

1. ხელოვნების ყოველ ნიმუშს უნდა ჰქონდეს „დროისა და ადგილის ელფერი“, ე. ი. ამ ნიმუშში გარკვეულად იყოს ასახული მოვლენის დროული ჩარჩო და ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ბუნების მოვლენათა შორის.

2. ხელოვნების ამ ნიმუშში ასახულ

საზოგადოებრივ ფაქტსა და მოვლენას უნდა ჩანდეს საზოგადოების ამა თუ იმ წრის და ერის ხასიათი (ე. ი. ეროვნული ხასიათი და სოციალური წრე, — მ. ც.).

ამ ორი მოთხოვნის აუცილებლობა: არჩილ ჯორჯაძე ასახულებს იმით, რომ „ხორცშესხმულობა ხელოვნებას მაშინ დააჩნდება ხოლმე, როცა გამოსახვის საგანი განსაზღვრულ ცხოვრებიდან არის აღებული და ამ ცხოვრების დაღი და ფერი ამჩნევია“.

ამ, ასე ვთქვათ, წინასწარი მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე გამოთქვამს თავის ძირითად შეხედულებას ხელოვნებაზე, რომელიც იმდენად სწორი და მართებულია, რომ დღესაც სავესებით გასაზიარებელი და მისაღებია, მიუხედავად იმისა, რომ ამ თავისებური თეორიული ტრაქტატის დაწერიდან თითქმის 90 წელმა განვლო, თანაც ისეთმა, რომელმაც შეარყია მანამდე თითქოსდა დაურღვეველი დებულებები ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიისა.

დასკვნა, რომელიც ხელოვნების არსისა და სპეციფიკის შესახებ არჩილ ჯორჯაძეს გამოჰყავს, იმ დროის ქართული ესთეტიკური აზროვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მაღალ დონეზე მეტყველებს. არჩილ ჯორჯაძის ამ დასკვნას ასეთი სახე აქვს: „ყოველგვარ ხელოვნურ (ე. ი. ხელოვნების — მ. ც.) ნაწარმოებს ნამდვილ ხელოვნებად ორი ღირსება ჰქმნის. ნაწარმოების შინაარსი გვაღელვებდეს და გვაფიქრებდეს, ნაწარმოების გარეგანი სახე ანუ ფორმა უნდა მკაფიოდ გამოსახული, ხორცშესხმული იყოს, ამისათვის, თუ ხელოვნური ნაწარმოები, თავისი შინაარსით მსოფლიო, საზოგადო ხასიათისაა, თავის სახით, გარეგნობით, ფორმით და ყოველთვის ეროვნული თვისებისაა. კაცობრიობა ასაზრდოებს ხელოვნებას, ეროვნება ფრთას უსხავს და აცხოვრებს. კაცობრიული (ე. ი. ზოგადკაცობრიული — მ. ც.) და ეროვნული ორი უტყუარი თვისებაა ნამდვილ ხელოვნური ნაწარმოებისა“¹⁰.

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძეს სწორად ესმის ზოგადკაცობრიულობისა და კონკრეტულ-ეროვნულის ურთიერთობა და ის გარემოება, რომ ყოველი ზოგადკაცობრიული იდეა კონკრეტულ-ეროვნული ფორმით უნდა იყოს ყოველთვის გამოხატული; ამრიგად, საკაცობრიო და ნაციონალური მომენტების ერთობლიობას, მათ ურთიერთობას არჩილ ჯორჯაძე მართებულად უკავშირებს ფორმისა და შინაარსის პრობლემას და აქვე აღნიშნავს ეროვნული ფორმის მნიშვნელობას.

არჩილ ჯორჯაძე აქვე ეხება ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიასაც და ამბობს, რომ ქართულ მწერლობაშიც იყო ცდები ესთეტიკის წინააღმდეგ გალაშქრების; არჩილ ჯორჯაძე აქ გულისხმობს მხატვრულობის, ესთეტიკური სრულქმნილების, მათი ქმედითობის წინააღმდეგ გალაშქრებას და აღნიშნავს, რომ ეს ცდები გარდუვალი ზარცხით დამთვრდება (რაც დღეს უკვე ამკარა არის) და ქართულ ლიტერატურაში მკვიდრად იკიდებს ფეხს „სალი შეხედულება ხელოვნებაზე“. ამასთან დაკავშირებით, იგი ქებით მოიხსენიებს უცნობი ავტორის მიუნხენიდან გამომგზავნილ ფელეტონების სერიას, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა (უცხოეთიდან გამომგზავნილი ამ წერილის სათაური იყო: „ჩვენი უბედურა მწიგნობრობა ამ საუკუნეთში“¹¹).

არჩილ ჯორჯაძე დადებითად აფასებს ამ ნაწერებს. მისი აზრით, ავტორმა ბრძოლა გამოუცხადა „პისარეუშინას“ (ე.ი. პისარევის ნიჰილიზმს, — მ.ც.) და თავისი შეხედულების საფუძვლად აქცია ლესინგისა და იპოლიტ ტენის შეხედულებები. არჩილ ჯორჯაძე აქვე გამოითქვამს აზრს ლესინგისა და ტენის შესახებ და ფრიად კომპეტენტურად მსჯელობს მათი შეხედულებების დადებით და უარყოფით მომენტებზე;

არჩილ ჯორჯაძე ღირსებად უთვლის „უცნობ ავტორს“, რომ იგი ცდილობს მონახოს „ნაციონალური ხელოვნების“ საფუძველი და მოყავს მისთვის უცნო-

ბი ავტორის ასეთი დებულება: „ავტორი ეძებს საფუძველს ნაციონალურ ხელოვნებისას. იგი ამბობს: „ყოველგვარი პოეზია (ლირიკული, ეპიკური და დრამატული) არის ხალხის პოეზიაშიც, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში ბუნებითა (ე.ი. ბუნებრივი. — მ. ც.) ლექსიცა (ლარიკა. — მ. ც.), ბუნებით მოთხრობაც ეპიკა და ბუნებით ბრძოლაც თავის ნებასთანა ვნებებთან და გარემოებებთან (დრამა) და ხელოვნებითი პოეზია, ლირიკა, ეპიკა და დრამა ნამდვილი ნაციონალური იქნება მაშინ, როდესაც საძირკველი ხალხის ბუნებითი პოეზია ექნება“.

არჩილ ჯორჯაძე ამბობს, რომ ამ ავტორს არ ეშინია „ნაციონალურისა“, აქ იგი უპირისპირდება იმათ, ვისაც მართლაც ეშინოდათ ნაციონალურისა და იგი ლიტერატურისა და ხელოვნების შემზღუდავ არტახებად, ხელოვნების დაიწროებად მიაჩნდათ. სწორედ ასეთი იყვნენ ლიტერატურის ეროვნულობის უარისმყოფელები და, რა თქმა უნდა, მათში პირველყოვლისა იგულისხმებიან ლიტერატურის ის ქართველი თუ რუსი კრიტიკოსები და ლიტერატორები, რომლებიც სოციალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგომნი, ან პირწმინდად უარყოფდნენ ეროვნულობას, ან იმდენად ზღუდავენ, რომ იგი მათ ხელში, ფაქტობრივად, სრულიად უფუნქციო, უსაგნო სამკაულად რჩებოდა.

ამასთან დაკავშირებით, არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს მისთვის უცნობი ავტორის დებულება (და უნდა ითქვას, უდავოდ მართებულიც), რომელიც დღესაც აბსოლუტურად გასაზიარებელია და ეთანხმება მას. ამაში ჩვენ ვხედავთ არჩილ ჯორჯაძის შემფასებლური პოზიციის მართებულობასა და პროგრესულობას. აი, ის სიტყვები უცნობი ავტორისა, რომელთა ციტირებასაც ახდენს არჩილ ჯორჯაძე და რომელთაც იგი საკვებით ეთანხმება: „რომელისამე თხზულებას მაშინ ექნება კოსმოპოლიტური, საზოგადო, მსოფლიო კაცობრიული ინტერესი,

როდესაც ის ნამდვილ-ნაციონალური იქნება“.¹²

უნდა ითქვას, რომ არჩილ ჯორჯაძე არ იზიარებს ამ ავტორის დებულებას ქართული რომანტიკული პოეზიის უთვალსაზიარებელი წარმომადგენლის აღექვსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასების შესახებ და ამაში იმ ჭარბ უტილიტარიზმს ხედავს, რომელიც 60-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. არჩილ ჯორჯაძეს არ მოსწონს არც დასახელებული ავტორის მეორე დებულება, რომლის თანახმადაც: „ვისაც ხალხის წინამძღოლობა და ბელადობა სურს, უნდა იცოდეს, სად, რა არის საჭირო, მისწრაფება და მალამო“. არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ პოეტი „ყოველთვის არ არის ბელადი და ასეთი რამ არც უნდა მოეთხოვოს მას“. მის მიერ ციტირებული ავტორის ამგვარ უტილიტარიზმს არჩილ ჯორჯაძე ასე ხსნის: „მაგრამ შესამოცე წლების აზრი და მოთხოვნა მასში იმდენად ღრმად არის ჩანერგილი, რომ იგი მოწოდებული პოეტებს მოსთხოვოს ანგარიში ძველი თაობის შეცდომებისა და ძველი რეჟიმის უვარჯისობისა“.¹³

ეს არის ერთ-ერთი პირველი კრიტიკული გამოხატვა არჩილ ჯორჯაძისა 60-იანელების გასაკრიტიკებლად და პირველი ბზარი, რომელიც მასა და წინათაობას („მაშების“ თაობას) შორის გაჩნდა.

სწორედ აქედან იღებს საწყისს არჩილ ჯორჯაძის, კრიტიციზმი, მისი სწრაფვა სამოციანელთა ესთეტიკური მრწამსის გადაფასებისაკენ, მაგრამ აქ თავი იჩინა არა მარტო სამოციანელთა წინააღმდეგ მიმართულმა ახალი თობის გალაშქრებამ, არამედ არჩილ ჯორჯაძის ღრმადი ე. წ. „კონსერვატორების“, ანუ ძველ სამოციანელთა ახალგაზრდა მიმდევართა კრიტიკამაც.

საბოლოოდ, ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტებისა და ხელოვნების თეორიის შესახებ გამოთქმული დებულებების განზოგადებით, არჩილ ჯორჯაძეს ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ერთი სიტყვით, აღ-


იარებულია ხელოვნების მცნება (როგორც იმდროინდელი სხვა ავტორები, ჯორჯაძე ხშირად „ცნების“ მაგიერ ხმარობს სიტყვას „მცნებას“, რაც დღევანდელი ორთოგრაფიით არასწორია, — მ. ც.) — ესთეტიკა პატივისაღები ხდება და ეს უკვე დიდი გამარჯვებაა აზროვნებისა“.

როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ესთეტიკის წელმომავლებამ, მისმა განვითარებამ არჩილ ჯორჯაძის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ილიას ნააზრვეი წარმომადგენლა „პირველ გაკვეთილს“ ესთეტიკისას საქართველოში, თავისი სიტყმური და ღრმად გააზრებული ნაშრომებით არჩილ ჯორჯაძე იყო მეორე ყველაზე თვალსაზიარებელი წარმომადგენელი ქართული მხატვრულ-ლიტერატურული და თეორიულ-ესთეტიკური აზროვნებისა, რომელმაც გაათანადროულა, თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოიყვანა გარკვეული ესთეტიკური კატეგორიების გააზრება და შესძლო, შეესატყვისებინა მათი გაგება საერთაშორისო დონესთან.

სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა არჩილ ჯორჯაძე თავის უფროს თანამედროვეებს, რომელთაც სწორად არ ჰქონდათ გააზრებული რიგი ესთეტიკური კატეგორიებისა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა ბარათაშვილის პოეზიის ადრეულ შეფასებაში.

ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ესთეტიკური აზრის განვითარების აუცილებლობა არჩილ ჯორჯაძეს უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. იგი ხაზს უსვამს ფილოსოფურ-ესთეტიკური აზრის ეროვნულ კულტურასთან დაკავშირების აუცილებლობას ზოგად-ესთეტიკურისა და კონკრეტულ-ეროვნულის დაკავშირების გარეშე ყოველგვარი ფილოსოფიური მსჯელობა მას სპეკულატურ (ე. ი. ზოგად, განყენებულ-თეორიულ) მსჯელობად მიაჩნია.

არჩილ ჯორჯაძის ნააზრვეი არა მა-



რტო ქართველი ხალხის იმჟამინდელ სოციალურ-პოლიტიკური მოიანების ღრმად გააზრებას წარმოადგენს, არამედ ეროვნული და ზოგადკაცობრიული პრობლემების თანამედროვე კუთხით გადაწყვეტის ცდასაც. ამ თვალსაზრისით მას განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნია ეროვნული ეტალონის მომარჯვება და ქართველი ხალხის წინაშე მდგარი ეროვნული ამოცანებით ხელმძღვანელობა ზოგადთეორიული საკითხების გადაწყვეტის დროს.

ჯორჯაძის სიტყვებში მშენივრად მოჩანს ქართველი მოაზროვნის არა მარტო ზოგადთეორიული ამოცანების ღრმა გააზრებულობა, არამედ ეროვნული სპეციფიკის, ეროვნული ხასიათის და ეროვნული პრობლემატიკის შესწავლის აუცილებლობის ქადაგებაც. „ღღეს — წერს არჩილ ჯორჯაძე — მაგალითად, თვალსაჩინოდ მომწიფდა ჩვენში საკითხი ეროვნული ხელოვნების აღორძინების შესახებ. ამ აღორძინებას ისე მოველით, როგორც იმგვარ რამეს, რასაც ექნება ნიშნები ქართული კულტურის გამოცოცხლებისა და ჩვენი ფსიქიური შინაარსის გამდიდრებისა და ჩვენთვის ღღეს უქმი სალაპარაკო საგანი არ არის ის, თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს ჩვენმა ხელოვნებამ. ამგვარად, თვით ეროვნული კულტურის განვითარების საჭიროება უწყობს ხელს ფილოსოფიური მსჯელობის განვითარებას და ეს განვითარება თუ არ ასცდა ამ საჭიროებით ნაჩვენებ გზას, იქნება ბუნებრივი და მკვიდრი“¹⁴.

ფრიად საგულისხმო წერილში, რომელიც პირველად 1911 წელს გამოქვეყნდა სათაურით „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“, არჩილ ჯორჯაძე ერთობ მკაცრად, მაგრამ თავისი თვალსაზრისის შესაბამისად ფრიად დასაბუთებულად აკრიტიკებს სამოციანელების შეხედულებებს ხელოვნების თეორიასა და მათი თანადროულ ხელოვნების შესახებ.

„ჩვენ კარგად გვესმის — წერს არჩილ ჯორჯაძე — ზნეობრივი მოტივები

მესამოციანელებისა. ხალხის სამსახური, ხალხის წინაშე მოვალეობის გადახდა, ყოველივე ეს წმიდაწმიდა იყო იმ ეპოქაში, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მათ მრუდედ ესმოდათ ხელოვნების თეორია. ამ თეორიაში სხვადასხვა ეშურიგებელი მცნებები იყო ჩართული. ხელოვნება ხასარგებლო უნდა იყოსო. კარგი დავემართოთ, ხოლო საკითხავია, რა არის ჩვენს თვალში ხასარგებლო და არა ხასარგებლო“¹⁵ (ხაზი ჩვენია, — მ. ც.).

ეხება რა სარგებლიანობის, როგორც გარკვეული კატეგორიის რაობას, არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ის, რაც 60-იანელების მიერ ხასარგებლოდ იყო მიჩნეული ხასარგებლო იყო, მაგრამ სრულიადაც არასაკმარისი, რამდენადაც, მისი შეხედულებით 60-იანელებისათვის ხასარგებლო ძირითადად იყო ჩაგრული ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, ე. ი. მატერიალური პრობლემა მათ ძირითადად ესახებოდათ, ხოლო სხვა დანარჩენი მეორეულად მიაჩნდათ.

არჩილ ჯორჯაძე მკაცრად აკრიტიკებს უტილიტარისტებს და სწორედ უტილიტარიზმის ჰიპერტროფიას ხედავს 60-იანელთა ესთეტიკურ პოეზიაში. შეცდომა მათი „ფორმულის“ ის არის, რომ ხელოვნებას „60-იანელები“ ესთეტიკური „ტკბობის“, „სიამოვნების“, „თვითშეცქევის“ თვისებებს აშორებდნენ, ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი სიტყვები, რომ „საქმე ის არის, ნამდვილი ხელოვნება, რეალისტურია ის თუ სიმბოლისტური, ყოველთვის ატკბობს და ასიამოვნებს. სიტკბობის ემოცია ისევე განუშორებელი თვისებაა ნამდვილი ხელოვნებისა (გინდა რეალისტურის, გინდა სიმბოლისტურის) როგორც კმაყოფილების გრძნობა არის თვისება ზნეობრივ მოქმედებისა“¹⁶.

არჩილ ჯორჯაძე ცხოვრებისეული სურათის რეალისტურ ასახვას და ამ სურათის მაღალი ხელოვნებით შესრულებას „სინთეტური აზროვნების ნიჭად“ მიაჩნევს და, მისი რწმენით, მხოლოდ

ასეთ მაღალ ნიჭს ძალუმს „კეთილი აზრების“, „მაღალი იდეების“ ქადაგება. თუ ეს სინთეზი არ იქნა, მას შეუძლებლად მიიჩნია ნამდვილი ხელოვნების ნიმუშის შექმნა.

ჯერ კიდევ 1910 წელს დაწერილ წერილში — „ნავსაყუდელის ძიებანი“ არჩილ ჯორჯაძეს ხელოვნების ეს უპირველესი ამოცანა ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებით ასეთნაირად წარმოუდგენია: „ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტიური სურათო ქართული ცხოვრებისა. დროა ენახოთ ჩვენი თავი, ყველანი ვინც ვართ, მხატვრულ ნაწარმოებში. ამ სინტეტურ სურათის შექმნა შეუძლია დიდ ხელოვნებას, დიდ ოცნებას, და თუ არ გამოიწყრებით „მშვენიერ მატყუვრობას“. ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული, განკერძოებულია, არა ჩანს საერთო ძარღვისცემა, არ სჩანს მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილი, პროვინციის კუთხეები ხევი, ფშავ-ხევსურეთი, გურია და სხვა. ვერსად ვხედავთ მთელი ერის სულისძვერას, მის შემადგენელი ნაწილების მთლიან ურთიერთობას. ვიმეორებ, სინამდვილემ ვერ დაგვანახა სინტეზა ჩვენის ცხოვრებისა“.¹⁷

არჩილ ჯორჯაძეს არ აკმაყოფილებს სინამდვილის ნაკუწ-ნაკუწი და ნამცეც-ნამცეცი ასახვა. იგი მოუწოდებს ფართო რეალისტური ტილოების შექმნისაკენ, სადაც ცხოვრება იქნება ასახული მთელი თავისი სისრულით, წინააღმდეგობებითა და მრავალფეროვნებით. მისი აზრით, ფრაგმენტულობა, სიყალბე, სინამდვილისაგან დაშორება და მხოლოდ არსებულთა დაკმაყოფილება — მაღალი იდეალებისა და ხალხისათვის სასარგებლო შორსგამიზნული ამოცანების გარეშე არ მისცემს ხელოვნებას საშუალებას, შეასრულოს თავისი უმთავრესი დანიშნულება: „ხელოვნებამ უნდა გაბედოს და მხატვრულ ნაკვეთში (ე.ი. სურათში, — მ.ც.) დაგვანახოს ის, — წერს ჯორჯაძე, — რაც იზრდება და მწიფდება, ხოლო საყვებით ვერ გაზრდილა და მომწიფებულა. ხელოვნებას აქვს ძალა

ამგვარი საქმისათვის და ხელოვნება ოცნებით ფრთაშესხმული, „მშვენიერ სიცრუით“ აღფრთოვანებული, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი განმარტება და შევსება იქნება“.

არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება უაღრესად საყურადღებოა; არსებითად, აქ საქმე გვაქვს უმნიშვნელოვანესი, უბერებელი და ლიტერატურა-ხელოვნებისათვის ერთი უპირველესი პრობლემის დასმასა და გადაწყვეტასთან. ეს გასლავთ პრობლემა ტიპიზაციისა, ტიპიზაციის არსის გაგებისა და მისი არსის განმარტებითი პროცესისა. ავტორი განმარტავს, რომ ამ საქმეში, ე.ი. „მშვენიერ სიცრუეში“, ანუ იმის ჩვენებაში, რაც ჯერ ხაფხებით არ დასრულებულა, მაგრამ იზრდება და მწიფდება, არის ის პერსპექტივა, ურომლისოდაც ხელოვნება საჭემოშლილ გემს დაემსგავსება. რეალური მოვლენებისათვის ასეთ „გასწრებაში“, ასეთ წინსწრაფვასა და წინგანჭვრეტაში საშიში არაფერია, — გვაფრთხილებს არჩილ ჯორჯაძე, ჩვენ არ ვაპირებთ მშვენიერების რელიგიად გადაქცევასო, მაგრამ ასეთი განმარტება და შევსება მას მიიჩნია რეალური ცხოვრების ასახვის აუცილებელ მხარედ და ამგვარი ასახვის პროცესი, მისი თვალსაზრისით, „უნდა იყოს ფართო“, „სინთეტური“, რათა შეიქმნას ფართო პანორამა და მონუმენტური ტილოები ქართული სინამდვილისა და მათ შორის, პირველ რიგში, ქართული რეალისტური რომანი.

არჩილ ჯორჯაძე ამბობს, რომ „სინტეტურ, ფართო პლანის“ ნაწარმოებში უნდა აისახოს არა მარტო ის, „რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ისიც რაც შეიძლება რომ მომავალში არსებობდეს, ხოლო ჯერ არ არსებობს. ხელოვნების ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ შესაძლებელი რეალობად იქცეს და მით იგი შემოქმედ ძალად გახდეს“¹⁸.

აქ სწორად არის გააზრებული ხელოვნების, კერძოდ, მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების არსი; სწორადაა დანახული ძირითადი ამოცანა ლი-



ტრატურისა და ხელოვნების—ცხოვრებისეული სიმართლის მაღალ ესთეტიკურ სახეებში და ტიპურ ხასიათებში ასახვა. სწორედ ეს გახლავთ არჩილ ჯორჯაძის უკოპიერება და სწრაფვის ძირითადი არსი და მიზანი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არჩილ ჯორჯაძემ თავისი მაღალი ნიჭიერების, უმდიდრესი ერუდიციის, მეცნიერული შორსმხედველობისა და მხატვრის ინტუიციის წყალობით შესანიშნავი სიზუსტით გადაწყვიტა ის, რაც ე. წ. „საბჭოურმა“ მეცნიერებამ მთელი თავისი 70-წლოვანი არსებობის განმავლობაში ვერ მოახერხა, და გადაწყვიტა XX საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა მსოფლიო ესთეტიკური აზრი ამის შესახებ ზუსტსა და გადამწყვეტს ვერაფერს გვეუბნებოდა. აბა, გავიხსენოთ რამდენი ურთიერთგამომრიცხავი აზრი ჩამოყალიბდა ლიტერატურათმცოდნეობასა და ხელოვნებაში ტიპიურობის არსის შესახებ (მ. გორკის, გ. პოსპელოვის, ლ. ტიმოფეევის და მრავალ სხვათა შრომებში). მისი გადაწყვეტა უმაღლეს პარტიულ ფორუმზე — პარტიის ყრილობებზედაც კი სცადა ცკ-ის მდივანმა გ. მაღენკოვმა. რამდენჯერ შეიცვალა ტიპი-

ურობის გაგება, ხან როგორც ყველაზე გავრცელებული მოვლენის ხანა, ხან როგორც საშუალო არითმეტიკულის, ხან როგორც საშომავლო და ა.შ. ხოლო არჩილ ჯორჯაძემ კი უკვე მაშინ მოგვცა ურთულესი პროცესის ზუსტი განმარტება.

ასე უკავშირებს არჩილ ჯორჯაძე ერთმანეთს ესთეტიკის ძირითად პრობლემებს: ერთის მხრივ ქართული ხელოვნების, ქართული მხატვრული ლიტერატურის პრაქტიკულ ამოცანებს, მეორე მხრივ, სწორედ ეს არის მისი ესთეტიკური ძიებებისა და ლიტერატურათმცოდნეობრივი შეხედულებების უწყვეტელობისა და ურთიერთკავშირის გამოხატულება. არჩილ ჯორჯაძის ნიჭი უნარია—ნაღ და ქმედითად უთავსებს ერთიმეორეს როგორც ღრმა თეორიულ შეხედულებებს, ისე მისი თანადროული ეროვნული ხელოვნებისა და მწერლობის ძირითად ამოცანებს. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი, როგორც თეორეტიკოსისა და ეროვნული მხატვრული კრიტიკის უთვალსაზიროესი წარმომადგენლის ძალა, ღირსება და ისტორიული დამსახურება.

შენიშვნები

1. გ. აბაშიძე „არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევიდან“ ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, 1973 წ. 6. IV.

2. „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 379.

3. „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“ „სახალხო გაზეთი“, 1911, № 379, ნაწერები, წიგნი მე-3. 1911 წ., გვ. 38-43.

4. „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, „სახალხო გაზეთი, 1911, №379

5. „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, „სახალხო გაზეთი“, 1911, № 379.

6. „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, „სახალხო გაზეთი“. 1911, № 379

7. იქვე.

8. ა. ჯორჯაძე, „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, თხზულებანი, წიგნი 3, 1911, გვ. 210.

9. ა. ჯორჯაძე, „ცოტა რამ ხელოვნების შე-

სახებ“ თხზულებანი, წიგნი 3, 1911, გვ. 210.

10. „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ ნაწერები, წიგნი 5. 1914

11. ამ წერილის ავტორია ალექსანდრე ცაგარელი.

12. მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის, არჩილ ჯორჯაძე, ნაწერები, წიგნი 5, 1914.

13. ნაწერების მეხუთე წიგნი, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

14. 1911, წინასიტყვიობა, თხზ., 3 წიგნისა, ა. ჯორჯაძე, თხზულებანი წიგნი 3, გვ. V-VII.

15. მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნი V, 1914, გვ. 110-112.

16. მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნი V, 1914, გვ. 110-112.

17. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი 3.

18. ახალი წელიწადი, ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი IV, 1911, გვ. 193.



ნათელა ონაშვილი

„შენი ღვრიტა პარ, გაეულ-დედულო!“

შოთა ნიშნიანიძე უარესად ეროვნული პოეტია. ქართული კლასიკურა ლექსისა და მდიდარი ხალხური შემოქმედების ნოყიერ წიაღშია საძიებელი მისი განწყობილებისა თუ გამოსახვის საშუალებათა წყარო და სათავე. იგი მაღლიერი მემკვიდრის პოზიციიდან აგრძელებს დიდებულ წინაპართა სასახელო ტრადიციებს, თუმცა ყველაზე სისხლხორცეულად მაინც ვაჟასა და გიორგი ლეონიძეს ენათესავება, ღირსეულად ეხმიანება მათი ვაჟკაცური ხმის ექოს, მათი სულისკვეთების შესაბამისად აყალიბებს საკუთარ შემოქმედებით მიზანსა თუ მოქალაქეობრივ მრწამსს:

**უნდა ვიდვანო, ვიწვალო,
მისხალს შევმატო მისხალი,
„პირზე ოფლგადამდინარემ“
გადავიხადო ღვთის ვალი.**

ნარ-ეკლთ მოფენილი გზა შემოქმედისა სიკეთის, გულმოწყალების, მოყვანის სიყვარულის, უჩრდილო პატიოსნების, უანგარობისა და დიდსულოვანა მიმტყვებლობის ციცაბო ბილიკზე გადის. დღეს, როცა დროის აქტიურ სიმპტომად იქცა პირადულზე თავგამოდებული ზრუნვა, ეგოიზმი, უსაფუძვლო ამბიციურობა, უსამართლობა და განუხჯელობა, როცა საუკუნეთა მანძილზე

წვითა და დაგვით შენარჩუნებული ეროვნული ზახიათის სიმტკიცეს, წამიერი სიამისა და კეთილდღეობის დაუოკებელი ძიების კოროზია შეუჩნდა, როცა ამ ხალხმრავალ უდაბნოში ეულად და უმწეოდ დაბორიანლებს თანაგრძნობისა და თანადგომის გასაუთებელი წადილი, მხოლოდ საკუთარი ბუნების სრულყოფისაკენ სწრაფვა იხსნის შემოქმედსაც და მის მრევლსაც. ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის უწმიდეს საქმეს პაწაწკინტულა პირადული ვნებებით დამუხტული ვერ მიეახლები, შურით, მტრობითა და ანგარიშიანობით ვერ გააუფასურებ ამ უმაღლეს მიზანს. ყოველგვარ მანკიერებასთან ბრძოლა საკუთარი არსებოს სრულყოფიდან უნდა დაიწყოს. შთამბეჭდავი სიდიადით არის გამოხატული პოეტის ეს სულისკვეთება მის ლექსში: **ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე, შურზე, მტრობაზე ამაღლების დღე, მიმრავლე მტრებთან შერიგების დღე, საკუთარ თავთან შერკინების დღე, შენთვის ამქვეყნის შევედრების დღე, ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე!** ამ ლექსის აზრობრივი სივრცე შორს სცილდება პიროვნულ ჩარჩოებს და გლობალური კათარზისის მასშტაბებს

გულისხმობს. ოდენ ქრისტიანული სათნოებაა კაცობრიობის არსებობის ჭეშმარიტი გამართლება. ეს განწმენდა და ამალღებაა ერთადერთი გარანტია ცოდვებით უსაშველოდ დამძიმებული სამყაროს გადარჩენისა. ამ შეგნებით პოეტი კიდევ ერთხელ უზმანება ქართული კლასიკური მწერლობის ჰუმანისტურ ტრადიციებს, რაც სრულიადაც არ გულისხმობს ძალმომრეობის მიმართ მონური მორჩილების აპოლოგიას. სიკეთისა და სათნოებისაკენ სწრაფვის ეს ტენდენცია ქართველი კაცის სულიერი მემკვიდრეობაა, დღეს ყველაზე მეტად რომ საჭიროებს განახლებას, აღორძინებასა და განმტკიცებას.

ისევე, როგორც, საერთოდ, ქართული პოეზიისათვის, შოთა ნიშნიანიძისთვისაც ნიშანდობლივია საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის ბალავრის ძიება. იშვიათია შემოქმედი, ამ მიზნით რომ არ დაბრუნებოდეს თავის ბავშვობას. შოთა ნიშნიანიძისათვის ეს ბალავარი ეროვნული ყოფაა, ქართული ზღაპრის რომანტიკით განცდილი სინამდვილეა, სადაც თავს იყრის სიყმაწვილის მშვენიერ შთაბეჭდილებათა უღვივი მარაგი, ის, რაც შემდეგ მის პოეტურ წარმოსახვაში უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც უმთავრესი სათქმელი, რამაც მომავალში უნდა განსაზღვროს მისი შემოქმედების გეზი და ამოცანა.

ის, რაც ადრე მარტოოდენ ბავშვობის გულბრყვილო და უშუალო განცდა იყო, შემდეგ სიმბოლოებად გარდასახება, უსაზღვრო აზრობრივ დატვირთვას შეიძენს, ორგანულ მთლიანობად გაცნობიერდება და ღრმა ანალიზის საგნად იქცევა.

ბავშვობის სანავარდოსთან დაბრუნება ნეტარი შეგრძნებაა, რომელშიც ხორცის ისხამს ადრეული მშვენიერი ხილვები და სული გარდასულის, მაგრამ სიღრმისეულ შრეებში ფაქიზად შენახულის თბილ ტალღებზე ტივტივებს. მასზე აღბეჭდილი იდუმალ მნიშვნელობათა მწკრივი შემდგომ ინტელექტუალური განსჯის ბრძმედში გაივლის და ჩამოყა-

ლიბდება მონუმენტურ სახეებად ლეხიცი, ვარდა მხატვრული სხეულისა, ფილოსოფიურ შინაარსსაც შეიძენს. ასე იქმნება მშვენიერების სასუფეველი, სადაც ყოველი ასოცირებული სახე უმთავრეს შემოქმედებით მიზანს დაუკავშირდება:

იქ, როინზე, სანაოსთან,
ბონდის ზიდი ქანაობდა,
გავდიოდი გაღმა მხარეს
და ჯადოსნურ ლერწმებს ვთლიდი...
თურმე ბეწვის ზიდი იყო,
მე შეგონა ბონდის ზიდი.
ვიღაც ქალი ბეოლას სხედა
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,
მე შეგონა გლეხის ქალი,
თურმე ღვთისმშობელი იყო.

ასე გარდაიქმნებიან სიმბოლოებად ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები. ზნულს ადევნებული მეხრე ქრისტე ღმერთად იქცევა, თანატოლებთან მოტორილაღე ხათრიანი ბიჭი — ზღაპრულ ამირანად, ირმის ჯოგის მწველავი ვოგო — ქალღმერთ დალიდ და ა. შ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მხატვრული სახეები მითიდან კი არ გამოდიან და ჩვეულებრიობაში კი არ სახლდებიან, როგორც ეს უმთავრესად ხდება ხოლმე შემოქმედებით სამყაროში, არამედ ჩვეულებრიობა, ყოველდღიურობა მალღდება მითამდე, ლეგენდამდე და იქცევა ეროვნული ყოფის, ეროვნული ხასიათის, ეროვნული ზნეობის ნათელ ნიშანსვეტად... და ყველაფერი, ყველაფერი რაც ქმნიდა და აყალიბებდა პოეტის პიროვნებას, ეროვნულ წიაღშივე დასაბრუნებლად განეშაადება, როგორც სიკეთის მარცვალი — სულის ნოყიერი ნიადაგისათვის. ეს ზეციური წარმომავლობის სახეები პოეტის არსებას პირთამდე აავსებენ და მშობლიურის სადიდებლად აღაფრთოვანებენ:

წადი, შვილო, და რაც ნახე,
ქართული ხმით იგალობე!

შემდეგ კი, როცა დამძიმდება ცხოვრების ტვირთი, როცა გზაწერილზე შეფერხდება მამურალი მუხლი, როცა ბაღღურ სილაღესა და უდარდელობას შე-

მოქმედის მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება შეენაცვლება, რა სასოებით მოსწყურდება, რა სულისშემძვრელად მოენატრება სიყმაწვილის ის უზრუნველი სიამე და ტკბილი ზმანება:

ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი,
ბონდის ხიდი მაპოვინიე,

ზღაპრის ხიდი, ოქროს ხიდი!

შოთა ნიშნიანიძე აქ, ნაწამებ მიწაზე, ცხოვრობს, იღვწის, ქმნის, იშვიათად სცილდება მიწას და ისიც მარტო იმით, რომ მას დისტანციიდან დახედოს, თვალწინ უფრო მასშტაბურად გაისაგრძეგანოს და მკაცრად შეაფასოს მისი წყველაკრულვიანი საზრუნავი. ის რეალურად არსებულის სამსახურშია, როგორც მისივე ხარი წიქარა, ვალმოხდილი, ნაჯაფარი, ამეგარი, მორჩილად რომ შემბულა ერის სამსახურის მძიმე უღელში და ნეტარი რუღუნებით ეზილება ამ ძნელ ჭაპანს:

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთოვლო.
შენი უღელი მეშხატოს აგრემც,
ქედზე რომ შადგას განაჩენივით,
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,
სიყვარულისთვის ვარ განჩენილი.
და თუ ვქონია რამე ტყვიილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს,
ამილოკია ქვაშარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია.

ამ გრძნობის ამგვარად გამჟღავნება მარტოოდენ ქართველ კაცს, მხოლოდ ქართველ პოეტს ხელეწიფების, დიახაც, მხოლოდ ქართველს, ვისაც სიტყვაში ჩვენი ნაწამები მიწის მარილიანი მადლი გამოჰყოლია, ვისაც ოდესმე მთელი არსებით შეუგრძენია ახლად ამობრუნებული ბელტის ნოტიო სურნელი და კალოზე ჩაშლილი ძნის დამათრობელი მხურვალეობა, ვის ყურთასმენასაც ოდესმე მისწყდენია ბაგაზე მიბმული დამაშვრალი საქონლის ჩუმი ფშვინვა, ვინც ოდესმე გაბრუებულა ორღობეში ჭრიადლით მიმავალი ურმის

ღვთაებრივი მუსიკით, ვინც მთვარის ში მოცახცახე ბალახის ფარდაზე გამზლართულა და რძისფერი ღრუბლების დაუოკებელ სრბოლაში თავისი ქვეყნის მფარველი ანგელოზი დაულანდავს მეოცნებე მზერით. სხვას ვის ძალუძდა მაშულის სიყვარულის ასეთი მფეთქავა მუხტი ჩაედო ლექსის ფინალში:

და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი,
შენზე დამრჩება ისევ თვალები,
ანგელოზების ამოკოცნილი.

ამ სტრიქონებს ქართული ზვრების, ქართული მარნის შეუღარებელი სურნელი ახლავს და მამულიშვილის თვალებს ქართული თონიდან მშფოთვარე ფიქრივით ამობოლქვილი კვამლით აურემლებს.

ხარის პერსონიფიცირებული სახე შოთა ნიშნიანიძის სხვა ლექსებშიც დომინირებს, როგორც შემოქმედის მოქალაქეობრივი მოვალეობის გამომხატველი. ასეთია, თუნდაც ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუში — „ხარი“.

პოეტის მიერ მიგნებული პირველი სიტყვა თუ ფრაზა ხშირად იქცევა ხოლმე იმ ჯადოსნურ გასაღებად, რომელმაც შემოქმედის საიდუმლო სამყაროს ცხრაკლიტული უნდა შეგვიხსნას და ლირიკული გმირის განცდათა ნამდვილობას გვაზიაროს. „ხარში“ ამგვარ მაგიურ გასაღებად გვევლინება მიმართვა — „აგრემც“. ამ თითქოსდა უპრეტენზიო სიტყვის პირველივე გაღვება უკვე ქმნის რალაცნაირი მშობლიური განცდით დამუხტულ ატმოსფეროს, რომლის წიაღშიც უნდა აღმოცენდეს ხალხური პოეზიის დვრიტით გაჟღენთილი ვერსიფიკაციული სასწაული:

აგრემც ვალმოხდილ, ნაჯაფარ,
ბებერ ქედს ვენაცვალები,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს
ჯიდა, საცერა თვალები?

ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ეს მშვენიერი უბრალოება სულის უნახვს სიმძებს ათრთოლებს და მისი მაგიური გავლენით მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლდება არა

ლევენდა, არა მითი, არა ზღაპარი, არა-
მედ არქაული გარემო, — შუა ცეცხლით
შეზოლილი მშობლიური კერა; ხმელა
ნაძვის სურნელი, საქონლის ნაფეხუ-
რებში ჩამდგარი ბლანტი გუბები, შუა-
დღისას მავკლის ბუჩქებთან ყურისწამ-
ლებად აბზუვლებული კოლო — ბუზი,
ბელის ყურესთან მივდებული დაღვ-
ლარჭნილი აპურეი, სიცხით გაყურებულ
გარემოში ღვთაებრივი სიწმინდით გახ-
მიანებული „კაფე — თესე“... ლექსში
ამაზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ
სტრიქონებს შუა იგულისხმება გარდა-
სულ ეგზოტიკად ქცეული მამაპაპულა
ყოფის ეს განუყრელი ატრიბუტები. პი-
რველივე სიტყვიდან იბმება ურთიერთო-
ბის უხილავი ძაფები, მყარდება იდუმა-
ლი შინაგანი კონტაქტი ავტორსა და
ლექსის ობიექტს შორის. აქ საჭირო
აღარ არის სიმბოლოები და მინიშნებე-
ბი, პოეტური ქარავმები და ნართაულე-
ბი. ისე, უბრალოდ, ადამიანურად, მად-
ლიანი ქართულით ესაუბრება პოეტა
ხარს, თანაგრძნობით ეზიარება მიძიმე
ხვედრში, აღნუსხავს მის ამავს მიწას
შეჭიდებული ხალხის მიმართ:

აშენე ციხე-ქალაქი,
ააგე ბუერი საყდარი,
რომ ქართველს აბჯარგაუნდელს
მტერი ჰყოლოდა წამხდარი...
ძეობა იყო, — გლეხკაცი
ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრუობა იყო, — ვაიმე,
ისევ შენ გამოგიმეტეთ.
ქორწილი იყო... ვაიმე,
მტკიოდა გული ხალადრე,
წამოგაქცეოთ ნაჯაფი
და ყელი გამოგალადრეთ.
ცხედარიც მიპატიოსნე
აღაპქელეხის წესებით,
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე
ტირილით ვწერე ლექსები.
ნეტავი, ღმერთო, შეც მომცა
ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა — ხარვივით გამწვევი
მამულის გასახარისად.
ვიყო ხარვივით ამტანი,
ვიყო ხარვივით მომთმენი,

ჩემი პატარა ქვეყნისთვის შეც შევძლო ხარისოდენი.

შოთა ნიშნიანძის პოეზიაში თავს
იჩენს პრაქტიციზმი, ქმედითი ცხოვ-
რების გამოცდილება. ეს თითქოს წინა
ბლანზე უნდა წამოსწევდეს მის რაცი-
ონალურ სტრუქტურას. ცნობილია, რომ,
როცა პოეტურ გრძნობას პოეტური აზ-
როვნება ჭარბობს ან პირიქით, ირღვე-
ვა ესთეტიკური პრინციპი, იკარგება
ლექსის ღვთაებრივი სრულყოფილება.
ამ მხრივ შოთა ნიშნიანძის პოეზია,
ჭეშმარიტად, ოქროს კვეთია, გასაოცა-
რი წონასწორობაა, პარმონიული მთლი-
ანობაა ამ ორი მხატვრული ფენომენი-
სა, ამიტომაც ის თანაბარი ძალით ესა-
დაგება აზრობრივ თუ გრძნობად ემო-
ციებს, წამითაც არ კარგავს იმ სულის-
შემძვრელ პოეტურ მდინარეებს, ასე მა-
ღლიანად რომ ბრწყინავს მის დახვე-
წილ, რაფინირებულ სტრიქონებში. ამ-
ის დასტურია მისი არაერთი ლექსი, მათ
შორის, „კოჯრისა და ათონის დილო-
გი“, „ბალადა პროფესორ ჟორდანიას
გმირობაზე“, „დედაბრისა და მამლის
ამბავი“, „იმერეთი — გიორგობის თვე“,
„ამ ქუჩის ბოლოს“ და სხვა მრავალი.
სადაც პრაქტიკული, უტილიტარული
საამოდ ერწყმის უადრესად ინტიმურსა
და მაღალპოეტურს. ამგვარი ლექსების
თემატიკა თითქმის პუბლიცისტურია,
რაც ბუნებრივად უნდა ქმნიდეს დეკლა-
რაციული სიმშრალისა და სქემატურო-
ბის საშიშროებას, მაგრამ შოთა ნიშნი-
ანძის ხელოვნება ამ თემებს ისეთი
ლირიკული სამოსელით მოხავს და იმ-
გვარ დახვეწილ პლასტიკურ სახეებში
წარმოაჩენს, რომ ფერადოვან მხატვრულ
ანტურაჟში საყსებით იქმნალება პრაქ-
ტიკული მოდელი და სათქმელი ფართო
ემოციურ პლანში განიფინება.

„კოჯრისა და ათონის დილოგში“,
პოეტი ძრწოლითა და სევდით უცქერს
ელემენტარულ სითბოსა და ალერსს მოკ-
ლებულ ობოლ და უპატრონო ბავშვებს
და აღშფოთებისაგან ხულშეგუბებულა
ფიქრობს იმაზე, როგორ იმეტებენ დე-
დები შვილებს სხვის კარზე მისაგდებ-

ად ან საბავშვო სახლებში ჩასაბარებლად. ან ეთქმით კი მათ დედები? ეს ბავშვები ხომ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილია, ვისაც მომავალში საქართველოს ბედი უნდა ჩავაბარო!

როგორც ვხედავთ, თემა მწვავე, მაგრამ აშკარად პროზაულია. ახლა ვნახოთ როგორ გარდაიქმნება ეს პროზა მაღალ პოეზიად. სულის შემძვრელად ხატავს პოეტი ამ ცოდვის შვილთა მრისხანე მზერას. ისინი „გალახული თვალებით ყფენ“, ხოლო „თვალებით ყფა—ეს ყველაზე მწარე ყფვაა, თვალებით ყფვა პროტესტია ყველაზე დიდი“. სტრიქონებს შუა უსაშველო სევდა ბობოქრობს და ამ სევდის ფონზე ღვთაებრივი სიწმინთა და სინათლით გამობრწყინდება სახე ოთხმოცი უპატრონო ბავშვისა, გიორგი მთაწმინდელმა ათონის გზას რომ გაუყენა. საქართველო იოლად ვერც ამ ობლებს შეეღია, ამიტომ მათი გასტუმრება, თუნდაც, კეთილშობილური მიზნით, ღზინი კი არა, გოდებაა მთელი ერისა:

ზარების რეკვა, დარისხება

ისმის გოდებად,

ერი და ბერი ეკლესიის ბჭესთან

გროვდება.

ამ პირველი სტრიქონებიდანვე იფანტება კოჯრიდან გამოყოფილი პროზაული მიწიერება და იქმნება მშვენიერების საუფლო, სადაც ყველაფერი ამადლებულის კატეგორიით განიცდება. დრამატულის სიდიადით იმუხტება გარემო. ზარები არასოდეს რეკენ უმიზნოდ და უშინაარსოდ, არც ერი და ბერი მოგროვდება ტაძართან უქმად. მაშასადამე, რაღაც ხდება, ძალიან დიდი... თითქოს უზრმაზარ ფერწერულ ტილოზე ეცეკება უხილავი ოსტატის ჯადოსნური ფუნჯი, ისე თანდათან იხატება მონუმენტური სცენა, რომლის განათებულ ნაწილში მოკრძალებით დგას ოთხმოცი დაბნეული, სახეგამშრალი ბავშვი. ეს ქრისტეს ლაშქარი. ამიერიდან მან წაშების გზებზე უნდა იაროს, რომ ეროვნული კულტურის ფასდაუდებელ საგანძურს ახალი მარგალიტები შესძი-

ნოს. გასაოცარი ოსტატობით არის მიგნებული ამ სცენის აქსესუარი. ბიჭებს თან მიაქვთ სამი რამ, სამი წმინდა სიმბოლო თავიანთი მომავალი ღვაწლისა და საქმიანობის: ფანდურები, ცელები და სამშობლოს ხსენა... უნდა იშრომონ, მშობლიური ჰანგები ისმინონ და შიგ გულისგულში შეინახონ მამულის ხატი:

ქართველი კაცი თუნდაც ბერი,

განა მოცდება —

„მრავალქამიერი“ დათესავენ

ვანა-ბოსტნებად,

„კრიმინალულს“, „ლილეს“, „შენ ხარ

ვენახს“ ათონს დარგავენ,

ვაზიან ხარღებს მომართავენ,

როგორც საკრავებს.

ერთი შეხედვით, მეტაფორულადაც კიდნელი წარმოსადგენია ხორბალივით დათესილი „მრავალქამიერი“ და „შენ ხარ ვენახი“, ისევე, როგორც გალაკტიონის „ლურჯი კომში და ცისფერი ატამი“, მაგრამ ამ ორივე შემთხვევაში სწორედ ეს პოეტური ულოგიკობა განაპირობებს ლექსის ღრმა ემოციურ დატვირთვას, რარივ თრთის სული ამ სტრიქონების კითხვისას, როგორ მაღლდება ეროვნული თვითშეგნება, რა სიმძაფრით იგრძნობა ის მოხალოდნელი ფაქტი, რომ უცხო მიწაზე გადვივდება, ამოფეთქავს და კიდით კიდეს მოედება სიცოცხლისუნარიანი ქართული გენი:

მილაღავს დიდი ათონელი

ოთხმოც ბოჩოლას,

ოთხმოც ურა კვიცს,

ოთხმოც მგლის ლეკვს

და ოთხმოც მწვევარს...

ალბათ ისინი ვერასოდეს დაბრუნდებიან, ვეღარასოდეს შეიგრძნობენ მშობელი მიწის ნოტიო სურნელს... შორიდან უნდა იოცნებონ საქართველოზე, ხართლის მოცახცახე შუქზე იკითხონ ქართული ფოლიანტები, თავადაც ამ ხან. თელივით ჩამოიღვენთონ უცხოობაში, რომ ცისარტყელად გადაეკვლონ ქართლის კაბადონს, საკმევლის სურნელად მიმოიბნენ ქართულ ტაძრებში და ყოველი თანამემამულის სულში სამშობ.

ლოს სიყვარულის ნადევრდალი გაადვი-
ვონ. მიდიან ქვეყნის სამსახურად და
ობოლ ბიჭებს „ათონისაკენ მიაცილე-
ბენ კერიის ცეცხლი, ივენანა, ყრმობის
სიზმრები“. ხვალისადაც უფრო დამძიმდე-
ბა ჩვენი სვებედი, „ხვალ-ზეგ ოთხმო-
ცი მეციხოვნით ცოტა ვიქნებით“, მაგ-
რამ ჩვენს სულიერ ცხოვრებას ოთხ-
მოცი მნათე ოქროპირი გააჩინაღდნებს.

ასე დგას ერთ ლექსში ერთმანეთის
პირისპირ ორი სინამდვილე: ქართველ-
ობოლი ბავშვების ბედი აწმყოსა და წა-
რსულში. ასე ანამუსებს და ამუნათებს
უსულგულო, უპასუხისმგებლო თანამე-
დროვეობას ჩვენი ტრაგიკული, მაგრამ
სასახელო წარსული. პოეტის გრძნეულ
ხელში პრაქტიკული საჭიროება ასე გა-
რდაიქმნება მაღალ პოეზიად.

ამავე ნიშნით ხასიათდება „დედაბრი-
სა და მამლის ამბავი“, სადაც მამფრად
არის წარმოჩენილი თანამედროვეობის
ერთი უადრესად მნიშვნელოვანი პრობ-
ლემა მიტოვებული, დაცარიელებული
სოფლისა, მიგრაციის ტრაგედია.

ომის შემდგომ აღარავინ დაბრუნე-
ბია მშობლიურ ადგილებს. ჩამქრალი კე-
რები უძლური მოხუცების ამარა დარ-
ჩენილა. გაპარტახებულ ეზო-ყურეებში
ყრუ მარტოობა ჩაბუდებულა. ყანაში
დათვები დალაყუნობენ, ახლებში მშვი-
რი ტურები კვიან. უდაბნოს დუმილით
გარინდულ გარემოს მხოლოდ მოხუცა
დედის უძალო ბახილი და ერთადერთი
ყინჩა მამლის ამბოხი ადვიძებს. საოც-
რად არის მიგნებული მამლის ყვილით
ასოცირებულ ომში დაღუპული ვაჟკა-
ცების სახელები, როგორც სასოწარკვე-
თილი მშობლის გაუნელებელი ტკივი-
ლი და მარტოობის უმძიმესი სევდა. გა-
ნგაშის ზარივით რეკს სამგლოვიარო
მუსიკად გახშიანებული ეს განწირული
ბახილი:

- გოგოლიკოოო...
- კიკოლიკოოო...
- კუკურაკოოო...
- ილიკოოო...

სასომინდილი დედა და დაობლებულა
სოფელი ამადაც უხმობს ომში დაკარ-

გულ შვილებსა თუ ქალაქში გაზოზნულ
მათ უმადურ ნაშვირთ. მერე ის ერთი
მოხუციც მიდის... ქალაქიდან ჩამოსუ-
ლები მამალსაც კლავენ, გზაში რომ არ
მოშივდეთ, მოხუცის მარტოობასა და
სიღარიბესაც გულს გარეთ გაიხსენებენ,
რაჭა კი, რაჭა, როგორც სხვა კუთხეებ-
საქართველოსი, ცარიელი და უპატრო-
ნო, უჭირისუფლო მიცვალებულს დამ-
სგავსებია. შემადრწუნებელია ლექსის
ფინალი, სადაც მოულოდნელად გაკრთე-
ბა მწარე ირონიით აღბეჭდილი მისტი-
კური ჩვენება:

ამბობენ: მთაში მონადირეს
დაუფრთხა როჭო
და თოფი ხელში შეაცივდა,
ისე შეშინდა:
პირჯვარს სახავდა დედაბერი
მშობლიურ რაჭას
მფრინავ თეფშიდან...

ეს დამარცხების მწუხარე ირონიაა.
რაც ვერ შეძლო ისტორიის ავბედითო-
ბამ, ჩვენ თავად მოვიმოქმედეთ სოფლის
მიტოვებით. ეს ფრიად აქტუალური და
საჭირობოროტო პრობლემა შოთა ნიშ-
ნიანძის ლექსში ღრმა ლირიზმით არ-
ის განჭვრეტილი და გამოხატული.

საგანგებოდ უნდა შეგჩერდეთ ლექსზე
„იმერეთი, გიორგობის თვე“, რომელიც
წარმოსახვის მასშტაბურობით, თემის
გააზრების ორიგინალობით, თხრობის
დინამიზმით, ეიზუალური ხატების სი-
უხვითა და მომზიბლავი ეროვნული კო-
ლორიტით თანამედროვე ქართული პო-
ეზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.

ქართულმა პოეზიამ, ისევე, როგორც
მსოფლიო ლიტერატურამ, რა ხერხი და
საშუალება არ გამოიყენა, საერთოდ.
ომისა და კერძოდ, მეორე მსოფლიო
ომის აბსოლუტური უაზრობისა და გლო-
ბალური ტრაგიკული შედეგების გამო-
სახატავად. მხატვრულ ქმნილებებში
მთელი სიმძაფრით გამოისახა მრისხა-
ნე ბატალიები, გამძლეობისა და შეუპო-
ვრობის ლეგენდარული მატთანეები, სი-
სხლისა და ცრემლის ოკეანეები, ტანჯ-
ვისა და ვაების გოლგოთა... თითქოს ამო-
იწურა სათქმელიც და გამოსახვის სა-

შუალელებიც, მაგრამ შოთა ნიშნიანიძის პოეტურმა შესაძლებლობამ ამ სფეროში სულ სხვა პორიზონტი გადაშალა, საესეებით განსხვავებული, ორიგინალური ასპექტით წარმოაჩინა ამ მოვლენის ტრაგიზმი.

ლექსში — „იმერეთი, გიორგობის თვე“ შთამბეჭდავად ცოცხლდება იმერული სოფლის ეგზოტიკა, რომლის ფონზე ღრმა სულიერი განცდის უხილავი ძაფით იქსოვება დღესაც ქმედითი იმპულსით მფეთქავი შედეგებული ტკივილი. აქ სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარულის სარკმლიდან არის დანახული მთელი თაობის უდროო და უაზრო სიკვდილის საშინელება. ახლა ისინი სოლადურ ასაკში გადამდგარნი უნდა დაჰგურგურებდნენ თბილ კერაის მაგრამ ვაი, რომ მოგონებებადღა დარჩნენ!

განგებ გალღებული თხრობით შეყვართ პოეტს მითებისა და ლეგენდების სამყაროში და მთელი სიმძაფრით განგვაცდევინებს ქართული სოფლის კოლორიტულ ხიბლს, რომ შემდეგ მისი უსაშველო სევდის მოზიარებად გვაქციოს. ყოველი სტრიქონიდან თითქოს ვაზის მადლიანი ნაჭური მოწვეთავს და დათაფლული ბადაგივით ედება შემოდგომის მსუყვე ფერადონებას:

გიორგობის თვეში
ნუნუა წვიმს ჩვენში,
გალეშილი ოჩოკონი დაჩინდრიკობს
ტყეში,
გარბიან და გამორბიან გზები
ალთა-ბალთას
და დღაბუცობს ოჩოკონი
ოქროსთმიან ალთან.

ამაღლებული პოეტური ეგზალტაციით შექმნილი ეს წარმოსახვითი რეალობა მისტიკური სუნთქვით იმუხტება და სულის სიღრმისეული შრეებიდან თვალისმომჭრელ მოგონებებს წამოშლის...

აქ სხვა თაობა დამღეროდა ღულუნა არღანს. მწვანე ახლებს აყრუებდა მისი ყიფინა. ახლა კი, ომის ქარიშხლების გადავლის შემდეგ, მხოლოდ კედლებსა და შერჩენია გადიდებული სურათები...

წაიდნენ და ბრძოლებით გადაბუგულ უცხო მხარეში თან წარიტანეს ჭაბუკური გზნება და ხალისი, ბევრი აუხდენელი ოცნება და, რაც მთავარია, ნელა მიწის მათრობელა სურნელი... შუბლშეკრულნი და პირგამეხებულნი არ დასდგომიან მოუსავლეთის გზებს. წასვლის წინ ნაცნობ-ნათესავებს ჩამოუარეს, ბუდიდან ახლად აფრენილი არწივებივით ჩამოუქროლეს მოყვრებსა და მოკეთევებს, რომ ფრონტის ხაზზე იმედის საგზლად გაჰყოლოდათ მათი სიყვარულითა და გულის სითბოთი სავსე გუდა. ჩამოუარეს მარნებსა და ბალ-ვენახებს, რომ ერთხელ კიდევ, ალბათ, უკანასკნელად, ისევ ეგემნათ სიცოცხლის სიტკბო, ისევ გაბრუებულიყვნენ მწვანე ორდობეებში ჩაბუდებული მზის მცხუნვარებითა და გრილ მარნებში ახლად მოხდილი ქვევრების ჯადო სურნელით:

იმ დღეს ღვინო მოიწყურა
ნაღვლიანმა გლეხკაცმა,
მერე არღანს ეკურკურა
და ცხენივით შეკაზმა,
გადავარდა სოფელ-სოფელ,
დათარა მოყვრები,
იქეიფა, შოიოხა
გული მოსაოხები.
არ დაღლილა არც სიმღერით,
არც ხუმრობა-ხარხარით,
აჭახჭახა, აზლუქუნა,
აღრიალა არღანა.
სანამ ტყვია დაცხრილავდეს
ჯარისკაცის ფარაჯას,
თავის წილი სიხარული
იმ ორ დღეში დახარჯა.

ამას მოსდევს გლეხური ფსიქოლოგიის ვირტუოზული მხატვრული მატერიალიზაცია, მშრომელი კაცის ბუნების დიდებული აპოლოგია, რომელშიც სრულყოფილად არის გამოვლენილი ავტორის პოეტური ხედვისა და მოვლენათა სიღრმისეული წვდომის გასაოცარი უნარი:

ჰკოცინდა და ეხვეოდა ვაზის რქას
თუ ხარის რქას,
სიმინდს ფეხზე აყენებდა,
წამოქცეულს ქარიხგან.

მალღარსა თუ გულა ლეღვებს

შეკხაროდა ქვემოდან,

ალბათ ტანი თუ უგრძნობდა,

ველარ დაბრუნდებოდა.

ჰო და, აბა, ამგვარ კაცს რა ესაქმე-
ბოდა ომში და ისიც — სხვის ომში,
როცა გულგახსნილი მიწა ეძახდა სა-
თონხნად თუ სახნავად, როცა თვალწინ
ხარის რქაზე დაბრწყინებული ანგელო-
ზი ელანდებოდა. ამ სტრიქონებში გლე-
ხკაცის ცხოვრების წმინდა რიტუალია
გამოსახული, რაღაც საკრალური ელ-
ფერით გასხვივისებული.

მთელ ამ ტრაგიკულ ეპოპეას გლო-
ვის ზარით მისდევს არღნის ქვეთინი.
არღანი აქ თავისებური მეტაფორულ-
ალეგორიული ორიენტირია, სხვადასხვა
ასპექტში რომ ავლენს თავის მხატვრულ
ფუნქციას. ლექსის დასაწყისში ის სი-
ცოცხლის დაუოკებელ წყურვილს გა-
მოხატავს და დარდიმანდული პეწით შე-
ყვავართ თხრობის დინამიკაში:

ეპ, არღანო, ჩემო „კუკლა“,

ვინ ოხერმა გიყვლა,

ჰო, შურთხვით ამიფრინე

მოკრიახ სიმღერა.

შემდეგ, როცა შინმოუსვლელთა გა-
დიდებული სურათებიდან შავი თოვლი-
ვით დაგვათოვს მათი დაკარგვის სევდა,
არღანი ამ სევდის მოზიარედ და თანამგ-
რძნობად გახშიანდება:

მაშ, არღანო, ძველებური

ჰანგი დასხლიტე,

გაიხსენე სახლიკაცთა

ომში წახვლის დღე.

ბოლოს კი, როცა დაბინდულ მზერას
გავადევნებთ აბიბინებულ სიმინდის ყა-
ნებსა თუ მსხმოიარე ბალ-ვენახებს, რო-
მლებზედაც მათ ასე უღვთოდ დარჩათ
სიყვარულით გაუმძღარი თვალი და
გული, არღანი ვეღარ გაუძღვებს სიმღე-
რით შენიღბულ უსაშველო დარდს და
შიგ გულში ჩაედვრება ბოღმისაგან ყე-
ლთან მობჯენილი ცრემლის ღვართქაფი:

ეპ, არღანო, ახლა ვხვდები,

თურმე რანაირი ხარ,

ეს რა მოგდის, შე ბებერო,

მღერიხარ თუ ტირიხარ?

გარდასულის სევდა გულზე
ლოდად რომ არ შემოგვატოვოს, პოეტის
თითქოს ხელის ერთი მოძრაობით მი-
ზურავს ახლო წარსულის მიმდებარე კარს და
გრძნეული უბრალოებით დაგვაბრუნებს
სიცოცხლის ნეტარ სიმსუბუქეში, რომ
ყოფნის სიმწველე გავგვიადვილოს:

გიორგობის თვეში

გულს გაუდის რეჩხი,

გინდ ყოფილხარ იმერეთში,

გინდა — სამოთხეში.

შ. ნიშნიანიძე არ არის აბსტრაქტუ-
ლი მორალისტი, ტრაქტატების მიხედ-
ვით შიშვლად რომ ქადაგებს ზნეობრივ
ნორმებს, არც მყვირალა პატრიოტული
დეკლარაციებით უყურებს გულს მკითხ-
ველს. ის ცხოვრების გულისგულში
ღრმად ჩახედული მოაზროვნე და მხატ-
ვარია, რომლის კონცეფციას ერთად გა-
სნახდვრავს ტრადიციის სიღრმისეული
ცოდნაცა და თანამედროვეობის სწორად
გაგებული შინაარსიც, წარსულის პრა-
ქტიკაცა და მომავლის პერსპექტივაც.
მისი პოეზიის მძაფრი ზემოქმედების
ძალას განაპირობებს ხელოვნური სირ-
თულეებით დაუნრდილავი ნათელი აზრი,
პოეტური სემანტიკის სიახლე და სიუხ-
ვე, ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა
და შეუდარებელი მეტაფორული სიმდი-
დრე. აი, რა მარტივად, ადამიანურად,
რა გადამღები მოქალაქეობრივი გზენ-
ებით მოაქვს პოეტს ჩვენამდე თავისი
უმთავრესი სათქმელი:

ჰაუ, რა ცაა, რა მიწაა,

ჰაუ, რა მზეა

რა მათრობელა სიცოცხლე და

სილაპაჷყა!

მათრობელაა ჰაერი და მზეც

მათრობელა,

მთვრალივით მღერის აქ უბრალო

ჭრიჭინობელა.

შენც არ დაგბანგოს... არ ჩავთვლიძმოს
სულ ამას ვშიშობ,

ჩემო მამაცო მშვენიერო. ამყო ჯიშო.

თანამედროვე ცხოვრების ტრაგიკულ
ვითრებაში ქვეყნის ინტელექტუალური
ძალები დაძაბულ მზერას თითქმის ყო-
ველთვის აბრუნებენ წარსულისაკენ, იქ

ეძებენ კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევის ნაცად გზას. ეს მით უფრო ითქმის მხატვრულ ლიტერატურაზე, რამეთუ წარმოსახვითი მასშტაბების შეზღუდვით, სხვაზე მეტად, სწორედ მას ხელეწიფების მოვლენათა განზოგადება. ამის ნათელი დასტურია მთელი მეცნიერებების საუკუნის ქართული მწერლობის ეროვნულ-პატრიოტული შემკვიდრეობა. ეს მომენტი ნიშანდობლივია შოთა ნიშნიანძის პოეზიისათვისაც.

დასაბამიდან საქართველო ისეთ დიდსა და ძლიერ მტრებს უმკლავდებოდა, რომ შორიდან მაყურებლის თვალში ამ უთანასწორო ბრძოლებს ალბათ კომიკური ასპექტიც კი უნდა შეეძინა, როგორც ლომისა და კურდღლის ჭიდილი, მაგრამ რა საამოდ საოცარია, რომ ძალთა თანაფარდობის ამ კურიოზული დაპირისპირებიდან ჩვენი ქვეყანა, რაღაც სასწაულით, გასრესილ-განადგურებული არასოდეს გამოსულა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა, თუნდაც, გმირული შემართება მონგოლთა წინააღმდეგ, რომლებმაც:

ცხენის ძუაზე გამოაბეს მთელი აზია და ველურ სტეპენით მიათრიეს ქვეყნის კიდემდე...

მათ ნაფეხურებს სიკვდილი და ყვაავი ასხია...

სამრეკლოებზე ზარებს ხსნიან, ჭიხვინს ჰკიდებენ...

აქ მასშტაბურად არის ნაგრძნობი და გააზრებული ყვითელი ურდოების კვალდაკვალ ადევნებული გლობალური უბედურება, რომლის ტრაგიკული შედეგება მართოდენ ქართველი ხალხის უბედური წილ-ხვედრი არ ყოფილა, მაგრამ სწორედ მცირერიცხოვანმა ქართველობამ შეაგება მძლავრ ჯებირად თავისი ურყევი ნება და ბრძოლის ფანტასტიკური ნიჭი ამ ღვართქაფად მოვარდნილ ცეცხლის მდინარეს.

პოეტი დინამიური თხრობით ან მოჭარბებული პათოსით არ აღწერს ჩვენი ისტორიის ამ საბედისწერო მონაკვეთს. იგი სიმბოლიზირებული ხატებ-

ით ძერწავს და ემოციის გასაოცარი ძალით მუხტავს თითოეულ ხატს:

მონგოლთა სისხლში მზე ჭიხვინებს უდაბნოების,

მონგოლთა ყბებით იცოხნება ამაოება.

ასეთი არნახული მასშტაბებით იხატება მთელი ეპოქა, დემონურ სულს იღვამს და შემადრწუნებელი გრგვინვა-ქუხილით მოანგრევს დროის დამეწყრილ მანძილს. ცხენის ველური ჭიხვინი და ალესილი ნალებიდან ბლუჯად ავარდნილი ნაპერწკალი აწმყოს ტკივილად განიცდება, ტკივილად, რომელიც ჯერაც არ განელდება ჩვენი ერის გასავათებულ სხეულს. მკითხველი ავტორთან ერთად მთელი სისრულით გრძნობს სულის წიაღიდან ვულკანივით ამოფრქვეული საუკუნეობრივი სევდით გაჯერებული ბოღმის სიმწარეს:

ხელში ავიღებ მტევანივით გათქერილ თარიღს

და ახლა ვხვდები: იმ დროს ქართლში მეცა ვარ მკვდარი.

ეს არის წარსულთან თითქმის ფიზიკური შეხება, როცა სულიც და სხეულიც გარდასულის ტრაგიკული, მაგრამ მშვენიერი შინაარსით იმსჭვალება და სადღეისო საწუხარში განიფინება, როგორც ერის სასიცოცხლო მაჯისცემის მარადიული რიტმი.

...და დახვავდება თვალისმომჭრელი მეტაფორული სიმდიდრე, გრძნეული ხელით რომ გადაშლის დროის საზღვარს, ორგანულ კავშირად აღდგება ეპოქათა მიჯნაზე, რომ წინაპართა გარდახედლის სიღრმისეული განცდით სული მარადისობის უსაზღვროებაში გააჭირითოს და მთელი სისრულით აგრძნობინოს ტრაგიკული სიდიადე. ეს ხოხბებივით დახოცილი ცისკრები, გადაკარგული სიმღერები და დამფრთხალი სიზმრები, ქართულ ქარქაშში მზედ ჩაფენილი ხმლები და დედის კალთაში უხმო ცრემლით ატირებული ქრისტეა, მარღვებში ძველი ცეცხლით რომ ანთებს შურისძიების გრძნობას და მფეთქავი ძალით აცოცხლებს ეროვნული გენის ქმედით იმ პულსებს. სწორედ ამ პროცესში ვლინ-

დება დროთა მარადიული კავშირის მკაცრი ლოგიკა, „მარადისობის შეკუმშვა წუთად და წუთის გაშლა მარადისობად“.

ჩემი აზრით, თითქმის გმირული გაუმბედაობა იყო ჩვენი ისტორიის ამ ძნელბედითი პერიოდის მხატვრულად გაფოცბლების ხელახალი ცდა მაშინ, როცა ქართველი მკითხველი უკვე არის ნაზიარები ჩვენში მონგოლთა ბატონობის ამსახველ ისეთ პოეტურ შედეგებს, როგორებიცაა აკაკის „ნათელა“, გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“, და სხვა, მაგრამ შოთა ნიშნიანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართლის ცხოვრების ამ მწუხარე მატთანეს მან სრულიად ახლებურად მოჰფინა შუქი, სავსებით ახლებური ვიზუალური ხატებითა და მასშტაბური ხედვის სივრცათ გამდიდრა იგი, და არა მარტო ამ ლექსში...

საუკუნეთა წყვილადიდან მან სულ სხვა ნათლით გამოაბრწყინა ბერი თევდორე თუ იოანე ბერი, ცოტნე დადიანი თუ გიორგი სააკაძე თავისი სამი ცხენითა თუ ტრაგული სამსახეობით. პოეტმა გეიჩვენა ძალა თავანწირვისა, როგორც პატრიოტული ვრძნობის ვალვივების ყველაზე უფრო შთამბეჭდავი გაკვეთილი.

რამ აიძულა ბერი თევდორე, მტრისთვის გზა აებნია და მისი რისხვის უმწეო მსხვერპლად ქვეულიყო? განა არ შეეძლო, გულწრფად ემართლებინა თავი, — რა მეღონა მე საცოდავს, ამ ზღვა ლაშქარს ვერ გავუმკლავდი, ძალით გამომიძღოლესო წინ. რომელი ჭკუათამყოფელი დაუძრახავდა კაფანდარა მოხუცს ამ უძღურებას? ვერავინ, რა თქმა უნდა, ვერავინ, გარდა საკუთარი თავისა და სწორედ მისი შეეშინდა ბერს, რადგან ეს საკუთარი თავი, საკუთარა სინდისია მისი ხასიათი, მისი ბუნება, მისი მრწამსი, მისი ცხოვრების წესი.

რამ მიიყვანა ტყვეობას შემთხვევიო გადარჩენილი ცოტნე დადიანი მონგოლთა ურდოში, მომხეთა მწარე ხვედრის გასახიარებლად, ან პროფესორ ჟორდანაას რამ დაათმობინა გადარჩენის ერთადერ-

თი შანსი ვილაც უცხო გოგონასთვის, ამ საქციელს იმით ხომ ვერავინ აზსნის, — რა მოხდა, მოხუცმა ახალგაზრდას დაუთმოო ცხოვრების გასავლელი გზა. ხომ ცხადია, რომ სიცოცხლის მიმწუხრზე უფრო გატკება ხოლმე ყოფნის ყოველი წუთი? — ეს კითხვები ხშიანდება შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ეროვნული გენის შესაცნობად, ხშიანდება და ლოგიკურად დასაბუთებულ პასუხსაც პოულობს, ეს პასუხი კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ეროვნულ თვისებად ქვეულმა თავგანწირვის უნარმა გადაარჩინა და შეინახა ჩვენი ქვეყანა, ასწავლა მას ჭირსა შიგან ქვითკირივით გამაგრება, ფესვმაგარ ციხეს დაამსგავსა, გაუტეხელსა და დაუმორჩილებელს: თვითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა,

დაგილეწია, მტერო, მაგრამ ვერ აგიღია.

სწორედ ამ ციხის ქონგურებზე „მზის შუბოსანი დგას მეციხოვნედ მარადისობა“.

ახლა ორიოდ სიტყვა ამ მარადისობის შემოქმედებზე:

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „თევდორე“ ქართული სამოქალაქო ლირიკის ერთერთი უბრწყინვალესი ნიმუშია რომელშიც სრულყოფილად არის გამოვლენილი ავტორის შინაგანი ხილვის ლოგიკა და ანალიზის სიზუსტე, პოეტური სინტაქსის ვირტუოზული ფლობის უნარი, რის წყალობითაც ფრაზის სტრუქტურა განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთს აზრის სიღრმისეულ ბუნებას.

ლექსს უძღვის ლაკონური განმარტება მოვლენისა, რომელსაც ეს დიდებული პოეტური ქმნილება ეძღვნება:

„1609 წელს თრიალეთზე გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თევდორე ბერს გადაეყარა და მეგზურობა მოსთხოვა. თევდორემ მტერს გზა-კვალი აუბნია და მიზანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აკუნეს. ქართველთა ჯარმა დრო მოიგო და მტერი ქვიშხეთთან დაამარცხა“.

თითქოს სათქმელი აღარაფერი რჩება, რადგან თავისთავად ამბავია იმდენად სულისშემძვრელი, რომ ძნელია მისი გამდიდრება ახალი ფუნქციით. ამგვარი ამბის მხატვრულ სამოსელში წარმოჩენის ცდა შემოქმედს დიდი საშიშროების წინაშე აყენებს. თუ მისი ქმნილების ემოციური დატვირთვა ფაქტის გავლენის ძალას ვერ გაუტოლდა, მაშინ მწერალი, უბრალოდ, ქრონიკის მთხრობელად მოგვევლინება, ამავე დროს, გამკრთალდება ფაქტის პირვანდელი მნიშვნელობაც.

შოთა ნიშნიანიძესთან მოხსნილია ამგვარი საშიშროება. მისი ლექსი შორს სცილდება ქრონიკის ჩარჩოებს და ზოგადეროვნული მოვლენის განფენილობას იძენს.

ლექსის პირველივე სტრიქონები თითქოს იმისათვის არის გამიზნული, რომ მკითხველი რაღაც უცნაურის მოსასმენად განაწყოს, დროებით მოწყვიტოს ყოფით ჩვეულებრიობას და გადაასახლოს სხვა სამყაროში, იქ, სადაც მშვიდ მდუმარებაში ყოვლისმომცველი სიჩუმე გამეფებულია, რომ ამ სიჩუმეში უფრო მკვეთრად გაისმას ლეთაებრივი ხმები... ეს თითქოს თავისებური განსაწმენდელია, რომლის გავლის შემდეგ სული ამაღლებულის ჯადო ძალას უნდა ეზიაროს და შემდეგაა გაჰყვეს თხრობის ტალღისებურ დინამიკას:

თრიალეთის ტყეში,
როცა დღეა მშვიდი,
—თევდორევე!
—თევდორევე!
ტირის ერთი ჩიტი.

„თევდორე“ — ეს ჩვეულებრივი ადამიანური სახელი უცებ შთამბეჭდავი იდუმალებით იმუხტება და უკიდურესად ძაბავს სმენას, რაღაც განსაკუთრებულის არაჩვეულებრივის მოსასმენად. ეს დაძაბულობა თანდათან მძაფრდება და გადადის ცნობის წადილში, რომელსაც მცირე შინაგანი პაუზის შემდეგ გული-სხმიერად ეხმიანება ავტორის ლირიკული განმარტება:

განა მართლა ჩიტუნაა,
სული არის სამოთხისა...

და რაღაც არაამქვეყნიურთან, ირეალურთან შეხებით გაბრუებული მკითხველი, ტრანსცედენტურის შთაბეჭდილებაში გახვეული, მისტიური ექსტაზით შეპყრობილი, უცნაური შინაგანი თრთოლვით ლოცვასავით იმეორებს:
სულო, სულო, სამოთხიდან
რა განგებამ გამოგზიზნა?

იდუმალებით საესე გარემო უკვე შექმნილია. ეგზალტირებული გრძნობა უკვე სავესებით არის მინდობილი ჯერ გაუცნობიერებელის წვდომის წადილს. ამ იდუმალებიდან ეს-ესაა, უნდა გამოიკვეთოს ის ყოვლისშემძლე მიზეზი, რამაც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ჯერ სამოთხის მკვიდრად აქცია, შემდეგ კი ცოდილ მიწაზე დააბრუნა მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ. იწყება ამბავი... დინჯი, მშვიდი, მოზომილი, პოეტური სუნთქვით განზავებული ეპიური თხრობა... ერთმანეთს ენაცვლება მეტაფორული ხილვის სასწაულები და მეტყველ სიმბოლოები, რომელთა მეოხებითაც რელიეფურად იხატება თრიალეთზე მობალახე ნუკრივით წმინდა ბავშვი, ირმის რძით გაზრდილი, ღმერთთან სასოებით მოუბარი, მუდამ გულმხურვალედ მლოცველი, ქრისტეს რწმენით ვასხვიონებული არსება, მხრებზე ჩიტებივით რომ ესხდნენ ანგელოსები. ეს მისტიკური სურათი თავისი პოეტური ანტიურაჟით მკითხველის წარმოსახვაში თანდათან წმინდა ბერის რეალურ გამოსახულებად ფიგურირდება და მთელი ეპოქის მასშტაბურ პანორამას ქმნის. ცოტაც და, ეს ღვთაებრივი ნათლით გასხვიონებული სახე ეროვნულ ტრაგედიად ქცეულ უმკაცრეს სინამდვილეს შეეჯახება და იქ გამოავლენს თავის ჭეშმარიტ ბუნებას. ველური ჭეჭა-ჭეხილით მოვარდება სისხლიანი საუკუნე, თავისი ქაოტური ვნებათაღვლეით წალეკავს ამ გარინდებულ გარემოს, ამიტომაც უცებ იცვლება ლექსის რიტმის წყნარი მდინარება და ჯერ კიდევ მომდევნო სტროფების განმიახვამდე თითქოს შო-

რიდან მოიხმის საზარელი ურჩხულის
შლეგი სუნთქვა, უმალ რომ აიყოლიებს
შისით შემძრწუნებული მკითხველის გუ-
ლის აჩქარებულ ბაკა-ბუგს:

...ათას ექვსას მეცხრე წელი,
როგორც უპატრონო რაში
ტორებს სცემდა, ჭიხვინებდა,
მთიდან გადარბოდა მთაში...

ასე თანდათან, მთიდან მთამდე ფარ-
თოვდება ბოროტების სამოქმედო არეა-
ლი, მოახლოებული სიკვდილისა და გა-
ნადგურების სათარეშო ასპარეზი. მკი-
თხველის თვალწინ უნდა გათამამდეს
ღრმა ეროვნული ტრაგედია. მისი გავ-
ლენის ძალა უფრო ყოვლისმომცველად
რომ წარმოჩინდეს, თხრობაში ძალზე
ნაცნობი და ახლობელი, ათასგზის ნა-
გრძნობი და გააზრებული მშობლიური
ხალხური პოეზიის მოტივი და სახეობ-
რივი ხატები ერთვება. ობიექტური მო-
ვლენა ამ გზით უფრო იოლად იძენს
სუბიექტურ მიმართებას. ამას უტყუა-
რი აღლოთი გრძნობს პოეტი და ამიტო-
მაც ჩნდება ლექსში ხალხური შემოქ-
მედების უბრწყინვალესი ნიმუშის ოს-
ტატური ინტერპრეტაცია:

წმინდა ბერი ლოცვად დადგა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
თრიალეთთან მტერი მოდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ისევე იცვლება მელოდია, უფრო მი-
ნორულ ტონებს იძენს. ერთი შეხედვით,
ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, თით-
ქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება.
ქართული კლასიკური ლექსისათვის და-
მახასიათებელ მარცვალთა ერთ რაოდენ-
ობას მეორე ენაცვლება, მაგრამ ეს მო-
ნაცვლეობა იმდენად ზეფუნქციურია,
რომ უმრავლეს შემთხვევაში მთლიანად
განაპირობებს განწყობილების შესატყ-
ვისობასა და ლექსის მიზანდასახულო-
ბის სრულყოფას. სხვა პოეტებთან ეს
მომენტი უმეტესწილად პრიმიტიუ-
ლის შთაბეჭდილებას ქმნის, შოთა ნი-
შნიანიძესთან კი ამგვარი მეტრული
სტრუქტურა პოლიფონიურ მთლიანო-
ბად ყალიბდება და ისე აღიქმება, როგ-
ორც ხასიათი სიხალე, ნიშნიანიძისე-

ული ხელწერა, რომელიც ამ ბოლო
ღროს ბევრმა გადაიღო, მაგრამ
წარუმატებლად, შოთა ნიშნიანიძის პო-
ეზიაში კი სწორედ ამ დეტალს აქვს ის
დატვირთვა, რასაც ზოგჯერ იღვაც ვერ
კისრულობს ნაწარმოებში.

აი, ამ ხერხის წყალობით როგორ
ზორციელდება ისტორიული ბატალიის
ფართო პლანის ჩვენება:

ქართულ ვენახს,
ქართულ ჯვარს,
ქვეყნის ოთხივ მხარეს,
როგორც იატაკანი,
სხვებს თურქული მთვარე.
აჰა, მახვილ შუბებით
აზღარბულა სერი,
ჩაღმოსანთა მწკრივები
კვავს სიკვდილის წერილს.
იწერება სულთანნი... იწერება ქადილხ
და სიკვდილის ეტრათივით
იგრანება ქართლი.

ამ ბარბაროსული შემოსევის შედეგი
უკვე მთელი სიგრძე-სიგანით იგულისხ-
მება. ფიქრის თვალს გაადევნებ იავარ-
ქმნილ ქართლს და სისხლისფერ ნისლ-
ში დაღანდავ გადაბუგულ, გავერანებულ
მამულს. შიგ გულისგულში აუტანლად
გეტკინება შენი მწარე წარსული და მძი-
მე განცდით სულშეხუთული იგრძნობ,
რას ნიშნავს ელდით წელის მოწყვეტა.
ძალიან, ძალიან მოგინდება ხმამაღალი
ტირილი, რომ მწარე მოთქმას ამოაყო-
ლი საუკუნეების მანძილზე დაგროვილი
ბოღმა და სწორედ ამ მძიმე წუთში მო-
გაშველებს პოეტი გულის სიღრმიდან
წამოსულ ნატირალს, შენი სათქმელით
განზავებულსა და გახშიანებულს. ისეთი
გრძნობა გეუფლება, თითქოს მუხლგ-
ზე დაცემული, ზეცისკენ ხელაპყრობი-
ლი შეჭალადადებ შენი ქვეყნის კიდე
ერთხელ გადამჩენელ წმინდანად ქცე-
ულ ბერს:

შენ ხარ ვენახი აჩუხილი,
მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი
დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო კავშირების
საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო კავშირების

მამაო, ხანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცაცხლი იყავ სვეკეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...

ლოცვა ხარ ბაგვე შეყინული...
ისევ იცვლება რიტმი... დგება მის-
ტიკური ექსტაზის მომენტი, როცა შენს
თავს აღარ ეკუთვნი. ერთმანეთში ირე-
ვა მაგიური და მიწიერი ჩვენებები, სული
გააფთრებით აწყდება ტკივილით დაღვ-
ლარწინილ სივრცეს, რომლის წიაღშიც
ერთად ბობოქრობს ძალმომრეობის უმ-
წეობაცა და ძლიერზე გამარჯვების და-
უოკებელი სიხარულიც. სიამაყით აზვი-
რთებულნი მამულიშვილური გრძობა,
რუდუნებითა და თბილი თანადგომით ეხ-
მიანება საუკუნეთა მიღმა მდგარ, თავ-
განწირვით გასხვიოსნებულ აჩრდილს,
მთელი არსებით მიილტვის იქითკენ,
რომ როგორმე ჩაეზიაროს მას მიწიერ
ტკივილში, გაითავისოს მისი ამქვეყნი-
ური განსაცდელი და მოწინებით სცეს
თაყვანი მის ლეგენდად გარდასახვას:

ეს სისხლია, ღვთის კაცო,
ღვართქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიჟრაჟმა იფეთქა
ანაფორის ღამიდან.

- ოსანა!
- ოსანა!

მოდგენენ ანგელოზები,
ანაფორის ნაფლეთები მიაქვთ

აგვაროშებად.

გალობაში შეგახვიეს
და შეგმოსეს ლეგენდებით,
თუ გაჭირდა, მტერს და ორგულს
ლეგენდითაც ვეკეთებით!

აი, ძირითადი სათქმელი, მთავარი
მიზანი! სწორედ ეს ამართლებს ყოვე-
ლგვარ მსხვერპლს, უწყალოდ დაღვრი-
ლი სისხლის მდინარეებს, მამულიშვი-
ლთა ვმირულ თავგანწირვას. მათ წმი-
ნდა სახელებს ყოველი განსაცდელის
ქაშს ჩვენი ერი ნუგეშად და შთაგონე-
ბად გამოიხმობს წარსულიდან. ამაში
ვლინდება ობიექტური სინქრონიზმი -
დროთა კავშირი.

ზემოთ შოთა ნიშნინიძის პოეტურა
სინტაქსი ვახსენეთ, გასაოცარი სილა-
დითა და ბუნებრივობით რომ გამოხატავს

აზრს. მისი ყოველი წინადადება ისე
მომზიბლავად მარტივნი და ძალდაუტა-
ნებელია, რომ ნებისმიერი სხვა კონს-
ტრუქცია უთუოდ გააბუნდოვანებდა სა-
თქმელს. აი, თუნდაც ამ ლექსის ფინა-
ლი, სადაც ამ ჰეროიკული სიმფონიის
უკანასკნელი ნოტები სევდანარევი აპო-
თეოზით მთავრდება:

მთაში ფანდურს აქლავლებენ,
წვიმს გმირული კაფია,
ცაში ელვით იწურება
შენი ეპიტაფია.

ასეთი სევდანარევი აპოთეოზით მთავ-
რდება ამ ჰეროიკული სიმფონიის უკა-
ნასკნელი ნოტები.

შოთა ნიშნინიძის თვალით დანახუ-
ლი მამული მარტო ბრძოლებით გადახ-
ნული, იავარქმნილი მინდორ-ველი არ
არის, ამიტომაც მხოლოდ სვედის მომ-
გერელი ერთფეროვნებით არ განიცდება
მისი ხილული თუ უხილავი არსი. მა-
რადისობის მკვიდრთა ეს მისტიკური
საუფლო ღვთისა და დროსტარების
ქვეყანაც არის, არა გამოფიტულ ტრა-
მალებად უაზროდ გადაშლილი, გონის-
დამპარგავ ლოთობას მიძალბებული, თავ-
აშვებულ ორგიას დაწაფებული, ხარბად
რომ ეტანება ყოველგვარი სისაძაგლი-
დან გამოწურულ საშინელ საწამლავს,
არამედ დარბაისლური ნადიმის სამკვი-
დრო, სადაც ღვთაებრივ რწმენად ქცე-
ულა შეგნება იმისა, რომ ვაზის წმინდა
სისხლთან ზიარებას თავისი კეთილშო-
ბილური რიტუალი ახლავს, საუკუნე-
ებით განმტკიცებული და მყარად დამკ-
ვიდრებული, რომელიც უშინაარსო ცხო-
ვრებიდან გაქცევასა და თავდავიწყების
ძიებას კი არა, უწინარეს ყოვლისა, სი-
ყვარულის, სიკეთის ძმოებისა და მეგობ-
რობის, ერთგულებისა და გამტანობის
დემონსტრირებას გულისხმობს. ესეც
ერთი ნიშანდობლივი თვისებაა ჩვენი
ერისა. პოეტს ღვინის ღმერთს - ბახუ-
სის სამშობლოდ ამიტომაც ეგულება
სწორედ საქართველო, „ღმერთების აგ-
არაკი და ბიბლიის დედანი“, (ზომ თავ-
ბრუდამხვევი მეტაფორაა, პატრიოტუ-
ლი გრძნობის უსათუთეს სიმს რომ ათ-

როლებს და ათასჯერ დანახულსა და ნაცნობს სრულიად ახლებურად განგაცდევინებს.)

პოეტის ასოციაციათა ნაკადი ქართულ კალაპოტს მისდევს და უთბილესი ფერებით აცოცხლებს მშობლიურ გარემოს, რომლის წიაღშიც სიმინდები ნაჩხუბარი მაყრებივით არიან ჩოხებჩამოხეულები, ხოლო აივნის რიკული ანტიკურ არფასავით მოჩანს. აქ ბუჭვიდან ჩამოვარდნილ ჩრდილსაც კი მონგოლის ცხენის ცოხნის, კვამლი ნახირივით ლოლნის ისრებით დაცხაულ ფოთოლს. აქ ჭალაში ირემივით ჩაჩოქილა აპრილი, ხოლო არაგველები ისე შეგუებიან მარადისობას, როგორც ქარქაშებს — ხმლები. აქ, ამ ტყეებში „მეტყვევს წელში გაურჭვია კაუჭა წაღლი, თითქოს ნისკარტით ჩაფრენია მუხას კოდალა“.

რაოდენ შორეულიც უნდა იყოს ასოციაციით განჭვრეტილი საზე, უფრო ზუსტი და პოეტური პლასტის მიგნება ყოვლად წარმოუდგენელია. ამასთან, ეს ხილვები სულაც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სინაზითა და სიფაქიზით. მათ მონუმენტურ სხეულებში მკაცრი და ვაჟკაცური სულია ჩაბუდებული. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც „ხევსურა“ იკმარებდა. ამ ლექსში დახვავებული სიმბოლოები ათიოდე პოეტს მაინც გაჰყვებოდა დიდების საგზლად:

ფიცობდა, სხიოდა შვის ცხელი

დაირა,

ხიცხე ქუნძულებდა მთლად

დათვისნაირად.

ღრეობდნენ ხევსურნი და... ზორბა

ხინკლები

ხელიდან სხლტებოდნენ, როგორც

თხის ჯიქნები.

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ

ხაშხაში,

ავვისტოს პირდაპირ ისხამდნენ

ხახაში.

და სხვა მრავალი.

ასე ქმნის ჩვენი ეროვნული ყოფის, ეროვნული ხასიათის შარავანდედიან სურათს სახეობრივი ხატების ეს გასაოცარი მეუფე!

შოთა ნიშნინანიძის პატრიოტულ ლექსებში ერთი წყველა-კრულვიანი და უსაშველოდ მტკივნეული კითხვა ბოხოქრობს, სულისშემზუთავ სათქმელად რომ მისდევს მკითხველს სტრიქონიდან სტრიქონამდე:

— საქართველო — სადამდის?

და ყოველი ჩვენგანის სანუგეშოდ, თითქოს დიდი ტაძრის თალებქვეშ, ეფონიური სიდიადით ხშიანდება მორთულვარე პასუხი:

— მარად, უკუნისამდის!



ჩუენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გალეცა ასაწყობად 24.03.92 წ., ხელმოწერილია დისაბეჰდად 13.04.92 წ., ქალაღდის ზომა 70×108¹/₂, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 403. ტირაჟი 8.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლო“, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

❖ ნაწილი

❖ ანონსი

❖ მე-5 ნომრის

❖ კონკრეტული

❖ ბათუ დანელია,
❖ ტარიელ ხარხელაური,
❖ ნუგზარ ჩიკვაძე

❖ პროზა

❖ ზაზა დვალისხელი (რომანი „რკინის
❖ ქალაქები“, დასაწყისი).
❖ მარინე რჩეულიშვილი (გაგრძელება)

❖ პიესა

❖ ლუიჯი პირანდello (პენრიხ IV)

❖ ფერილები


❖ ნოდარ ლომოური (ოსთა საქართველო-
❖ ში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი
❖ ასპექტები)
❖ ბონდო არველაძე.
❖ თეიმურაზ მაღლაფერიძე
❖ ნოზურში წაიკითხავთ კიდევ რამდენიმე
❖ საინტერესო მასალას...

ფასი 5 მან.

637/48

თბილისი 76225

ხელმოწერათვის 2 მან.



მორის ფოცხიშვილის ნახატი